

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ს ლ ა ვ უ რ ი ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა

სალომე ბედუკაძე

ბორის პასტერნაკის ქართულ ადრესატებთან მიმოწერის თავისებურებანი
და შემოქმედებითი მნიშვნელობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი მ. ფილინა

2023

თბილისი

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ბორის პასტერნაკის იმ ეპისტოლურ მემკვიდრეობის თავისებურებებისა და მისი შემოქმედებითი მნიშვნელობის შესწავლას, რომელთა ადრესატები რუსი ავტორის ქართველი მეგობრები იყვნენ. ბორის პასტერნაკისა და ქართველი პოეტების მეგობრობას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. როგორც მარია ფილინა აღნიშნავს, თავიანთი დროის ბრწყინვალე პოეტებმა ადამიანური და შემოქმედებითი მიზიდულობაც იგრძნეს და სიცოცხლის ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. პირადი ურთიერთობები, ცხადია, ყველაზე კარგად დღიურებსა და პირად წერილებში აისახება. პასტერნაკი მე-20 საუკუნის იმ ერთ-ერთი ავტორთაგანია, რომლის შემოქმედებაში სრულიად ცალკე და ამავდროულად, საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ეპისტოლურ მემკვიდრეობას. გარდა იმისა, რომ ამ წერილების საშუალებით არაერთი ცხოვრებისეული დეტალი, ავტორის პიროვნული თვისებები და შეხედულებები იკვეთება, ამასთანავე, მისი შემოქმედების მრავალ ასპექტზე გვიქმნის წარმოდგენას. ხშირ შემთხვევაში კი თავად ხდება ეს წერილები შემოქმედების ნაწილი.

სადისერტაციო თუ სხვა ნებისმიერი სამუშაოს თემად ბორის პასტერნაკის ცხოვრებისა და შემოქმედების არჩევა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მკვლევარს: პასტერნაკს, როგორც მე-20 საუკუნის პოეზიის ერთ-ერთ მწვერვალს, მიმართავენ წამყვანი რუსი, ევროპელი და ამერიკელი სპეციალისტები ლიტერატურათმცოდნეობისა თუ ფილოსოფიის სხვადასხვა დარგიდან. პოეტის გარდაცვალებიდან 60 წელზე მეტი გავიდა და მის მიმართ ინტერესი არათუ ნელდება, არამედ გარკვეული თვალსაზრისით უფრო ძლიერდება. პასტერნაკის სახელის ირგვლივ პოლიტიკურმა კამათმა, დიდი ხანია, უკანა პლანზე გადაინაცვლა და ახლა, უპირველეს ყოვლისა, განიხილება მწერლის მემკვიდრეობის სიღრმისეული საკითხები, თუმცა ზოგჯერ აღმოაჩენენ მანამდე უცნობ ახალ წერილებს, ახალ ფაქტებს მწერლის ცხოვრებიდან და საჭირო ხდება ინტერპრეტაცია.

Abstract

The dissertation is dedicated to the study of the peculiarities of Boris Pasternak's epistolary legacy and its creative significance, the addressees of which were Georgian friends of the Russian author. Numerous works have been dedicated to the friendship of Boris Pasternak and Georgian poets. As Maria Filina points out, the brilliant poets of their time felt both human and creative attraction and remained friends until the end of their lives. Personal relationships are, of course, best reflected in diaries and personal letters. Pasternak is one of those authors of the 20th century, in whose work the epistolary legacy occupies a completely separate and at the same time quite extensive place. Aside from the fact that through these letters, not only a single life detail, but also the author's personal qualities and views are revealed, at the same time, it gives us an idea of many aspects of his literary creativity. In many cases, these letters themselves become a part of literary creation.

Choosing life and work of Boris Pasternak as the topic of a dissertation or any other paper imposes great responsibility on the researcher: Pasternak, as one of the peaks of 20th century poetry, is addressed by leading Russian, European and American specialists from various fields of literary studies and philosophy. More than 60 years have passed since the poet's death and the interest in him is not fading, but in some ways it is getting stronger. The political controversy surrounding Pasternak's name has long moved into the background, and now, first of all, in-depth issues of the writer's legacy are discussed, although sometimes new letters, new facts from the writer's life that were previously unknown are discovered and additional interpretation becomes necessary.

სარჩევი

შესავალი _____	1
თავი I. დროის კონცეპტის თავისებურება ბორის პასტერნაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში _____	10
თავი II. ბორის პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიმოწერა - მისი ეპისტოლური მსოფლხედვა _____	34
თავი III. ბორის პასტერნაკის პირადი და შემოქმედებითი კავშირები ქართველ პოეტებთან და მისი ასახვა მიმოწერაში _____	58
თავი IV. 30-იანი წლები - „მეორედ დაბადებიდან“ რომან „ექიმ ჟივაგომდე“ _____	103
თავი V. ბორის პასტერნაკის წერილები ქართველ მეგობრებთან 40- 50-იანი წლების მოვლენათა კონტექსტში _____	123
დასკვნა _____	171
ბიბლიოგრაფია _____	178
გამოყენებული ლიტერატურა _____	179

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ბორის პასტერნაკის იმ ეპისტოლური მემკვიდრეობის თავისებურებებისა და მისი შემოქმედებითი მნიშვნელობის შესწავლას, რომელთა ადრესატები რუსი ავტორის ქართველი მეგობრები იყვნენ. ბორის პასტერნაკისა და ქართველი პოეტების მეგობრობას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. როგორც მარია ფილინა აღნიშნავს, თავიანთი დროის ბრწყინვალე პოეტებმა ადამიანური და შემოქმედებითი მიზიდულობაც იგრძნეს და სიცოცხლის ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. პირადი ურთიერთობები, ცხადია, ყველაზე კარგად დღიურებსა და პირად წერილებში აისახება. პასტერნაკი მე-20 საუკუნის იმ ერთ-ერთი ავტორთაგანია, რომლის შემოქმედებაში სრულიად ცალკე და, ამავდროულად, საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ეპისტოლურ მემკვიდრეობას. გარდა იმისა, რომ ამ წერილების საშუალებით არაერთი ცხოვრებისეული დეტალი, ავტორის პიროვნული თვისებები და შეხედულებები იკვეთება, ამასთანავე, მისი შემოქმედების მრავალ ასპექტზე გვიქმნის წარმოდგენს. ხშირ შემთხვევაში კი თავად ხდება ეს წერილები შემოქმედების ნაწილი.

სადისერტაციო თუ სხვა ნებისმიერი სამუშაოს თემად ბორის პასტერნაკის ცხოვრებისა და შემოქმედების არჩევა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მკვლევარს: პასტერნაკს, როგორც მე-20 საუკუნის პოეზიის ერთ-ერთ მწვერვალს, მიმართავენ წამყვანი რუსი, ევროპელი და ამერიკელი სპეციალისტები ლიტერატურათმცოდნეობისა თუ ფილოსოფიის სხვადასხვა დარგიდან. პოეტის გარდაცვალებიდან 60 წელზე მეტი გავიდა და მის მიმართ ინტერესი არათუ ნელდება, არამედ გარკვეული თვალსაზრისით უფრო ძლიერდება. პასტერნაკის სახელის ირგვლივ პოლიტიკურმა კამათმა, დიდი ხანია, უკანა პლანზე გადაინაცვლა და ახლა, უპირველეს ყოვლისა, განიხილება მწერლის მემკვიდრეობის სიღრმისეული საკითხები, თუმცა ზოგჯერ აღმოაჩენენ მანამდე უცნობ ახალ წერილებს, ახალ ფაქტებს მწერლის ცხოვრებიდან და საჭირო ხდება ინტერპრეტაცია.

ლიტერატურათმცოდნეობაში, ლიტერატურის თეორიაში, ისტორიასა თუ კრიტიკაში არსებობს მთელი რიგი ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება სწორედ პასტერნაკის წერილების შესწავლას არაერთი ასპექტით. ბორის პასტერნაკის მიმოწერა ქართველ ადრესატებთან, ლიტერატურულ ცხოვრებაში მათი მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე, ყოველთვის წარმოადგენდა მკვლევართა ინტერესის საგანს. მწერლის თხზულებათა სრული კრებულის გამოსვლამდე, რომელიც 11 ტომს მოიცავს, მკვლევარები მიმართავდნენ პუბლიკაციებს, რომლებიც სხვადასხვა ბეჭდურ გამოცემაში ქვეყნდებოდა. ბორის პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილების პირველი პუბლიკაციების ავტორი გიორგი მარგველაშვილი იყო. წერილები დაიბეჭდა ჟურნალებში «Литературная Грузия», 1966, №1-2 და «Вопросы литературы», 1966, №1. სხვა მკვლევართა მიერ დაიბეჭდა, ასევე, «Литературное наследие»-სა და კიდევ მრავალ ჟურნალ-გაზეთში. აღსანიშნავია გ. ბებუტოვის პუბლიკაცია «Литературная Грузия»-ს 1968 წლის მე-8 ნომერში („ეს იყო გამოცდილებათა გაცვლა, ეს არის ჩვენი რესპუბლიკების მაარსებელი სუნთქვა“/«Это обмен опытом, это жизненное дыхание наших республик»). ნინო ტაბიძესთან პასტერნაკის მიმოწერის შესახებ ძალზედ საინტერესო კვლევა ეკუთვნის პროფესორ მარია ფილინას. საქართველოსთან ბორის პასტერნაკის დამოკიდებულების შესახებ წერენ ვალენტინა ბალუაშვილი, ირინა ჩერნიავესკაია, ელენე ყიასაშვილი და სხვები.

ბორის პასტერნაკის თხზულებათა სრული კრებულის 11 ტომად გამოცემის შემდეგ შესაძლებელი გახდა მწერლის არა მხოლოდ ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილების, არამედ მთლიანად მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის, ერთიანობაში შესწავლა. კრებულის შემდგენლები და დართული კომენტარების ავტორები არიან ე. ბ. პასტერნაკი და ე. ვ. პასტერნაკი. წინასიტყვაობა ეკუთვნის ლ. ფლეიშმანს. წინამდებარე ნაშრომში მოხმობილი დეპეშის ტექსტები, წერილში გადაკვრით ნახსენები არაერთი ფაქტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია სწორედ დართული კომენტარებიდან არის მოყვანილი. სწორედ ამ თერთმეტტომეულიდან ითარგმნა

ქართულად და ქვემომდებარე ნაშრომის ავტორის მონოგრაფიით წიგნად გამოიცა 2018 წელს ქართველ მეგობრებთან მიწერილი წერილები „ბორის პასტერნაკის ქართველი ადრესატები“.

მათი ერთიანობაში კითხვისას, მკითხველს უჩნდება განცდა, რომ კითხულობს ერთ მთლიან რომანს სიუჟეტური განვითარებით. მთავარი პერსონაჟის ხასიათის, შეხედულებების, მიდგომების ცვლილება დროსთან და ადამიანებთან მიმართებით საუნტერესო სურათს იძლევა. ავტობიოგრაფიულ რომანს მოგვაგონებს. ამ წერილებშივე იკვეთება ერთგვარი სამზადისი მთავარ ნაწარმოებამდე, რომანამდე. ამდენად მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ დროისა და ცხოვრებისეული მოვლენების ასახვის თვალსაზრისით. იქნებ უფრო მნიშვნელოვანიც, ვინაიდან მისი სამწერლო მოღვაწეობა ემთხვევა ეპოქას, როცა ბეჭდური სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია და როდესაც საბოლოოდ ეკარგება იმედი საკუთარი აზრების ბეჭდურ სივრცეში გამოხატვისა, წერილებს მიმართავს. ეს უბრალოდ პირადი მიმოწერა კი არა, ერთგვარი ფილოსოფიურ-ლიტერატურული გზავნილებია, რომლებშიც ხორცშესხმულია პასტერნაკის, როგორც შემოქმედის, ყველა მხარე და ასპექტი.

ბორის პასტერნაკის წერილები შესწავლილია მრავალმხრივ. თუმცა იცვლება დრო, დროთა განმავლობაში იცვლება მეთოდიკაც, ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ვითარებაც. ხოლო იმ ვითარებაში, რომელშიც დღეს აღმოვჩნდით და რომელიც ყოველთვის ურად იცვლება, ეჭვქვეშ დგება, ზოგადად, ქართულ-რუსული ურთიერთობების მემკვიდრეობა. ამიტომაც არის საჭირო ურთიერთობათა ამგვარი მაგალითების ჩვენებაც, როგორც პასტერნაკი იტყოდა „ბარიერთა მიღმა“. სწორედ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ითარგმნა და ჩემი მონოგრაფიით დაიბეჭდა ბორის პასტერნაკის წერილები ქართველ ადრესატებთან, რაც ახალგაზრდების იმ ნაწილს, რომლებიც ვერ კითხულობენ დედანში და ასეთების რაოდენობა სულ უფრო იზრდება, მისცემს შესაძლებლობას ამ მაღალი მაგალითის გაცნობისა. წიგნის გამოცემამ ყველაზე დიდი ინტერესი სწორედ ახალგაზრდებში

გამოიწვია. წიგნის პრეზენტაციის დამსწრეთა შორისაც ისინი ჭარბობდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ წიგნი შეზღუდული ტირაჟით გამოიცა და წიგნების მაღაზიებში არ იყიდებოდა, ახალგაზრდები პირადად მიკავშირდებოდნენ და ინტერესდებოდნენ მისი შექმნით.

ამდენად, ბორის პასტერნაკისა და ქართველი ლირიკოსების, მათი მიმოწერის საკითხი არც დღეს კარგავს აქტუალურობას თავისი მნიშვნელობიდან, თემათა მრავალფეროვნებიდან და იმ სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ახასიათებს ბორის პასტერნაკის წერილებს. ქვემოთდებარე ნაშრომი წარმოადგენს ამ მემკვიდრეობის კომპლექსური შესწავლის მცდელობას. ახალ ეპოქაში მისი შესწავლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან პასტერნაკი ყოველთვის იყო და არის საკვანძო ფიგურა, მისი შესწავლა გამოკვეთს ახალ რაკურსებს პოეტიკის, ფილოსოფიის, საზოგადოებრივი ცხოვრების, შემოქმედებითი პრინციპების, ეპოქის გააზრებისა თუ სხვა მრავალი თვალსაზრისით.

ჩვენი ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილები და მათ საფუძველზეა განხილული ნაშრომში დასმული ყველა საკითხი. კვლევის მიზანია ბორის პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიმოწერის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა, საქართველოსა და ქართველი მეგობრების როლის ჩვენება პასტერნაკის როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე, მის შემოქმედებაში, მისი ლიტერატურული სტილის განსაზღვრის საქმეში. ამასთანავე, ადრესანტის მსოფლხედვის, შემოქმედებითი პრინციპების, მისი და ეპოქის ურთიერთმიმართების ანალიზი ზემოაღნიშნული მასალის საფუძველზე.

კვლევის ფორმულირებულმა მიზანმა განაპირობა შემდეგი ამოცანების დასმა და გადაჭრა:

1. დროის კონცეპტის თავისებურებათა გააზრება ბორის პასტერნაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში;

2. ბორის პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიმოწერის, როგორც მისი ეპისტოლური მსოფლხედვის, კვლევა;
3. პასტერნაკის პირადი და შემოქმედებითი კავშირების კვლევა და ამ კავშირების ასახვა მიმოწერაში;
4. 1930-იანი წლების მიმოწერა - „მეორედ დაბადებიდან“ „ექიმ ჟივაგომდე“ მიმავალი გზა ცხოვრებისეული და შემოქმედებითი მოვლენების კონტექსტში;
5. 1940-50-იანი წლების მიმოწერის კვლევა ეპოქის მოვლენათა კონტექსტში.

ნაშრომის სიახლე განისაზღვრება იმით, რომ, მიუხედავად პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობის სიღრმისეული და ინტენსიური კვლევისა, აღნიშნული საკითხების კვლევა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დროის კონტექსტში, მწერლის შემოქმედებითი თუ პიროვნული ევოლუციისა და მეტამორფოზის ჩვენებით, თანაც ავტორისეულივე რაკურსით, გამომდინარე იქიდან, რომ პირად წერილებზე გვაქვს საუბარი, ნამდვილად წარმოადგენს სიახლეს. შესასწავლი მასალის სიდიდის, კომპლექსური ხასიათისა და სიღრმის გათვალისწინებით, ცხადია, ნაშრომი მთლიანად ვერ მოიცავს და ამოწურავს აღნიშნულ საკითხებს. რიგ შემთხვევებში, ვხვდებით ისეთ წერილებს, რომლებიც თითოეული ცალკე ნაშრომს მოითხოვს. ამდენად, გვესმის და ვაცნობიერებთ თემის სიღრმეს. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევეცდებით, შევებოთ წერილებში გამოკვეთილ საკვანძო საკითხებს და ერთი არჩეული რაკურსით განვიხილოთ ისინი.

კვლევის მთავარი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ბორის პასტერნაკის პიროვნული და შემოქმედებითი შეხედულებები, დროისა და ეპოქისადმი მისი მიდგომა მუდმივად იცვლება სწორედ ეპოქის მოვლენათა კონტექსტში და ეს გრადაცია ყველაზე ნათლად მწერლის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში აისახება.

ჩვენი ნაშრომის ძირითადი დებულებებია:

- პირველად არის კომპლექსურად შესწავლილი და ანალიტიკურად განხილული ბორის პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილების მთელი კორპუსი;
- დადგინდა პარალელები ბორის პასტერნაკის „მეორედ დაბადებას“, მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებასა“ და ტიციან ტაბიძის სტრიქონს „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“ შორის და აქედან გამომდინარე, ხაზი გაესვა მათ მიერ „საკუთარი თავის ხელახლა წარმოების“ იდეის უპირველესობას როგორც ცხოვრებაში, ისე - მწერლობაში.
- გამოვლინდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთა გამოც ქართველ მეგობრებთან პასტერნაკის კავშირი იყო სამუდამო არა მხოლოდ ადამიანური ურთიერთობების, არამედ შემოქმედებითი თვალსაზრისითაც.
- ყველა წერილის მიმოხილვის საფუძველზე, კვლევამ ცხადყო თუ რაოდენ ზედმიწევნითა და სიზუსტით აისახა ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა ასპექტი მიმოწერაში;
- წერილების კვლევის საფუძველზე, გამოვლინდა ქართველ მეგობართა მნიშვნელობა მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მისი ლიტერატურული სტილის განსაზღვრაშიც კი.
- 1930-იანი წლების წერილების კვლევის საფუძველზე დადგინდა ის გზა, რომელსაც გაივლის პასტერნაკი „მეორედ დაბადებიდან“ „ექიმ ჟივაგომდე“, როგორც პიროვნული, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით.
- 1940- 50-იანი წლების წერილების კვლევამ განსაზღვრა „ექიმი ჟივაგოს“ როლი ბორის პასტერნაკის მთელ შემდგომ პირად თუ შემოქმედებით ცხოვრებაში და ასევე ის, თუ როგორ იქცა რომანზე მუშაობა, შემდგომ კი - უკვე რომანი, ავტორის დაგვიანებულ 1937 წლად, ანუ როგორ იქცა პასტერნაკი დაგვიანებულ დევნილად.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ აქ მიმოხილულია ქართველ ადრესატებთან მიწერილი ყველა წერილი და გამოვლენილია მათში ასახული ყველა მნიშვნელოვანი თემა და საკითხი. ამდენად, იგი საინტერესოა როგორც რუსი პოეტის, ისე მისი ქართველი ადრესატების მკვლევართათვის.

პრაქტიკული დანიშნულების თვალსაზრისით, ნაშრომი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენ მიერ სადისერტაციო ნაშრომისთვის გამოყოფილი ყველა საკვლევო თემა განხილულია მხოლოდ აღნიშნული ეპისტოლური მემკვიდრეობის საფუძველზე, თუმცა მოიცავს ყველა ადრესატსა და წერილს, რაც შემდგომში, შეიძლება დაეხმაროს როგორც ქართველ ლირიკოსთა მკვლევრებს, ისე - ბორის პასტერნაკის შემსწავლელებს, რომელთაც პასტერნაკის შემოქმედება სწორედ წერილების თვალსაზრისით დაინტერესებთ, ვინაიდან, როგორც არაერთხელ აღინიშნა, მისი პირადი მიმოწერა პროზის ჟანრადაა ქცეული.

კვლევის მასალა თავმოყრილია ბორის პასტერნაკის ნაწარმოებების სრული კრებულის 11-ტომულში, სადაც VII-VIII-IX-X ტომები მთლიანად პირად მიმოწერას ეთმობა. ამ ტომებიდან თავი მოეყარა და 2018 წელს, ქართულად თარგმნილი, ერთ წიგნად („ბორის პასტერნაკის ქართველი ადრესატები“) გამოიცა ნაშრომის ავტორის მიერ. შესაბამისად, ქართველ მეგობრებთან მიწერილი წერილების ქართული ციტატები სწორედ ზემოაღნიშნული წიგნიდანაა მოყვანილი. არსებითად მნიშვნელოვანი იყო საარქივო მასალები, რომლებიც დოკუმენტურად ასახავდა იმას, რაც ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ბორის პასტერნაკის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი მოვლენების განმსაზღვრელი.

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, ხუთი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

კვლევის მეთოდები: ისტორიულ-ლიტერატურული, სოციალურ-ფსიქოლოგიური.

ბოლო წლებში გამოქვეყნდა ან ხელახლა გამოიცა სოლიდური ნაშრომები, რომლებიც მოიცავს პასტერნაკის მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტს და გამოკვეთს მსოფლიო ლიტერატურაში ბორის პასტერნაკის მნიშვნელობას. საკმარისია ამ ნაშრომთა დასახელება: Евгений и Елена Пастернак. Жизнь Бориса Пастернака. // Документальное повествование. Изд. Журнала «Звезда». М, 2004; Н. Вильмонт. О Борисе Пастернаке. Воспоминания и мысли. М. «Летний сад». 2006; Наталья Иванова. Борис Пастернак. Времена жизни. М., «Время». 2007; К. Поливанов. Пастернак и современники. Биография. Диалоги. Параллели. Прочтения [Текст] / — Высшая школа экономики. — М. : Изд. «Дом». ГУ ВШЭ, 2006; Зинаида Пастернак. Воспоминания. Письма. М.: АСТ. 2016. 468 стр. М.: «Новое литературное обозрение» 2013; Борис Гаспаров. Борис Пастернак: по ту сторону поэтики (Философия. Музыка. Быт). Анри Труайя. Борис Пастернак. М.: Эксмо. 2007. მკითხველთა ფართო წრისთვის არის ცნობილი დიმიტრი ბიკოვის ბიოგრაფიული ნარატივი, რომელიც გამოქვეყნებულია ЖЗЛ (Жизнь замечательных людей) სერიაში: Быков Д. Борис Пастернак. М.: Изд. «Молодая гвардия». 2009, 625 стр. საარქივო მასალების ფართოდ შესწავლის საფუძველზე გამოიცა ნატალია გრომოვას წიგნები, რომლებშიც ცენტრალური ადგილი უკავია ბ. პასტერნაკს და მისი ფიგურა განხილულია დროის კონტექსტსა და თანამედროვე მწერლებთან ურთიერთკავშირში: Громова Н. Узел. Поэты: дружбы и разрывы. М.: Изд. «Элис Лак», 2006; Громова Н. Распад. Судьба советского критика: 40-50-е годы. М.: Изд. Элис Лак», 2009.

თითქოს ბორის პასტერნაკის „ქართული ცხოვრება“ დეტალურად და სრულყოფილად არის შესწავლილი, თუმცა მისი ღრმა კავშირი ქართველ მწერლებთან თუ ქართულ პოეზიასთან იძლევა ახალ მასალასა და სტიმულს კვლევისათვის. თბილისში, საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში გაიმართა ბორის პასტერნაკისა და ტიციან ტაბიძის ხსოვნის საღამო და რუსი პოეტისადმი მიძღვნილი გამოფენა. ალბათ, ყველაზე დიდ მოვლენად ამ სფეროში იქცა კონფერენცია „ბორის პასტერნაკი და ტიციან ტაბიძე: პოეტების მეგობრობა, როგორც კულტურათა დიალოგი“, რომელიც 2015 წელს გაიმართა მოსკოვსა და პეტერბურგში, ლიტერატურის სახელმწიფო

მუზეუმისა და პერედელკინოს ბორის პასტერნაკის სახლ-მუზეუმის ინიციატივით. კონფერენციის დასკვნითი ნაწილი ანა ახმატოვას მუზეუმში ჩატარდა. მონაწილეობას იღებდნენ რუსი და ქართველი მეცნიერები, ლიტერატორები. 2016 წელს გამოიცა კონფერენციის მასალების კრებული ამავე სახელწოდებით. ის ფაქტი, რომ ორი პოეტის მეგობრობა განიხილებოდა, როგორც ორ კულტურას შორის დიალოგი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოვლენის მასშტაბს. 2011 წელს გამოიცა ტიცინ ტაბიძის ოჯახისადმი მიძღვნილი ალბომი, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბორის პასტერნაკს.

ქართულ-რუსული ლიტერატურული და კულტურული კონტაქტებისთვის ასეთ ურთულეს დროში ბორის პასტერნაკი, ფაქტობრივად, რჩება ერთ-ერთ უპირობო ფიგურად, რომლის კავშირები საქართველოსთან იქცა ძლიერ შემოქმედებით სტიმულად, ორი ერის სიტყვის ოსტატთა მეგობრობის დიდ მაგალითად. ვფიქრობთ, რომ ამ მოვლენის თანამედროვე გააზრება ძალზედ აქტუალურია სხვადასხვა თვალსაზრისით. პირველ ყოვლისა, ეს არის დასტური ორ ხალხს შორის შემოქმედებითი კავშირების სიღრმისა 1930-1950-იან წლებში, მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა ჯერ დიდი ტერორისა და მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს პერიოდებს, შემდგომ კი სტალინის ეპოქის ბოლო წლების სირთულეებს გადის.

მეორეც, ბ. პასტერნაკის შემოქმედებითი კავშირი ქართველ მწერალთა და არა მარტო მწერალთა მთელ პლედასთან საშუალებას იძლევა, ახალ თაობას, როგორც ქართველ, ისე რუს მკითხველს, დავანახოთ კულტურათა ურთიერთგამდიდრების სფეროში მნიშვნელოვანი მიღწევები, რომლებიც სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც დღევანდელი იდეოლოგია გვთავაზობს. და მესამე, პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილების ერთიანი კვლევა ჯერ არ გვაქვს. ეს კი იქნება პასტერნაკის წერილების შესწავლის მცდელობა დროის კონტექსტში, როგორც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ასევე გარკვეული თემატური კომპონენტების მიხედვით.

1. დროის კონცეპტის თავისებურება ბორის პასტერნაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში

ბორის პასტერნაკის შემოქმედება მრავალი ლინგვისტისა და ლიტერატურათმცოდნის კვლევის საგანია. პოეტური ლინგვისტიკის სფეროში ცალკე ინტერესის საგნად იქცა დროის ენობრივი ასახვა პოეტის შემოქმედებაში. ცალკე ნაშრომები მიუძღვნეს დროის კატეგორიის კვლევას პოეტურ ტექსტში ნ. ბაბენკომ, გ. ზოლოტოვამ, ო. კლიმენკომ, ო. კონკოვამ, ლ. პანოვამ, ზ. პეტროვამ და სხვ. მხატვრულ ტექსტში დროის შესწავლას კლასიკური ნაწარმოებები მიუძღვნეს მ. ბახტინმა, ვ. ვინოგრადოვმა და დ. ლიხაჩოვმა (ბახტინი 1975, 1979; ვინოგრადოვი 1976; ლიხაჩოვი 1962, 1967). პოეტურ შემოქმედებაში დროის ენობრივი ასახვის შესახებ საინტერესო თვალსაზრისს გამოთქვამს კალიფორნიის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროფესორი, ჯ. ჰილის მილერი, თავის სტატიაში „დრო ლიტერატურაში“. იგი აღნიშნავს, რომ არც ერთ კონკრეტულ სიტყვას არ შეუძლია გამოხატოს ზუსტად ცხოვრებისეული დრო და ამიტომაც მიმართავენ ხოლმე დროის სივრცედ გარდასახვას, რომლის საუკეთესო ნიმუშად მილერს საათის ისრების სივრცეში მოძრაობა მიაჩნია. ხოლო რაც შეეხება ლიტერატურას, აქ ყველა სიტყვა მეტაფორულად ასახავს დროს (მილერი, 2014). პასტერნაკის შემოქმედება, ამ თვალსაზრისით, მდიდარ და მრავალფეროვან საკვლევ მასალას შეიცავს. ჩვენ ნაშრომში საუბარი იქნება სწორედ დროის, ეპოქის აღქმაზე ბორის პასტერნაკთან არა ლიტერატურული ან ფსიქო-ლინგვისტური თვალსაზრისით, არამედ უფრო სოციალურ-ფილოსოფიურ, ანდა, ფსიქოლოგიურ ჭრილში და იგი მიეძღვნება მწერლის მიერ დროის აღქმის თავისებურებების კვლევას როგორც ბიოგრაფიაში, ისე - პირად მიმოწერაში.

დროის კონცეპტი, რასაკვირველია, არ არის ერთგვაროვანი, მუდმივად იცვლება. მე-20 საუკუნე ახლებურად იწყებს ფიქრს დროის ცნებაზე. მილერი ზემოხსენებულ სტატიას ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მწერლის, ჯეიმს ჯოისის ფრაზით იწყებს: „მითხარით, წმინდაო სოლტმარტინ, რატომ ვერ ამარცხებთ დროს?“ („ფინეგანის

ქელეხი“) (მილერი, 2014). დროის დამარცხება, დროზე გამარჯვება საბჭოთა სინამდვილეში, ტოტალიტარულ რეჟიმში, ფიზიკური განადგურების ტოლფასი იყო. მაშინ, როცა იგივე ჯოისი, მარსელ პრუსტი და სხვა მოდერნისტი მწერლები თავიანთ საუკეთესო რომანებში ასახავენ ინტერესს დროისადმი, იმავე პერიოდის საბჭოთა მწერლებს დროის, პირველ ყოვლისა, თავიანთ ცხოვრებაში ასახვა უხდებოდათ ვინაიდან ამ ეპოქაში ეს ორი, შემოქმედი და მისი ქმნილება, ისე განსაზღვრავს ერთმანეთს, როგორც არასდროს.

ეპოქის გამორჩეულად მწვავედ შეგრძნება თან სდევს პასტერნაკის ცხოვრებასა და მსოფლხედვას. ჯერ კიდევ 1914 წელს მშობლებისთვის მიწერილ წერილში აღნიშნავს: „დრო არ იძვრის, მაგრამ წვეთ-წვეთად ისრუტება რაღაც ავდრის კვანძებით...“ (Пастернак Б., 2005, გვ. 193). დრო არ იძვრის, უძრაობის ჟამია. თავი სამყაროს ცენტრად წარმოუდგენია. იბადება არა მხოლოდ დროის, არამედ სამყაროს ხელახლა შექმნის სურვილიც. რასაკვირველია, არ ვგულისხმობთ მხოლოდ შემოქმედებით სამყაროში ხელახლა ქმნადობას.

არ არის შემთხვევითი, რომ პასტერნაკს გამორჩეულად უყვარდა ფრანგი ავტორი, მარსელ პრუსტი. სამყაროს ხელახლა წარმოების, საკუთარი თავის გამოძერწვის იდეა ამ მწერლით არის შთაგონებული. სწორედ პრუსტს კითხულობს თბილისში ბოლო ვიზიტის დროს, 1959 წლის თებერვალშიც. ახლა უკვე აღარ აფრთხობს ამ ავტორთან სტილისტური სიახლოვე, რაც შემოქმედებითი გზის დაწყებისას ხელსაც კი უშლიდა. თბილისში თამამად კითხულობს ჟ. დე პრუაიარისგან საჩუქრად მიღებულ ხუთტომეულს ციკლისა „დაკარგული დროის ძიებაში“ (1913-1927). მაშინ, როცა ქართველ მეგობრებსაც მითითება აქვთ მოსკოვიდან მიღებული, რომ პასტერნაკისგან თავი შორს დაიჭირონ, ისინი ამის გამო აღარ მართავენ ტრადიციულ ბანკეტებს. მწერალი კი ცხოვრობს ნინო ტაბიძესთან და ინტენსიურად კითხულობს პრუსტს.

ამ რომანისადმი მიძღვნილ ლექციათა ციკლში „გზის ფსიქოლოგიური ტიპოლოგია“ მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავს, რომ ცხოვრება, რომელშიც ჩვენ შემთხვევით

დავიბადეთ, შემთხვევით იმიტომ, რომ ჩვენთვის არავის უკითხავს, გვსურს თუ არა დაბადება, ისეა მოწყობილი, რომ სულ გადარჩენა გიწევს, ხოლო თუ ვერ გადარჩი, სანამ ცოცხალი ხარ, მაშინ ისევ და ისევ ხელახლა დაბადება გიწევს (Мамардашвили, 2018, გვ. 13). ამდენად, ზემოთ ციტირებული ჯოისის სტრიქონში დასმული პრობლემა, დროის დამარცხების პრობლემა, მამარდაშვილთან ასე გაიაზრება: დროის დამარცხება ხელახლა დაბადებაშია და ეს მუდმივი პროცესია. ბორის პასტერნაკის მიმოწერაში ამ პროცესის ასახვის ჩვენება იქნება ამ თავის მთავარი მიზანიც.

პასტერნაკის „მეორე დაბადება“ საქართველოთი დაიწყება, როდესაც აქ პირველად 1931 წელს ჩამოვა. გადარჩენისთვის მუდმივი ბრძოლა, რასაკვირველია, გარდაუვალია ამ პერიოდში, თუმცა ეს, ფიზიკურ გადარჩენაზე მეტად, საკუთარი თავის შენარჩუნებისთვის ბრძოლა უფროა. წერილებში ხშირად აღნიშნავს, რომ სწორედ ფიზიკურ ავადმყოფობამდე მიდის, როდესაც სახეს კარგავს. ცხადია, მისი ამოცანა უფრო რთულია. არ არის შემთხვევითი, ასე რომ ხიბლავს ქართველი მეგობრების ბედი, რომელთაც სახის, სახელის, პრინციპების შენარჩუნებას შესწირეს სიცოცხლე.

ის, რომ შემოქმედს ნებადართულზე მეტი უნდა სურდეს შემოქმედებითი თვალსაზრისით, ამას თავად ბორის პასტერნაკიც აღნიშნავს. ცხოვრებისეულ პრინციპებზე უარის თქმა შემოქმედებით პრინციპებზე უარის თქმასაც ნიშნავდა და პირიქით. როგორც ერთ-ერთი საბჭოთა პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე, მ. რიუტინი, აღნიშნავს, არაფერია ტალანტისთვის იმაზე დიდი ტრაგედია, როცა საკუთარ თავზე დიდხანს იცოცხლებს. „ყველაზე ცუდი მკვდრები ცოცხალი მკვდრები არიან, თანაც ტალანტითა და წარსული ავტორიტეტით“ (Громова, 2006, გვ. 238). იმ ტალანტებისთვის, რომლებიც ეპოქის მოვლენებს თვალყურს ადევნებდნენ, ყველაზე რთული ამ ტრაგიკული ბედით აღბეჭდილი მწერლებისა თუ კულტურის სხვა მოღვაწეების ყურება იყო. ეს ყოველივე პასტერნაკის თვალწინ ხდება და ცალსახად არ სურს საკუთარ თავზე მეტხანს იცოცხლოს, რაც სიკვდილზე უარესია. სამაგიეროდ, ეტალონებიც ჰყავს, რომლებიც სიკვდილის გზას ირჩევენ.

თავად პასტერნაკისთვის კი ის გზა, რომელიც საბოლოო მიზნამდე, რომანამდე, მიიყვანს, საქართველოში ჩამოსვლით იწყება. წინამდებარე ნაშრომში ხშირად მოვიხმობთ მერაბ მამარდაშვილის ლექციათა ციკლს მარსელ პრუსტის რომანთან პარალელების გასავლელად. სწორედ გზაზე საუბრით იწყებს თავის ფილოსოფიურ მსჯელობას მერაბ მამარდაშვილი და თავიდანვე აფრთხილებს მკითხველს, რომ იგი ისაუბრებს არა პრუსტი-შემოქმედის, არამედ პრუსტი-ადამიანის ფილოსოფიაზე. ფილოსოფიას კი პრუსტთან უწოდებს სულიერ ძიებას, რომელიც მიდის შიშისა და რისკის თანხლებით, როგორც ცხოვრებისეული ამოცანა. აღნიშნული ლექციებიდან აქ მოხმობილი მაგალითების სიმრავლე, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა. მართალია, აქ საუბარი შეეხება პასტერნაკი-შემოქმედის პოეტურ პრინციპებსაც, თუმცა მთავარი საკვლევი საგანი სწორედ პასტერნაკი-ადამიანის ფილოსოფიის ჩამოყალიბებისა და ამ ფილოსოფიის მის შემოქმედებასა და ცხოვრებაში ასახვის საკითხი იქნება. ჩვენ მიერ არჩეული საკვლევი მასალა კი, ბორის პასტერნაკის პირადი მიმოწერა ქართველ ადრესატებთან, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

შიშისა და რისკის მუდმივი თანხლებით მიდის პასტერნაკთანაც სულიერი ძიებანი. ისიც ამგვარ გზას გადის: „...თუკი არსებობს გზა (ანუ ისეთი, რომლის გავლაც ღირს), მაშინ იგი აღბეჭდილი უნდა იყოს სასიკვდილო გზის ნიშნით“ (Мамардашвили, 2018, გვ. 19). და ეს გზა იწყება საქართველოში. სიკვდილის განცდა სულ სდევს თან პასტერნაკს, რასაც იგი მთავარ ძიებამდე მიჰყავს, საკუთარი თავის ძიებამდე, საკუთარი თავის შექმნამდე. მასთან შემოქმედებითი გზების ძიება რომანის შექმნას კი არ ემსახურება, არამედ, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის შექმნას. როგორც მამარდაშვილი აღნიშნავს, პრუსტთან ალბერტინას ძიება სხვა არაფერია, თუ არა - საკუთარი თავის ძიება. პასტერნაკთან კი ამგვარი თანაფარდობა გვაქვს სათქმელის ახალი ფორმების ძიებასთან. ამ თვალსაზრისით, „ექიმ ჟივაგოსა“ და პასტერნაკს შორის ტოლობის ნიშანია.

ძიება იქაა, სადაც რაღაც დაიკარგება. როგორც წესი, ლიტერატურაში დაკარგული, საძებნელი ცნებები მატერიალიზებულია. აკაკი წერეთლის „სულიკოში“ ეს საყვარლის დაკარგული საფლავია, „ვეფხისტყაოსანში“ - უზო-უკვლოდ გაუჩინარებული უცხო მოყმე, ან კიდევ ნესტან-დარეჯანი. მამარდაშვილის მიხედვით, პრუსტთან დაკარგული დრო ეს დაკარგული სამოთხეა, რომელიც ჯოჯოხეთის ტოლფასია. ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის ისტორიკოსი, პასტერნაკის მკვლევარი, ნატალია გრომოვა 1937 წელს დანტეს ჯოჯოხეთს შეადარებს. აქ საინტერესო პარალელი იჩენს თავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამყაროს და მასთან საკუთარი თავის ხელახლა შექმნის იდეა პასტერნაკთან პრუსტით არის შთაგონებული. მამარდაშვილი ფრანგი ავტორის რომანში საკუთარი თავის ძიების საკითხის განხილვისას გამოყოფს ორ მნიშვნელოვან ცნებას, რომლებიც ხელშემშლელ ფაქტორებად შეიძლება იქცეს ამ ძიების გზაზე. ამისათვის იგი დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიიდან“ მოიხმობს იმ ალეგორიებს, სიმბოლოებს, რომლებიც სწორედ ამ ორ ცნებას აღნიშნავს. დანტეს თავისი წინამძღოლი, ვერგილიუსი, ეუბნება: „შენ აქ უთუოდ უნდა დასთმო ყოველი შიში“. ჯოჯოხეთის კარიბჭესთან კი დანტე კითხულობს: „თქვენ, აქ მოსულნო, ყველა იმედი დატოვეთ მანდვე“ (ალიგიერი, "ღვთაებრივი კომედია", 2012, გვ. 9). მერაბ მამარდაშვილის აზრით, სწორედ ეს ორი ფრაზა წარმოადგენს იმ ორი ძირითადი ფსიქოლოგიური მექანიზმის სიმბოლოს, რომლებიც არ იძლევიან საკუთარი თავის შემეცნების საშუალებას (Мамардашвили, 2018, გვ. 24-25).

მაშინ, როცა შიში და ტერორი მეფობს, „სულ გადარჩენა გიწევს“, როგორც ფიზიკური, ისე მორალური თვალსაზრისით. საკუთარ თავთან გამოტყდომის, შინაგანი ბრძოლის, გადარჩენის, საკუთარი თავის ძიებისა და ქმნადობის ეს პროცესი ზედმიწევნით აისახა პასტერნაკის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. ეს წერილები მხოლოდ ადრესატებთან კი არა, საკუთარ თავთან საუბრის საშუალებაცაა. ტიცთან და ნინო ტაბიძეებთან მიწერილ ერთ-ერთ წერილში გამოუგზავნელ წერილებს ახსენებს, რომლებშიც საკუთარ თავზე წერს: „...იმ წერილებში ჩამოგიტვალეთ ყოველივე, რასთანაც თქვენ ხართ

დაკავშირებულნი: როლანთან, ჩემს უფროს დასთან, ახლანდელ რევოლუციურ გერმანიასთან, რომელიც რილკეს ნამდვილი გაგრძელებაა და ა.შ.“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 48). ეს გამოუგზავნელი წერილები შინაგანი მონოლოგია. არ არის შემთხვევითი, რომ მას მე-20 საუკუნის ჰამლეტს შეარქმევენ. ჰამლეტის საუბარი მამის აჩრდილთან ეს ხომ საკუთარ თავთან საუბარია. ბორის პასტერნაკის მიმოწერა, უმეტესწილად, და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკუთარ ნაწარმოებებს არ ქმნის, სწორედ ჰამლეტისეული შინაგანი მონოლოგია. როგორც დიმიტრი ბიკოვი აღნიშნავს თავის ნაშრომში, პასტერნაკისთვის პიროვნების მთავარი როლი არა ისტორიის დაწერაში, არამედ, ამ ისტორიის მიუხედავად, საკუთარი თავის შენარჩუნებაშია (Быков, 2011, стр. 254). ამის შესახებ დაწერს „ჰამლეტის“ შენიშვნებშიც.

დავუბრუნდეთ საქართველოს და მის კონტექსტში განვიხილოთ აღნიშნული საკითხი. საქართველოში მოგზაურობა საკუთარ თავში მოგზაურობად იქცა პასტერნაკისთვის, შემოქმედებითი სამყაროს ხელახლა წარმოების საშუალებად, „განრიგიდან ამოვარდნად“. ამ ტერმინს პასტერნაკი ნინო და ტიციან ტაბიძეებთან 1933 წელს თბილისიდან გამგზავრების შემდეგ მიწერილ წერილში ახსენებს. სამშობლოში მიმავალი პასტერნაკი საქართველოში გატარებულ დღეებს იხსენებს. უამინდობის გამო ისე მოხდება, რომ მგზავრობა შეფერხდება და მატარებელიც განრიგიდან ამოვარდება. მგზავრობის ამბის მოყოლისას პასტერნაკი საინტერესო დაკვირვებას, აღმოჩენას უზიარებს ტაბიძეებს: „...და ჩემთვის სრულიად ცხადი ხდებოდა, რომ განრიგიდან ამოვარდი მე და არა - მატარებელი, იმიტომ რომ მთელი ჩემი ფიქრებით ვიყავი არა გზაში, არამედ იმ დღეთა შორის, რომლებიც თქვენთან გავატარე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 43). ეს ერთი შეხედვით პოეტური ფრაზა პასტერნაკის ცხოვრების მთელ ფილოსოფიას, განწყობას, შემოქმედებით და ცხოვრებისეულ პრინციპსაც კი ასახავს. ამ მდგომარეობაში ხშირადაა. ამგვარი „განრიგიდან ამოვარდნა“, არსებულ რეალობას მოწყვეტა ისევე უკავშირდება ხოლმე წარსულის მოგონებებში ჩაძირვას, როგორც - მომავალზე ოცნებას. პასტერნაკი ერთს მეორის სამსახურში ჩააყენებს. წარსულის მოგონებებს საოცნებო მომავალს (საოცნებო

ნაწარმოებს) შეაქმნევენებს. „შემთხვევითობის ბრმა თამაშის წყალობით ჩემი ოცნება ახდა, რაც უნდა იძულებით შევწინააღმდეგებოდი ამას“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 267) - მისწერს იგი ნინა ტაბიძეს 1957 წლის 22 დეკემბრის წერილში, რომლითაც „ექიმი ჟივაგოს“ იტალიაში გამოსვლის ამბავს შეატყობინებს. ამავე წელს კი სიმონ ჩიქოვანი ტიცინ ტაბიძისადმი მიძღვნილ სტატიაში დაწერს: „ტიციან ტაბიძისთვის დამახასიათებელი იყო რაღაც განსაკუთრებული, მშფოთვარე ინტონაცია, რომელსაც თვითონ პოეტი „გადავარდნას“ უწოდებდა, რაც ნიშნავს: „წინდაუხედავად გადაშვებას“, „ჩაფლობას“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 265). „განრიგიდან ამოვარდნა“ და „გადავარდნა“ შემოქმედებითი პროცესის უცილობელი პირობაა ამ პოეტებისთვის. ბორის პასტერნაკი სიმონს წერილსაც მისწერს ამ სტატიასთან დაკავშირებით.

შემოქმედისა და მისი ნაწარმოების ბედი ერთმანეთსაა გადაჯაჭვული, უფრო მეტიც, ზოგჯერ ერთი მეორეს უდრის. მხოლოდ შემოქმედი კი არ ქმნის ნაწარმოებს, არამედ ნაწარმოებიც ქმნის შემოქმედს, როგორც ამას იტყვის საოცარი სიზუსტით ტიცინ ტაბიძე - „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“. ეს სტრიქონი განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდება პასტერნაკისთვის. ხელახლა დაბადება, „მეორე დაბადება“ პასტერნაკის შემთხვევაში არ არის ბედნიერების, ჰარმონიის შესაძლებლობა. არც ესწრაფვის ამას. მისთვის, ისევე, როგორც ყველა შემოქმედისთვის, ყველაზე დიდი ბედნიერება ქმნადობის პროცესია. მეტიც. საყოველთაო აღიარების დროს ვერ წერს. ბუნებრივია, მაშინ საყოველთაო აღიარება ხომ მხოლოდ ნებადართულზე წერას გულისხმობდა. პასტერნაკისთვის კი „შემოქმედება - ეს ქაფია შეუძლებლის ირგვლივ“. აი, სად ეძებს საკუთარ თავს. თუმცა თვითშემოქმედების პროცესში ზუსტად იცის, როდის დაიხიოს უკან, რათა საბოლოო მიზნს მიაღწიოს: შეუძლებელი შესაძლებლად აქციოს. ამისათვის ნებისმიერ მსხვერპლზე თანახმაა. თუნდაც ეზიზღებოდეთ, ოღონდაც წეროს. არის პერიოდები მის შემოქმედებაში, როცა მისი მუშაობა იმიტაცია უფროა. მაგრამ სწამს, რომ ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული, ყველას როლი, ყველას ბედი და დანიშნულება. ამიტომაც ელოდება თავის დროს, რომ სათანადოდ გამოიყენოს.

სიკვდილის გზით სიარული იმ ეპოქის შემოქმედთა გარდაუვალი ბედისწერაა. ხანდახან გაისმის მათ სიტყვებში შეგუების ტონიც. მაგრამ სიკვდილის შიშის ბოლომდე დამარცხება უჭირთ. თუმცა თვითგადარჩენაზე ფიქრი სიკვდილის შიშით გამოწვეული ის იმპულსია, რომელიც ამოძრავებს პასტერნაკს. პასტერნაკის ცხოვრებისეულ სამოქმედო ტაქტიკად მიიჩნევა ნატალია გრომოვა „გარემოებებს დამორჩილებას“, „დინების მიმართულებით ცურვას“ (Иванова, 2003, გვ. 12). ამგვარი ქმედება კი აუცილებელია, რათა გადარჩეს და თავისი ცხოვრების მთავარი მისია ადასრულოს. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ნინო ტაბიძეს მისწერს: „მე არ ვიცი მღელვარება და შიში, თუმცა დარდი და სულით დაცემა კი ვიცი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 283). ეს სტრიქონები ზუსტად ასახავს მის ხასიათს. თუკი რამის ეშინია, სწორედ ამ დარდის და სულიერი დაცემის. და კიდევ, „ჯოჯოხეთის იდეებისა (უფორმო ტანჯვისა)“, არა ჯოჯოხეთის, არამედ - ჯოჯოხეთის იდეებისა (Пастернак Б. , 2005, გვ. 193).

საქართველოში მოგზაურობა 1931 წლის ივლისში დაიწყო. მაშინ პასტერნაკი პირად ცხოვრებაში სირთულეებს განიცდის, თუმცა ახალ მეგობრებს იძენს და სულ სხვა სამყაროში ხვდება. თავისი ცხოვრების ამ სირთულეებზე რუსი პოეტი პაოლო იაშვილს მოუყვება ვოლხონკაზე. გულახდილად ესაუბრება თავისი სიყვარულის შესახებ. სწორედ იმ საღამოს წაუკითხავს ლექსს «На даче спят» („აგარაკზე სძინავთ“). მოგვიანებით ქართველი მეგობრებისგან მიწვევას მიიღებს და საქართველოსაც ესტუმრება. იმ დროს ყველა მისი ქართველი მეგობარი ცოცხალია და წინ რა მოელით, ვერც კი წარმოუდგენიათ. ყველა იმედითაა აღსავსე. ჯერ ჯოჯოხეთის კართან არ მისულან, სადაც ამ იმედების დატოვება მოუწევთ. საქართველოში პასტერნაკი, დიმიტრი ბიკოვის შედარებას თუ მოვიხმობთ, ისე ჩაეფლო ქართველების სიყვარულსა და მზრუნველობაში, როგორც ცხელ აბაზანაში (Быков, 2011, გვ. 383).

თუმცა დრო სასტიკად ცვალებადია. ბელადის კეთილგანწყობას მრისხანება ცვლის, რჩეულები მოღალატეები ხდებიან და სულ მალე „...პასტერნაკისთვის საქართველოს

სიყვარული სამუდამოდ დაუკავშირდება ახლობელი ადამიანების დაკარგვის საშინელებას...” (Громова, 2006, გვ. 2011). ეს კი თავისთავად ამბავებს ფიქრს სიკვდილზე, ვინაიდან მისი არჩეული გზაც სიკვდილის გზა იყო. ამის შესახებ ხშირად არის საუბარი ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილებში. იცის, რომ აღსასრული ახლოსაა, თუმცა ცდილობს „როგორმე ზამთარს გადაურჩეს“ (გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „თოვლი“) ამ ზამთრის შესახებ რომ დაწეროს.

ვიდრე საბედისწერო საათი დადგება, პასტერნაკი იმავეს ურჩევს ქართველ მეგობრებსაც. როდესაც იგი გაიგებს, რომ ტიცციანი არ უფრთხილდება ჯანმრთელობას, ბევრს სვამს და ცოტა სძინავს, ნინას მისწერს: „იქნებ დროებით დრამით ან პროზით დაკავდეს. ეს კატორღაზე უარესი და საშინლად მოსაწყენია. ამისთვის სულ სხვა ძალები დასჭირდება, ვიდრე ეს ლირიკისთვისაა საჭირო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 50). თუმცა ისიც იცის, რომ გადარჩენისთვის საჭიროა. პასტერნაკი დროის პულსს გრძნობს, ცხადად იაზრებს დროის დიდ გეგმას. მისთვის ისტორიის ანტიკური გაგებაა ახლოს. დრო მიედინება თავისი კალაპოტით და ვერაფერს შეცვლი, შენი როლი წინასწარ განსაზღვრულია ამ დინებისას.

1936 წლის 8 აპრილს წერილს მისწერს ნინოს და ტიცციანს. ეს ის პერიოდია, როდესაც თავად ფორმალიზმის შესახებ დისკუსიაშია ჩართული, ხოლო ტიცციანი ცრუ პოლიტიკური ბრალდებების მსხვერპლი ხდება. სწორედ ამ წერილში საუბრობს „დროის დიდ გეგმაზე“ და თავიანთ შემთხვევებს ფართო ჭრილში განიხილავს: „თუკი არის რაიმე წილი სიმართლისა ამ ყველაფერში, რაც იბეჭდება ან რასაც ლაპარაკობენ, მხოლოდ ის, რომ ეს ყოველივე სრულ თანხვედრაშია დროის უდიდეს გეგმასთან, მის ისტორიულ უსასრულოებასთან“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 57). დროის დიდმა გეგმამ პასტერნაკს საკუთარი როლი განუწესა. იგი უნდა გადარჩეს, რათა დაწეროს თავისი მთავარი რომანი და შური იძიოს დაკარგული დროის გამო, დაკარგული მეგობრების, დაკარგული მეს გამო. ამისთვის კი ბევრი ცდუნების გაძლევა მოუწევს.

პასტერნაკის ღმერთი „მთხზველია“, რომელიც ადამიანთა ცხოვრებასა და ბედს თხზავს „ლილისფერი კალმით“. შემოქმედი ადამიანი ყველაზე ახლოსაა ღმერთთან, ქმნადობის ნიჭით სურს გაუტოლდეს ღმერთს. თავად იქცევა საკუთარი ბედის, ცხოვრების მთხზველად. ამის წინაპირობა საკუთარი თავის ძიებაა, ვინაიდან, მისი აზრით, შემოქმედი საკუთარ თავში ჰპოვებს მთელ სამყაროსაც. ამისკენ მოუწოდებს იგი ტიცინსაც, რომელსაც ამხნეებს და არწმუნებს, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს, საკუთარ თავს უნდა ჩაეძიოს ყველაზე დიდი მონდომებითა და სიჯიუტით. „...და თუკი იქ ვერ აღმოაჩენთ ხალხს, ცასა და მიწას, მაშინ დაანებეთ ძიებას თავი, ე.ი. სამებარეც არაფერი ყოფილა“ - სწერს იგი მეგობარს (პასტერნაკი, 2018, გვ. 57).

პასტერნაკმა იცის, რომ სტრიქონის „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“ დამწერი ნათქვამს ზუსტად მიუხვდება. ისიც წინასწარ განსაზღვრული და ცხადია, რომ ლექსი მასაც დაწერს. ამ შიშისა და გაურკვეველობის პერიოდშიც იცის, რა სურს მომავალში: „ვიცი კი, რა მჭირდება მომავალში? დიახ, ვიცი. ოღონდაც არავის ვეტყვი, იქნებ, თქვენ გითხრათ მხოლოდ, ისიც საიდუმლოდ. თუმცა სრულიად სხვაგვარად, არა ისე, როგორც ეს „ზნამიაში“ იყო. იქ მხოლოდ ფუჭი გრიალი, უსაფუძვლო და გაოცება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 58). იცის, ოღონდაც ჯერ არ ამხელს. საყოველთაო გულგრილობა, რასაც სხვადასხვა მიზეზი აქვს, სულის გაუხეშება, თვითგადარჩენის, თავდაცვის ინსტინქტი, უმოქმედობის გამართლების ინსტინქტი, ვერ აუტანია. თუმცა ეს არის სწორედ დროებათა ის ცდუნებანი, რომელთა გამღება და გადალახვა მოუწევს მიზნისკენ სავალ გზაზე. ეპოქამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ დროის შემოქმედთა გარდასახვაში, რეჟიმი შეეხო ყველას. როგორც ბიკოვი აღნიშნავს, პასტერნაკს ყველაზე მეტად არ სურდა, ტერორი ჩვეულებრივ ამბად ქცეულიყო. მუდმივად ახსენებდა იმათ, ვინც ნაცნობ-მეგობრების გაუჩინარების შემდეგ ერთსულოვნად დუმდნენ, დუმდნენ ისე, თითქოს ადამიანს არც უარსებია და ამ შეხსენებით, არდავიწყებით ცდილობდა, პროტესტი გამოეხატა, გარდაცვლილი მეგობრების წინაშე დანაშაულის გრძნობა შეემსუბუქებინა (Быков, 2011, გვ. 364).

პასტერნაკის უნარი, მუდმივად გრძნობდეს დროის პულსს, ხვდებოდა მის დიდ გეგმებს, იმაშიც გამოიხატება, რომ ზუსტად იცის, როდის არის ბრძოლის და როდის დალოდების დრო. მიუხედავად იმისა, რომ ვერ ეგუება ასეთ მასშტაბურ დეკუმანიზაციას, ბრძოლის ეტაპად მიაჩნია დალოდებაც. წლების შემდეგ თავის ამ მრწამსს გაანდობს და შექმნილ ვითარებაში გადარჩენის ერთადერთ გზად შესთავაზებს სიმონ ჩიქოვანს, რომლის მისამართითაც მწვავე კრიტიკა იყო დაწყებული და საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივნის პოსტიდან მოხსნას უპირებდნენ: „გახსოვდეთ, სიმონ, რაც უფრო მეტი უდრტვინველობით დაეთანხმებით ყველაფერს, რასაც მოისმენთ, მით უფრო აბსურდულ ხასიათს მიიღებს იგი. მარჯვენასთან ერთად მარცხენა ლოყის ევანგელისტური მიშვერა მხოლოდ წმინდანობის სასწაული ან ღვაწლის მწვერვალი როდია, არამედ ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალიც, როდესაც გარეგნული მხარეა სინამდვილის მსაჯული“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 184).

პასტერნაკი მეორედ დაბადების აუცილებლობასაც იგრძნობს და მას საქართველოში ჩამოსვლას დაუკავშირებს. თუმცა ეს ერთგვარი შემზადებაა ნამდვილი მეორედ დაბადებისათვის. მას ჯერ დანტეს ჯოჯოხეთში არ შეუბიჯებია, 1937-ში, სადაც უნდა დაივიწყოს შიში და იმედი. უიმედობის ხანა მანამდე დგება, თუმცა ქართველ მეგობრებს ანუგეშებს, რომ ეს მისი აღსასრული არ არის, ვინაიდან წინ ელოდება პროზა, რომელშიც იქნება „მეორედ დაბადების“ შემდეგ თითქოსდა დაკარგული ცხოველმყოფელი კვალი (პასტერნაკი, 2018, გვ. 60). ამდენად, ის, რასაც მეორედ დაბადებას უწოდებდა, მხოლოდ ამ დაბადებისთვის სამზადისი იყო.

სწორედ ამ „ცხოველმყოფელი კვალის დაკარგვა“ გამოიწვევს პასტერნაკის ცხოვრებაში ღრმა დეპრესიის პერიოდს. მაშინ აგზავნიან დასავლეთში (1935 წელი, ანტიფაშისტური დელეგაცია), როცა ყველაზე მეტად უჭირს სულიერად. იქ მოინახულებს მარინა ცვეტაევას. ეს უკანასკნელი ტიხონოვთან მიწერილ წერილში პასტერნაკს ლირიკის დალატში სდებს ბრალს, მიაჩნია, რომ იგი ავადაა. თუმცა იქვე

აღნიშნავს, რომ მისთვის, პასტერნაკისთვის, ეს ავადმყოფობა ჯანმრთელობაზე ძვირფასია. პროზაში წასვლას ვერ უგებენ. თუმცა პასტერნაკი თავის გადაწყვეტილებაში შეუვალია.

პ. პავლენკო ნ. ტიხონოვს უყვება პარიზში მყოფი ბორის პასტერნაკის შესახებ, შეპყრობილ დერვიშს ჰგავდაო. როგორც პავლენკო აღნიშნავს, მისი სიტყვა კონგრესზე 4 სტრიქონისა და უსასრულო დუმილისაგან შედგებოდა. ამ დუმილს შემადრწუნებელი შთაბეჭდილება და ყველასგან გამოგნებელი პატივისცემა დაუმსახურებია. ამის შემდგომ ბელადი მას შერაცხავს სალოსად, რომელმაც არ იცის, რას სჩადის. ნატალია გრომოვა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სწორედ ამგვარმა შერაცხვამ იხსნა პასტერნაკი გარდაუვალი დალუპვისგან (Громова, 2006, გვ. 256). კონკრეტულად რამ იხსნა იმ დროის ყველა ლოგიკით განწირული პასტერნაკი, რთული სათქმელია, თუმცა მთავარი ის არის, რომ იგი გადარჩა.

ამ პერიოდში, ისევე, როგორც სხვა, მძიმე სულიერი მდგომარეობის ჟამს, ხშირად სწერს ქართველ მეგობრებს. ტიციანის წერილი კი ჯიბით დააქვს. სადაც უნდა წავიდეს, მარტობაში მყოფს თილისმად დააქვს თან „...მუდმივი ფიქრი ზ.ნ.-ზე, ერთი რაინერ მარია რილკეს წერილი და ერთიც თქვენი, გაზაფხულზე გამოგზავნილი - გახსოვთ? ხშირად დამიდევს იგი ღამით ბალიშის ქვეშ იმ ცრურწმენით, რომ იქნებ ძილი მოეტანა ჩემთვის. მთელი ზაფხული უძილობა მტანჯავდა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 54). თუკი მომავალზე ფიქრობს, ამ ფიქრებში განუყრელია ტიციანთან და პაოლოსთან. მათთან საერთო მომავლის გეგმებს აწყობს, ამაზე ფიქრი გუნება-განწყობილებას უუმჯობესებს. თუმცა მალევე მიხვდება, რომ მის გეგმებს დროის დიდი გეგმა გაანადგურებს.

პარიზიდან დაბრუნების შემდეგაა „ფორმალიზმთან დაკავშირებული დისკუსიაც“, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს პასტერნაკი. სალოსის იარლიყი, გარკვეულწილად, ისევ ასრულებს თავის საქმეს. ამ დისკუსიაზე გამართული კულუარული საუბარია გადმოცემული ნატალია გრომოვას წიგნში: „...სასიამოვნოა

იმის გააზრება, რომ არსებობს ასეთი პასტერნაკი, რომელსაც კიდევ შეუძლია ხმამაღლა ილაპარაკოს იმის შესახებ, რაზეც ჩვენ ჩუმი ვფიქრობთ“... (Громова, 2006, გვ. 267) თავად პასტერნაკი კი ტიციან ტაბიძესთან 1936 წლის აპრილში გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ ამ დისკუსიაში თავისდაუნებურად გაება. იგი დაუნდობლად აკრიტიკებს საგაზეთო კამპანიას. „თუკი სტატიებში ღრიალი აუცილებელია, მაშინ არ შეიძლება სხვადასხვა ხმაში იღრიალოთ? გასაგები მაინც იქნება, იმიტომ რომ, როდესაც ერთ ხმაზე ღრიალებენ - არაფერი ისმის. და სულ რომ არ ეღრიალათ, ხომ მთლად უკეთესი იქნებოდა. ამ სტატიების დამწერთ შეეძლოთ ეფიქრათ კიდევ, მაშინ რამეს მაინც გავიგებდით“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 58-59).

რასაკვირველია, მის ხმამაღალ გამოსვლას აგენტები უყურადღებოდ არ დატოვებდნენ. უკუკავშირმაც არ დააყოვნა, ანტისაბჭოურ დასკვნებამდე მისვლაში სდებენ ბრალს. როგორც გრომოვა წერს, მთავარი კითხვა იყო, თუ როგორ გაბედა ეს პასტერნაკმა? ერთ-ერთი ვარაუდია ფრანგ მწერალთან, მალროსთან, შეხვედრა. ასევე, ის, რომ შესაძლოა გორკის არ მოსწონდა დისკუსია და პასტერნაკმა ამის შესახებ გაიგო... „იმის წარმოდგენა, რომ ადამიანი უბრალოდ ასე შეიძლება ფიქრობდეს, შსსკ-ს თანამშრომლებს აზრადაც არ მოსდით. ისინი ეძებენ ფარულ აზრს და პოულობენ კიდევ“ (Громова, 2006). ფარული აზრის ძებნა და პოვნაც, რომც არ არსებობდეს, ეპოქის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულს სასიკეთო შედეგიც მოჰყვა. სხვებიც ალაპარაკდნენ. „პასტერნაკმა თუნდაც რამდენიმე ხნით თავისუფლების გრძნობა დაუბრუნა მათ“ (Громова, 2006, გვ. 273). რასაკვირველია, ყველა ვერ ბედავს იმავეს გაკეთებას. თუმცა აღფრთოვანებას ვერ მალავენ. „პასტერნაკი ნამდვილი სინდისია ჩვენი ხელოვნებისა“- იტყვის ე. პეტროვი (Громова, 2006, გვ. 274). ასეთი ხმამაღალი და პირდაპირი პროტესტით განებივრებულები ნამდვილად არ არიან. ერთობ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ი. უტკინი პასტერნაკის შესახებ, რომელსაც, თითქოს, საჯარო გამოსვლები არ გამოსდიოდა და თავსაც იკავებდა ხოლმე ამისგან: „თავს იკატუნებს,

რომ ლაპარაკი არ იცის. იგი საუკეთესო ორატორია, ვინც კი მომისმენია. მისი ყველა ენის დაბმა და ეკვივოკები წინასწარაა მოფიქრებული. მთელი მისი ორატორული უმწეობა - მოჩვენებითია“ (Громова, 2006, გვ. 276). ი. უტკინის ამ სიტყვების ნათელი მაგალითი იყო ფორმალისმის შესახებ დისკუსიაზე მისი თამამი, მკაფიო, ზუსტი და გარკვეულწილად, მოულოდნელი გამოსვლა. ამას, რასაკვირველია, მოჰყვა პასტერნაკის წინააღმდეგ გამოსვლები მწერალთა კავშირის კრებაზე, მისი დაგმობა. გამომსვლელთა უმრავლესობა ამას საკუთარი ნების წინააღმდეგ აკეთებდა. მათ უყვარდათ პასტერნაკი და მის აზრსაც იზიარებდნენ, თუმცა სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლოთ, შიში, მუქარა და ტერორი მძლავრობდა. თვითონვე აღნიშნავს ბორის პასტერნაკი საბჭოთა პოეტთან, ლიტერატურის კრიტიკოსთან, ანატოლი ტარასენკოვთან საუბრისას. მოგვიანებით, 1939 წელს კი იტყვის: „ამ საშინელ სისხლიან წლებში ნებისმიერი შეიძლება დაეპატიმრებინათ. ისე ვირეოდით, როგორც ბანქოს დასტა. და არ მსურს ობივატელურად მიხაროდეს, რომ მე გადავრჩი, სხვა კი - ვერა“ (Громова, 2006, გვ. 295).

ბორის პასტერნაკს წინ ნამდვილი დაბადება ელოდება. იმისთვის, რომ მეორედ დაიბადო, ჯერ უნდა მოკვდეს, ჯვარს ეცვა. ის კი ჯერ არ ცმულა ჯვარს, ჯოჯოხეთში არ შეუბიჯებია. ჯვარცმას მთელი ის პერიოდი, რომელსაც მეორე დაბადებამდე, პროზამდე, რომანის დაწერამდე გაივლის. მერაბ მამარდაშვილი შიშისა და იმედის, როგორც ფსიქოლოგიური მექანიზმის, შესახებ საუბარს იმით ამთავრებს, რომ როდესაც ისინი დამლუღი იქნება „...საჭიროა, როგორღაც დაიწყო ნამდვილი მოძრაობა; და აი, როგორც აღმოჩნდება (ასე თვლიდა დანტე და პრუსტიც ამასვე გაიმეორებს), მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ ნაწარმოების გზით...“ (Мамардашвили, 2018, გვ. 27). მერაბ მამარდაშვილის ლექციათა ციკლიდან მოხმობილი ყველა ციტატა რუსულიდან ქართულად სადისერტაციო ნაშრომის ავტორის მიერ ითარგმნა.

ფსიქოლოგიური მექანიზმი, შიში ეპოქის მთავარი პერსონაჟია. როგორც საბჭოთა რუსი მწერალი, დრამატურგი ვენიამინ კავერინი თავის წიგნში „ეპილოგი“ აღნიშნავს, 1935 წლის შემდეგ შიშმა უფრო განსაზღვრული სახე შეიძინა. და როდესაც მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო, კითხვა „რისთვის?“ ყველაში ირონიულ ღიმილს იწვევდა. კავერინი ამასთან დაკავშირებით ე. შვარცის ხუმრობას იხსენებს: „მე ვიცი, მაგრამ არ გეტყვით“. ასევე, საბჭოთა რუსი დრამატურგის, ალექსანდრე აფინოგენოვის დღიურში 1937 წლის 2 მაისის ჩანაწერს ვკითხულობთ: „ხალხის ჩამოშორება. ცარიელი სივრცე ირგვლივ. ყოველივე უკიდურესად დამაბუღია. ტელეფონი დუმს. ვერავინ ბედავს აილოს ყურმილი და დარეკოს, ვინაიდან ვაითუ „უკვე“... რა „უკვე“, ჯერ არავინ იცის, ყველა თავისას ფიქრობს, ყველა თავის თავს დარდობს“. ტოტალიტარულმა ხელისუფლებამ მიზანს მიაღწია, შიში მართავს ხალხს. შემოქმედებით პრინციპებსაც დალატობენ და საკუთარ თავსაც. პასტერნაკს რუსი ფუტურისტი პოეტის, ვლადიმირ სილოვის, დახვრეტის ამბავი ერთ-ერთ პრემიერაზე გაუგია და მასთან ერთად მყოფი სემიონ კირსანოვისთვის უკითხავს, იცოდი, ვალოდია რომ დაუხვრეტიათო? „დიიდი ხანია, - გაწელა სიტყვა ისე, თითქოს ქორწინებაზე ან ბინის მიღების შესახებ ვლაპარაკობდით. <...> ეს სადმე შორიახლოს არ მომხდარა. ეს ჩემს საკუთარ ცხოვრებაში მოხდა. ამ მოვლენის ზემოქმედებას არ შეველევი არასდროს“ - იგონებს პასტერნაკი ჩუკოვსკისთვის მიწერილ წერილში (Грoмoвa, 2006, გვ. 174). ამგვარ მოვლენათა ზემოქმედებას, მართლაც, „არ ელევა“ ხოლმე პასტერნაკი. ამ განცდებს აგროვებს, განსაკუთრებით - შემადრწუნებელი ფაქტებით მიღებულ განცდებს.

ვითარება სულ უფრო მძიმდება, ჯვარცმის მოლოდინი სულ უფრო აუტანელი ხდება. პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის შემდეგ ტიციან ტაბიძის სიტყვები „ახლა ჩემი ჯერია“ საერთო შიშის გამომხატველია. ტიციანი არ შემცდარა. „ლოგიკური დასასრული“ მასთანაც მოვიდა (როდესაც იაშვილის თვითმკვლელობის შესახებ გაიგებს, ბერია მრავალმნიშვნელოვნად იტყვის: „ლოგიკური დასასრულია“). 10 ოქტომბერს დააკავებენ, 15 დეკემბერს დახვრეტენ.

პასტერნაკისთვის ეს დიდი დარტყმა იქნება, ერთ-ერთი გარდამტეხი მომენტი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. როგორც აღვნიშნეთ, ეს ორი ხშირად ერთმანეთს უდრის პასტერნაკთან. იგი ხედავს, როგორ ზედმიწევნით სრულდება დროის დიდი გეგმა. დანაკარგით გამოწვეული ტკივილი კი მისთვის ყველაზე ნამდვილია. ამიტომ სწორედ ამ ტკივილში აწრთობს საკუთარ თავსა და მომავალ რომანს. „ამ დარტყმის ძალამ შორს მომისროლა იმ ყველაფრისაგან, რაც ქალაქში ხდებოდა, გაუმართლებლად ხმამაღლისაგან, გაუმართლებლად გართულებულისაგან, გამაღიზიანებელი გულგრილობისაგან, მჭევრმეტყველური სიცარიელისაგან“ - მისწერს პასტერნაკი თამარ იაშვილს 1937 წლის 28 აგვისტოს, როდესაც კარგა ხნის დაგვიანებით შეიტყობს პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ამბავს (პასტერნაკი, 2018, გვ. 63).

პასტერნაკს მართლაც გამორჩეული სიყვარული აკავშირებდა პაოლოსთან. 1935 წლის ბოლოს გ. ბებუტოვთან აღნიშნავს: „მოგეხსენებათ, როგორ მიყვარს პაოლო <იაშვილი> (ჩემი ცოლი ხანდახან გაღიზიანებული მეუბნება ხოლმე, რომ ამქვეყნად არავინ მიყვარს, და თუკი მიყვარს, ამ სისუსტეს ორ ადამიანს ვუზიარებ: ტიხონოვს და იაშვილს. ესეც იმიტომ, რომ ორივე მათგანი შორსაა, ერთი - ლენინგრადში, მეორე - თბილისში) (Пастернак Б. , 2005, გვ. 59)“. მთელი პარადოქსი ის არის, რომ ტიხონოვი იმ ადამიანთაგანი იყო, რომელსაც ბოლომდე სჯეროდა ამ დაპატიმრებების სამართლიანობისა. თანამოსაუბრეებთან გულწრფელი გაკვირვებით აღნიშნავდა ტიციან ტაბიძის დაპატიმრების შემდეგ: ვინ იფიქრებდა, რომ იაპონიის ჯაშუში აღმოჩნდებოდაო. ამას ამბობს ტაბიძეზე, რომელიც მისი უახლოესი მეგობარი იყო, ლექსებს უძღვნიდა, გულწრფელი აღტაცებით საუბრობდა მის პოეზიასა თუ ადამიანობაზე და რომელსაც ასეთივე გულწრფელობით დასდებს ბრალს სამშობლოს ღალატში. დროთა განმავლობაში ცხადი გახდება, რატომაც მოიქცა ასე. რატომაც სხვები მოიქცნენ.

მეორე დარტყმა იქნება ტიცინის დაპატიმრების ამბავი. ნატალია გრომოვა წერს: „შესაძლოა, სწორედ 1937 წელს გაიყო საბოლოოდ მისი და ხელისუფლების გზები. ქართველი მეგობრების დაღუპვის პატიება ვეღარ შეძლო“ (Громова, 2006, გვ. 328). აი, რას დაუკავშირდება ნამდვილი მეორე დაბადება. მეგობრების დანაკარგის ტკივილსა და რომანზე მუშაობის დასაწყისს, რომელსაც ტიცინის რომანს დაარქმევს.

პასტერნაკს არც დახვრეტით დაუსრულებია სიცოცხლე, არც თვითმკვლელობით, არ უგემია საშინელი ფიზიკური ტკივილები. მას შეეძლო სიხარულით ტირილი საავადმყოფოს კორიდორში. თუმცა იგი უკმაყოფილო იყო გარეგნულად უზრუნველი ცხოვრებით. მუდმივად თან სდევს ამის გამო დანაშაულის გრძნობა. როდესაც სტალინთან მისი ლეგენდარული სატელეფონო საუბარი შედგება და სტალინის კითხვაზე, არის თუ არა ოსიპ მანდელშტამი მისი მეგობარი, პასტერნაკი უპასუხებს: პოეტები იშვიათად მეგობრობენ, ისინი ისე ეჭვიანობენ ერთმანეთზე, როგორც ლამაზმანები, მე და ის სხვადასხვა გზით მივდივართო, იგი სრულიად გულწრფელია. ამგვარი განზოგადებული, მეტაფორული საუბარი მისთვის დამახასიათებელია. უბრალოდ ვერ გათვალა, რომ ესაუბრებოდა ადამიანს, რომლის მთავარი მიზანიც სწორედ ამ ეჭვიანობას ჩაჭიდება და სათავისოდ გამოყენება იყო. ტირანს ყველაზე კარგად ადამიანებითა და გარემოებებით მანიპულირება გამოსდიოდა. „გათიშე და იბატონე“-ს პრინციპს არ ღალატობდა და მიზანმიმართულად ანადგურებდა მეგობრულ კავშირებს. განსაკუთრებული მონდომებით მოქმედებდა მწერალთა წრეში და ცდილობდა მათთვის „შთაენერგა ეჭვი ერთის პატიოსნებასა და მეორის უღირსობაზე“. (Громова, 2006, გვ. 225).

პასტერნაკის მოწოდების მიუხედავად, მწერლები მის თვალწინ კარგავენ სახეს. შიში მათზე ძლიერია. ამას თან სდევს ბელადის განწყობილებათა სწრაფი ცვალებადობა, ერთგულების მოღალატეებად გამოცხადება. ჯერ კიდევ 1937 წლის გაზაფხულზე ტიცინს სადამოებს უმართავენ ლენინგრადსა და მოსკოვში. ლენინგრადში მყოფი გოლცევის სწერს, რომ იქ ერთი დღე არ აქვს მოცლა, დღედაღამ სტუმრად ეპატიჟებიან.

ვინ იფიქრებს, რომ ამ სტრიქონების ავტორს სულ რამდენიმე თვეში ხალხის მტრად გამოაცხადებენ, დაიჭერენ და დახვრეტენ. ამდენად, დრო, ხშირ შემთხვევაში, ერთგულებისა და აღიარებულების წინააღმდეგ მოქმედებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს დიმიტრი ბიკოვი. იგი აზოგადებს და ტიპურ შემთხვევად განიხილავს მსგავს მოვლენებს: „რევოლუცია არ აპატიებს ინტელიგენციას იმას, რომ ეს უკანასკნელი მას იცნობდა ახალგაზრდობაში, მფრთხალსაც იცნობდა, საბოლოო გამხეცებაამდე...“ (Быков, 2011, p. 352).

იწყება დანტეს ჯოჯოხეთი. ტიცთან ტაბიძეს 1937 წლის ოქტომბერში წაიყვანენ. 1937 წელს პერედელკინოში ოცდახუთი კაცი დააპატიმრეს. ეს ყველაფერი ღამით ხდება. არავინ იცის, შემდეგი ვინ იქნება. კარზე საბედისწერო კაკუნს ყოველ ღამით ელოდებიან და ეს მოლოდინი ყველაზე მეტად ანადგურებთ.

მეთოდები სასტიკია. ერთმანეთზე გადამტერება, ღირსების აყრა, ავტორიტეტის დაკარგვინება რეჟიმის მთავარი იარაღია. სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობს ყველაფერს. უფრო სწორად, როგორც ნატალია გრომოვა აღნიშნავს, „მინიშნებებს ის იძლეოდა“. იტყოდა, რომ ხალხის მტრები არიან და ისინიც ჩნდებოდნენ. არავითარი დადგენილება, არავითარი გადაწყვეტილებები, მხოლოდ ხელისუფლების სიგნალების გამოცნობის სისტემა. უნდა გამოეცნოთ, რა სურდა ბელადს. „...პასტერნაკმა გამოცნობაზე უარი თქვა. იმიტომ კი არა, რომ გაბედული იყო, არამედ იმიტომ, რომ არ შეეძლო სხვისი როლის თამაში. ფორმალიზმის შესახებ დისკუსიის ისტორია ამის ნათელი მაგალითია“ (Громова, 2006, გვ. 301).

თავად იაკობ არგანოვი, რომელიც 1920-30-იანი წლების მასობრივი რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო და უამრავი მეცნიერის დალუპვაშია დამნაშავე, მანვე მოაწერა ხელი გუმბილოვის განაჩენს, 1935 წელს ასე განსაზღვრავს გამოძიების მათეულ მეთოდს: „მტრის განადგურების ჩვენეული ტაქტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ყველა ეს ნაძირალა შუბლებით დაგვეტაკებინა და წაგვეკიდებინა ერთმანეთს. ეს კი რთული ამოცანა იყო. მათი წაკიდება საჭირო იყო, ვინაიდან ეს მოღალატეები ერთმანეთთან

მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულები“ (Громова, 2006, გვ. 347). მართლაც, ალბათ, არც ერთ ეპოქას არ ახსოვს შემოქმედებით წრეში ასე დაახლოებული მწერლები, როგორც ეს ამ პერიოდში იყო. ნინო მაყაშვილი-ტაბიძე თავის მოგონებათა წიგნში „ცისარტყელა განთიადისას“ პაოლოსთან პირველ შეხვედრას იხსენებს. იაშვილს უთქვამს: მეგობრობაში ავთანდილობის გაწევა ძალმიძსო (ტაბიძე, 2016, გვ. 44). მეგობრობა იყო ამ წრის წარმომადგენელთა მთავარი საზომი. „ნინოწმინდის ღამეში“ გიორგი ლეონიძე დაწერს: „ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა/საქართველოს ლექსის მეხანძარენი/ ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ“. სიყვარული, მეგობრობა და საერთო ტკივილი მჭიდროდ აკავშირებს ამ ადამიანებს. მათი ურთიერთობებიც პოეტური ხდება, ისევე იწერება, როგორც ლექსები. ამდენად, სწორი შენიშვნა იყო სახელმწიფო უსაფრთხოების კომისრის, არგანოვის, მხრიდან, რომ თუ მიზნის მიღწევა უნდოდათ, „გათიშე და იბატონე“ - პრინციპით უნდა ეხელმძღვანელათ. ამისთვის კი ყველა ხერხს მიმართავდნენ. ყველაზე ეფექტური ოჯახის წევრებით მანიპულირება იყო. მაგალითად, მიხეილ ტუხაჩევსკის, სამხედრო მოხელეს, გამომძიებლის კაბინეტში მიყვანილი 13 წლის ქალიშვილით დაემუქრნენ, რის შემდეგაც, რასაკვირველია, ყველაფერს მოაწერდა ხელს ტუხაჩევსკი. დაწერა კიდევ აღიარებითი ჩვენება, რის საფუძველზეც 1937 წელს „ტროცკისტთა ანტისაბჭოური სამხედრო ორგანიზაციის“ საქმისთვის დახვრიტეს.

ბორის პასტერნაკთანაც მივიდნენ ხელმოწერისთვის. ხელმოწერებს აგროვებდნენ სამხედრო პირებისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მხარდასაჭერად. პასტერნაკი განრისხებულა და ზინაიდასთვის, რომელიც სთხოვდა, მათი ჯერარდაბადებული ბავშვის გამო მაინც გაეკეთებინა ეს, უთქვამს: „ბავშვი, რომელიც დაიბადება არა ჩემგან, არამედ სხვა შეხედულებების მქონე კაცისგან, არ მჭირდება, დაე, მოკვდესო“ (Громова, 2006, გვ. 320). ეს ის ბავშვია, რომელიც 1937 წლის მიწურულსა და 1938 წლის დამდეგს, ზუსტად ღამის თორმეტ საათზე დაიბადება. პასტერნაკს სურდა მისთვის პავლე დაერქმია. თუმცა, როდესაც ზინაიდა ამ განზრახვას გაიგებს, ტირილს დაიწყებს. მას, როგორც პასტერნაკი თავად განმარტავს, შეაშინებს თავისი შვილის

სახელის სიახლოვე ამ იდუმალი აღსასრულისა და ტრაგიკული ბედის მქონე კაცის სახელთან. საბოლოოდ, შვილს პასტერნაკის მამის სახელს, ლეონიდს დაარქმევენ. (პასტერნაკი, 2018, გვ. 69). ლეონიდის დაბადების თარიღად პასტერნაკი 1937 წელს მიუთითებს, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად 12 საათზე დაიბადა ბავშვი. ტკივილიანი დანაკარგების წელი სურს შენაძენით დაამთავროს.

ასეთი გამბედაობა, ხელმოწერაზე კატეგორიული უარი, სალოსობად მიიჩნია ბელადმა. არც დაუსჯია ამის გამო. პასტერნაკი მუდმივად ცდილობს პოლიტიკისგან შორს იყოს მანამ, სანამ ყველაზე პოლიტიკურ რომანს დაწერს. თუმცა პოეზიას ბოლომდე იცავს მისგან. „ნუ დაკარგავთ საკუთარ სახეებს მდგომარეობისთვის...“ მიმართავს იგი მწერლებს (Громова, 2006, გვ. 253). მაშინ, როცა რუსი საბჭოთა პოეტის, პავლე ვასილევის, საყოველთაო გმობა მიდის, პასტერნაკი ამ უკანასკნელის შესახებ სერგეი სპასკის მისწერს: „ერთ საღამოზე პავლე ვასილევს მოვუსმინე. დიდი ნიჭია, უდავოდ, დიდი მომავლით“ (Пастернак Б. , 2005, გვ. 665). პასტერნაკი არასდროს იმეორებს გაბატონებულ აზრს, მისთვის პოეზიაა უპირველეს ყოვლისა. პოეტური ნიჭის უარყოფა არ შეუძლია. იგი იმ იშვიათთაგანია, ვისაც სხვისი ნიჭით აღფრთოვანება შეუძლია.

ბორის პასტერნაკისთვის მეგობრების თანადგომა ყოველგვარ პოლიტიკურ შეხედულებაზე მაღლა დგას. ნატალია გრომოვა თავის წიგნში იხსენებს ნიკოლაი ბუხარინის დაპატიმრების ამბავს იმ ავადსახსენებელ 1937 წელს და პასტერნაკის წერილს, რომელსაც იგი ბუხარინს უგზავნის: „პასტერნაკმა მოასწრო ბუხარინისთვის წერილის გაგზავნა, რომელიც მან დაპატიმრების წინ მიიღო. პოეტი წერდა: „ვერანაირი ძალა ვერ დამარწმუნებს იმაში, რომ თქვენ მოღალატე ხართ“. წერილი კრემლში მივიდა, და ბუხარინს, როგორც ა. ლარინა იხსენებს, ტირილით უთქვამს: „ეს ნათქვამი ხომ თავის საწინააღმდეგოდ მოუბრუნდება“. ამ სიტყვების მერეც გადაურჩება რეჟიმს. რეპრესირებული მეგობრების თანადგომა, მათი დაკავებით გამოწვეული გულწრფელი აღშფოთების გამოხატვა, რასაკვირველია, აკვირვებდა ახლობლებს და

ავისმომასწავებლადაც მიაჩნდათ (Громова, 2006, გვ. 309). პასტერნაკს ეს ფაქტი არ აშინებს და ეს ყველაზე კარგად სწორედ ქართველი მეგობრებისადმი დამოკიდებულებაში ვლინდება. რეპრესირებული ქართველი მეგობრების ოჯახებს არა მხოლოდ წერილებს, არამედ თანაგრძნობის დეპეშებსაც უგზავნის თამამად. მსხვერპლად შეწირულ მეგობრებს კი მაგალითებად სახავს, რომელთაც ამგვარი ბედი უკვდავებას უქადის. „...მაოცებს ის, თუ რაოდენ დიდი დოზით დარჩა პაოლო ყველაფერში, რასაც კი შეეხო ან გამოთქვა: დღის საათებში, ყვავილებსა და ცხოველებში, ტყის სიმწვანეში, შემოდგომის ცაზე. ჩვენ კი ვცხოვრობდით და არ ვიცოდით, რა სიმძლავრით იყო იგი ჩვენ შორის და რამხელა ავტორიტეტით დარჩა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 65) - მისწერს თამარ იაშვილს პასტერნაკი. პოეტი, რომელმაც რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტი თვითმკვლელობით გამოხატა, ავტორიტეტად რჩება პასტერნაკისთვის. ტიციან ტაბიძის ოჯახს კი მხოლოდ მორალურად კი არა, მატერიალურადაც მხარში უდგას სიცოცხლის ბოლომდე. მეორე ოჯახად მიიჩნევს. მაშინ, როცა ყველაზე მეტად უჭირდა პასტერნაკს, ტიციანსა და პაოლოს შემდეგი სტრიქონები მიუძღვნა: «В те дни вы были всем, /Что я любил и видел» (პწკარედი: „იმ დღეებში თქვენ იყავით ყველაფერი, /რაც კი მიყვარდა და რასაც ვხედავდი“ - ს.ბ.) (Пастернак Б. , 2004, გვ. 100). ტიციანიც გამოეხმაურება ამ სტრიქონებს გოლცევთან მიწერილ წერილში: „... თქვენ იცით, ბორისს ვუყვარვარ და, რა თქმა უნდა, აჭარბებს, თუმცა მისი აზრი და გამოხმაურება გულს მიჩუყებს და ფრთებს მასხამს. ახლა ხომ ასეთი რთულია, მეგობრის სიტყვა მოისმინო, მე კიდევ ბორისს ვაღმერთებ“ (Громова, 2006, გვ. 322).

რასაკვირველია, ასეთი მეგობრების დაკარგვის შემდეგ, პასტერნაკი მგლოვიარეა, თანაც ღიად, დაუფარავად, მგლოვიარეა ყველას მაგივრად, ვინაიდან ინარჩუნებს საკუთარ თავს. თუმცა სხვებს არ განიკითხავს იმის გამო, რომ ვერ შეძლეს იგივე. 1937 წლის დეკემბერში, ამ თვეში დახვრიტეს სწორედ ტიციან ტაბიძე, პასტერნაკს მწერალთა კავშირის პლენუმზე გამოიძახებენ, რომელიც შოთა რუსთაველის იუბილეს

ედვნიებოდა, თუმცა იგი არ ჩამოვა. თბილისში, სადაც აღარ ეგულემა პაოლო და ტიციანი, არ შეუძლია გამომგზავრება.

ვსევოლოდ ივანოვზე, რომელმაც თავისი ახლო მეგობრის, საბჭოთა დრამატურგისა და რედაქტორის, ალექსანდრე აფინოგენოვის, კავშირიდან გარიცხვაზე მოაწერა ხელი, პოეტთან და ლიტერატურის კრიტიკოსთან, ანატოლი ტარასენკოვთან საუბარში აღნიშნავს, თუ რამდენ სამაგლობას ჩადიოდა, რას არ აწერდა ხელს, რომ თავისი სამოღვაწეო ასპარეზი შეენარჩუნებინა. პასტერნაკი მის ხელოვნებას ბუნაგს ადარებს, სადაც თავს აფარებდა, იმალებოდა ივანოვი, თავად ამ უკანასკნელს კი დათვად მოიხსენიებს, რომელიც დრუნჩით გამოჰყავდათ ბუნაგიდან და ზედ რკინის რგოლს აცვამდნენ, შემდეგ კი აიძულებდნენ, შეთქმულების თეორიები ემეორებინა, როგორც ამას სხვების შემთხვევაში სჩადიოდნენ. თუმცა პასტერნაკისთვის აქ ნიშანდობლივი ის არის, რომ ამის მერე ივანოვი ისევ უბრუნდებოდა თავის ბუნაგს ანუ ხელოვნებას, რის გამოც მის თვალში პატიებას იმსახურებს. სამაგიეროდ ვერ პატიობს იმათ, ვისაც დათვებად ყოფნა მოეწონათ და, მიუხედავად იმისა, რომ დრუნჩებიდან რგოლები მოაცალეს, კვლავაც აგრძელებენ ბულვარებში ცეკვას და საზოგადოების გართობას (Громова, 2006, გვ. 338). მათდამი მხოლოდ თანაგრძნობა უჩნდება.

ნატალია გრომოვა თავის წიგნში აღნიშნავს: „ახმატოვა ამბობდა, რომ იმ წლების მსგავსი ტრაგედიის მასშტაბით არც ერთი ლიტერატურა არ არის აღბეჭდილი: შექსპირის დრამები - ეფექტური ბოროტმოქმედებანი, ვნებათაღელვანი, დუელები - ეს ყველაფერი წვრილმანია, ბავშვური თამაშებია იმასთან შედარებით, რისი გადატანაც მოუწიათ ამ წლებში მცხოვრებლებსა და მოღვაწეებს. თუმცა მაინც სჯეროდათ, რომ მათი ხმა შესმენილ იქნება“ (Громова, 2006, გვ. 376). ნამდვილი ტრაგედიები რეალურ ცხოვრებაში თამაშდებოდა.

პასტერნაკს მუდმივად თან სდევს დანაშაულის გრძნობა, რომ ცოცხალი გადარჩა. 1939 წელს გიორგი ლეონიძეს მისწერს: „მრცხვენია, რომ ისევ განვაგრძობთ მოძრაობას, ვსაუბრობთ და ვიღიმით“ (პასტერნაკი, 2018). ადამიანები მათ თვალწინ ქრებიან და

ისინი შემჩნევასაც ვერ ბედავენ. მას შემოქმედებითი საქმიანობა იხსნის. „ნინა, რისთვის ეს ყოველივე, ეს ტკბობა მუშაობით, ეს ბედნიერება? ხანდახან ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს საკუთარი თავი მე კი არ მეკუთვნის, არამედ ღმერთების შემოქმედ ხელში მოვხვდი და ისინი ქმნიან ჩემგან რაღაც იდუმალს და მეც ისევე მეშინია, როგორც თქვენ. არა, ტყუილია, - არ მეშინია“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 219). შიში დაძლეულია, ჯოჯოხეთის კარიბჭესთან დატოვებული. ხელახალი დაბადებაც ახლოვდება.

პასტერნაკის გზა მუდმივი ქმნადობის გზაა, სიკვდილის და სინდისის გზა, როგორც ამას მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავს პრუსტთან მიმართებით. და ეს არის ის გზა, რომელსაც მოაქვს განწმენდა, ვინაიდან, თუ პრუსტს გავიხსენებთ, დიადი მოვლენების მხოლოდ მაყურებლად ყოფნას განწმენდა არ მოაქვს, არ ანიჭებს ადამიანს თავსუფლებას. აქ გადამწყვეტია ის, თუ შენ რა როლს ითამაშებ ამ მოვლენებში, რის გაკეთებას შეძლებ. ეს იქნება სწორედ შენი ბედი. ამგვარ ბედს ირჩევს პასტერნაკი, იმიტომ რომ მას მეტი სურს. როგორც 1955 წლის დეკემბერში ნინოს მისწერს, უამრავი საბაზი და სურვილი აქვს, რომ დაარღვიოს მარტოობა და საერთო საქმიანობაში ჩაებას. თუმცა სწორედ ამ დროს აანალიზებს, რომ იმ ადამიანებთან, რომლებსაც უყვართ და პატივსაც სცემენ, თითქმის არაფერი აქვს საერთო. „...მათგან სრულიად განსხვავებული და უზომოდ მეტი მინდა, მათ კი ისე ცოტა რამ სურთ, არც ძალუბთ სურდეთ ძლიერ და სურდეთ ბევრი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 240). აქამდე კი სწორედ ამ მუდმივი ქმნადობის, სიკვდილისა და სინდისის გზით მივიდა. მანამდე მისთვისაც მეტნაკლებად ბუნაგი იყო ხელოვნება, როგორც ამას თავად აღნიშნავს ვსევოლოდ ივანოვზე, სადაც თავს აფარებდა, რათა შემოქმედებით საქმიანობაში არ შეეშალათ ხელი და შემდგომ ტრიუმფალურად დაბრუნებულიყო. მან ზუსტად იცის, „მეორე დაბადებისთვის“ რომ სიკვდილის გზა უნდა გაიაროს, რომანი უნდა დაწეროს და გამოსცეს. ამისთვის მზად არის, უფრო სწორად, ეს არის მისი მთავარი მიზანი, ვინაიდან ხელოვანის დანიშნულების მისეული გაგება ახლა სრულიად განსხვავებულია. თუკი თავი ხელოვანად წარმოგიდგენია, შეუძლებელია

„...შემოიფარგლო მხოლოდ ნებადართულით, და არ გარისკო მაგრად, სიხარულით, სამარადჟამოდ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 255).

მთავარი ამოცანა რომანის მოსწრება იყო, მისი დაბეჭდვა. ეს იქნებოდა მისი „მეორედ დაბადების“ მოწმობა. მას შემდეგ უკვე მთელი ძალით იფეთქებს. „გადამწყვეტ წუთს, როცა მეცოდინება, რომ ყველაფერი მიღწეულია, ერთბაშად ვიფეთქებ და ნებისმიერ უკიდურესობაზე წავალ. მუდამ ფარავს ცალკეულ პიროვნებებს დროის სიდიადე, თითქოს შთანთქავსო მათ. მაგრამ ეს ხომ სიცრუე და მონაჩმახია. თითქოს მოვლენები მხოლოდ იმისთვის მომხდარიყოს, რომ მათით არარაობა და უმეცრება დაფარულიყო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 266).

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, დროის კატეგორიის აღქმა კიდევ უფრო მწვავეა რუს მწერალთან, ვიდრე პრუსტთან, ვინაიდან პირველის შემთხვევაში ეს მჭიდრო კავშირშია ეპოქასთან. ბორის პასტერნაკმა იცის, რომ დროის გეგმა ყველა თვალსაზრისით აღსრულდა და მიაჩნია, რომ მათი დრო უკვე განვლილი ეტაპია: „გაუგონარ ძალისხმევად რომ დაგვიჯდა, ის უზარმაზარი პერიოდი დამთავრდა, წავიდა. გათავისუფლდა განუზომლად დიდი ადგილი, რომელიც ჯერჯერობით ცარიელია და ელოდება ახალს, ჯერარნახულს, იმას, რაც ვინმეს გენიალური დამოუკიდებლობითა და სიახლით იქნება მიღწეული, იმას, რასაც შთანერგავს და იწინასწარმეტყველებს ცხოვრება ახალი დღეებისა და თარიღებისა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 269). დაკარგული დროის ძიება, დაკარგული სამოთხის ძიება, ახლა უკვე შვილების პრეროგატივაა.

სწორედ ამის შესახებ სწერს ტიცვიანის ტანიტს, ნიტა ტაბიძეს, დანტეს ჯოჯოხეთგამოვლილს. პასტერნაკს კი მართებს დროში დაკარგვის საშიშროებას გაუმკლავდეს და თავად შექმნას საკუთარი თავი და ეპოქალური რომანიც. ამ განვლილ გზას ასახავს ძალზედ საინტერესოდ და საფუძვლიანად პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა. სწორედ წერილებში ჩანს ყველაზე კარგად ჩვენ მიერ ამ თავში განხილული საკითხი.

2. ბორის პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიმოწერა - მისი ეპისტოლური მსოფლხედვა

ანა ახმატოვა თავისი ტრაგიკული დროების შესახებ იტყვის: „ჩვენი დრო უხვ სათაურებს გვიბოძებს სამომავლო ტრაგედიებისთვის“. ბორის პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა კი სამომავლოდ საკვლევი თემებით გაანებივრებს ლიტერატურის კრიტიკოსებს, ისტორიკოსებსა თუ თეორეტიკოსებს. თავის დროზე ჩვენ მიერ სამაგისტრო ნაშრომისთვის გაწეული კვლევა მიემდგნა ქართული პოეზიის როლს ბორის პასტერნაკის შემოქმედებაში. მასალის მრავალმხრივ შესწავლის შესაძლებლობამ იგი უფრო ღრმა კვლევის საგნად აქცია. პოეტ-პროზაიკოს-მთარგმნელი ბორის პასტერნაკი ყოველივე ერთადაა თავის წერილებში. მისი თეორიული მსჯელობანი ლიტერატურაზე, ლიტერატურულ პროცესებზე, თარგმნის ხელოვნებაზე, ადამიანის თუ ეპოქის ფილოსოფიაზე ღრმა ანალიზს საჭიროებს. ამ ნაშრომის წინამდებარე თავი დაეთმობა ბორის პასტერნაკის მსოფლხედვის, შემოქმედებითი პრინციპების, მისი და ეპოქის ურთიერთმიმართების ანალიზს მწერლის ეპისტოლური მემკვიდრეობის (კერძოდ კი, ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილების) საფუძველზე.

წერილის სპეციფიკიდან გამომდინარე, დრო-სივრცული დისტანციის გამო, ყოველგვარ ჟესტსა და მიმიკას რომ გამორიცხავს, ადრესანტი ერთობ თანმიმდევრული და ზუსტი უნდა იყოს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს გაუგებრობა. ამ სპეციფიკას ხშირად მოკლებულია ბორის პასტერნაკის წერილები და ზოგჯერ ისინი შინაგან მონოლოგს ემსგავსება, ერთგვარ პოეტურ პროზად იქცევა, რომელთაც ორი ლირიკული გმირი, დიახ, ლირიკული გმირი, ჰყავს: ადრესანტი და ადრესატი. ზოგჯერ მისი წერილები უჩვეულოდ ვრცელია. ოლგა ფრეიდენბერგი, რომელთანაც ეპისტოლური რომანი აკავშირებდა პასტერნაკს, და არა მხოლოდ მასთან, ერთგვარად საყვედურობს გრძელი წერილების გამო. „მოგვიანებით თავის დღიურში აღიარებს: „არასოდეს მიყვარდა გაწეილი სიუჟეტები“ (Иванова, 2003, გვ. 60). სვერდლოვსკიდან

1932 წლის ივლისში პაოლო იაშვილთან მიწერილ პირველ წერილში კი შემდეგ სტრიქონებს შევხვდებით: „...რამდენიმე წერილი დავიწყე და მივატოვე მათი სიდიდის გამო. ეს წერილები ხან ურალის ისტორიის კვლევად იქცა, ხან იმის მცდელობად, მომეყოლა თქვენთვის (!), თუ რას წარმოადგენს საქართველო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 29). თავადვე ხვდება პოეტი ამის აბსურდულობას და წერილს წერილზე ხევს. ეს მისთვის დამახასიათებელი თვისებაა. გრძელი წერილების წერის მოთხოვნილებას თავისი ახსნა აქვს და ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს. დროთა განმავლობაში მათი მოცულობა მცირდება და ამის მიზეზებზეც ვისაუბრებთ.

პროფ. მარია ფილინა თავის სტატიაში „ქართველ პოეტებთან მიწერილი ბორის პასტერნაკის წერილები მისი ეპოქისა და ჩვენი დროის კონტექსტში“ აღნიშნავს, რომ ქართველებთან ბორის პასტერნაკის მიმოწერა XX საუკუნის ეპისტოლური ჟანრის ბრწყინვალე ნიმუშია. ერთი შეხედვით კერძო მიმოწერა, რომელიც ფართო აუდიტორიის ინტერესის საგანს ნაკლებად უნდა წარმოადგენდეს, მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი. მათი ქართული თარგმანები, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, 2018 წელს გამოიცა წიგნად „ბორის პასტერნაკის ქართველი ადრესატები“. თავად მარია ფილინა წერილებისადმი ასეთ საყოველთაო ინტერესს შემდეგნაირად ხსნის: „ისინი (წერილები - ს.ბ.) თანაგანცდის უმაღლეს შესაძლებლობათა გამოვლინებაა, იგი იქცა გამბედაობის, ნათელი გრძნობების, რწმენის ნიმუშად“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 5-6) [სტატია წინასიტყვაობად აქვს წამდგარებული წიგნს. ქართული თარგმანი: სალომე ბედუკაძე]. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ბორის პასტერნაკის პროზის განუყოფელ ნაწილთან და მასთან ერთად ერთ მთლიანობას წარმოადგენს ყველა იმ „თემითა და ვარიაციით“, რომლებიც მის შემოქმედებაში გვხვდება.

ყველა მკვლევარი თავისი არჩეული საკვლევე თემის პრიზმიდან ხედავს მწერლის ბიოგრაფიას. მოცემული ნაშრომის ამოსავალი წერტილი და ორიენტირი იქნება უშუალოდ ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილები, იქ ასახული თემატიკა, ურთიერთმიმართებები. აღნიშნული მასალა იძლევა საშუალებას, ერთნაირად

სიღრმისეულად იქნას განხილული როგორც პასტერნაკი-შემოქმედის, ისე პასტერნაკი-პიროვნების საკითხი, თვალი ვადევნოთ მის შემოქმედებით თუ პირად გზაზე განვითარებულ მოვლენებსა და ცვლილებებს, სულიერ მეტამორფოზას. პასტერნაკისთვის ჩვეული გულახდილობით აღბეჭდილი წერილები ზუსტ და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ შინაგან პროცესებზე, რომლებიც ხან გარეგან პროცესებს პასუხობდა, პასუხობდა პროტესტით, ხან კიდევ მათგან სრულიად დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. ბორის პასტერნაკის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზები ერთმანეთს მოგვიანებით დაემთხვევა. წერილების მეშვეობით, ასევე, შეგვიძლია თვალი ვადევნოთ ყველა ამ პროცესს, დავადგინოთ საინტერესო ურთიერთმიმართებანი მიმდინარე მოვლენებს, მწერლის ბიოგრაფიასა და მის მსოფლხედვას შორის.

მწერალთა ავტობიოგრაფია, როგორც წესი, მათი განწყობილებებისა და დამოკიდებულებების დემონსტრირება უფროა, ვიდრე - ფაქტებისა. ამდენად, ავტობიოგრაფია არის ნაწარმოები, რომელში თხრობასაც რეტროსპექტული ხასიათი აქვს და მოგონებათა ჟანრს ემსგავსება. მასში ცენტრალური ადგილი უკავია პიროვნებას, რომელიც იხსენებს თავისი ცხოვრებიდან საკვანძო მომენტებსა და ფაქტებს იმის მიხედვით, თუ რა როლი ითამაშეს მათ მწერლის სულიერ-ზნეობრივ განვითარებაში. ამ მხრივ, ავტობიოგრაფია შინაგან სამყაროზე, პიროვნების ჩამოყალიბებაზე გარეგანი ფაქტორების გავლენის ასახვა უფროა, ვიდრე - ცხოვრებისეული მომენტებისა. ამის ნათელი მაგალითია ბორის პასტერნაკის ავტობიოგრაფიული მოთხრობა „დაცვის სიგელი“. ავტორი თავიდანვე გვაფრთხილებს, რომ საკუთარი ცხოვრების დეტალურ აღწერას არ აპირებს. ამას მის მაგივრად მკითხველი იზამს, რომელსაც ასე ხიბლავს ფაბულა და განსაკუთრებით იტაცებს წინასიტყვაობები. „...ჩემთვის კი ცხოვრება მხოლოდ იქ იშლებოდა, სადაც იგი შეჯამებას არის ჩვეული. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისტორიის შინაგანი დანაწევრება ჩემთვის თავსმოხვეული რამაა გარდაუვალი სიკვდილის სახით, ცოცხლად თავს მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი, როცა ბოლო ეღებოდა ნაწილების

დამქანცველ ხარშვას და გამარჯვებული, როგორც ერთი მთლიანობა, თავს ითავისუფლებდა ფართოდ აღჭურვილი გრძნობა“ (Пастернак Б. , 2004, გვ. 150).

ამდენად, მისთვის დაბადება და გარდაცვალება, თავისუფლება და პატიმრობა, სიხარულისა და მწუხარების ჟამი სულ სხვა დრო-სივრცული მნიშვნელებით აღინიშნება. მას შეუძლია „მეორე დაბადება“, თავისუფლება ტირანიის უღელქვემ, პატიმრობა ბელადის სრული კეთილგანწყობილების ჟამს, სიხარული საერთო მწუხარებისას და მწუხარება საერთო სიხარულის დროს. პასტერნაკის ამ მსოფლხედვის, მისი მიმართებებისა და დამოკიდებულებების ილუსტრაციაა თითოეული წერილი.

მწერლები ზოგჯერ მხოლოდ ავტობიოგრაფიას როდი აქცევენ მხატვრულ ნაწარმოებად, საკუთარი ცხოვრების მთხზველნიც ხდებიან. ეს რომ ასეა ბორის პასტერნაკის შემთხვევაში, ეს უკვე ნათქვამი სიტყვაა მის მკვლევრებს შორის. იგი თავად ქმნის ბორის პასტერნაკს. ამიტომაც აეკვიატება მოსმენისთანავე ტიცინ ტაბიძის სტრიქონები - „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“. ეს მის ცხოვრებისეულ ფილოსოფიასთან ძალიან ახლოს აღმოჩნდება და ამის მაგალითებს ქვემოთ არაერთხელ მოვიხმობთ. როგორც აღნიშნავდნენ, ბორის პასტერნაკს ბრწყინვალედ გამოსდიოდა საჯარო გამოსვლები, თუმცა საჯარო ცხოვრება არ ირჩია. „თუკი მაიაკოვსკი თავად სანახაობა იყო, პასტერნაკი სრულიად უარს იტყვის სანახაობრიობაზე“ - წერს ნატალია ივანოვა თავის წიგნში „პასტერნაკი და სხვები“ (Иванова, 2003, გვ. 100). პასტერნაკს მიაჩნდა, რომ პოეტის ცხოვრებას მისივე შემოქმედება აყალიბებს და არა - პირიქით. მისი პოეზია წერდა მისსავე ბიოგრაფიას.

პასტერნაკის პოეზიისათვის დამახასიათებელ ბუნდოვანებას, რომელიც ზოგ შემთხვევაში თვითმიზნადაა ქცეული მწერლის შემოქმედებაში, ნატალია ივანოვამ „პრინციპული გაუგებრობა“ უწოდა. რომ არა პასტერნაკის პირადი მიმოწერა, უამრავი რამ დარჩებოდა ასე ბუნდოვანი მკითხველისთვის მის ისედაც „პრინციპული გაუგებრობით“ აღბეჭდილ ნაწარმოებებში. თავის ზემოთ ხსენებულ წიგნში ივანოვა

პასტერნაკის ოლგა ფრეიდენბერგთან მიმოწერაზე საუბრობს და აღნიშნავს: „ეპისტოლური პროზა, დიახ, პროზა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხანდახან გაუთავებელ ლაქლაქად გვეჩვენება - ლექსებში გადაედინება“ (Иванова, 2003, გვ. 57). ადრინდელი პასტერნაკი გაუგებარია, გამიზნულად გაუგებარი და მისი გაცხადება წერილებისა და ლექსების ურთიერთშედარებით, მათი მთლიანობაში გააზრებით ხდება შესაძლებელი.

მოვლენების მისტიკურ საბურველში გახვევა პასტერნაკისთვის დამახასიათებელი თვისებაა, მისტიკური მოვლენები კი - შთაგონების წყარო. საქართველოში ჩამოსული ეცნობა აქაურ ტრადიციებს, რწმენა-წარმოდგენებს და ეს მისი სამომავლო ჩანაფიქრებისთვის ნამდვილი საგანძურია. საქართველო თავისი ტიციანით, პაოლოთი, შანშიაშვილით, ნადირაძით, გაფრინდაშვილით, მიწიშვილით, ლეონიძით, თავისი ზღაპრული თავისებურებით კი არ ეძვირფასება მხოლოდ, არამედ შთაგონებად ექცევა, რადგან ამ ქვეყნის თავისთავად მხოლოდ არსებობა უკვე მისტიკის სფეროდ მიაჩნია რუს მწერლს, ვინაიდან მიუხედავად ყველაფრისა, გადარჩა და არსებობას განაგრძობს, თანაც ისე, რომ „მის მშვენებას ყავლი არ გასდის“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 30).

2018 წელს გამოცემულ წიგნში „ბორის პასტერნაკის ქართველი ადრესატები“, რომელშიც შესულია ქართველი მეგობრებთან მიწერილი წერილების ქართული თარგმანები, პირველი სწორედ ეს ზემოთ ციტირებული წერილია, პაოლო იაშვილისთვის სვერდლოსკიდან 1932 წლის 30 ივლისს მიწერილი. პირველივე წერილში აღნიშნავს ბორის პასტერნაკი, რომ მისი მიმოწერა ქართველ პოეტებთან, მათი ოჯახის წევრებთან, სცდება პირადი მიმოწერის ფარგლებს და ამ პირველივე წერილში ვხვდებით ტიციან ტაბიძის „ლექსი მეწყერიდან“ აკვიატებული სტრიქონის ალუზიას: „... ეს უკვე აღარ არის კერძო მიმოწერის საგანი. უკვე შეპყრობილი ვყავარ მოგონებათა ამ წრეს: უკვე იგი მწერს, როგორც ტიციანი იტყოდა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 31).

იდუმალის წვდომა პოეზიით (პასტერნაკთან კი ყველგან პოეზიაა, რა ჟანრსაც უნდა მიმართოს), იდუმალის გამოსახვა პოეზიით მისი მთავარი სურვილი და ამოცანაა. ამდენად, მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ პოეზიას მხოლოდ თავისთვის ექმნის, რომ იგი შინაგანი მონოლოგია, ხოლო დიალოგისთვის პროზას მიმართავს, მკითხველს პროზის საშუალებით ესაუბრება. შესაბამისად, მისი პოეზიის გასაღები პროზაა, განსაკუთრებით კი - წერილები. ამ ვერგაგებას სულაც არ უფრთხის. საინტერესოა, რომ არც აუდიტორიის გარეშე დარჩენის ეშინია. მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია საკუთარ თავთან შეხვედრა, „გათავისუფლება გარშემომყოფთა მეურვეობისაგან... საკუთარ თავთან ვერშეყრისაგან, მცდარი იდენტიფიკაციისაგან, რომელიც ბიოგრაფიული ცნობებით, წარმომავლობით არის თავსმოხვეული და არა - ბედით“ (Иванова, 2003, გვ. 79).

ეს თავისუფლება პასტერნაკისთვის უმაღლესი ფასეულობაა. გარემოსადმი შემგუებლობასაც იმისთვის იჩენს, რომ ასეთი თავისუფლებით აღბეჭდილი შემოქმედების დატოვება მოასწროს, მოახერხოს. ეს ერთი შეხედვით გაორება პასტერნაკის პიროვნების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მხარეა. ეს მოჩვენებითი მორჩილება, უფრო სწორად, დალოდება, როდის მოვა მისი დრო, არაერთგვაროვან შეფასებებსაც იწვევდა გარშემომყოფთა მხრიდან. აქ კვლავაც სიმონ ჩიქოვანთან მიწერილ წერილს დავიმოწმებთ იმის საჩვენებლად, თუ როგორ ხსნის თავად პასტერნაკი ამ შემგუებლობას. მას სურს გაამხნევოს კრიტიკის ქარცეცხლში მოხვედრილი ქართველი მეგობარი და თან პრაქტიკული რჩევები მისცეს. მას ეჭვი არ შეაქვს სიმონის პრინციპულობაში და დარწმუნებულია, რომ ვერაფერს დააკლებენ და იგი არ უღალატებს საკუთარ თავს. თუმცა შიშს გამოთქვამს, ვაითუ გაცხარებულმა ახსნა-განმარტებები დაიწყოს. პასტერნაკმა კი ძალიან კარგად იცის, როგორ მოელოდებიან ბნელი ძალები ამ ახსნა-განმარტებებსა და თავის მართლებებს, ეს მხოლოდ მათ წისქვილზე დაასხამს წყალს, მათი სისტემა ასე მუშაობს. სწორედ აქ სთავაზობს საინტერესო გამოსავალს, რომელიც, ალბათ მისგან არაერთხელაა ნაცადი: „მარჯვენასთან ერთად მარცხენა ლოყის ევანგელისტური მიშვერა მხოლოდ

წმინდანობის სასწაული ან ღვაწლის მწვერვალი როდია, არამედ ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალიც, როდესაც გარეგნული მხარეა სინამდვილის მსაჯული“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 184).

ეს ამონარიდი პასტერნაკის წერილიდან, რომელიც მან 1951 წლის 2 მაისს პერედელკინოდან მისწერა ჩიქოვანს, კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა მწერლის ამა თუ იმ ქმედების ასახსნელად, მისი მსოფლხედვისა თუ დამოკიდებულებათა ნათელსაყოფად. გარეგნული მხარე სინამდვილის მსაჯულია მთელი მისი მოღვაწეობის პერიოდში. პასტერნაკის ამ შეთავაზებასა თუ რჩევაში პრაქტიკული ზრახვანი ჩანს, თვითგადარჩენისთვის ბრძოლა. ამდენად, გარკვეულ ვითარებაში ბედს დამორჩილება პასტერნაკისთვის დამახასიათებელია.

თუმცა, როგორც კი საქმე მის მეგობრებს, მათი გადარჩენისთვის ბრძოლას და რაც მთავარია, თავისი შემოქმედების უმთავრეს ქმნილებას, „ექიმ ჟივაგოს“ ეხება, იქ სრულიად შეუვალია, არავითარ დათმობაზე არ მიდის. ყოფით საკითხებში უფრო იჩენს შემგუებლობას, მაგრამ ცალსახად პრინციპულია თავის შემოქმედებაში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საკუთარ თავს იმეტებს პრინციპების ღალატისთვის, მაგრამ თავის ნაწარმოებს - ვერა.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეს, პოეტსა და რედაქტორს, ა. ტარასენკოვს ლერმონტოვის ხსოვნის სადამოზე პასტერნაკის სიტყვით გამოსვლა ჩაუწერია, სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ რუსებისთვის ყოველთვის ბევრად ადვილი იყო: თათართა მონობაში ყოფნის ატანა, ამ უღელის გადაგდებისთვის ბრძოლა, შავი ჭირი, ვიდრე - სიცოცხლე მაშინ, როცა დასავლეთისთვის სიცოცხლე იყო იოლი და ჩვეულებრივი. ამ თვალსაზრისით, პასტერნაკი უფრო დასავლელია. მისთვის ჩვეულებრივია, ჩვეულია საკუთარი ნაწარმოებებისთვის ბრძოლა. ამ ბრძოლისთვის კი, პირველ ყოვლისა, მისი ფიზიკური არსებობაა საჭირო. სიცოცხლეს ამისთვის უნდა,

საჭირო დროს რომ შესწიროს. შემოქმედებისთვის იბადება ხოლმე ხელახლა, არაერთგზის.

მარია ფილინა თავის წერილში 1929 წელზე, „გარდატეხის წელზე“, საუბრობს და აღნიშნავს, რომ პარტიული რიგების წმენდასა და ლიტერატორების რეპრესიებს პოეტების მასობრივი დეპრესია სდევდა თან. მათ უმეტესობას აღარ სწამს, რომ ახალ რეალობაში საკუთარ ადგილს დაიკავებენ. „ჩნდებოდა უფსკრული იმ ლიტერატორებს, რომლებიც თანახმანი იყვნენ ნებისმიერ ფასად გაეწიათ სამსახური ხელისუფლებისთვის და იმ უმცირესობას შორის, რომელთაც არ სურდათ თავიანთ სინდისს, თავიანთ შემოქმედებას შელეოდნენ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 9). ტოტალიტარული ცენზურის გაძლიერების, ლირიკული პოეზიის დევნის, დასმენების, ადამიანური თუ შემოქმედებითი კავშირების მწვავე კრიზისის დროს გაიცნობს სწორედ პაოლო იაშვილს და მისი მიწვევით ესტუმრება საქართველოს. როგორც მარია ფილინა აღნიშნავს, მისთვის „ეს მოგზაურობა სამუდამოდ დაუკავშირდა საყვარელ ქალთან თანაცხოვრების პირველ თვეებს, იგი იქცა „მეორე დაბადებად“.

ავანგარდისტ ხელოვანთათვის საქართველო მაშინ ნამდვილი ოაზისი იყო. ნინო ტაბიძე თავის მოგონებათა წიგნში „ცისარტყელა განთიადისას“ 1937 წელს ლენინგრადში მოწყობილ ტიციანის პოეზიის საღამოზე ნიკოლაი ტიხონოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვას იხსენებს. „არის ქვეყნები, რომლებიც სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ. ისინი ამ როლს თამაშობენ არა პოლიტიკურად, არა ეკონომიკურად, არამედ სულის რაღაცა ერთი გადაძახილით, ცხოველი მღელვარებით. ევროპაში, ჩემი აზრით, ასეთი ქვეყანა იტალიაა. რუსი პოეტისათვის - ჩვენს იტალიად უცილობლად საქართველო იქცა“ (ტაბიძე, 2016, გვ. 295).

საქართველოსადმი გამორჩეული სიყვარული, მისი ბუნებით, ადათ-წესებით, ადამიანებით, ადამიანური ურთიერთობებით შთაგონება, ქართული სუფრის

ხელოვნების ნიმუშად აღქმა, საყოველთაოა ამ ეპოქის ხელოვანთათვის. ერთგვარი გადამრჩენი ძალაც კი აქვს მათთვის აქაურობას. იმავე ნიკოლაო ტიხონოვის თქმით, ესენინი თავის ხვედრს გაექცეოდა, საქართველოში რომ დარჩენილიყო და თავისი ცხოვრების რთული პერიოდი აქ გაეტარებინა.

პასტერნაკსაც ურთულეს წუთებში საქართველო გაუწვდის დახმარების ხელს. ეს არ იქნება უბრალოდ თანაგდომა, თანაგრძნობა. პასტერნაკისა და საქართველოს დამოკიდებულება იქცევა სრული ურთიერთგაგების იშვიათ მაგალითად, რომელსაც მოჰყვება უმნიშვნელოვანესი ადამიანური თუ შემოქმედებითი კავშირები. „...ტყუილად კი არ იჭრებოდა პასტერნაკი საქართველოს სულში ასე ღრმად, როგორადაც ჩვენ აღვიქვამთ ახლა ამ ქვეყანას პასტერნაკის ლექსებით და იმ ძალით, რომელიც მან ქართული ლექსების თარგმნას შეაღია, რათა ისინი რუსი მკითხველებისათვის მისაწვდომი ყოფილიყო“ - აღნიშნავს ნიკოლაი ტიხონოვი იმავე გამოსვლაში (ტაბიძე, 2016, გვ. 297).

იმ მრავალ შეხების წერტილთაგან, რომლებიც ასე აახლოვებდა პასტერნაკს ქართველ პოეტებთან, გამორჩეულად კი - ტიცინთან და მის ოჯახთან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ის არის, რომ ისინი საკუთარ თავებს წერენ, საკუთარ თავებს ქმნიან, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებებს. მათი ცხოვრება პარალელური სიუჟეტებით აღსავსეა, მრავალგზის მეორედ დაბადებაა. ამ ნაშრომის მთავარი მიზანი პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილთა სიუჟეტური ხაზის გამოკვეთაა, მთელი თავისი პერიპეტიებით.

სანამ უშუალოდ ქართველ მეგობრებთან პირველი შეხვედრის შთაბეჭდილებებს შევხებით, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას, ზოგადად, ადამიანთა და გარემოთა ზეგავლენაზე პასტერნაკის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში. „დაცვის სიგელში“ ბორის პასტერნაკი მაიაკოვსკისთან შეხვედრით გამოწვეულ განცდებს აღწერს და დასძენს: „სწორედ მაშინ, ბულვარიდან წამოვიყოლე იგი და თან მსდევდა მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. მართალია, საკმაოდ დიდი იყო, თუმცა მასთან განშორება

შეუძლებელი იყო“ (Пастернак Б. , 2004, გვ. 218). ზემოთქმული ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ სდევნენ თან მას „ადამიანები და გარემოებანი“, მოგონებები და შთაბეჭდილებები და მის მაგივრად მუშაობენ. ასე იჩენს თავს პასტერნაკთან ე. წ. პრუსტის ეფექტი, უნებლიე მესხიერების გამოღვიძება შეგრძნებებით. ცნობილი ფაქტია, როგორ აფასებს პასტერნაკი დასავლეთის ლიტერატურას, განსაკუთრებით პროზაიკოსებში მარსელ პრუსტი და ჯეიმს ჯოისი უყვარს სწორედ. ცნობიერების ნაკადის ეს ძალა მისთვისაც არ არის უცხო: ცნობიერების სუბიექტური გამოვლინებები, ქვეცნობიერი, შინაგანი მონოლოგი. ამ სუბიექტივიზმში ობიექტური რეალობაც სუბიექტურად აღიქმება, განწყობათა მიხედვით.

როგორც თავად პასტერნაკის წერილებიდან, ასევე, მისი თანამედროვეების მოგონებებიდან, ჩანს, ატმოსფერო მისთვის მნიშვნელოვანია, რაც, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად ჰარმონიული უნდა იყოს. ურთიერთგაგების ცნება მისთვის სულ სხვა სამყაროა, არც ადგილია, არც კონკრეტული წამი, არამედ შემთხვევითობის საჩუქარი. სწორედ ასეთი „შემთხვევითობის საჩუქარი“ იყო ქართველ პოეტებთან სიახლოვე, პოეზიით დაწყებული. „პოეზიათა სიახლოვემ ადამიანური სიახლოვე განაპირობა. პასტერნაკი შეძრა იმ ფაქტმა, რომ სწორედ საქართველოში იპოვა მან პოეტები, რომლებიც გაცილებით ახლოს იყვნენ მასთან არა მხოლოდ აზრითა და გრძნობით, არამედ პოეტიკითაც“ - წერს ნატალია ივანოვა თავის წიგნში „პასტერნაკი და სხვები“ (Иванова, 2003, გვ. 218).

ეპოქა ხშირად იქცევა დამოუკიდებელ პერსონაჟად მწერლების შემოქმედებასა თუ ცხოვრებაში. მით უფრო თუ ეს ისეთი გარდამტეხი ეპოქაა, როგორც მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი. იმის შესახებ, თუ რა ხდება ამ დროს თბილისში, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ცნობები ნინო ტაბიძის მოგონებათა წიგნიდან „ცისარტყელა განთიადისას“. ნინო დაწვრილებით გადმოსცემს თავის, ტიცვიანის, კოლაუ ნადირაძის, ვალერიან გაფრინდაშვილის შთაბეჭდილებებს, როცა მოსკოვიდან ჩამოსული პაოლო

იაშვილი ბორის პასტერნაკის ლექსებს უკითხავდა, მასზე უამბობდა „დაწვრილებით და გატაცებით“; ამას მოჰყვება პასტერნაკის ჩამოსვლა და პაოლოსთან დაბინავება, ტიციანის, ნინოსა და ვალერიან გაფრინდაშვილის პირველი შეხვედრა რუს პოეტთან. მასთან შეხვედრას ასე იხსენებს ნინო ტაბიძე: „მან გაიღიმა - და ყველამ გაიღიმა. ამიერიდან უკვე სამარადისო მეგობრები ვიყავით“ (ტაბიძე, 2016, გვ. 309).

დავუბრუნდეთ ეპოქას. ნინო ტაბიძის მოგონებათა წიგნი მისი ბავშვობის მოგონებებით იწყება და მთელ მის ცხოვრებას მოიცავს, იმ ორ წელსაც, 1918-1920 წლებს, როცა საქართველო დამოუკიდებელია და, თუკი კვლავ ტიხონოვის სიტყვებს მოვიხმობთ, რუსი პოეტებისთვის იტალიად ქცეულა. პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე ანდრე ჟიდს მასპინძლობენ. ქართველ პოეტებს შელამაზების გარეშე აღუწერიათ ფრანგი მწერლისთვის არსებული რეალობა, რაც თავის მხრივ, ანდრე ჟიდს თავის კრიტიკულ ნაშრომში აუსახავს. „შენმა ფრანგულმა დაგლუპაო“... ასეც უთქვამს ბერიას პაოლოსთვის. აი, ასეთი ქალაქია თბილისი იმხანად, შედარებით მოფარებული „დიდი ძმის“ თვალს, დასავლური ხელოვნებითა და ფილოსოფიით შთაგონებული პოეტებით, პიერო თავისი კოლომბინათი, მერე ტანიტიც გაჩნდება. ამ სახელს ტიციანი ფლობერის საპატივცემულოდ დაარქმევს ქალიშვილს.

ყოველგვარი სიახლით აღბეჭდილ ეპოქაში, ცხადია, არინ ისეთებიც, ვინც ახალგაზრდა გამომსვლელებს უსტვენენ კიდევ. თუმცა ახალი თაობა დარწმუნებულია თავის სიმართლესა და არჩეული გზის სისწორეში. პაოლო იაშვილი დარწმუნებული იყო, რომ „...დღეს თუ ხვალ მაინც მოუხდებოდათ ამ მათთვის ახალი ხელოვნების გაგება და შეყვარება. ძალიან თავდაჯერებული იყო“ (ტაბიძე, 2016, გვ. 43).

ასეთი სულისკვეთების ქალაქს ეწვევა ბორის პასტერნაკი ზინაიდა ნეიჰაუზთან ერთად ოდნავ მოგვიანებით. „...მივხვდი, რომ მოსკოვი დაბადებიდან თავს მოხვეული ქალაქია, რომ ეს ჩემი პასიური მზითევია, რომ ეს არის თქვენზე, თქვენს ცხოვრებაზე მოგონებების ქალაქი“ - წერს პასტერნაკი 1924 წელს თავის მშობლებს (Пастернак Б. , 2005, გვ. 519). იმჟამინდელი ყოფა მოსკოვში სრულიად მიუღებელი და

არასასურველია პასტერნაკისთვის. სურს ცვლილებები და მომავალში ესახება სასურველი რეალობა. ამ მომავალში კი შეუცვლელი ადგილი უკავია საქართველოს. ეს განწყობა არ შეცვლილა სიცოცხლის ბოლომდე. 1945 წლის პირველ ნოემბერს ნინო ტაბიძეს მისწერს: „სიცოცხლესთან სამი ძალა მაკავშირებს: საქართველო, ინგლისი და ჩემი რუსული მომავალი, და არავითარ შემთხვევაში ჩემი ამჟამინდელი ცხოვრება მოსკოვში, ანდა ჩემი აქაური, ახლანდელი ურთიერთობები“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 114).

საქართველოში პასტერნაკის პირველი ჩამოსვლა მისი ცხოვრების სრულიად ახალ ეტაპს უკავშირდება, როგორც პირად, ისე შემოქმედებით ცხოვრებაში. ქართველები ჩვეულ სტუმართმოყვარეობას იჩენენ, სიმბოლისტი პოეტები ჩვეული ქართული ბოჰემური ცხოვრების წესს აზიარებენ სტუმრებს. ვინც უნდა ჩამოვიდეს თბილისში, მათი უცვლელი მასპინძლები ცისფერყანწელები არიან. სერგეი ესენინი, ანდრეი ბელი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ალექსეი ტოლსტოი, იური ტინიანოვი, ვიქტორ გოლცევი, კონსტანტინე ფედინი, ლეონიდ ლეონოვი, პაველ ანტოკოლსკი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ნიკოლაი ტიხონოვი - ყველა მათგანი ცისფერყანწელთა პირადი სტუმარია, ყველა მათგანს ცალკე თავს უძღვნის ნინო ტაბიძე თავის მოგონებათა წიგნში, ყველა მათგანს გამორჩეული დამოკიდებულება აქვს საქართველოსა და განსაკუთრებით ტაბიძეების ოჯახისადმი. ამ მოგონებებში, რასაკვირველია, ცენტრალური ფიგურა პასტერნაკია.

ჯერ კიდევ 1929 წლის 10 აპრილის წერილში მისწერს პაოლო იაშვილი ანდრეი ბელის, გავიგეთ, ბორის პასტერნაკი აპირებს ჩამოსვლას და ძმურად ველოდებითო. ეს მოლოდინი ნაადრევი აღმოჩნდება. ბორის პასტერნაკი პირველად საქართველოში 1931 წლის ზაფხულში ჩამოვა. აქედან იწყება პასტერნაკისა და მისი ქართველი ადრესატების მიმოწერის ისტორია. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პირველი წერილი, ბორის პასტერნაკის თხზულებათა სრული კრებულის 11-ტომეულის მიხედვით, 1932 წლის 30 ივლისით თარიღდება. მისი ადრესატი პაოლო იაშვილია. იგი

პაოლოსთან მიწერილი ერთადერთი წერილია, ჩვენამდე შემორჩენილი. და ამ პირველივე წერილში გაიხმიანებს ტიციან ტაბიძის სტრიქონები: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“, რომლითაც აღიბეჭდება მთელი მისი შემდგომი ცხოვრება და შემოქმედება. რუსი პოეტისთვის ცხადი გახდება, რომ თბილისი და აქ მცხოვრები ყველა ის ადამიანი, რომელთანაც შემოქმედებითი თუ მეგობრული კავშირები გაიბმება, აქ ნანახი და განცდილი, იმავე წონისა და მნიშვნელობის იქნება, როგორც იყო მის ცხოვრებაში შოპენი, სკრიაბინი, მარბურგი, ვენეცია და რილკე. ამ ყოველივეს ცალკე თავები უნდა მიუძღვნას თავის „დაცვის სიგელში“ და მათ შორის იქნება საქართველოც. პასტერნაკი ამ ჩანაფიქრის განხორციელებას მხოლოდ რეპრესირებული მეგობრების რეაბილიტაციის შემდეგ მოახერხებს თავის ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“, იქ მიუძღვნის ცალკე თავს ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილსა და მარინა ცვეტაევას.

ენობრივი და სტილური თვალსაზრისით პასტერნაკის წერილები არ წარმოადგენს მისი შემოქმედებიდან გამონაკლისს და იმავე თავისებურებებით ხასიათდება, რომლებითაც, ზოგადად, მისი შემოქმედება, მათ შორის - პოეზიაც. პასტერნაკი არა მხოლოდ წერდა მეტაფორულად, არამედ ასეთნაირადვე საუბრობდა. ეს, თავისთავად, ხშირად იწვევდა ორაზროვნებასა და ბუნდოვანებას, თუმცა მკითხველიც და მსმენელიც ხვდებოდა, რომ ეს სტილის საკითხი იყო. ამდენად, პასტერნაკის შემოქმედება ვერ იქნებოდა ფართო აუდიტორიისთვის განკუთვნილი. იმავე ენით მეტყველებს იგი წერილებში, რომლებიც თავისი ფორმითა თუ შინაარსით მკითხველს გულისხმობს და არა - მხოლოდ კონკრეტულ ადრესატს, ვისთანაც წერილი იგზავნება. ზოგიერთს არც აკავშირებს პასტერნაკთან ისეთი სულიერი სიახლოვე, რომ ნინო ტაბიძისავით გაუგოს და მიუხვდეს სათქმელს. მისი მიზანი არც არის, ყველამ გაუგოს შემოქმედებით ნათქვამი ან ცხოვრებაში გადადგმული ნაბიჯი, მიღებული გადაწყვეტილება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გესმოდეს - ეს სულ სხვა სამყაროა პასტერნაკისთვის. ამას არ განაპირობებს არც დროის და არც სივრცის კონკრეტული მონაკვეთი, არამედ - ეს არის შემთხვევითობისგან ნაჩუქარი შესაძლებლობა,

მიუახლოვდე ისტორიას და ამავედროულად მიიღო მონაწილეობა მომავალში: „ეს არის ვრცელი რომანი რამდენიმე განსაკუთრებით ბედნიერი, ერთი აზრით გაერთიანებული, საზღვრებდაკარგული თარიღისა <...> ეს მე და თქვენ ვართ, ეს ჩვენი ჩაჭიდებული ხელებია“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 49). როგორც ვხედავთ, რომანად აღქმული გაგების ფენომენი პასტერნაკისთვის სხვა საზომით იზომება. სწორედ ამისთანა რომანს დაახვედრებენ წასაკითხად საქართველოში ჩამოსულს და არც არის გასაკვირი, რომ მას შემდეგ ყველა მთავარი მოვლენა, შემოქმედებითი თუ ბიოგრაფიული, აქაურობას დაუკავშირდება.

თბილისში, კოჯორში, ოქროყანაში, ბაკურიანში გატარებული საღამოები არ ჰგავს მოსკოვურ საღამოებს, რომელთაც პასტერნაკი მაიაკოვსკისთან და მის ამაღასთან ერთად ატარებდა და სადაც განუზომელ თრობას ეძლეოდნენ, სვამდნენ, ყვიროდნენ. სუფრის ფენომენი ჭამა-სმაზე მეტია ქართულ კულტურაში. იგი ურთიერთობათა განსაკუთრებული ფორმაა, აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებაა. ამიტომაცაა, რომ რუსულ სიტყვიერებაში სუფრა არ ითარგმნება და პირდაპირ არის გადატანილი «Супра». მოსკოვში დაბრუნებული პასტერნაკი იხსენებს ლეონიძესთან გატარებულ საღამოს და იმ სუფრას, რომელიც მასთან გამოსამშვიდობებლად გაიშალა. თუმცა ამ განცდების გამზიარებელი არავინ ჰყავს. ახლა ვინც მის გვერდითაა, იმ სუფრასთან არ მჯდარა და ვერ გაიგებს მის შთაბეჭდილებებს. ამიტომ ისევ ქართველ მეგობრებს სწერს (პასტერნაკი, 2018, გვ. 42). სამშობლოში დაბრუნებული კი ამ უკანასკნელთა შემოქმედების გაცნობას დაიწყებს რუსულენოვანი საზოგადოებისთვის.

ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილებში მკაფიოდ იკვეთება პასტერნაკის დამოკიდებულება ეპოქისადმი და ზოგადად, ეპოქის სულისკვეთება. პოეტს მუდმივად თან სდევს სიკვდილის სიახლოვის განცდა: „მინდა საათი ამოვიღო და დავხედო, გავიგო კიდევ რამდენი ხნის სიცოცხლე დამრჩა“. მაგრამ ეს არ არის ტრაგიკული განცდა, არამედ გარდაუვალობად აღქმული მოცემულობაა. ისაა, რისთვისაც ემზადება, რისთვისაც „ლექსი თვითონ წერს“ მას. ტიცინანის და პაოლოს

ბედისადმი მისი გამორჩეული დამოკიდებულება სწორედ ამითაა განპირობებული. საშურველიც კია მისთვის. თუმცა იცის, რომ ჯერ მისი დრო არ დამდგარა.

1935 წლის სექტემბერში ტიცთან მიწერილ წერილში იგი ქართველ მეგობარს უყვება ლონდონიდან დაბრუნებისა და გზად შჩერბაკოვთან გამართული საუბარის შესახებ. ამ მოგზაურობისას პასტერნაკი დეპრესიის შემოტევას უმკლავდება. დიდი ხნის შემდეგ პირველად გააბამს გულახდილ საუბარს შჩერბაკოვთან თავის ლირიკაზე, საყვარელ ქართველ მეგობრებზე, უკითხავს მათ ლექსებს, დაუნდობლად კიცხავს საკუთარ თარგმანებს. ამ დროს პარიზში პასტერნაკი ლამის ძალით გაგზავნეს ანტიფაშისტურ კონგრესზე. მარიონეტად გრძნობს თავს. ეს გახდება ღრმა სულიერი კრიზისის საბაზი და ერთგვარი მწარე გამოცდილებაც. ამ დეპრესიას გადარჩენილი დათმობებზე ნაკლებად მიდის, შეუვალა იმავე ქართველი მეგობრების დახმარების საქმეშიც მოგვიანებით.

„ეს იყო განსაცდელებით სავსე საშინელი დრო, ერთგვარად ავადმყოფობა სულისა, დასასრულის განცდა აშკარა სიკვდილის დადგომის გარეშე, უღიმღამო უაზრობა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 54). ხოლო როცა იწყებს ფიქრს მომავალზე, წარმოიდგენს, როგორ გამოსთხოვს ნინოს ტიცთან თავს და მასთან ერთად გალევს დარჩენილ დღეებს. „თუმცა ეს მხოლოდ ფიქრები იყო, უხემ ვარაუდებზე დაფუძნებული“ (იგივე წერილი). უფრო უხეში სინამდვილე სხვა ბედს უმზადებდა პასტერნაკს, შეიძლება ისეთ მძიმეს არა, როგორც ტიცთან, პაოლოს, ცვეტაევას ხვდათ, თუმცა - არც ამაზე მსუბუქს.

პასტერნაკს ახასიათებს: როდესაც საკუთარ თავში რაიმე თვისებას ისაკლისებს, სწორედ ისეთ ადამიანებს უახლოვდება, რომლებშიც ყველაზე მეტად გრძნობს ამ მოსაკლისებულ თვისებას. პარიზის კონგრესიდან დაბრუნებული პირდაპირ პეტერბურგში მიდის ანა ახმატოვასთან, მას ნახულობს, ცოლობასაც კი სთხოვს. ახმატოვასთან, რომელიც პროტესტის, ამბოხის, შეუგუებლობის, სიმბოლოა მისთვის.

ასევე ხდება ქართველი მეგობრების შემთხვევაშიც. პასტერნაკი ყველა თავის წერილში მათით აღფრთოვანებას გამოხატავს.

ეპოქა პასტერნაკის და მისი თანამედროვეების ცხოვრებაში ნამდვილად არის მთავარი პერსონაჟი. და ეს გასიგრძეგანებული აქვთ მათ. პასტერნაკის აზროვნების ტიპი დიდწილად განსაზღვრავს მის დამოკიდებულებებსა და შესაბამისად, ქმედებებსაც. მას სწამს, რომ არსებობს დროის დიდი გეგმა, რომლის ნაწილიცაა ის ყოველივე, რაც მის ირგვლივ ხდება. დროის გეგმის შეცვლა კი არაფერს შეუძლია. ამიტომ ფუჭია რაიმეს შეცვლაზე ზრუნვა მანამ, სანამ ამის დრო არ დადგება, სანამ ამ გეგმის ესა თუ ის კონკრეტული ნაწილი არ შესრულდება. „თუკი არის რაიმე წილი სიმართლისა ამ ყველაფერში, რაც იბეჭდება ან რასაც ლაპარაკობენ, მხოლოდ ის, რომ ეს ყოველივე სრულ თანხვედრაშია დროის უდიდეს გეგმასთან, მის ისტორიულ უსასრულობასთან“ - მისწერს ტიციანს პასტერნაკი (პასტერნაკი, 2018, გვ. 57). მან იცის, რომ ამ დროებაში მთავარი საკუთარი თავის შექმნაა, ამას უნდა ამსახუროს დროებაც და ლექსიც („მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“). მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკუთარი თავის ძიებაა. როდესაც ტიციან ტაბიძე მკაცრი პოლიტიკური ბრალდებების ობიექტად იქცევა კრიტიკულ გამოხმაურებებში, პასტერნაკი მისწერს: „გქონდეთ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი! ჯიუტად, უშიშრად და დაუნდობლად ჩაეძიეთ საკუთარ თავს, მხოლოდ საკუთარ თავს. და თუკი იქ ვერ აღმოაჩენთ ხალხს, ცასა და მიწას, მაშინ დაანებეთ ძიებას თავი, ე.ი. სამეზარეულო არაფერი ყოფილა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 57). თავადაც გამუდმებით ეძიებს საკუთარ თავს და თვითგამოხატვის ფორმებს მანამ, სანამ თავის მთავარ ნაწარმოებს არ დაწერს და არ განხორციელდება რომანში.

იაშვილის და ტაბიძის ბედი, იმ დროების გარდაუვალი შედეგი, ერთგვარი შემზადებაა პასტერნაკისთვის. თავადაც სამსხვერპლოდ ემზადება, ამისთვის კი ის უნდა დაწეროს, რაც ჩაიფიქრა. მანამდე როგორმე ცოცხალი უნდა გადარჩეს. სურს, წეროს. თუმცა, რასაკვირველია, განზე გადგომა შეუძლებელია. ზედმეტად ბევრი

სიკვდილია მის ირგვლივ საიმისოდ, რომ გაემიჯნოს არსებულ ვითარებას, განყენებულ თემებზე წეროს. ამდენი მსხვერპლი ავალდებულებს კიდევ გამოხმაურებას.

მანამ, სანამ მის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრალდებები სუსტია, პასტერნაკის აზრით, სუსტია მთელი მისი შემოქმედებაც. თითქმის ყველა წერილში, სადაც საკუთარ ნაშრომებზე წერს, ყველგან ამ შეხედულებას გამოთქვამს. უკმაყოფილოა საკუთარი შემოქმედებითაც, რომ აღარაფერი ვთქვათ მის დამოკიდებულებაზე მთარგმნელობითი საქმიანობისადმი. პასტერნაკს ღრმად სწამს, რომ მორალური უსამართლობის გამამართლებელ მიზეზად ვერ გამოდგება დროის უკუღმართობა. ისიც კარგად იცის, რომ მხოლოდ არდათანხმება არ არის საკმარისი. საჭიროა წინააღმდეგობის გაწევა. პრინციპებს ღალატი და საკუთარი თავის დაკარგვა ვერ გამართლდება უკუღმართი დროით. ამას უფრთხის და არ სურს ვინმემ სწორედ ეს დასწამოს. როგორც უკვე აღინიშნა, პასტერნაკი მუდმივად დამნაშავედ გრძნობდა თავს იმის გამო, რომ სხვებზე უკეთ იყო. თუკი მისი მეგობრები იტანჯებოდნენ, რომელთა თანამოაზრეც იყო, რატომ არ არის მათი ბედის თანამოზიარე თავადაც. თუმცა მალევე მიხვდება, რომ აქ არავითარი წესი არ მოქმედებს და ყველაფერი ერთი ადამიანის განწყობილებაზეა დამოკიდებული. სხვებზე უკეთ იმიტომ კი არ არის, რომ სათქმელს არ ამბობს. პირიქით. პასტერნაკი ყოველთვის ამბობს იმას, რასაც განიცდის. მისთვის, როგორც მწერლისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მკითხველისთვის, ადრესატისთვის გასაგები გახადოს თავისი განცდები, აზრები.

მაშინ, როცა იგი ხელისუფლების ერთ-ერთ რჩეულ პოეტად მოიაზრება, არ უშინდება და პაოლო იაშვილის ქვრივს სახუგეშო წერილს მისწერს, თამამად (ცხადია, მიუხედავად იმისა, რომ წერილი პირადად თამარ იაშვილისთვისაა მიწერილი, გაუხსნელს და წაუკითხავს არავინ დატოვებდა და ეს კარგად იცის პასტერნაკმაც) საუბრობს ქართველი პოეტის მნიშვნელობაზე როგორც პირადად მისთვის, ისე საზოგადოებისათვის. პაოლოს თვითმკვლელობით თავზარდაცემული ტკივილით

მოგვიჩვენა განწმენდაზე ესაუბრება თამარ იაშვილს: „ამ დარტყმის ძალამ შორს მომისროლა იმ ყველაფრისგან, რაც ქალაქში ხდებოდა, გაუმართლებლად ხმამაღლისგან, გაუმართლებლად გართულებულისგან, გამაღიზიანებელი გულგრილობისგან, მჭერმეტყველური სიცარიელისგან“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 63). მაშინ, როცა პაოლოს დაკრძალვაზე ბევრი გამოჩენასაც ვერ ბედავს, პასტერნაკი პერედელკინოდან სამხმირის ასეთ წერილს უგზავნის თამარ იაშვილს. მისთვის ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შემოქმედება იყო და თუ ეს უკანასკნელი თავგანწირვის გზას მოითხოვს შემოქმედისგან, ეს მისთვის წმინდა მსხვერპლია, რომელსაც კათარსისი მოაქვს.

ტიციან ტაბიძე 1937 წლის ოქტომბერში დააკავეს და მალევე დახვრიტეს. ამის შესახებ კი მხოლოდ 1955 წელს გახდა ცნობილი. ტიციანის დაპატიმრების ამბის გაგებისთანავე პასტერნაკი მის ოჯახს პირდაპირ დეპეშას უგზავნის: „გული ამომგლიჯეს, ვეღარ გავაგრძელებდი სიცოცხლეს, მაგრამ ახლა მე ორი ოჯახი მყავს: ზინა და ლიონია, თქვენ და ნიტა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 69). რეპრესირებული პოეტის ოჯახისათვის ასეთი შინაარსის დეპეშის გაგზავნა ნამდვილად დიდ გამბედაობას მოითხოვდა. მაგრამ პასტერნაკს თავიდანვე ტიციანისა და მისი ოჯახის სიყვარულზე გაცხადებული ლეგიტიმაცია აქვს, რაც უბრალოდ უნდა აღიარონ და შეეგუონ.

პასტერნაკის ხასიათსა და მსოფლხედვაში ერთი საინტერესო შტრიხი იკვეთება, რის შესახებაც ზემოთ უკვე ვახსენეთ. მან იცის და გააზრებული აქვს, როდისაა თვითშეწირვის დრო და როდის - თვითგადარჩენისა. გავიხსენოთ, როგორ არ ხვდება იგი ხელისუფლებას თვალში, ვინაიდან რომანი აქვს დასაწერი, მამხილებელი რომანი. ტიციან ტაბიძე 1955 წლამდე ცოცხალი ეგონათ და პასტერნაკი და ნინო არ კარგავენ მასთან შეხვედრის იმედს. ამის შესახებ იგი სწერს ნინოს: „ვიცი, რომ რაღაც უმაღლესი თვალსაზრისით, ჩვენი ახალი, მწუხარებაგადატანილი, დროებით გადავადებული ხელახალი შეერთება წინასწარ დეტალურად არის გათვლილი და გადაწყვეტილი, ხოლო ჩვენი ამოცანაა, არაფერი დაგვემართოს, ვიცოცხლოთ ამ შეხვედრამდე“

(პასტერნაკი, 2018, გვ. 68). კვლავაც დროის დიდი გეგმის რწმენა იჩენს თავს პასტერნაკის სიტყვებში. პასტერნაკის მოირა დროა. მიუხედავად იმისა, რომ აღარავითარი გონივრული საფუძველი აღარ არსებობს, იმედს მაინც არ კარგავენ, რომ „განდევნილები“ დაბრუნდებიან. სიმონ ჩიქოვანს ახალი წლის მილოცვასთან ერთად სწორედ ამას უსურვებს პასტერნაკი: „...განდევნილების დაბრუნებას, მათთან შეხვედრას“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 70). ამ განდევნილებში, პირველ ყოვლისა, ტიციან ტაბიძესა და ნიკოლო მიწიშვილს გულისხმობს.

პასტერნაკის მიერ დროის ზუსტი აღქმისა და აღლოს არაერთი მაგალითია ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილებში. გამორჩეული მუსიკალური სმენის მქონე მწერალს ეპოქის გულისცემაც შეუცდომლად ესმის. როდესაც ოსიპ მანდელშტამი საბედისწერო ლექსებს წაუკითხავს, პასტერნაკი გააფრთხილებს, საჯაროდ ნუ წაიკითხავო. თუმცა მანდელშტამი არ უჯერებს. თვითინ ამ დროს ქართველი პოეტების მიერ დაწერილ ლექსებს თარგმნის სტალინზე. მანდელშტამს იჭერენ, თუმცა ცოცხალს ტოვებენ. თვითმკვლელობის მცდელობასაც გადაურჩება. სწორედ მასთან დაკავშირებით დაურეკავს სტალინი პასტერნაკს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანდელშტამის მიმართ არანაკლებ თანადგომას გამოიჩენენ ქართველები. ყირიმიდან ბათუმში ჩასული რუსი პოეტი, რომელიც კარანტინში ჰყავდათ ეპიდემიის გამო, თბილისში სწორედ ტიციან ტაბიძემ ჩამოიყვანა. დაბანეს, აჭამეს, ჩააცვეს და ისე გაუშვეს სამშობლოში. ერთი წლის მერე კი მეუღლესთან ერთად ჩამოდის თბილისში, ხელოვნების სასახლეში ბინავდება და ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ თარგმნას იწყებს. მიუხედავად ამგვარი მოპყრობისა ქართველების მხრიდან, როგორც ნინო ტაბიძე იგონებს „...მერე ძალიან არაკეთილმოსურნედ წერდა საქართველოზე თავის ნარკვევში“ (ტაბიძე, 2016, გვ. 100). ნინო გულისხმობს ჟურნალ „ოგონიოკში“ დაბეჭდილ სტატიას, სადაც ოსიპ მანდელშტამი ზედმეტობად უთვლის ქართველ პოეტებს ევროპული ლიტერატურული ტენდენციებით გატაცებას. სწორედ ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ სტალინის მიერ დასმულ კითხვაზე, მეგობრობდნენ თუ არა ის და მანდელშტამი, პასტერნაკი მისთვის ჩვეული გულწრფელობით პასუხობს. ისინი

სრულიად განსხვავებულები არიან ერთმანეთისგან. პასტერნაკისთვისაც, ქართველი მეგობრების მსგავსად, სწორედ ევროპული ლიტერატურული ტენდენციებია მნიშვნელოვანი.

ტიციანის ბედი მუდმივი საფიქრალია პასტერნაკისთვის. ნინო ტაბიძისადმი მოწერილი არაერთი წერილია შემონახული, სადაც პასტერნაკი ანუგეშებს, რომ ტიციანი აუცილებლად გამოჩნდება, თუმცა არც ის ავიწყდება, რომ მხოლოდ ნუგეშის სიტყვები მცირედია. მას საქმით შეწევნაც შეუძლია, ვინაიდან ეს ის პასტერნაკია, რომელიც არაერთგზის მიმართავს სტალინს ჯერ მანდელშტამზე, შემდეგ ნ. გუმილოვზე, ნ. პუნიჩზე, პასტერნაკი, რომელსაც სტალინი უშუალოდ ურეკავს და აზრს ეკითხება უკვე დაპატიმრებულ მანდელშტამზე. მართალია, ეს უკანასკნელი მოვლენა ბელადის კიდევ ერთი ცინიკური სვლაა, თუმცა ფაქტია: პასტერნაკი პირადად ესაუბრა სტალინს. თავადვე სურს, მეტი გააკეთოს ტაბიძისთვის. მაგრამ კვლავაც დრო თამაშობს მთავარ როლს. უდროოდ რაიმეს თუ მოიმოქმედებს, შეიძლება უარესად გააფუჭოს საქმე. „ალბათ, გიკვირთ, ჯერ თითიც რომ არ გამინძრევია მისი ხვედრის შესაცვლელად. მაგრამ აქამდე ამას აზრი არ ჰქონდა <...> მითხრეს, რომ მხოლოდ საქმეს გავაფუჭებდი, თუკი ვინმეს თხოვნით მივმართავდი <...> მივხვდი, რომ სანამ აქაური მწყალობელი არის პირი, რომელიც იქ მათ ქმნიდა, ფიქრი რაიმე ნაბიჯის გადადგმაზე ნაადრევია“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 71). მწყალობელში პასტერნაკი ლავრენტი ბერიას გულისხმობს, რომელმაც ნ. ეჟოვი შეცვალა და ბუტირის ერთი სართულის პატიმრები მთლიანად გაათავისუფლა.

მიუხედავად ამისა, მაინც არ მიაჩნია პასტერნაკს საკმარისად ის, რასაც აკეთებს. დანაშაულის გრძნობა აწუხებს, მეტს მოითხოვს საკუთარი თავისგან: „სიცოცხლე უნდა გამეწირა ჩვენი საუკეთესო დღეების, ჩვენი საერთო ბედნიერების სახელით, თქვენ გამო, ჩემო საყვარელო მეგობარო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 76). ამავე პერიოდში სწერს ნინოს, რომ თბილისში აკაკი წერეთლის იუბილესათვის მხოლოდ იმიტომ ჩამოვა, რომ ტიციანთან დაკავშირებული „მცდელობანი“ არ გადადოს.

პასტერნაკისადმი განწობილებანი მუდმივად ცვალებადია. იგი გონივრულ დროს ელოდება, რომ ტიცინ ტაბიძის შესახებ საჭირო ცნობები მიიღოს. ნინოს ჰპირდება, რომ როგორც კი რამენაირად ყურადღებას მიაქცევენ, მაშინვე ისარგებლებს ამით მათი საერთო მიზნის მისაღწევად (პასტერნაკი, 2018, გვ. 81). ამ მიზნის მიღწევა კი უტოპიაა. თუმცა თავად მიზნის არსებობა, საერთო მიზნისა, არა მხოლოდ აახლოვებს პასტერნაკს ტიცინის ოჯახთან, არამედ ერთგვარ მამოძრავებელ ძალადაც ექცევა.

პასტერნაკი თამამად შუამდგომლობს ისეთ ლიტერატორებსაც, რომლებთანაც მხოლოდ საერთო სფერო აკავშირებს და არანაირად - საერთო შეხედულებანი, ან ლიტერატურული გემოვნება, მით უფრო - არც მეგობრობა. ნატალია გრომოვას წიგნში «Узел. Поэты: дружбы и разрывы» ცალკე თავია „ქომაგი პასტერნაკი ანუ რუდოლფის თავგადასავალი“. ერთობ საინტერესო და იდუმალებით მოცულია თავად რუდოლფის, ანუ „ნოვოია როსიას“ რედაქტორის, ისაია ლეჟნევის ისტორია. იგი მ. ბულგაკოვმა თავისი „თეატრალური რომანის“ გმირად აქცია წითური რუდოლფის სახით. სწორედ მის დახმარებას სთხოვს კორნელი ზელინსკის პარიზში. მისი წერილიდან ცხადი ხდება, რომ პასტერნაკი ლეჟნევის არც ჟურნალით არის აღფრთოვანებული და მათი შეხედულებანიც სრულიად განსხვავებულია. იგივე შემთხვევა გვაქვს მანდელშტამთან დაკავშირებითაც. ჩაგრულის გამოსარჩლება მისი ცხოვრებისეული კრედოა და სხვაგვარად არ ძალუძს. საკითხავია, რამდენად იყო ლეჟნევი ჩაგრული, თუმცა ეს სხვა კვლევის საგანია. ჩვენთვის აქ მთავარი პასტერნაკის დამოკიდებულებაა. „პოეტი ესარჩლება მისგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ადამიანს, მის გამო თხოვნით მიმართავს იმ ხალხს, რომლებისთვისაც პატიოსნად მუშაობდა თავად ეს კაცი და, შესაძლოა, საიდუმლოდ აგრძელებს კიდევ მათ სამსახურს, ამასთანავე, პასტერნაკი სრულიად დამოუკიდებელია თავის შეხედულებებში ხელისუფლებისა და ქვეყნის შესახებ და არც ძალავს მათ ადრესატისგან (ზელინსკისგან ს.ბ.)“ (Громова, 2006, გვ. 62). ე.ი. რეალურად უდიდეს საფრთხეში იგდებს თავს ადამიანისთვის, რომელიც შესაძლოა ორმაგ თამაშს თამაშობდეს.

პასტერნაკის ბუნებაში ორი ურთიერთსაპირისპირო მხარე იჩენს ხოლმე თავს. ზემოთ ხსენებულ ალლოსთან ერთად, რაც მას ყოფით ცხოვრებაში ეხმარება, თანაარსებობს უცნაური უნარი, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია, ისე დისტანცირდეს არსებული რეალობისგან, რომ საკმაოდ რთულ პოლიტიკურ ვითარებაშიც კი, მაშინ, როცა რეჟისორ ვსევოლოდ მეიერჰოლდის საქმეზე მიმდინარე სასამართლოს ჩვენებებში მისი სახელიც ფიგურირებს, მაშინ, როცა ინგლისს ბომბავენ, მამამისი და მისი დები კი იმჟამად ოქსფორდში არიან და დეპეშასაც კი ვერ აგზავნი, მათი ბედი რომ შეიტყოს, აი, ამგვარ ვითარებაში შეუძლია, ნინოს მისწეროს: „მთელი ეს ბოლო ხანები ყოველ ნაბიჯზე შვების, გაუმჯობესების, გათავისუფლების პროგრესირებადი განცდა მეუფლება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 72). სულში იმედების ქარიშხალი მძვინვარებს, „სიცოცხლისა და მოქმედების ახალი წყურვილი“ და ღრმადაა დარწმუნებული, რომ ეს სურვილი დაუმარცხებელია. ეს წინააღმდეგობრიობანი ნათელი და გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ პასტერნაკისთვის, როგორც შემოქმედისთვის, თავისუფლების მომნიჭებელი მხოლოდ შემოქმედება, სამწერლო ასპარეზია და თუკი ამ ასპარეზზე აღნიშნული განცდით მოქმედებს, ე.ი. მაშინაა ჭეშმარიტად თავისუფალი და ბედნიერი.

ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილზე ფიქრი კი იმ თავისუფლებაზე ფიქრია პასტერნაკისთვის, რომელიც ქართველ პოეტებს „ვაჟკაცურმა გაქროლება“ (პ. იაშვილი „როგორც აფრის ტკაცუნ“) მოუტანა. მათზე ფიქრი ერთგვარ ორიენტირად იქცევა. „მე იმაზე ფიქრი შემიყვარდა, ტიციანისთვის რომ ვცხოვრობ, ის კი - ჩემთვის“... (პასტერნაკი, 2018, გვ. 73), „მისკენ მეწვდინება ხელები და მწამს, რომ იგი იმედებს გამიმართლებს...“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 79).

ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილები ერთიან სურათს გვიქმნის პასტერნაკის იმედების, მოლოდინების, შემოქმედებითი გარდატეხების, სიახლეების, ამ იმედების მსხვრევისა და მოლოდინების გაცრუების შესახებ. იგიც სულ სხვას ვარაუდობდა და „სულ სხვა ზღვაში გაცურავს!“, როგორც ამას თავადვე იტყვის პაოლოზე (პასტერნაკი,

2018, გვ. 74). თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მუდამ სდევს თან სიკვდილის სიახლოვის განცდა, წინათგრძნობა იმისა, რომ ბედნიერებამდე ვერ მიაღწევს, ან თუ მიაღწევს, მხოლოდ დიდ საფასურად. თავად მას არავინ აპატიმრებს, თუმცა არც მშვიდი ცხოვრება აქვს. როგორც ნატალია ივანოვა წერს: „მისი განადგურება საჭირო არ არის, მისი დამცირებაა საჭირო“ (Иванова, 2003, გვ. 280). ამას კი ნამდვილად აღწევენ.

1940 წლის წერილებში განსაკუთრებით იგრძნობა მძიმე დროება. „...არ დაიჯერებთ, რა შავ სხეულში გამოგვამწყვდიეს. შეუძლებელია ეს მარადიულად ასე გაგრძელდეს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 86). „ჰამლეტი“ ნათარგმნი აქვს და ელის „კრიტიკულ ხმებს“. პასტერნაკს ხან უყვავებენ, ხან კიცხავენ. „ათას რამეს დამაბრალებენ კიდეც“ ... - მისწერს ნინას 1940 წლის 27 დეკემბერს, მაშინ, როცა მთავარი ბრალდებები მართლაც წინ არის. „წყენითა და წარუმატებლობით განაწამები“ პერედელკინოში მისწრაფვის, სუფთა, დალაგებული ოთახი, ზამთრის ხედები და ნინას წერილი ელოდება (პასტერნაკი, 2018, გვ. 90).

პასტერნაკი საკუთარ ეპოქას გაყინულ ეპოქად მიიჩნევს. ნინოს ნიტასთან დაკავშირებით სწერს და გულისტკივილს გამოთქვამს, რომ მათ შვილებს იმ დროის ამოგება დასჭირდებათ, რომელიც მამათა თაობას განგებამ დააკარგვინა, ერთ ადგილას გაყინა. მიუხედავად ამისა, პასტერნაკს, რომელიც შემოქმედია და ყველაფერში ეძებს კავშირებს, სწამს მიზეზ-შედეგობრიობის გარდაუვალობისა და იცის, რომ ამდენი მსხვერპლი არასდროსაა გაუმართლებელი. „მხოლოდ იმის იმედი, რომ მოვესწრებით თქვენს ნათელ მომავალს - სიცოცხლით სავსეს, მრავალფეროვანს, მოვლენებით მდიდარს, მორალურად გამართლებულს და უსაზღვროდ მაღლმოფენილს,- ჩვენ, ასე დაღლილებსა და ასაკოვნებს, გვაიძულებს, ჩავეჭიდოთ სიცოცხლეს, დავაფასოთ და გვსურდეს იგი ნებისმიერი ფორმით. რაც უნდა შორს იყოს ეს, ყოველივე შორეული ოდესღაც მოახლოვდება“ - სწერს პასტერნაკი ნიტა ტაბიძეს (პასტერნაკი, 2018, გვ. 92).

პასტერნაკს სურს ამ თაობას, შვილების თაობას, ღირსეული სახელი შემოუნახოს, შთამომავლობას შემორჩენილი სახელი, როგორც ამას იგი პაოლოზე იტყვის. ამის მიღწევა მაშინ, როცა არჩევანის გაკეთება ყოველდღიურად უწევთ, როცა ყოველი დღის ღირსეულად ჩათავება გმირობის ტოლფასია, რასაკვირველია, სულ სხვა ძალისხმევასა და გამბედაობას მოითხოვდა. პასტერნაკი ცდილობს, თავად შექმნას დრო, დრომ არ შექმნას იგი, „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“ იტყვის მისი ცხოვრების ფილოსოფიად.

3. ბორის პასტერნაკის პირადი და შემოქმედებითი კავშირები ქართველ

პოეტებთან და მისი ასახვა მიმოწერაში

ეპისტოლური კომუნიკაციის სპეციფიკას, უპირველეს ყოვლისა, კომუნიკანტებს შორის დრო-სივრცული დისტანცია და კომუნიკაციის წერილობითი ფორმა განაპირობებს. მოსაუბრეთა შორის სივრცეში დისტანცია გამორიცხავს ჟესტებს, მიმიკას, ინტონაციას, რაიმეს დაზუსტების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, წერილი მონოლოგად რომ არ იქცეს, აუცილებელია სათქმელის გადმოცემისას ადრესანტი იყოს ზუსტი და თანმიმდევრული, გაითვალისწინოს ადრესატის ინტელექტის დონე, კულტურული, ეროვნული, ყოფითი თავისებურებები.

ბორის პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ამ ჟანრისა და, რაც მთავარია, ეპოქის თავისებურებანი. რუსულ ლიტერატურაში ეპისტოლური ჟანრის აყვავების ხანად XVIII ს.- XIX საუკუნის I ნახევარი უნდა მივიჩნიოთ. XIX საუკუნის II ნახევარიდან ეს ჟანრი სუსტდება. მე-20 საუკუნეში წერილი კარგავს თავის ლიტერატურულ მნიშვნელობას, თუმცა ვხვდებით საინტერესო ნიმუშებს ბორის პასტერნაკის, მარინა ცვეტაევისა და სხვათა შემოქმედებაში. ამ პერიოდში წერილი დამატებით ფუნქციას იძენს. მაგალითად, ბორის პასტერნაკთან მას თვითგამოხატვის ფუნქცია ეკისრება.

წერილი კომპოზიციურად სამი ნაწილისაგან შედგება: 1) დასაწყისი (მიმართვა, მისალმება და ა.შ.), 2) ინფორმაციული ნაწილი და 3) დაბოლოება. პასტერნაკის წერილები ამ სამივე ნაწილს მოიცავს, არ აქვს მნიშვნელობა, იგი საქმიანი ხასიათისაა თუ ინტიმური. სხვადასხვა ტიპის წერილს მისთვის დამახასიათებელი დასაწყისი აქვს და ისინი სტანდარტულობის თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისაგან. წერილის დასაწყისში ყოველთვის არის: 1) წერილის დაწერის დრო და ადგილი; 2) მიმართვა. ბორის პასტერნაკი ყოველთვის უთითებს დაწერის დროსა და ადგილს. დროისადმი მწერლის დამოკიდებულებაზე, ეპოქის კონტექსტზე უკვე გვქონდა საუბარი წინა თავებში და ყოველოვე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია,

პასტერნაკისთვის თარიღის ზუსტ მითითებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ყველა მისი სიტყვა დროის დიდი გეგმის ჭრილში უნდა წავიკითხოთ და გავიაზროთ.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ თვითონ ნინო ტაბიძის ბორის პასტერნაკთან მიწერილი საპასუხო წერილები არ არის დათარიღებული. საოჯახო ალბუმში, რომელიც ტაბიძე-ანდრიაძეების ოჯახის შესახებ ახლობელთა მოგონებებს მოიცავს და უამრავ საინტერესო ფაქტს უყრის თავს, ნინო ტაბიძის პასტერნაკთან მიწერილი წერილები, როგორც თავად წიგნის შემდგენელი აღნიშნავს, წარმოდგენილია „მოზაიკის სახით არა ქრონოლოგიური, არამედ ფსიქოლოგიური ნიშნით“ (Андриядзе, 2021, გვ. 20).

ქართველ მეგობრებთან ეპისტოლური კომუნიკაციის ათვლის წერტილად, როგორც ეს წინა თავშიც აღვნიშნეთ, 1932 წლის 30 ივლისი უნდა მივიჩნიოთ, როდესაც იგი სვერდლოვსკიდან პაოლო იაშვილს მისწერს. ადრესატები იცვლებიან, ემატებიან და აკლდებიან. თუმცა თავად მიმოწერა მწერლის სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. ნინო ტაბიძე რჩება უცვლელ ადრესატად, რომელთანაც საქართველოში პირველი ჩამოსვლის დღიდან სიცოცხლის ბოლომდე, 28 წლის განმავლობაში, აქვს მიმოწერა რუს პოეტს. წერილების დაწერის ადგილი, ძირითადად, მოსკოვი და პერედელკინოა. წერილში მიმართვის ეტიკეტური ფორმების არჩევა რუსული სამეტყველო ეტიკეტის ნორმებითაა განპირობებული. ქართველ ადრესატებთან არსად გვხვდება იმ დროს გავრცელებული ისეთი მიმართვა, როგორიცაა „ამხანაგო“ („Товарищ“). თუკი წერილი მიმართვით იწყება, იგი ასეთია: „ძვირფასო“ („Дорогой» ან «Дорогая»), რასაც მოჰყვება სახელი ან სახელი და მამის სახელი. მიმართვაში უკვე ჩანს, თუ რა ურთიერთობაა ადრესანტსა და ადრესატს შორის. „ძვირფასო გიორგი ნიკოლაევიჩ!“ («Дорогой Георгий Николаевич!») - მიმართავს პასტერნაკი გიორგი ლეონიძეს. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ადრესატებთან მიწერილ წერილებში მას გოგლათი მოიხსენიებს, უშუალოდ მიმართვისას ოფიციალურია, ვინაიდან ისეთი სიახლოვე არ აკავშირებს, როგორც, მაგალითად, ნინო და ტიციან ტაბიძეებთან, პაოლო იაშვილთან, სიმონ და მარიკა ჩიქოვანებთან. ზოგადად, პასტერნაკს არ ახასიათებს ფამილარული

მიმართვები. თუმცა, ქართველ ადრესატებს შორის ჰყავს ისეთებიც, რომელთაც კნინობით-საალერსო სახელებსაც ეძახის.

ზოგიერთი ადრესატის შემთხვევაში, მიმართვის ფორმა იცვლება დროთა განმავლობაში. სიმონ ჩიქოვანთან მიწერილი წერილები ამის ნათელი მაგალითია. პასტერნაკის 11-ტომეულის მიხედვით [«Полное собрание сочинений»], პირველი მათგანი 1944 წლის 12 აგვისტოთი თარიღდება. წერილი საქმიანი ხასიათისაა და საკმაოდ მშრალი. 1945 წლის 5 ნოემბერის წერილში კი სულ სხვა ტონი გაისმის. პასტერნაკი თბილ, უშუალო და გულახდილ წერილს სწერს სიმონს, რაც ამ წელს პასტერნაკის საქართველოში ჩამოსვლითა და ქართველ მოღვაწეებთან, მათ შორის სიმონთან, დაახლოებით აიხსნება.

ნინო ტაბიძესთან ურთიერთობა და შესაბამისად, მასთან მიმოწერა, კიდევ ცალკე კვლევის საგანია. მიმოწერის დაწყებიდან უკანასკნელ წერილამდე ნინოსთან და ტიცთან მიწერილი წერილები ერთნაირი უშუალობითა და გულახდილობით გამოირჩევა. პასტერნაკს, როგორც მწერალს, გულახდილად საუბარი უცხოებთანაც შეუძლია, თუმცა ეტიკეტს ყოველთვის იცავს მათთან. მიუხედავად სიახლოვისა და 27-წლიანი მეგობრობისა, ნინო ტაბიძეს მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენობით მიმართავს.

რაც შეეხება წერილის ინფორმაციულ ნაწლს, იგი მოიცავს როგორც ყოფით, ისე შემოქმედებით საკითხებს და თემათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. პასტერნაკი წერს პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ამა თუ იმ მოვლენისადმი თავის დამოკიდებულებაზე, ღიად გამოთქვამს მოსაზრებებს საკუთარი თუ სხვისი ნაწარმოებების შესახებ. ამდენად, პასტერნაკის მიმოწერა ქართველ მეგობრებთან უადრესად მნიშვნელოვანია როგორც ადრესატის, ისე ადრესანტის ცხოვრებისა თუ შემოქმედების შესწავლის საქმეში. ეს წერილები მწერლის ორიგინალურ ნაწარმოებებსა თუ თარგმანებზე მუშაობის მთელ პროცესს ასახავს. განსაკუთრებული გულახდილობითა და თემათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა ნინო ტაბიძისადმი მიწერილი წერილები, რომლებიც ერთნაირად საინტერესოა მწერლის ცხოვრების

როგორც შემოქმედებითი, ისე ინტიმური მხარის შესწავლისთვის. ღიად საუბრობს თავისი სულიერი მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ პირადი ცხოვრების შესახებ.

წერილის ბოლოს აუცილებლად არის მოკითხვა. პასტერნაკი, ხშირად, მოკითხვას უთვლის არა მხოლოდ ადრესატის ოჯახის წევრებს, არამედ ყველა ქართველ მეგობარს. ზოგჯერ ერთი წერილი რამდენიმე ადრესატს გულისხმობს. მაგალითად, სიმონ და მარიკა ჩიქოვანებისადმი 1948 წლის 10 იანვარს პერედელკინოდან მიწერილ წერილში მწერალი თავადვე აღნიშნავს, რომ ეს წერილი მის ყველა ქართველ მეგობარს ეძღვნება და ეკუთვნის.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ახალი მთარგმნელობითი სკოლა იქმნება. მიმდინარეობს დიდი მთარგმნელობითი პროცესი, შეიძლება ითქვას მთელს ევროპაში ყველაზე მასშტაბურად კი იმ დროისათვის, რომელსაც არც აქვს ანალოგი, რამდენადაც მასში ჩართულია მთელი ლიტერატურული აპარატი, შექმნილია მწერალთა კავშირი. ამ პროცესის აქტიური მონაწილეა ბორის პასტერნაკი. ამას კი წინ უსწრებს მისი საქართველოში მოგზაურობა, პირადი, არაოფიციალური ურთიერთობები ქართველ ლირიკოსებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მათ ოჯახებთან, რამაც განსაზღვრა კიდევ მათი შემოქმედებითი ურთიერთობების ხასიათიც.

საქართველოში პირველი მოგზაურობა დეტალურადაა აღწერილი ბორის პასტერნაკის წერილებში, ვინაიდან მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მწერლის როგორც პირად, ისე შემოქმედებით ცხოვრებაში. პასტერნაკის საქართველოდან პირველი გამგზავრებით იწყება ქართველ მეგობრებთან მიმოწერის ისტორია. წერილები ერთობ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პასტერნაკის პიროვნებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში, არამედ გვეხმარება მისივე ადრესატების უფრო ინტიმური მხარის დანახვაში, იმ ეპოქის კულტურულ-ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებაში, როგორც ერთ, ისე მეორე ქვეყანასთან მიმართებით. აქ ვხვდებით მსჯელობებს არაერთ საინტერესო საკითხზე: ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე, პოეზიაზე, თარგმანებსა და თარგმნის ხელოვნებაზე. ზოგიერთ წერილში მწერალი დაწვრილებით გადმოსცემს ამა

თუ იმ ნაწარმოების შექმნისა თუ თარგმნის პროცესს. პასტერნაკის პირადი წერილები რომ ეპისტოლური ჟანრის თავისებური ნიმუშია და სცდება ამ ჟანრის ფარგლებს, ემსგავსება პროზას, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისინი მრავალ ენაზეა ნათარგმნი.

ბორის პასტერნაკის ადრეტესატები არიან: ტიციან ტაბიძე, ნინო მაცაშვილი-ტაბიძე, ნიტა ტაბიძე, პაოლო იაშვილი, თამარ ოქრომჭედლიშვილი-იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ეფემია გედევანიშვილი-ლეონიძე, ნიკოლო მიწიშვილი, მარინა მიწიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, მარიკა ელიავა-ჩიქოვანი, ლადო გუდიაშვილი, ჩუქურთმა გუდიაშვილი, ნატო ვაჩნაძე, რაისა მიქაძე, ფატმა თვალთვაძე.

ზოგიერთი წერილი მონოლოგად არის ქცეული. პუბლიკაციისათვის განკუთვნილი ტექსტები მკაცრ პოლიტიკურ ცენზურას განიცდის ამ პერიოდში. პირად წერილებში კი ბორის პასტერნაკი თავისუფალია აზრთა და შეხედულებათა გამოთქმაში, მას არავინ ზღუდავს. შესაძლოა, ფართო აუდიტორიას სათქმელს ვერ აწვდენს, მაგრამ მწერლურ ჟინს ნამდვილად იკმაყოფილებს. ამიტომაც მისთვის, როგორც მწერლისთვის, პირადი მიმოწერა თვითრეალიზების ერთგვარი საშუალება იყო, არსებითად მნიშვნელოვანი. სწორედ ამ პერიოდში, როდესაც მის ორიგინალურ ნაწარმოებებს არ ბეჭდავდნენ, ბორის პასტერნაკი დღეში დაახლოებით 30 წერილს წერდა. ეს ეხება განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 40-იან წლებს, სტალინის სიკვდილამდე. ამდენად, როგორც უკვე, აღვნიშნეთ, მწერლისათვის წერილები თვითგამოხატვის ერთადერთი საშუალება იყო იმ დროისათვის და უკვე აღარ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, თუკი ზოგიერთ შემთხვევაში მის მიერ თქმულს სათანადოდ ვერ გაიგებდა და შეაფასებდა ადრესატი. იგი წერდა მკითხველისთვის, რომელიც, მართლაც, მრავლად გამოუჩნდება ამ წერილებს და იმავე ინტერესით წაიკითხავენ, როგორითაც მის ლექსებს თუ „ექიმ ჟივაგოს“.

საქართველოში ჩამოსვლამდე ბორის პასტერნაკს ქართველები პაოლო იაშვილის მონათხრობიდან იცნობდნენ. ნინო ტაბიძე იგონებს 1931 წლის ზაფხულში პაოლოს მოსკოვში გამგზავრებას, საიდანაც იგი აღტაცებით სავსე წერილებს აგზავნის, უყვება

ქართველ მეგობრებს მოსკოველ მწერლებთან შეხვედრების შესახებ. იქიდან ჩამოსული პაოლო იაშვილი განსაკუთრებული აღფრთოვანებით საუბრობს ბორის პასტერნაკზე, მის შთაგონებით სავსე ხმასა და სახეზე, მისი და ზინაიდა ნეიჰაუზის სიყვარულის ისტორიაზე. პაოლო საქართველოში დაპატიჟებს. პასტერნაკიც დაჰპირდება, რომ ესტუმრება (Пастернак Б. , 2005, გვ. 320).

ბორის პასტერნაკი დანაპირებს შეასრულებს და 1931 წლის 13 ივლისს ჩამოვა თბილისში. მას პაოლო იაშვილი უმასპინძლებს. პასტერნაკთან პირველ შეხვედრას ნინო დაწვრილებით აღწერს თავის მოგონებათა წიგნში „ცისარტყელა განთიადისას“. იმ საღამოსვე დაგეგმეს, თუ როგორ გაეცნოთ უკეთ საქართველო რუსი პოეტისათვის, სად წაეყვანათ, რა ენახებინათ. ტიციან ტაბიძეს გაკვირვებით უთქვამს პასტერნაკისათვის, ძნელია იმის დაჯერება, რომ „დემონის“ დამწერს კავკასია არ აქვს ნანახიო. პასტერნაკს კი უპასუხია, ნებისმიერმა, ვისაც უყვარს და იცის რუსული პოეზია, იცის კავკასიაც და მით უფრო საქართველო, ჩვენ იქ არაერთხელ ვყოფილვართო. პასტერნაკი ამ მხრივ, თავისი დიდი წინაპრების, პუშკინის და ლერმონტოვის ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება, ამოგზაურებს, აცნობს და აყვარებს რუსულენოვან მკითხველს საქართველოს, მის კულტურასა და ისტორიას. პირველი მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები ბორის პასტერნაკმა გადმოსცა ავტობიოგრაფიულ ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“, სადაც სიყვარულით არის გაცოცხლებული პაოლო იაშვილისა და ტიციანი ტაბიძის სახეები.

იმ საღამოს პასტერნაკი თავის ლექსებს წაუკითხავს იაშვილთან შეკრებილ სტუმრებს. ნინო ტაბიძეზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოუხდენია მის გრძნობით აღსავსე, აღელვებულ სახეს: „...მისი თითოეული სიტყვა, თითქოს ცოცხლობდა და იწვოდა. ასეთ პოეტურ, შთაგონებულ სახეს აღარასდროს შეხვედრივარ“ (Пастернак Б. , 2005, გვ. 321). ამ საღამოს თავიანთი ლექსები წაიკითხეს ტიციანმა, პაოლომ და ვალერიან გარფრინდაშვილმაც. ნინო გაუოცებია იმ ფაქტს, თუ როგორ გრძნობდა პოეზიის ენას, როგორ აღიქვამდა ლექსების აზრს რუსი პოეტი, რომელსაც სავსებით არ ესმოდა ქართული. თავად პასტერნაკი ამის შესახებ მოგვიანებით დაწერს:

«Не зная ваших строф,
Но полюбив источник,
Я понимал без слов
Ваш будущий подстрочник».

პწკარედი:

„არ ვიცოდი რა თქვენი სტრიქონები,
თუმცა შევიყვარე წყარო,
უსიტყვოდ მესმოდა
თქვენი მომავალი პწკარედი“.

შეიყვარა „წყარო“ და მერე გაიგო იგი უსიტყვოდ, ან პირიქით, იმიტომ შეიყვარა, რომ უსიტყვოდ გაუგო მას. პაოლო იაშვილით მოხიბლული, მასზე შეყვარებული იყო პასტერნაკი. ამ მეგობრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალში ორი განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების მქონე ერის დაახლოების საქმეში და, რაც მთავარია, ქართული პოეზიის არაქართველი, არაქართულენოვანი მკითხველისათვის გასაცნობად.

პირველ დღეებში პაოლომ თბილისის შემოგარენი შემოატარა; მოინახულეს მცხეთა და ჯვარი. ნახული და განცდილი პოეტმა გადმოსცა თავის ლექსებში «Вечерело. Повсюду ретиво...» (1931) [«Мельгеша, точно чернь на эфесе,/В глубине шевелился Тифлис»] და «Пока мы по Кавказу лазаем» (1931).

მასპინძლებმა პასტერნაკი წინანდლის მოსანახულებლადაც წაიყვანეს. ტიციანი, როგორც ნინო ტაბიძე იხსენებს, ოცნებობდა, რომანი დაეწერა ნინო ჭავჭავაძეზე. იგი აღტაცებით უყვებოდა პასტერნაკს ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალზე. უნახვებიათ ნახევრად დანგრეული ტაძარი, სადაც, გადმოცემის თანახმად, ნინოს და გრიბოედოვს დაუწერიათ ჯვარი. ქართველი რომანტიკოსის წინანდლის მამულში მოსმენილმა სიყვარულის ამბავმა, ასევე, შამილის ისტორიამ, რომელმაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ძე ტყვედ წაიყვანა, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა პასტერნაკზე: „პასტერნაკი კრძალვით ეხებოდა თითოეულ ხეს და ფიქრებით იმ დროში გადადიოდა, როცა აქ

ალექსანდრე გრიბოედოვი და მისი ქართველი მეგობრები იმყოფებოდნენ“ - იხსენებს ნინო ტაბიძე (Пастернак Б. , 2005, გვ. 322). პოეტი შთაგონებას ქართველთა მითიურობამდე მისულ ისტორიაში პოვებდა.

აგვისტო პასტერნაკმა კოჯორში გაატარა, სასტუმრო „კურორტში“, სადაც ერთ დროს ანდრეი ბელი ცხოვრობდა. ქართველ მეგობრებს ბორის პასტერნაკისა და ზინაიდა ნეიჰაუზისათვის უნახვებიათ ქოროლლის ციხე-სიმაგრე, უძოს მონასტერი. სტუმრები განსაკუთრებით გაუოცებია მანგლისის გზაზე წითელ ლენტეხეშემბული ბუჩქის დანახვას. ხალხური რწმენით, თუ ბავშვი ყივანახველით დაავადდებოდა, ნათესავები მიდიოდნენ და ამ ბუჩქს წითელ ლენტებს აბამდნენ. დედებს სწამდათ, რომ ასე შესაძლებელი იყო ავადმყოფობის მომადლიერება, რათა მას დაენდო, არ გაეწირა ბავშვი. ამგვარი თქმულებების, რწმენა-წარმოდგენების, ლეგენდების, ქვეყნის ისტორიის გაცნობა პასტერნაკს უადვილებდა ქართველ პოეტთა მხატვრული სახეების, იდეების, მათი მსოფლხედვის გაგებას, წვდომას, გათავისებას, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება მომავალში მათი პოეზიის თარგმნაში.

კოჯრიდან პოეტი ტიციანთან და პაოლოსთან ერთად ბორჯომში გაემგზავრა, იქიდან წამოსულები ბაკურიანში გიორგი ლეონიძეს ესტუმრნენ. ვახშამი ტყეში მოუწყვიათ, სუფრას ჩირაღდნები უნათებდათ. ქართველ პოეტთა პოეტური ბუნება მათ მასპინძლობაშიც გამოვლინდა. პასტერნაკი ამ სადამოს არაერთხელ მოიგონებს ქართველ მეგობრებთან მიმოწერაში. თბილისში დაბრუნებული აღტაცებით უამბობდა ნინო ტაბიძეს ბაკურიანზე, ლეონიძესთან ვახშამზე, გასოცარი სილამაზის ეფემიაზე და მათ შვილებზე. სექტემბერში, აბასთუმნის, ბორჯომის და ბაკურიანის მოვლის შემდეგ, პაოლო იაშვილმა პოეტი ქობულეთში წაიყვანა. სწორედ აქ გაიცნო ბორის პასტერნაკმა სიმონ ჩიქოვანი და ბესარიონ ჟღენტი. ამ მოგზაურობას მიემდევნება მისი ლექსი „ტალღები“ («Волны»).

ბორის პასტერნაკი სულ ოთხჯერ იყო საქართველოში. პირველად - 1931 წელს, შემდეგ - 1933 წელს; მესამედ - ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილესათვის, 1945 წელს ჩამოვიდა, ხოლო უკანასკნელად გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1959 წლის თებერვალ-

მარტში ესტუმრა თბილისს მეუღლესთან, ზინაიდასთან ერთად. „პოეტს საერთო ჯამში საქართველოში დიდი დრო არ გაუტარებია, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობების ხანგრძლივობამ თითქმის ათწლეულები შეადგინა 1931 წლის ზაფხულში პირველი გაცნობიდან 1959 წლის მარტში უკანასკნელ ჩამოსვლამდე. თუმცა მათ, ვინც იცნობს ბ. პასტერნაკის შემოქმედებას, ექმნებათ სამართლიანი წარმოდგენა, რომ ეზიარა რა ერთხელ ამ ქვეყანას, აღარასდროს დაუტოვებია იგი“ - აღნიშნავენ მარია ფილინა და ელენე ყიასაშვილი თავიანთ სტატიაში (Мария Филина, Елена Киасашвили, 1990).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მწერლის მეორე სამშობლოდ იქცა, სადაც მუდამ დიდი სიბოთით და სიყვარულით ხვდებოდნენ, სადაც თავადაც მოეჩქარებოდა, უკანასკნელი გამომგზავრება არ იყო პოეტის კეთილი ნება. იგი თბილისში საბჭოთა ხელისულების განკარგულებით ცხოვრობდა. ამ უკანასკნელს სურდა თავიდან აეცილებინა ინგლისის პრემიერ-მინისტრის, მაკმილანის, პოეტთან შეხვედრა. შეხვედრას თავად მაკმილანი მოითხოვდა. საქმე ნობელის პრემიის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს შეეხებოდა. პრემია „თანამედროვე ლირიკულ პოეზიასა და დიდი რუსული პროზის დარგში გაწეული მიღწევისათვის“ მიანიჭეს ბორის პასტერნაკს. პრემიის შესახებ მიღებულ დეკრეტს 1958 წლის 23 ოქტომბერს მწერალი დეკრეტითვე პასუხობს: „მადლობელი ვარ, მიხარია, ვამაყობ, შეცბუნებული ვარ“. თუმცა, მეორე დილით კ. ფედინი ესტუმრება და მოსთხოვს, საჯაროდ თქვას უარი პრემიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას გამცემლობად და ღალატად ჩაუთვლიდნენ. მწერალი იძულებული გახდა, ასეც მოქცეულიყო. ხელისუფლება არც „ექიმ ჟივაგომდე“ გამოირჩეოდა კეთილგანწყობით ბორის პასტერნაკის მიმართ. ბრალდებად მხოლოდ რომანის დაწერას როდი უყენებდნენ. როგორც ლევ ოზეროვი აღნიშნავს, „პასტერნაკის დამუშავება 30-იანი წლებიდან დაიწყო. ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ მას ხან შიდა ემიგრანტს ეძახდნენ, ხან სუბიექტურ იდეალისტს, ხანაც განდგომილს და, რაღა თქმა უნდა, „ხალხისთვის უცხო“ (Озеров, 1990). რომანი გახდა ის მთავარი მიზეზი,

რომელსაც მთელი ამდენი წლის მანძილზე ეძებდა ხელისუფლება მწერლის წინააღმდეგ.

საქართველოში პირველი მოგზაურობიდან დაბრუნებულ პასტერნაკს მშობლიური ადგილებივით ენატრება თბილისი, ოქროყანა, ქობულეთი, წაღვერი და ბაკურიანი. მისთვის საქართველო არ არის მხოლოდ ლამაზი ადგილები ან საყვარელი ადამიანები. რაღაც უფრო მეტია, ასეთი იშვიათობა რომ გამხდარა. ამ „რაღაცას“, რაც პოეტისთვის განსაკუთრებულს ხდის საქართველოს, თავის ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“ ასე განმარტვას: „მოწინავე საზოგადოების მაღალი კულტურა, გონებრივი ცხოვრება, იმ წლებში ასეთი იშვიათი“ (Пастернак Б. , 2004, გვ. 611). პასტერნაკს განსაკუთრებით ხიბლავს, მით უფრო ამ წლებში, იდუმალი, მისტიკური, რასაც ზუსტი სახელი არ მოეძებნება. საქართველოშიც ყველაზე მეტად ის ხიბლავს და იზიდავს, რომ იგი „სრული აბსტრაქციის სფეროს“ კი არ განეკუთვნება, რაც ყველა ლოგიკით იყო მოსალოდნელი, არამედ დღემდე განაგრძობს არსებობას. ეს განსაკუთრებულობას სძენს ამ პატარა ერს პასტერნაკის, და არამარტო მის, თვალში. ლამაზი ადგილები, ღირსეული და ნიჭიერი პიროვნებები ხომ სხვაგანაც მრავლად არიან.

ამ „რაღაცის“ შესახებ, რაშიც მდგომარეობს საქართველოს გამორჩეულობის არსი, პასტერნაკი მოგვიანებით რაისა მიქაძესაც მისწერს. წერილი ზედმეტად ღრმა და ემოციურია საიმისოდ, რომ მის ადრესატად პასტერნაკი მხოლოდ რაისა მიქაძეს გულისხმობდეს. წერისას, თითქოს, პოეტი უფრო აღვივებს მოგონებებს და ამგვარად ხელახლა განიცდის თბილისში გადამხდარს. იგონებს საოცარ აღმოსავლეთს, მთებს, ბუნებას, მრავალფეროვან ქართულ ხასიათს, ქალურ სილამაზეს, ხმაურიან ნადიმებს და კიდევ რაღაც იდუმალს, რომლისთვისაც სახელი ვერ დაურქმევია და რაც ამ იდუმალეებით კიდევ უფრო აღელვებს. ასეთივე იდუმალის მაგალითად პასტერნაკს ლერმონტოვი მოჰყავს, რომლის შემოქმედებასაც განსაკუთრებულს ხდიდა მისთვის ნიშნეული ამოუცნობი და მოუხელთებელი. ლერმონტოვის სიდიადესაც სწორედ ეს რაღაც ამოუხსნელი შეადგენს. ამით სურს პასტერნაკს, ერთგვარი პარალელი გაავლოს

თანამედროვე მწერლებთან, რომლებიც მისივე მეგობრები არიან (საუბარია რუს პოეტებზე) და რომელთა შემოქმედებაში ვერ ხედავს ამ იდუმალს, თუმცა აღარ განავრცობს: „... ეს ძალიან გააჭიანურებს წერილს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 168). სწორედ ამას ისაკლისებს თავის რეალობაში და აგნებს საქართველოში.

ამდენად, საქართველო და თბილისი პასტერნაკისთვის შთაგონების ახალი წყარო ხდება. ეს ქალაქი, აქ მცხოვრები ადამიანები, ყოველივე აქ ნახული და განცდილი მისთვის ისეთივე ცენტრად იქცევა, როგორც იყო შოპენი, სკრიაბინი, მარბურგი, ვენეცია და რილკე. სურს, უახლოეს მომავალში ცალკე თავი მიუძღვნას თბილისს და ქართველ მეგობრებს „დაცვის სიგელში“. სურს, ეს ყოველივე სიტყვებად აქციოს. „...მე მწერალი ვარ და ეს ყოველივე სიტყვად უნდა გარდავქმნა, ამ ყველაფერს ფორმა უნდა მოვუძებნო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 31).

შოპენი, სკრიაბინი, მარბურგი, ვენეცია, რილკე - სწორედ ისაა, ვინაც და რამაც უდიდესი როლი ითამაშა პასტერნაკის პიროვნებად და შემოქმედად ჩამოყალიბებაში. ბავშვობაში დედის მიერ შესრულებული შოპენის მოსმენამ შემოქმედი გამოაღვიძა მომავალ პოეტში. 1903 წელს მის ცხოვრებაში სკრიაბინის გამოჩენა კი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. სწორედ სკრიაბინის რჩევით გადავიდა პასტერნაკი იურიდიული ფაკულტეტიდან ფილოსოფიურზე, რასაც მარბურგში გამგზავრება და ფილოსოფიაში ცოდნის გაღრმავება მოჰყვა. მართალია, მან ფილოსოფიას მწერლობა ამჯობინა, თუმცა მიღებული გამოცდილება გრაფიკაში, მუსიკასა თუ ფილოსოფიაში უკვალოდ არ გამქრალა. ლევ ოზეროვი ამის შესახებ დაწერს: „არც ფერწერა, არც მუსიკა, არც ფილოსოფია უკვალოდ არ გამქრალა ბორის პასტერნაკისთვის. მისმა პირველივე წიგნებმა „დაი ჩემი, ცხოვრება“ და „ბარიერთა ზემოთ“ ცხადყო, რომ ლიტერატურაში მოვიდა ძლიერი ხელოვანი, რომელიც თავის თავში აერთიანებდა პლასტიკას, მეთოდოლოგიას, აზრს“ (Озеров, 1990). ლაზარ ფლეიშმანი კი აღნიშნავს, რომ ლექსი იქცა იდეის ანალიზისა და გადმოცემის ახალ მეთოდად (Флейшман, 2003, გვ. 9). შემდგომ რა თემასაც უნდა შეხებოდა პოეტი, რა სტილითაც უნდა ეწერა, ფილოსოფიური საფუძველი უცვლელ ნიშნად რჩებოდა მის პოეზიაში.

როგორც უკვე ითქვა, ბორის პასტერნაკს საქართველოში პირველი მოგზაურობიდან მოყოლებული სურდა ცალკე ნაშრომი თუ არა, ცალკე თავი მაინც დაეთმო საქართველოსთვის. 1956 წელს ამას მოახერხებს ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“. მისი ერთ-ერთი ნაწილი, „სამი ჩრდილი“ («Три тени»), მარინა ცვეტაევას, პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს მიეძღვნება. ისინი არა მხოლოდ პასტერნაკის მოგონებებში ცოცხლობენ, არამედ მისი „თანმდევი სულები“ არიან. „რისთვის გამომიგზავნა განგებამ ეს ორი ადამიანი? რა დავარქვა ჩვენს ურთიერთობას? ორივე ჩემი პირადი სამყაროს ნაწილად იქცა. არც ერთს არ ვამჯობინებდი მეორეს, იმდენად განუყოფელნი იყვნენ, ისე ავსებდნენ ერთმანეთს. მათი ბედი ცვეტაევას ბედთან ერთად უნდა ქცეულიყო ჩემს ყველაზე დიდ მწუხარებად“ (Пастернак Б. , 2004, გვ. 341) - წერს იგი ტიციანისა და პაოლოს შესახებ.

როგორც მარია ფილინა და ელენე ყიასაშვილი აღნიშნავენ თავიანთ სტატიაში „თვითშეწირვა - შემოქმედების მიზანი“, პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს რომ ტრაგიკული ბედი ელოდათ, პასტერნაკმა მაშინვე იგრძნო, როგორც კი საქართველოში ჩამოვიდა უკვე როგორც შემოქმედებითი ბრიგადის წევრი. საერთო ზეწოლის ატმოსფერო ქართულ პოეზიაშიც შემოჭრილიყო (Мария Филина, Елена Киасашвили, 1990). წინასწარ გრძნობდა, რაც ელოდათ ამ ადამიანებს. თუმცა ამის გამო უარი არ უთქვამს მათთან მეგობრობაზე, პირიქით. ამის დასტურად სტატიის ავტორებს მოჰყავთ ნაწყვეტი წერილიდან, რომელსაც 1933 წელს პასტერნაკი თბილისიდან თავის მეუღლეს, ზინაიდას, სწერს. იგი აღნიშნავს, რომ სულ უფრო მეტად გრძნობს პაოლოს და ტიციანის საერთო უპირატესობას მაშინ, როცა მათ არავითარი ოფიციალური მხარდაჭერა არ აქვთ და გასავრცელებლად რეკომენდებული ავტორების სიიდან იღებენ. ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდის პასტერნაკში მათი უპირატესობის რწმენას: „წარმატებას მომიტანდა ამ ადამიანების უარყოფა. მით უფრო ცხოველი იქნება ჩემი მათდამი ერთგულება...“ (Пастернак Б. , 2005, გვ. 693). ხელისუფლების სამიზნედ ქცეული პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე უფრო ახლობლები გახდნენ პასტერნაკისათვის სწორედ ასეთი ხვედრის გამო.

პაოლოს სიკვდილით გამოწვეული სასოწარკვეთილი მდგომარეობაა აღწერილი 1937 წლის 28 აგვისტოს პაოლოს მეუღლესთან, თამართან, მიწერილ წერილში. პასტერნაკი იხსენებს თითოეულ წვრილმანს, რაც პაოლოს უკავშირდება: „მოგონება ჭრილობებს მაყენებს, ტიკვილს სიგიჟემდე მივყავარ, საყვედურით ჯანყობს: რა დანაშაულისთვის დავისაჯე ამ სამუდამო განშორებითო?“ (პასტერნაკი, 2018, სტრ. 63). თავად ქართველებს შორისაც ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ასე რომ განეცადა და თუ განიცადა, ამგვარად გამოეხატა პაოლო იაშვილის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. ქართველი მეგობრების თავს დამტყდარი ტრაგედია თავის ფუნქციას ასრულებს: მწერალში უდიდეს თანალმობას და შიშს იწვევს. თავადაც ხომ იმ ეპოქის შვილია. მაგრამ პასტერნაკმა ისაც კარგად იცის, რომ პაოლო იაშვილისა და ტიცვიან ტაბიძის სახელები არამარტო მის მეხსიერებას, არამედ შთამომავლობას შემორჩება: „და აი, იტყვიან: შთამომავლობისგან შემონახული ეს სიცოცხლე დასრულდა 37 წლის ზაფხულშიო“ - წერს იგი პაოლოზე (პასტერნაკი, 2018, გვ. 63). ამიტომ შიშისა და თანალმობის გამომწვევი ეს ტრაგიკული ბედი პაოლოსი საშურველიც კი არის ეპოქის დიდი მოაზროვნისათვის.

როგორც ვიცით, პაოლო იაშვილი პასტერნაკის ცხოვრებაში მაშინ გამოჩნდა, როდესაც ამ უკანასკნელს პირად ცხოვრებაში სირთულეები ჰქონდა და მას და მის თანამგზავრს, რომელიც შემდგომში პასტერნაკის მეორე ცოლი გახდა, თავშესაფარიც კი არ გააჩნდათ. ეს იყო 1930 წლის ზამთარში. პაოლო მეუღლესთან ერთად მოსკოვში ჩავიდა და დაუმეგობრდა პასტერნაკს. მან თბილისში წასვლა შესთავაზა რუს პოეტს. საქართველოში გამგზავრება საუკეთესო გამოსავალი იყო. მაშინ პასტერნაკისთვის კავკასია და საქართველო აღმოჩენად იქცა: „ხალხურ თქმულებათა მისტიკისა და მესიანიზმის მთელი სიმბოლიკა, რომელიც ცხოვრებას წარმოსახვებით განაგებს (როგორც კათოლიკურ პოლონეთში) და თითოეულს პოეტად აქცევს“ - აღფრთოვანებული წერს პოეტი თავის ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“ (Пастернак Б. , 2004, გვ. 341).

პასტერნაკი პაოლო იაშვილთან მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ საქართველოზე და ქართველ მეგობრებზე მოგონებები გამოჰკვებავს მთელ მის შემდგომ შემოქმედებას მანამ, სანამ მას არ შეცვლის სხვა, მსგავსი „ცენტრი“. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდი როლი ითამაშა საქართველომ და ქართულმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ პასტერნაკის შემოქმედებაში. როგორც მარია ფილინა და ელენე ყიასაშვილი აღნიშნავენ, საქართველო პოეტისთვის იქცა „ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ორიენტირად“ (Мария Филина, Елена Киасашвили, 1990). ისე შეიპყრობს საქართველოზე მოგონებები, რომ მის მაგივრად მუშაობენ. „შეპრობილი ვყავარ ამ მოგონებათა წრეს: უკვე იგი მწერს, როგორც ტიცინი იტყოდა“ - წერს პასტერნაკი პაოლოს [„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“ - ტიცინ ტაბიძე, „ლექსი მეწერი“] (პასტერნაკი, 2018, გვ. 31). მსგავსი განცდები და განცდათა გამოხატვის მსგავსი ფორმები აახლოებს ამ პოეტებს ერთმანეთთან. თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, პასტერნაკისთვის დაემსგავსოს საკუთარ შემოქმედებას, არა მხოლოდ თავად შექმნას, არამედ საკუთარი თავიც შეაქმნევინოს მწერლობას, ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ წინა თავში, რომელსაც ლეიტმოტივად გასდევს სწორედ ტიცინ ტაბიძის ზემოთ ხსენებული სტრიქონი „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“, ვინაიდან იგი პასტერნაკის მსოფლხედვის გამომხატველიცაა.

ურალში მყოფი პასტერნაკი ახალ რომანზე მუშაობდა. მოქმედებაც ურალში უნდა განვითარებულიყო და ამიტომაც დასთანხმდა მწერალი სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის შემოთავაზებას ურალში გამგზავრების თაობაზე. „ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისა მხოლოდ იმიტომ მწამს, რომ ფიქრებით ოქროყანაში ვიქნები და იქიდან დავწერ ურალზე, და ეს საგნებში პოვებს გამოხატულებას“ - წერდა პასტერნაკი პაოლოს ურალიდან (პასტერნაკი, 2018, გვ. 32). წარმოსახვაში ოქროყანაში გადანაცვლება და იქ წერა მისთვის წარმატებული მუშაობის საწინდარია, შთაგონებას იქ პოულობს.

პასტერნაკს ქართული საზოგადოება შვებას ჰგვრიდა, ვინაიდან გრძნობდა, რომ იქ მარტო არ იყო, თავის მსგავსებს ხედავდა და ეს ამხნევებდა, იმედს აძლევდა. 1933

წლის 12 მარტს ტიციანს წერილს სწერს, სადაც მათთან, ტაბიძეებთან, ურთიერთობის შესაძლებლობას სასწაულს უწოდებს. ამ ადამიანებს შორის განსაკუთრებით ღრმა და გულწრფელი ურთიერთობები იბმება. მათი სიახლოვე კი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ერებს შორის მეგობრობის გამყარების, ერთმანეთის კულტურათა გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში, ვინაიდან ისინი რიგითი ადამიანები კი არ იყვნენ, არამედ გამორჩეული ფიგურები, რომელთაც უსმენდნენ, სჯეროდათ, უყვარდათ, მაგალითებად იხდიდნენ.

1933 წლის 6 დეკემბერს ტიციანისადმი მიწერილი წერილი მთლიანად ეძღვნება მოგონებებს საქართველოზე, თბილისზე და ქართველ მეგობრებზე, მოგონებათა იმ ჯაჭვს, რომელსაც „უდიდეს სიმდიდრეს“ უწოდებს, ვინაიდან შთაგონების წყაროდ ექცევა. მოსკოვში მიმავალი პოეტი შეჰნატრის ქართველ მეგობრებს, რომლებსაც საქართველოში ცხოვრების ბედნიერება ხვდათ წილად. „ბედნიერები ხართ! ბედნიერები! დიდი სიხარულით გაგიცვლიდით ჩემს ხვედრს, ასე რომ არ მიყვარდეთ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 42) - წერს პასტერნაკი ტიციან ტაბიძეს, რომელმაც შესანიშნავად იცის, რომ მისი ბედი და ბედისწერა ქართველობაა და არც ქართველობის უღელი აშინებს („დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“ - „მაშ, გამარჯვება“).

ამ მოგზაურობამ პასტერნაკის ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს. ტიციანისა და ნინოსადმი გამორჩეული სიყვარული და სიახლოვე ნათლად ჩანს პოეტის ყველა წერილში: „ახლობლებს, ძვირფასებს, სულით მონათესავეებს როდესაც გიწოდებთ, ეს ფუჭი სიტყვები როდია“ - სწერს იგი ტაბიძეებს (პასტერნაკი, 2018, გვ. 48). ფუჭი სიტყვები რომ არ ყოფილა, ამის მტკიცებაა მთელი შემდგომი ურთიერთობა და ის მხარში დგომა, მორალური თუ მატერიალური, რომელსაც იჩენს ქართველი მეგობრების მიმართ სიცოცხლის ბოლომდე პასტერნაკი. ეს ადამიანები განგებამ ერთმანეთთან სამუდამოდ დააკავშირა და ამას თავადაც გრძნობდნენ. „არც ისე დიდი ხნის წინ, როცა ჩემს უახლოეს მომავალს გავყურებდი და ვფიქრობდი, თუ ვისთან

ერთად მინდოდა ამ მომავლის გაზიარება, ყველაზე მეტად ტიცვიანზე მეფიქრებოდა“ - წერს პასტერნაკი ნინოს (პასტერნაკი, 2018, გვ. 50).

მე-20 საუკუნის პოეტებისთვის შემოქმედებითი ურთიერთობების გარდა, უდიდეს მნიშვნელობას იძენს მეგობრული კავშირები. მათთვის პოეზია და მეგობრობა განუყოფელია, ისინი არ არიან მარტოსული პოეტები, თუ არ ჩავთვლით გამონაკლისებს. იქნებ სწორედ ეს იყო მათი „ჯილდოც და სასჯელიც“. ამ მეგობრობით საზრდოობდნენ და ეწირებოდნენ კიდევ. როდესაც პაოლო იაშვილი ნინო ტაბიძეს, მაშინ ჯერ მაყაშვილს, შეხვდება პირველად, ეტყვის: მეგობრობაში ავთანდილობა ძალმიძსო, იგონებს ნინო. პაოლოს სიკვდილის შემდეგ ავთანდილობას ნინოს პასტერნაკი უწევს. ტარიელსა და ავთანდილს სწორფერი რაინდობა და მიჯნურობა აერთიანებთ, ტიცვიანისა და პასტერნაკის გამაერთიანებელი კი კალამია და მის წინაშე არავითარი ბარიერი არ არსებობს, აქ ყველაფერი „ბარიერთა მიღმა“.

1935 წლის გაზაფხულზე ტიცვიანი პაოლო იაშვილთან, ქართველ ფუტურისტ პოეტ ჟანგო ღოღობერიძესთან და სხვა პოეტებთან ერთად მოსკოვში იყო. ამჯერად პასტერნაკია მათი მასპინძელი. 10 მარტს პასტერნაკი ტიცვიანს იმ სულიერი მღელვარების შესახებ სწერს, რამაც ქართველი პოეტის გამგზავრების შემდეგ მოიცვა: „ტიციან, გეგონათ, რომ თქვენი აქ ყოფნა ჩემს ნაყოფიერ მუშაობას აფერხებდა. არადა, როგორ ვმუშაობდი, სანამ მოსკოვში იყავით! ახლა კი თითქოს ერთბაშად ყველაფერმა მიზანი დაკარგა, მხოლოდ ნაცრისფერი, დამაუძღურებელი სიცარიელეა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 52). ურთიერთობები შთააგონებთ, შემოქმედებითად მუხტავენ ერთმანეთს.

სწორედ ამავე პერიოდში ბორის პასტერნაკი ჯანმრთელობის გაუარესების გამო ევროპაში მიემგზავრება სამკურნალოდ. სამშობლოს მოშორებულ პოეტს უჭირს მარტოობაში ყოფნა, რილკეს წერილთან და მეუღლეზე ფიქრებთან ერთად თილისმასავით დააქვს ტიცვიანის წერილი. უძილობებით გატანჯული პოეტი ამ წერილს ღამ-ღამობით ბალიშის ქვეშ იდებს იმ რწმენით, რომ სანატრელ ძილს მოუტანს. წერილში, რომელიც პასტერნაკმა პარიზში გამგზავრებამდე რამდენიმე

დღით ადრე მიიღო, ტიცინი წერს: „თქვენთან შეხვედრები ჩემთვის განსაწმენდელია - მხოლოდ მაშინ ვუბრუნდები პოეზიას. უნდა ვაღიარო, რომ დიდი ხანია ასეთი გრძნობა არ მქონია, ასეთი რამ სიჭაბუკეში ხდება ხოლმე, პირველი სიყვარულის ციებ-ციხელებისას“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 55 (კომ.1)). ეს სტრიქონები სიკეთის, მომავლის, საკუთარი თავის რწმენას უნერგავს რუს პოეტს, „თილისმაა“ მისთვის იმ მძიმე პერიოდში.

ზოგჯერ ბორის პასტერნაკის სტრიქონები მკითხველს შესაძლოა პათეტიკურად მოეჩვენოს და ეს გასაგებიცაა, მათი ავტორი პოეტია. თუმცა, თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მის სიტყვებს ყოველთვის ახლავს საქმე, ცხადი გახდება, რომ მხოლოდ იმას ამბობს და წერს, რასაც ნამდვილად განიცდის. პასტერნაკის სიყვარული სწორედ საქმეში ვლინდება. მისი თანადგომა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე იჩენდა ჯერ ტიცინისადმი, ხოლო პოეტის დაპატიმრების შემდეგ - მისი ოჯახისადმი, ამის ნათელი მაგალითია. ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, ტიცინი პოლიტიკური ბრალდებების სამიზნე გახდა. პასტერნაკი გვერდში უდგას და ამხნევეს. მაშინ არსებულ ვითარებაში პოეტის მხრიდან ეს დიდ გამბედაობას მოითხოვდა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირიქით, სწორედ ეს იყო უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორი ტაბიძეებთან დაახლოებისა, ერთ ბედქვეშ ყოფნის ფაქტორი. „ნინა, ნინა, აი, რა მინდა თქვენგან! ყველა ვითარებაში, როგორც არ უნდა გვარგუნოს ზეცამ, იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ მთელი ჩემი არსება და შეგნება თქვენ და ნიტას გეკუთვნით, თქვენს განკარგულებაშია“ - მისწერს პასტერნაკი ნინოს უკვე ტიცინის დაპატიმრების შემდეგ, 1939 წლის დეკემბერში (პასტერნაკი, 2018, გვ. 73). მან სიტყვა შეასრულა და სიცოცხლის ბოლომდე ზრუნავდა ნინოსა და ნიტაზე. მთელი ის პერიოდი, როდესაც იმის გარკვევაც კი ვერ ხერხდებოდა, ცოცხალი იყო ტიცინი თუ არა, პასტერნაკი გვერდიდან არ მოსცილებია მათ და არა მხოლოდ მორალურად ამხნევებდა, არამედ მატერიალურადაც ეხმარებოდა.

პაოლო იაშვილის გარდაცვალებამ და ტიცინ ტაბიძის დაპატიმრებამ თითქოს გაანელა პასტერნაკის საქართველოში ჩამოსვლის სურვილი. ისე აღარ მოიჩქარის აქეთ.

ამ პერიოდში პასტერნაკს ინტენსიური მიმოწერა აქვს ნინო ტაბიძესთან. მათი ზრუნვის, ფიქრისა და საუბრის მთავარი საგანი ტიციაანია, მუდმივად მისი ხსნის გზების ძიებაში არიან. ნინოს ბოლომდე სწამს, რომ ტიციაანი ცოცხალია და პასტერნაკი არც ამ რწმენაში ტოვებს მარტოს, მიუხედავად იმისა, რომ თავად ნაკლებად სჯერა უკვე. 1940 წლის 15 მაისს პოეტი ნინოს წერილს უგზავნის და სთხოვს, გააგებინოს, შეძლებს თუ არა მასთან ჩასვლას. თუ ნინო ვერ ჩავა მაშინ თავად პასტერნაკი ეწვევა. არ სურს გადადოს მცდელობანი ტიციაანის დასახმარებლად, მიუხედავად იმისა, რომ იცის, ეს მოგზაურობა მისთვის რთული იქნება: „ყველა მხრიდან მომაწყდებიან მოგონებანი და ხელახალი სიმწვავით ვიგრძნობ, ვინ წამართვეს, როგორ დაუკარგეს ჩემს ცხოვრებას აზრი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 79). თავს არიდებს საქართველოში ჩამოსვლას, რადგან აქ ჩვეულებისამებრ არ შეეგებებიან ტიციაანი და პაოლო.

ნინო ტაბიძეს ინტელექტუალური, მორალურ-ზნეობრივი სიახლოვე და საერთო ღირებულებები აკავშირებს პასტერნაკთან. გარდა ამისა, პასტერნაკს, როგორც თავადვე აღნიშნავს, განსაკუთებით ხიბლავს ბედისგან დაჩაგრულები და გამორჩეულ სიახლოვეს გრძნობს მათთან. ნებისმიერ თემაზე ერთნაირად თავისუფლად საუბრობს ნინოსთან, იქნება ეს პოეზია, სასიყვარულო ურთიერთობები, საგაზეთო ინტრიგები თუ სხვა ყოფითი საკითხები. პაოლოსა და ტიციაანის შემთხვევაში სხვაგვარ ურთიერთგაგებასთან გვეკონდა საქმე. ეს იყო პოეტთა ერთ ენაზე საუბარი, ნახევრად ნათქვამის გაგება, საერთო პოეტური სამყარო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლების განმავლობაში პასტერნაკი და ნინო ერთმანეთს ამხნევენ და არ სურთ შეეგუონ იმ აზრს, რომ ტიციაანი ცოცხალი აღარაა. რუსი პოეტი ნინოსთან მიმოწერის ყველა ეტაპზე ხაზს უსვამს ტიციაანის მნიშვნელობას მის ცხოვრებაში. ერთ-ერთ წერილში სწერს თავის უცვლელ ადრესატს: „ტიციაანი ჩემი არსების ძირეული სახეა, იგი ღმერთია ჩემი ცხოვრებისა, ბერძნული და მითოლოგიური გაგებით. ალბათ, ვერ ვიქნებოდი ასეთი ბედნიერი, ასე ვერ მეყვარებოდი, ვერ დაიკავებოდი ამხელა ადგილს დროში და არ მექნებოდა ამხელა მოლოდინები მომავლისგან, ტიციაანი რომ არ მელოდეს წინ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 88).

პასტერნაკის ცხოვრებიდან ტიცინის სამუდამო გაქრობა არ ნიშნავს მხოლოდ ახლო მეგობრის დაკარგვას. ეს იდეებისა და იმედების მხსვრევის ტოლფასი იქნება მისთვის. პოეტი მუდმივად ამხნეებს ნინოსაც და საკუთარ თავსაც, ეს რწმენა თავადვე სჭირდება, ვინაიდან ტიცინის მოლოდინი იმ ყველა მოლოდინის სიმბოლოდ იქცა, რომელთა გამართლების იმედიც აქვს და იმისთვის, რომ ცხოვრება და მუშაობა შეძლოს, უნდა სწამდეს ამის.

ნინოც, თავის მხრივ, ძალისხმევას არ იშურებს, რომ თვითონაც თანადგომით უპასუხოს პასტერნაკს. როდესაც პოეტის გერს ჭლეტი აღმოაჩნდება, იგი სწორედ ნინოს მიმართავს თხოვნით, დაეხმაროს თბილისში რამე შესაბამისი დაწესებულების პოვნაში, სადაც ადიკს მოათავსებენ (პასტერნაკი, 2018, გვ. 93). პასტერნაკის თხოვნითვე, 1957 წლის იანვარში ნინომ უმასპინძლა ფრანგ სლავისტს, ჟაკლინ პრუაიარს, რომელთან ურთიერთობაც მნიშვნელოვანი იყო პასტერნაკისათვის, რამდენადაც მასზე იყო დამოკიდებული „ექიმი ჟივავოს“ ფრანგული გამოცემა. ნინო ყოველთვის მზად არის, მხარში ამოუდგეს პასტერნაკს, თუნდაც ეს საფრთხეს წარმოადგენდეს მისი ოჯახისათვის.

1945 წლის შემოდგომით ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესათვის პასტერნაკი საქართველოში ჩამოვიდა თავისი თარგმანით. მოსკოვში 30 ოქტომბერს დაბრუნდა. 1 ნოემბერს კი ნინოს წერს დიდი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით აღსავსე წერილს, რომელიც მთლიანად საქართველოში გატარებული დღეების გახსენებაა. საქართველოს, აქ გატარებულ დღეებს მაცოცხლებელი ძალა აქვს პასტერნაკისათვის. მოსკოვში დაბრუნებული ჯერ კიდევ თბილისში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებების ქვეშაა. ფიქრებით ჯერ ისევ საქართველოშია, მიდის მოსკოვის ქუჩებში და აცნობიერებს, რომ მხოლოდ ფიზიკურად დაბრუნდა სამშობლოში, სულით და გულით კი იქ, ნინოსთან, სიმონ ჩიქოვანთან და ლეონიძეებთან ერთად არის. მაშინდელი მისი ცხოვრება მოსკოვში მხოლოდ ბიძგს აძლევს რომანის დასაწერად.

ბარათაშვილის იუბილესათვის საქართველოში ჩასული პასტერნაკი განსაკუთრებით დაუახლოვდა სიმონ ჩიქოვანს, რომელიც თავადაც იმყოფებოდა მოსკოვში 1946 წლის აპრილში ქართული ლიტერატურის დეკადაზე ქართველ კინომსახიობებთან, თამარ ჭავჭავაძესა და ნატო ვაჩნაძესთან ერთად. სიმონ ჩიქოვანსა და პასტერნაკს შორის მიმოწერაც ამ პერიოდიდან გაცილებით ინტენსიურ ხასიათს იძენს. აქედან მოყოლებული ქართველ ადრესატებს შორის ყველაზე ხშირად, რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით ნინოს, სწორედ ჩიქოვანს სწერს პოეტი.

ამ პერიოდში პასტერნაკის შემოქმედებაში ახალი ეტაპი იწყება. თუკი ქართველ პოეტებთან მისი მიმოწერის დასაწყისში პოეტი აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა, ახლა იგი პროზაზე იწყებს მუშაობას. პროზაული ნაწარმოების შექმნა პასტერნაკის ოცნება და დარჩენილი ცხოვრების მთავარი მიზანია. „პროზის წერის დაწყება ხომ თქვენ შემიმსუბუქეთ, ბიძგი სწორედ თქვენ მიერ ნაჩუქარი ტიცციანის ფურცლები იყო“ - წერს იგი ნინო ტაბიძეს. ეს ჩვეულებრივი ფურცლები როდია, არამედ ახალი სტილის განმსაზღვრელად იქცა მწერლისთვის. „ტიციანის ფურცელმა განსაზღვრა ჩემი ახალი სტილი, თქვენ კი, ნინა, ჩემზე ლიტერატურული ზეგავლენა მოახდინეთ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 142).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ყოველივე, რაც საქართველოს უკავშირდება, პასტერნაკის შემოქმედებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს, პოეტისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მათგან მიღებული შთაბეჭდილებები შთაგონების წყაროდ ევლინება მწერალს. ამდენად, სიყვარული საქართველოსადმი, ქართველი მეგობრებისადმი, პასტერნაკისათვის საჭიროება და აუცილებლობაა. თავადვე აღნიშნავს ამას და ეგოისტს უწოდებს საკუთარ თავს: „...სიყვარულის ის სიტყვებიც, რომლებსაც, როგორც ყოველთვის, ახლაც გეტყვით, მხოლოდ ვიწრო, პირადი, სამართლიანობით გაუცისკროვნებელი აღტაცებაა თქვენი სახლით, თქვენი ქუჩებით, თქვენი ქალაქით, როგორც უზარმაზარი სანთლის ერთგვარი მსუნთქავ-მოძრავი ალით; აღტაცებაა თქვენით, როგორც ამ ალის ისრითა და მახვილით“

(პასტერნაკი, 2018, გვ. 145). პასტერნაკს არ ეშინია, იყოს ასეთი გულწრფელი, ვინაიდან იცის, ბოლომდე გაუგებს ნინა.

მკაცრი ცენზურის, მუდმივი დასმენების პირობებში, საქართველო და იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია ნანატრ თავისუფლებას ანიჭებს პასტერნაკს. „ოჰ, ნინა, ხალხისთვის რომ თავისუფალი ნება მიეცათ, რა სასწაული იქნებოდა, რა ბედნიერება!“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 144) - სინანულით წერს იგი. თუმცა ტიციანის მაგალითი საკმარისია პოეტისათვის იმის დასტურად, რომ შემოქმედებითი თავისუფლება დაუმარცხებელია და რომ მის გარეშე ხელოვნება ვერც იარსებებს. პასტერნაკი ხალხისთვის ნატრობს თავისუფლებას და არა - საკუთარი თავისათვის, ვინაიდან ამ სტრიქონების დაწერა უკვე ნიშნავდა თავისუფლებას.

როგორც აღვნიშნეთ, 1946 წლის დეკემბერში სიმონ ჩიქოვანი და მისი მეუღლე, მარიკა, მოსკოვში ჩადიან. ამ მოგზაურობამ კიდევ უფრო გააღრმავა ჩიქოვანთან პასტერნაკის მეგობრობა. მაშინ, როდესაც პასტერნაკს ყოველ მხრივ აკრიტიკებენ - მოხსენებაში „საბჭოთა კრიტიკის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ“ 1947 წლის 20 თებერვალს ა. ფადეევი პასტერნაკს ვიწრო თემებისა და რთულად აღსაქმელი პოეტური ფორმების გამო საყვედურობს, ხოლო მოხსენებაში „პასტერნაკის პოეზიის შესახებ“ ა. სურკოვი წერს, რომ პასტერნაკის ჩამორჩენილ რეაქციულ მსოფლხედვას არ შეუძლია პოეტის ხმა ეპოქის ხმად აქციოსო, ამგვარ ვითარებაში პასტერნაკი უდიდეს თანადგომას გრძნობს ქართველი მეგობრებისგან.

თითოეული ქართველი ადრესატისადმი პასტერნაკის სიყვარულის გამოვლინება - ეს მთელი საქართველოსადმი სიყვარულის გამოხატვაა. ამას თავად მწერალიც აღნიშნავს ნინოსთან მიწერილ წერილში. იმის გადმოსაცემად, თუ როგორ უყვარს ნინო, პასტერნაკი ერთ საინტერესო შემთხვევას იხსენებს, როდესაც, ერთ წვიმიან საღამოს საახლში აცილებდა ანა ახმატოვას. ქუჩაში მიმავლებს სახურავების კარნიზებიდან წვიმის წყალი ეღვრებოდათ. პასტერნაკი სპასკიზე უამბობდა რაღაცას. „ერთ ადგილას განსაკუთრებით გაძლიერდა წყლის ნიაღვარი, ხოლო ჩემი მხრიდან - ამაღლებული სიტყვებით სპასკის ქება. როდესაც ა. ა. ამ ჩანჩქერიდან გამოვიყვანე, მაგრად ჩავიკარი

გულში მისი ხელი. „კი მაგრამ მე ხომ სერიოზა სპასკი არ ვარ!“ - იყო პასუხი. ეს შესანიშნავი იყო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 175). ახმატოვამ კარგად იცის, რომ პასტერნაკის აღფრთოვანების საგანი იმ წუთას ს. სპასკია და პოეტი სწორედ ამ უკანასკნელის ხელს იკრავს გულში. პასტერნაკიც ამის დასტურად იხსენებს აღნიშნულ შემთხვევას. ნინომ იცის, რომ ეს გრძნობა იტევს სიყვარულს ტიციანისადმი, პაოლოსადმი, ზოგადად საქართველოსა და ქართველებისადმი, იტევს მათთან დაკავშირებულ მოგონებებს.

პასტერნაკის ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, „ფაუსტის“ თარგმანი, რომლის გამოცემასაც მოუთმენლად ელოდა პოეტი, ასევე, გარკვეულწილად დაკავშირებულია, უფრო სწორად, თავად პასტერნაკი უკავშირებს საქართველოს. იგი ნინოს უგზავნის „ფაუსტს“ და სწერს, რომ ორად გახიოს წიგნი, პირველი ნაწილი თავისთვის დაიტოვოს, ხოლო მეორე ნაწილი ეფემია ლეონიძეს მისცეს. ამას შემდეგნაირად ხსნის: „როცა მეორე ნაწილს ვთარგმნიდი, ელენამ უნებლიეთ მისი თვისებები შეიძინა, მას ტექსტში ისეთ სიტყვებს ვამღევი, რომლებიც ე. ა.-ს შეიძლება ეთქვა. მინდოდა მისთვის წამეწერა წიგნზე: წაიკითხეთ, რას წერს თქვენზე გოეთე მეორე ნაწილში-მეთქი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 222). არ წააწერს თუმცა ნინოს მისწერს თავისი სურვილის შესახებ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გამოკვეთს ამ მიმოწერის მნიშვნელობას პასტერნაკის შემოქმედებითი საკითხებისა თუ ბიოგრაფიული მომენტების კვლევის საქმეში.

ბოლო პერიოდში პასტერნაკსა და ნინო ტაბიძეს შორის ურთიერთობა დაიძაბა. მიმოწერა ისეთი სიხშირის აღარ არის და წერილებში საქმიანი საუბარი ჭარბობს. ამის მიზეზი ოლგა ივინსკაია იყო. ნინოსადმი მიწერილ ბოლო წერილში, რომელიც 1960 წლის 24 იანვრით თარიღდება, პასტერნაკი ნინოს სთხოვს, ნულარ ახსენებს ოლგას სახელს და ნურც სხვას წამოაწყებინებს მასზე საუბარს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ნინოსთან, რომელთანაც გამორჩეული სიახლოვე აკავშირებს და სწერს ყველაფერზე, თითქმის არ ახსენებს ოლგა ივინსკაიას, საკვანძო ფიგურას თავისი ცხოვრების ბოლო წლებში. ეს უსიამოვნება, რამაც თავი იჩინა პასტერნაკსა და ნინო

ტაბიძეს შორის, დავიწყებას მიეცა, როდესაც ამ წერილის მიწერიდან რამდენიმე თვეში პასტერნაკი ავად გახდა. ნინო, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ჯანმრთელობას უჩიოდა, მაშინვე გაემგზავრა პერედელკინოში და სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მის სასთუმალთან იყო ზინაიდასთან ერთად. შემდეგში ნინო მოიგონებს საოცარი სითბოთი და სინაზით აღსავსე მათ ბოლო საუბრებს.

ბორის პასტერნაკის შემოქმედებით ურთიერთობებზე როდესაც ვსაუბრობთ, პირველ ყოვლისა, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ის, თუ როგორ აისახა ეს ურთიერთობები ქართველ მეგობრებთან მიმოწერაში. ამ მიმოწერის სიხშირეს ზოგიერთ ადრესატთან განაპირობებს სქემიანი ურთიერთობებიც. მაგალითად, ბორის პასტერნაკს განსაკუთრებით აქტიური მიმოწერა აქვს სიმონ ჩიქოვანთან 1946 წელს, როდესაც გამოსაცემად მზადდებოდა ახალი კრებული («Грузинские поэты в переводах В. Пастернака»). ამის შემდეგ მიმოწერა ასეთი ინტენსიური აღარაა. ეს ის პერიოდია, როდესაც პასტერნაკი „ექიმ ჟივაგოზე“ მუშაობს. როგორც იქნა, საკუთარის შექმნის შესაძლებლობა მიეცა. ამიერიდან მხოლოდ წერილები აღარ წარმოადგენს მწერლის მსოფლხედვის, აზრებისა და განცდების გამოხატვის საშუალებას. ერთადერთი ადრესატი, რომელთან მიმოწერასაც მხოლოდ მიწერის მოთხოვნილება განაპირობებს და ეს უცვლელი რჩება სიცოცხლის ბოლომდე, ნინო ტაბიძეა.

საქართველო პასტერნაკის ცხოვრების ნაწილად იქცა, ქართველმა მეგობრებმა სამუდამო კვალი დატოვეს მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. „ახლა იურა ფრონტზე მყავს, 1916 წელია, იმედი მაქვს, გაზაფხულისთვის დავამთავრებ: უთხარით ნინასაც, ეს მისი რომანია“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 151-152) - სწერს პასტერნაკი სიმონ ჩიქოვანს 1948 წლის 10 იანვარს. იმ ფაქტს, რომ ნინომ ტიცვიანის გერბიანი ფურცლები აჩუქა ბორის პასტერნაკს და ეს უკანასკნელი რომანის გაგრძელების დაწერას სწორედ ამ ფურცლებზე აპირებდა, ვიგებთ ნინოსადმი მიწერილი წერილებიდან. თავის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ქმნილებას „ნინას რომანს“ უწოდებს. ამავე წერილს თან ახლავს სამი ლექსი ჟივაგოს ლექსების ციკლიდან: „განთიადი“ («Рассвет»), „სასწაული“ («Чудо») და „მიწა“ («Земля»). ლექსში „განთიადი“ გადახაზულია ორი სტროფი და იქვეა

ავტორის შენიშვნა: „ეს ორი სტროფი ზედმეტია. შეგიძლიათ ამოიღოთ ისინი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 152 (კომ.2)). ამდენად, გარდა იმისა, რომ აღნიშნული წერილები მთელ შემოქმედებით პროცესს წარმოგვიდგენს, ამასთანავე თარგმანებისა თუ ორიგინალური ნაწარმოებების დაუბეჭდავ ვარიანტებსაც შეიცავს.

სიმონ ჩიქოვანთან მიწერის მიზეზი გარკვეული მოვლენა ხდება ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა უძღვოდა 1951 წლის 29 აპრილის წერილს. კერძოდ, ამ პერიოდში სიმონ ჩიქოვანის მისამართით მწვავე კრიტიკას ჰქონდა ადგილი. პოეტი მწერალთა კავშირის პირველი მდივნის პოსტიდანაც მოხსნეს, რომელიც მას 1944 წლიდან ეკავა. პასტერნაკის სიტყვები თანაგრძნობას არ შეიცავს, ვინაიდან მას არ მიაჩნია, რომ ამით სიმონი დაზარალდა. ერთადერთი, რის გამოც პოეტი წუხს, ის არის, რომ სიმონსა და მის მოწინააღმდეგე მხარეს შორის ძალები უთანასწოროა. პასტერნაკი მარცხენა ლოყაში გარტყმის შემთხვევაში მარჯვენას მიშვერის პრინციპს სთავაზობს ქართველ პოეტს, ვინაიდან, მისი აზრით, ეს ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალია შექმნილი მდგომარეობიდან. პოეტის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება არსებული ვითარებისადმი და მუდმივი მცდელობა, რაც შეიძლება განზე გადგეს პოლიტიკური მოვლენებისაგან. პასტერნაკისათვის ცნობილია ტიცინის და მრავალი მისთანას ბედი და არ სურს იგივე გაიზიაროს ჩიქოვანმაც. იგი მუდამ საქმის კურსშია, რა ხდება ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში და ყოველთვის ინტერესდება ქართველი მეგობრების ბედით, რომელთა მიმართაც მუდამ თანადგომას იჩენს.

გამორჩეულ, თავისებურ ხასიათს ატარებს გიორგი ლეონიძისა და ბორის პასტერნაკის ურთიერთობა, მათი მეგობრობა და მიმოწერა. საინტერესოა, რომ პასტერნაკი ლეონიძეს საქართველოში პირველად ჩამოსვლის დღიდან იცნობდა, ისევე, როგორც მის მეუღლეს, ეფემიას, რომელსაც სრულიად შემთხვევით შეხვდა ქუჩაში. სწორედ ეს შეხვედრა და ეფემიასთან შემდეგი ნაცნობობა არის აღწერილი პასტერნაკის ლექსში «Как-то в сумерки Тифлиса...» (ციკლიდან „მხატვარი“, 1936 წ.). მიუხედავად ლეონიძეებთან სულიერი სიახლოვისა, სიყვარულისა და პატივისცემისა, პასტერნაკისა და ქართველი მწერლის მიმოწერა რამოდენიმე წერილს მოიცავს

მხოლოდ. ხშირად პასტერნაკი გიორგი ლეონიძის მისალოც დეპეშებსაც კი არ პასუხობს. თვითონ შემდეგნაირად ხსნის ამ ფაქტს: „ჩემს ხასიათში ბევრია ქალური, ტანჯული. რასაკვირველია, გამრჯე ვარ, შრომისმოყვარე, ბეჯითი. მაგრამ არ შემიძლია რაღაცის წამოწყება ცხოვრებაში, არ მიყვარს „ნაბიჯების გადადგმა“. ასე, ფართო მასშტაბით, რამდენჯერმე გამიტაცა და დამიმორჩილა ცხოვრებამ, სერიოზულმა სამუშაომ და ალბათ, ისღა დამრჩენია, ასევე დავემორჩილო სიკვდილსაც. აი, მთელი პროგრამა, კვლავაც იგივე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 178). ლეონიძეები უყურადღებოდ არ ტოვებენ პასტერნაკს, ანებივრებენ ქართული ღვინითა და ტკბილეულით. პოეტიც სიხარულით მოელის მათ თავისთან.

მიუხედავად წერილების სიმწირისა, მკითხველისათვის შეუმჩნეველი არ რჩება პასტერნაკისა და ლეონიძის ღრმა ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. მაგრამ პასტერნაკს, თითქოს, მოგონებებში უყვარს ლეონიძე, ანდა - მოგონებებით. მათი ურთიერთობა არ არის ცოცხალი, სასაუბრო თემა კი უფრო წარსულია, ვიდრე - აწმყო. იქნებ ამას ისაც უშლიდა ხელს, რომ გამორჩეული პოეტური ბუნების მქონე პასტერნაკს განსაკუთრებულ აღტაცებას ჰგვრიდა ეფემია, რასაც ლეონიძეც ხვდებოდა, როდესაც მასზე აღფრთოვანებით მოსაუბრე პოეტს უსმენდა. სწორედ ამის შესახებ სწერს თვალთვამეს პასტერნაკი: „ლეონიძის ოჯახმაც ძალიან გაგვახარა, რაზეც ვისაუბრეთ კიდევ სახლში. მხოლოდ ეფემია ალექსანდროვნაზე საუბრისას წავიბორძიკე რამდენჯერმე, ვინაიდან ნესტანის მზერა დავიჭირე, მამას რომ მიაპყრო. ამ მზერიდან ცხადად ჩანდა, რომ სულელივით ვიქცეოდი. ეს საწყენია“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 205-206). გიორგი ლეონიძე და მისი ქალიშვილი, ნესტანი ვერ მალავენ გაკვირვებას, რომელსაც მათში პასტერნაკის ეს მისთვის ჩვეული აღტკინება იწვევს. იქნებ ბუნებითა და ხასიათით სხვაგვარ, ცისფერყანწელებისგან განსხვავებულ გიორგის არც ესმის მისი ცოლით ასეთი აღტაცება პასტერნაკისა. ეს კი ამ უკანასკნელის დაკვირვებულ თვალს არ გამორჩენია და აღნიშნა კიდევ გულისწყვეტით ფატმა თვალთვამესთან მიწერილ წერილში.

1959 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მის წერილებს ახალი ადრესატები უჩნდება. ამ პერიოდში განსაკუთრებით დაუახლოვდა ნიკოლო მიწიშვილის ქალიშვილს, მარინა მიწიშვილს, დავით კაკაბაძის ქვრივს, ეთერ კაკაბაძეს, ასევე, მამა-შვილ გუდიაშვილებს.

შემონახულია ლადო გუდიაშვილის შვილისადმი, ჩუქურთმასადმი, მიწერილი 4 წერილი. ერთ-ერთი მათგანი თბილისშია დაწერილი 1959 წლის 8 მარტს. ეს ის იშვიათი გამონაკლისია, როდესაც პასტერნაკი თბილისში ყოფნისას აქაურ მეგობარს სწერს. მართალია წერილი საკმაოდ მცირე ზომისაა, თუმცა - გრძნობებით აღსავსე. იგი ბარათი უფროა, რომლითაც თავის დიდ სიყვარულს უმტკიცებს პოეტი ჩუქურთმას. „თუ სანამ არ მოვკვდები, იქამდე გემახსოვრებით და რამეში დაგჭირდებით, იცოდეთ, რომ ჩემი საუკეთესო მეგობრების მოწინავე რიგებში ჩაგწერეთ...“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 272-273). მეორე წერილს კი ჩუქურთმა გუდიაშვილს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უგზავნის და პასტერნაკისავე თქმით, მისი ადრესატი მთელი თბილისია. ეს წერილი მთლიანად საქართველოში გატარებული დღეების ხსოვნას ეძღვნება.

წერილები რომ პასტერნაკის თვითგამოხატვის საშუალებაა და მწერალი პუბლიკისთვის წერს, ამის ნათელ მაგალითია რაისა მიქაძესთან მიწერილი წერილი, რომელიც მთელი ქართული საზოგადოებისათვის, ზოგადად, მკითხველისათვის, არის განკუთვნილი. იგი რაისას მიერ მიწერილი წერილის პასუხია. ეს უკანასკნელი სწერს პოეტს, რომ თბილისში იცნობენ, ახსოვთ და უყვართ, რაზეც პასტერნაკი პასუხობს: „არა, ჩემო ძვირფასო, თუკი სამი-ოთხი კაცი ჯერ კიდევ მიცნობს ამ ქვეყანაზე, ორი წლის შემდეგ ისინიც აღარ იქნებიან“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 168). მისი წინასწარმეტყველება არ გამართლდა და „ექიმმა ჟივაგომ“ პასტერნაკი სიცოცხლეშივე დაარწმუნა ამაში. რაც შეეხება ქართველ მეგობრებს, არც მათში გასცრუებია იმედი. ამის დასტურია მათთან მიმოწერა, რომელიც მისი სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა. „ქართულ ინტელიგენციასთან ბ. პასტერნაკის კავშირი, ასეთი ღრმა და ორგანული, მისი არსის ნაწილია“ - აღნიშნავენ მარია ფილინა და ელენე ყიასაშვილი თავიანთ სტატიაში (Мария Филина, Елена Киасашвили, 1990).

პირადი ცხოვრების დეტალებთან ერთად პასტერნაკის წერილებში მწერლის მრავალი მნიშვნელოვანი მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულება იჩენს თავს. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია შეფასებები, რომლებსაც იგი იძლევა საკუთარ თარგმანებზე. ძალზედ საინტერესოა მისი მოსაზრებები, ზოგადად, თარგმნის ხელოვნებაზე. მისთვის ნებისმიერი თარგმანი, რაც უნდა კარგი იყოს იგი, ძალადობაა დედანზე, განსაკუთრებით კი მისი თარგმანები. „ალბათ, სავსებით ვაუგვანოებ თქვენს შემოქმედებას, ვინაიდან ნებისმიერ ხელოვანს შემოქმედებით პროცესში უყალიბდება მყარი სიტყვათშეთანხმების საკუთარი იდეა, რომელიც ჩემს შემთხვევაში განსაკუთრებით უხეშია: მასში ბევრია დილექტანტური, ცხოვრებასთან ცუდად შერწყმული“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 35). ერთგვარად ბოდიშს იხდის ტიცციანის წინაშე არა იმიტომ, რომ ცუდად თარგმნა, არამედ საერთოდ რომ თარგმნა, რადგან მისი სიტყვებიდან გამომდინარე, თარგმანში თავისდაუნებურად იკარგება ავტორი.

1933 წლის შემოდგომით გაფორმდა ხელშეკრულება გამომცემლობასთან «Московское товарищество писателей» კრებულის „ქართველი ლირიკოსები“ («Грузинские лирики») თაობაზე. აქ უნდა დაბეჭდილიყო თანამედროვე ქართველი პოეტების რუსული თარგმანები. კრებულის მომზადება სსრ მწერალთა პირველ ყრილობამდე უნდა მოსწრებულიყო. წერილები ამ კრებულზე მუშაობის პროცესსაც ასახავს. პასტერნაკი ტიცციან ტაბიძეს სთხოვს, რომ როგორმე მიაწოდოს სათარგმნი პოეტების ავტორისეული პწკარედები ორიგინალის ფონეტიკური თუ ინტონაციური თავისებურებების მითითებებით და იქვე იძლევა საინტერესო დაკვირვებებსა და შეხედულებებს, როგორც თარგმნის პროცესის, ისე ქართული ენის თავისებურებების შესახებ: „ტიციან, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, როგორი პწკარედები მჭირდება. მართალია ქართულ ენაში მახვილი არ არის, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, ადმინიშნოთ, თუნდაც პირობითად, როგორ იკითხება ლექსი. მაგალითად, არასდროს გამიგია ეთქვათ ტა'ბიძე ან ტაბიძე', ყოველთვის ამბობენ ტაბი'ძე. ასევე, თქვენ კითხულობთ: ლე'ქსები და არა ლექსე'ბი ან ლექსები“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 40). პაოლო იაშვილი და ტიცციან ტაბიძე უკითხავდნენ პასტერნაკს თავიანთ ლექსებს,

პოეტი იმახსოვრებდა მათ ჟღერადობას და ცდილობდა თარგმანებში შეძლებისდაგვარად დაეცვა ზომა. ამ საქმეში მას ტიცციანის იმედი აქვს. იგი ამ მხრივ უფრო სანდო იყო, ვიდრე პაოლო, რომელიც მუდმივად დაკავებული იყო საზოგადოებრივ მოღვაწეობით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოცემულ თავში წერილებს არ მიმოვიხილავთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ წამოჭრილი საკითხებიდან გამომდინარე და მათ კონტექსტში.

პასტერნაკს მუდმივად აწუხებს ის ფაქტი, რომ ქართული ენა არ იცის და პწკარედების საშუალებით უხდება თარგმნა მაშინ, როცა დედნიდან აცდენა ენის ცოდნის შემთხვევაშიც გარდაუვალია. ამიტომაც სწერს იგი ტიცციანს: „...რაც შეეხება ჩემს ნაშრომებში დაშვებულ უზუსტობას, აქ ჩემი დანაშაული რამდენადმე შემსუბუქდება, თუკი კრებულს დავარქმევ „ქართველი პოეტებიდან“, ე. ი. სათაურში გაკეთებული აქცენტი სრულყოფილად გადმოცემის პრეტენზიიდან გადაინაცვლებს წყაროზე, საიდანაც მომდინარეობს ეს მცდელობანი. ამგვარი სათაურის წყალობით ჩემი სინდისიც დამშვიდებული იქნება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 35). მას არ სურს, დაკარგოს ავტორი თავისუფალი თარგმანით და შედეგად მკითხველს პრეტენზია გაუჩნეს არა მთარგმნელთან, არამედ - მწერალთან.

პასტერნაკს განსაკუთრებით უადვილდებოდა მუშაობა პაოლოს, ტიცციანის, ლეონიძის პწკარედებით: „თქვენი და ლეონიძის პწკარედების მიღებამდე ხელს არ მოვკიდებ იმათ, რომლებიც უკვე მაქვს სხვებისგან გამოგზავნილი - მოსაწყენია“ - სწერს იგი ტიცციანს (პასტერნაკი, 2018, გვ. 45). სწორედ პაოლო იაშვილმა დაიწყო მისთვის ვაჟა-ფშაველას „გველიმჭამელის“ პროზაული თარგმნა. თუმცა დასრულება ვერ მოახერხა. საბოლოოდ, „გველისმჭამელის“ პწკარედები ვალერიან გაფრინდაშვილმა მოამზადა. როგორც ბესარიონ ჟღენტისადმი მიწერილი წერილიდან ვიგებთ, კრებული უნდა დაწყებულიყო „გველისმჭამელით“. თუმცა პოემა ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში, 1934 წელს, შემდგომ კი შევიდა ვაჟა-ფშაველას კრებულში „პოემები“ 1935 წელს (პასტერნაკი, 2018, გვ. 38 (კომ.3)).

ქართველ ლირიკოსთა თარგმნა და კრებულის გამოცემა პასტერნაკის იმ პერიოდის უმთავრესი საზრუნავია. ამის შესახებ სწერს იგი ყველა თავის ქართველ ადრესატს. კრებული 1935 წელს გამოიცა მოსკოვში სახელწოდებით „ქართველი ლირიკოსები“ («Грузинские лирики»). მასში შესულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე აბაშელის, ვალერიან გაფრინდაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის, კოლაუ ნადირაძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას, სიმონ ჩიქოვანის, კარლო კალაძის, ირაკლი აბაშიძის ლექსების თარგმანები. შეიძლება ითქვას, რომ ამ პოეტთა შემოქმედების თარგმნა პასტერნაკის და თავად ამ ლირიკოსთა, განსაკუთრებით კი ტიციანისა და პაოლოს, უდიდესი ძალისხმევით მოხერხდა, ვინაიდან ის გარემოება, რომ რუსმა პოეტმა ქართული ენა არ იცოდა, ძალზედ ართულებდა საქმეს. როგორც თავადვე აღნიშნავს: „სამუშაოს ადვილად გავართმევდი თავს, ენა რომ ვიცოდე და თავად თარგმანთა მოშველიება არ მჭირდებოდეს“. ამიტომაც მისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, თუ როგორი იქნება პწკარედები: „უბრალოდ თავი წარმოიდგინეთ რუსი მთარგმნელის ადგილას და რუსული ენისა და ლექსის თქვენეული ცოდნის დახმარებით მიეცით მას ნათელი მითითებანი საზომის საწარმოებლად“ - სთხოვს პოეტი ტიციან ტაბიძეს (პასტერნაკი, 2018, გვ. 40).

პასტერნაკი უაღრესად თვითკრიტიკულია ქართული პოეზიის თარგმნის დროს. ამას, უმთავრესად, ენის არცოდნა განაპირობებდა. თარგმნისას, მით უფრო როდესაც პოეზიის თარგმნაზე ვსაუბრობთ, ინტერპრეტაცია გარდაუვალია, თანაც თუ მთარგმნელმა არ იცის ის ენა, საიდანაც თარგმნის. ეს პასტერნაკსაც კარგად ესმის. თუმცა იმის საჩვევებლად თუ სად არის სიზუსტის დაცვა ყველაზე მნიშვნელოვანი თარგმნის დროს, მაგალითად მოიხმობს ანენსკის მიერ თარგმნილ ჰაინეს “Ich grolle nicht” და აღნიშნავს: „შესაძლოა, უფრო ზუსტადაც უთარგმნიათ ჰაინე, მაგრამ ჩემს სმენაში მხოლოდ ეს თარგმანი ცოცხლობს და იგი მეჩვენება ყველაზე უფრო ზუსტად, იმიტომ, რომ იგი მიყვარს. ეს თარგმანი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია, ისევე, როგორც ჰაინეს ორიგინალი და სწორედ ამაშია მათი

უმთავრესი მსგავსება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 35-36). პასტერნაკის სიტყვებიდან ცხადია ის პრიორიტეტები, რომლებიც მისთვის უმთავრესია თარგმნის პროცესში. მისი აზრით, მნიშვნელოვანია სიზუსტე დაცული იყოს ჟღერადობის, განცდის, განწყობის გადმოცემისას და ტექსტისთვის იმავე ცხოველმყოფელობის შენარჩუნება, რაც დედანში აქვს. ამდენად, მთარგმნელს გაცილებით დიდი ამოცანა აკისრია, ვიდრე უბრალოდ აზრობრივი სიზუსტის დაცვაა. თუმცა, როგორც შემდეგ თავებში ვნახავთ, ეს შეხედულებები, შემოქმედებითი პრინციპები და პრიორიტეტები იცვლება დროთა განმავლობაში. სწორედ ამისთვის თვალის მიდევნებაა აღნიშნული ნაშრომის მთავარი მიზანი, ოღონდაც მხოლოდ ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილების საფუძველზე.

საქართველოში პირველი მოგზაურობიდან მოყოლებული, იგი თავისი ცხოვრების თითქმის ყველა ეტაპზე თარგმნის ქართველ პოეტებს. როგორც კი დრო გამოუჩნდება, პწკარედების თხოვნით მიმართავს ხოლმე ტიციანს. „იქნებ აპრილში ხანმოკლე დასვენების ნება მივცე საკუთარ თავს. ამ დროისათვის მომიძაადეთ და გამომიგზავნეთ თქვენი რამდენიმე შედარებით უფრო ლირიკული პწკარედი“ - სწერს იგი 1935 წლის 10 მარტს ტიციანს (პასტერნაკი, 2018, გვ. 52-53). „მნელი არ იქნება იმის წარმოდგენა, თუ როგორ შემძრა და გამამხნევა თქვენმა წინადადებამ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 53 (კომ.2)) - პასუხობს რუს მწერალს ტიციან ტაბიძე. თუმცა ამ თხოვნის შესრულებაზე უარს ეუბნება, ვინაიდან არ სურს პოეტის თავისუფალი დროით ისარგებლოს.

ტიციანისადმი 1936 წლის 8 აპრილს მიწერილი წერილი ერთ ყურადსაღებ ფაქტს შეიცავს. პასტერნაკი ქართველ პოეტს სწერს, რომ „ზნამიაში“ დასაბეჭდ ლექსებს გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნა მოხსნა იმის გამო, რომ ლექსების შინაარსიდან გამომდინარე პრობლემა არ შექმნოდა ქართველ პოეტს. საუბარია ლექსებზე, რომლებიც მოგვიანებით გაერთიანდა ციკლში „მხატვარი“. ლექსი «Скромный дом, но рюмка рому...» ხელნაწერებში გვხვდება სახელწოდებით „მეგობრის პირით“ («Устами друга») და აქვს მიძღვნა გიორგი ლეონიძისადმი. პოეტს არ სურს საფრთხე შეუქმნას

ქართველ მეგობრებს არსებული რეჟიმის პირობებში. მართალია, მათში თანამოაზრეებს ხედავს, მაგრამ ისიც იცის და გრძნობს, მისნაირებს რა მოელით.

პასტერნაკი პროზაზე მუშაობის დაწყების შემდეგაც აგრძელებს ქართველი პოეტების თარგმნას და ეს მუშაობა ინტენსიური ხასიათისაა, ისევე, როგორც მათი პირადი ურთიერთობები და მიმოწერა. ამ პერიოდში პროზის წერა იქცევა მის მთავარ მიზნად. „აი ნახავთ, დავწერ პროზას, რომელსაც, აგერ უკვე ორი დღეა, რაც ისევ მივუბრუნდი. ერთი ვიცი, იგი ცოცხალი იქნება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 60) - სწერს ტაბიძეებს. და, მართლაც, აქედან მოყოლებული პროზაზე, ცოტა მოგვიანებით კი „ექიმ ჟივაგოზე“, მუშაობა პასტერნაკის უმთავრეს საქმიანობად იქცევა.

ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის დაკარგვა საბოლოოდ აფხიზლებს პასტერნაკს. აღარ სურს „ცის ბინადრობა“, როგორც მას თითქოს სტალინმა უწოდა. აღარც მოვლენათა დამკვირვებლის ამპლუა აკმაყოფილებს. ტიციან ტაბიძის ახლობლებსა და მეგობრებს ბოლომდე სწამდათ ან სურდათ ერწმუნათ, რომ იგი ცოცხალი იყო და დაბრუნდებოდა. 1939 წლის 12 იანვარს პასტერნაკი სიმონ ჩიქოვანსა და მის მეუღლეს ახალი წლის დადგომას ულოცავს და გაყრილ მეგობრებთან მალე შეყრას უსურვებს. პასტერნაკი ამგვარად დაპატიმრებულ ქართველ მეგობრებს მოიხსენიებს. წერილში საოცარი ნოსტალგია იგრძნობა იმ ადამიანური ურთიერთობებისადმი, რომლითაც ყოველთვის განებივრებული იყო პასტერნაკი ქართველი მეგობრების მხრიდან. ბოლო დროს თავს დატეხილმა განსაცდელებმა ეს ურთიერთობები კიდევ უფრო ღირებული გახადა: „კარგად იცით, როგორ ვამაყობ თქვენით, როგორც ხელოვანით. მაგრამ უკვე აღარ ვანიჭებ ჩვენი არსებობის ამ მხარეს ისეთ მნიშვნელობას, როგორსაც აღრე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 70) - სწერს პასტერნაკი სიმონ და მარიკა ჩიქოვანებს.

ამ პერიოდისათვის იმართებოდა მწერალთა კავშირის მორიგი პლენუმი, რომელიც აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლის თავს ეძღვნებოდა და პასტერნაკიც მიწვეული იყო. სწორედ ამ პლენუმისათვის თარგმნა მან აკაკის ორი ლექსი: „გოგოლის ხსოვნას“ და „პოეტი“. ამ ჩამოსვლისას გეგმავდა პასტერნაკი „ჰამლეტის“ საჯაროდ წაკითხვასაც, რომელსაც ამ პერიოდში თარგმნიდა და ჯერ არც ჰქონდა

დასრულებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართული საზოგადოება ერთ-ერთი პირველი მოისმენდა ჯერ კიდევ დაუბეჭდავ თარგმანს. თუმცა ამ ჩამოსვლის მთავარი მიზეზი მაინც ნინო ტაბიძე იყო. რუსი პოეტი იმედს არ კარგავდა და ცდილობდა, ის მაინც გაეგო, ცოცხალი იყო თუ არა ტიცვიან ტაბიძე. ნინოს სახელით წერილიც მისწერა ბერიას, სტალინსა და ბოჩკოვს. სამივე წერილი პასტერნაკის ავტოგრაფია, ფანქრით დაწერილი. წერილში ნინო სთხოვს ბერიას, რომ სამართლიანობა აღადგინოს და ტიცვიანი გაათავისუფლოს.

წერილები რომ არსებითად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს, ამის მაგალითია 1943 წლის ივლისში პასტერნაკის მიერ ნინოსთვის მიწერილი წერილი, სადაც იგი თავისი წიგნის „ადრიან მატარებლებზე“ (1943) შესახებ სწერს. ციკლიდან „მგზავრის ჩანახატები“ ამოულია ლექსები ტიცვიან ტაბიძესა და პაოლო იაშვილზე. პასტერნაკმა იცის, რომ ამის გამო განაწყენდება ნინო და შემდეგნაირად უხსნის ამ ფაქტს: „მაგრამ რადგანაც არ შეიძლება იმათი დასახელება, ვინც, ზინასთან ერთად, ჩემი ერთადერთი ახალი ცხოვრება იყო რევოლუციაში, დაე, ნუ იქნება ნახსენები იმათგან ნურავინ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 98). უნდა აღინიშნოს, რომ ასევე ამოღებულ იქნა ნაწილი ლექსისა «Мне по душе строптивый норв...» ციკლიდან „მხატვარი“, სადაც სტალინზეა საუბარი.

ამ პერიოდში პასტერნაკს თარგმანს ინტენსიურად უკვეთავენ. მათ შორის არიან ქართველი ავტორებიც. თუმცა, პოეტი ყველაფერს როდი თარგმნის. მასალას თავად არჩევს. მისთვის ორჯერ უთხოვიათ „პრავდიდან“ გიორგი ლეონიძის ლექსების თარგმნა. თუმცა არ უთარგმნია. პირველმა ლექსმა, რომელიც სტალინზე იყო, არ დააინტერესა, ხოლო მეორე, მართალია, მოეწონა, მაგრამ ისე ვერ თარგმნიდა, როგორც საჭირო იყო, „მეორეულ პოზიციებზე“ საკუთარი თავის დადგენა კი არ სურს (პასტერნაკი, 2018, გვ. 100). ამდენად, პასტერნაკი თარგმნის იმას, რაც იცის, რომ გამოუვა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ პაოლოსა და ტიცვიანის შემთხვევაში თარგმანების წარმატებას დიდად განაპირობებდა პწკარედების შექმნა უშუალოდ ორიგინალის ავტორების მიერ. გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პაოლო თვითონვე

უკითხავდა ლექსებს ქართულადაც, რაც ეხმარებოდა ორიგინალის რიტმის, რითმისა თუ ზომის გათავისებაში. პასტერნაკი ნინოს საშუალებით ბოდინს უხდის გიორგი ლეონიძეს იმის გამო, რომ არ თარგმნის, თუმცა ჰპირდება, რომ მის შემოქმედებას ისეთივე სიყვარულითა და გულისხმიერებით წარადგენს რუსულენოვანი მკითხვეკლის წინაშე, როგორც ადრე.

ბორის პასტერნაკი თავის იმჟამინდელ მოღვაწეობას, როცა მხოლოდ თარგმნის, გადამწერის პროფესიას ადარებს და არ თვლის, რომ ეს არის სამწერლობო საქმიანობა: „გასამრჯელოს გამომუშავება ხომ დახარჯული მეღნის პროპორციულად მიწევს და არა - გაკეთებულის როლისა და ხარისხის პროპორციულად, მე ხომ ამაყი ვარ, ისევე, როგორც თქვენ, ნინოჩკა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 108). ეს სიტყვები ზუსტად ასახავს ბექდურ სივრცეში არსებულ იმდროინდელ რეალობას, რომლის გაძლევასა და გამკლავებაში პოეტს პირადი მიმოწერა ეხმარება, სადაც საშუალება ეძლევა გადაწერის გარდა, დაწეროს კიდევ.

1946 წლის 24 იანვარის წერილთან ერთად რუსი მწერალი ნინო ტაბიძეს უგზავნის სტატიას ბარათაშვილის შესახებ, რომელიც თავად გამომცემლობა „ოგონიოკმა“ სთხოვა მის მიერვე თარგმნილი ბარათაშვილის ლექსების კრებულისათვის. ეს სტატია აღნიშნულ გამოცემაში შემოკლებული სახით, ძლიერ სახეცვილი შევიდა, თან ყოველგვარი ხელმოწერის გარეშე (Николай Бараташвили. Стихотворения в переводе Б. Пастернака. М. 1946). პასტერნაკი კვლავაც დაუნდობლად კიცხავს ბექდურ სამყაროში არსებულ ვითარებას და ნინოს მისწერს ამ სტატიის შესახებ: „ყველა ჩემი სტატიის მწარე გამოცდილებით ვიცი, რომ ნებისმიერი აზრის არსებობა შობს საწინააღმდეგო აზრს, მითქმა-მოთქმას, აკრძალვებს. რომ არ შევაფერხო გამოცემა, გადავწყვიტე მეხსნა ისინი ამ განაწყენებისაგან და მოვიფიქრე დამეწერა ძალზე ბანალური ბიოგრაფია, ყოველგვარი პიროვნებისა და შინაარსის გარეშე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 121). ამის გამო პოეტი ბოდინს იხდის ნინოს წინაშე და სთავაზობს, მხოლოდ გართობის მიზნით წააკითხოს ჩიქოვანს და ლეონიძეს. თუმცა სხვა გზა არ აქვს პასტერნაკს. ეს ერთადერთი გამოსავალია, რომ არ შეყოვნდეს თარგმანის გამოცემა. ეს კიდევ ერთი

დასტურია მისი იმ უნიკალური უნარისა, გამოიჩინოს მოხერხებულობა და გამჭრიახობა და ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც მთავარ საქმეს არ დააზიანებს.

1947 წლის ზაფხული ნინო ტაბიძემ პასტერნაკებთან გაატარა. თბილისში მიმავალს პოეტი ბესო ჟღენტთან ატანს წერილს და ბარათაშვილის გადაკეთებულ თარგმანებს. ბესო ჟღენტი გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი იყო. სწორედ აქ იბეჭდებოდა პასტერნაკის ქართული თარგმანების კრებული. შემორჩენილია ჟღენტთან მიწერილი წერილი, რომელიც შეიცავს „მერანის“ პირვანდელ ვარიანტს («Лети, Мерани, конь мечты моей! / Пусть каркает вдогонку ворон чёрный. / Рвись без оглядки мыслию упорной / Без устали вперёд за грани дней» (პასტერნაკი, 2018, გვ. 151 (კომ.3)). ეს ვარიანტი არც ერთ გამოცემაში არ შესულა. წერილები ინახავს თარგმანთა ისეთ ვარიანტებს, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება.

ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილებში მკვლევართათვის საინტერესო ინფორმაციაა მწერლის ნაწარმოებთა, თარგმანი იქნება ეს თუ ორიგინალური ნაშრომი, შექმნის პროცესის ამსახველი პასაჟების შესახებ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იღებს და აფასებს მათ, ერთი მხრივ, საზოგადოება და, მეორე მხრივ, თავად ავტორი. თარგმნის პარალელურად, რაც ფაქტობრივად, პასტერნაკის შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო 40-50-იან წლებში, იგი პროზაზეც აგრძელებს მუშაობას. 1949 წლის დეკემბერში მოსკოვში ჩასულ ნინო ტაბიძეს იგი უკითხავს „ექიმი ჟივაგოს“ ორ თავს: „ძველთან გამოთხოვება“ და „მოსკოვის სადგომი“. თუმცა ეს არ არის საბოლოო ვარიანტი. პასტერნაკი ყოველი თავის დასრულების შემდეგ მეგობრების წრეში აწყობს საჯარო წაკითხვას და ისმენს მათ შეფასებებს. მისი ერთ-ერთი ასეთი შემფასებელია ნინო ტაბიძეც. პასტერნაკის პროზით გატაცებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მეგობრებში. როგორც თავად აღნიშნავს ნინოსთვის მიწერილ წერილში, ერთნი, მათ შორის ზინა, აქებენ და უწონებენ რომანს, ხოლო მეორენი კი, მათ შორის ლივანოვები, მიიჩნევენ, რომ პასტერნაკს განუზრახავს, საკუთარ თავზე თქვას უარი და მისთვის უჩვეულო ერთფეროვნებასა და ყოველდღიურობაში გადაეშვას. თუმცა თავად პასტერნაკი

სრულიად მშვიდად ხვდება ამგვარ შეფასებებს: „...ვინაიდან გამუდმებით მჭირდება მუშაობა გასამრჯელოსთვის, ცხოვრებამ, როგორც ჩანს, გაუცნობიერებლად, გამომიმუშავა ერთგვარი იმუნიტეტი და სრულიად გულგრილი გამხადა უკვე გაკეთებულის ბედისადმი, მასზე შექმნილი მოსაზრებისადმი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 171). ეს შეუვალობა, უგულებელყოფა განსაკუთრებით რომანის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს შეეხება.

1952 წლის სექტემბერში, 7 წლის შემდეგ პირველად, ნახავს ნიტას, ტიციანის ქალიშვილს. ეს შეხვედრა მოგონებებს აუშლის პოეტს, კიდევ ერთხელ დააფიქრებს ამ ადამიანების სიყვარულზე, ნიტას ნაკვთები დაკარგულ მეგობარს აგონებს, რომლის გარეშეც ასეთი საშინელია მისი ცხოვრება. თუმცა იქვე დასძენს: „მაგრამ, ამასთანავე, როგორ გითხრათ? ხშირად ვიჭერდი თავს იმაზე ფიქრში, რომ შეიძლება თქვენ და ნიტა სულ არ ყოფილიყავით დღეს ჩემთვის ასეთი ახლობლები, ჩემი თანასწორნი, თქვენი ცხოვრება ადვილად რომ წარმართულიყო, გყოლოდათ მანქანა, ყოფილიყავით ბედისგან განებივრებულები, ლაყბობით, მასხრობითა და უსაქმურობით წახდენილები“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 208-209). როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტს განსაკუთრებით უყვარს ბედისაგან ჩაგრულნი. ქალებიც ასეთები უყვარს. როდესაც ნატალია ივანოვა თავის წიგნში „პასტერნაკი და სხვები“ ელენა ვინოგრადისადმი პასტერნაკის გრძნობებზე წერს, აღნიშნავს: „ელენა ვინოგრადი მიეკუთვნებოდა იმგვარი ქალების ტიპს, როგორებიც ყოველთვის ძლიერ აღელვებდა პასტერნაკს, გატეხილი, განაწყენებული, სევდიანი, შეურაცხყოფილი სილამაზის მქონე ქალების ტიპს... და რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, სწორედ ელენასთანაა დაკავშირებული სიცილის, სიხარულის შეგრძნება“ (Иванова, 2003, стр. 67-68). პოეტი ამას თავადაც ხვდება და მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით სწერს ნინოს თავისი ამ თვისების შესახებ.

1956 წელს გამოქვეყნდა პასტერნაკის 7 ახალი თარგმანი ტიციანის შემოქმედებიდან. საინტერესო ცნობას შეიცავს 1956 წლის 7 მარტის წერილი, რომელსაც პასტერნაკი ნინოს უგზავნის ამ ახალ ლექსებთან ერთად და იქვე მათ შეფასებასაც იძლევა:

„მუხრანის ველზე სათქმელი ლექსები“ რთული და მეტყველია თავისი პოეტური აზროვნების მოძრაობით და შეიძლება თარგმანში მძიმე გამოძვიდა, იმაზე უარესი, ვიდრე ო<ლგა>-ს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 243). ამდენად, სწორედ ამ წერილის საშუალებით ვიგებთ, რომ ტიციან ტაბიძის კრებულში ამ ლექსის ივინსკაიასეული თარგმანი კი არ გამოქვეყნებულა, არამედ იგი პასტერნაკს ეკუთვნის.

1957 წელს გამოიცა ტიციანის ლექსების კრებული, რომლის შედგენაშიც უშუალოდ მონაწილეობდა ნინო. ამ პერიოდს მიმოწერაში პასტერნაკი საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს კრებულში შესული თარგმანების შესახებ. დადებითად აფასებს ნ. ტიხონოვის, პ. ანტოკოლსკის, ნ. ზაბოლოცკის თარგმანებს. განსაკუთრებით მოსწონს ს. სპასკი. მან კარგად იცის, თუ რა სიფრთხილე მართებს მთარგმნელს, რათა გადმოსცეს ის, რაც ორიგინალის არსს და მშვენიერებას წარმოადგენს. ბედნიერ შემთხვევითობად ასახელებს ისეთ გამონაკლისებს, როგორცაა გ. დერჟავინის „შეხვედრა კ. ბალმონტთან მოსკოვის ახლო ტყის ქალაქში“, ზაბოლოცკის „თავფარავნელი ჭაბუკი“ და ლ. მარტინოვის „ლექსის დაბადება“. საკუთარი ნამუშევრით უკმაყოფილოა გაპარული ბეჭდვითი შეცდომების გამო.

ბორის პასტერნაკს განსაკუთრებით მოსწონდა ტიციანის ბოლო წლების ლექსები. ამ ლექსებში თითქოს უკვე უჩნდება პოეტს წინათგრძნობა იმის თაობაზე, თუ რა იქნება ბოლოს და მის ამ შინაგან მდგომარეობას სწორედ ახლა განსაკუთრებით ეხმიანება ტაბიძის პოეზია. ეს თემა განსაკუთრებით ახლობელი სწორედ ამ პერიოდში ხდება პასტერნაკისთვის, მაშინ, როდესაც მრისხანების ახალი ტალღა დაატყდა მწერალს რომანის გამო. „გოსლიტიზდატთან“ მოლაპარაკების შედეგად „ექიმი ჟივაგო“ ითარგმნა პოლონურ ენაზე და მოსკოვის შემდეგ პოლონეთში უნდა გამოცემულიყო. თუმცა გამოცემა შეფერხდა გასაგები მიზეზების გამო. პოლონურ ჟურნალ „Opinie“-ს 1957 წლის პირველ ნომერში რომანის ნაწყვეტები მაინც დაიბეჭდა, რამაც ხელისუფლების ყურამდეც მიაღწია. პოლიკარპოვის მოთხოვნით, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით ზომების მიღების აუცილებლობაზე გამოთქვა აზრი, ჟურნალი დაიხურა. მთარგმნელები ანა კამენსკაია და სევერინ პოლაკი მოსკოვში

გამოიძახეს დასაკითხად. ნინოსთან მიწერილ წერილში პასტერნაკი აღნიშნავს, რომ არც კი იცის, რა მოელის. სრულიად შესაძლებელია, დააპატიმრონ. და თუ ეს ასე მოხდება, სთხოვს, რომ თბილისში წაიყვანოს ლეონიდი და ზინა. ცხოვრებამ საკმარისი მაგალითები აჩვენა პოეტს იმაში დასარწმუნებლად, რომ ამის რეალური საშიშროება არსებობდა. ამ საშიშროების შესახებ ღიად ესაუბრება ნინოს, თუმცა აფრთხილებს, რომ მათ შესახებ ნურავის ეტყვის, რათა ამან კრებულის ბედზე არ იმოქმედოს. პასტერნაკმა იცის, რომ მისნაირი „საექვო პირებისაგან“ თავს შორს იჭერენ. ამიტომ არ სურს, ზიანი მოუტანოს მათ საერთო საქმეს.

სწორედ ამავე მიზნით სთხოვს, რომ ნულარ იზრუნებს ტიცციანის კრებულში მისი თარგმანების შეტანაზე. თუკი აქამდე პასტერნაკს თარგმანებს მაინც უბეჭდავდნენ, „ექიმი ჟივავოს“ შემდეგ მწერალს ამაზეც პრობლემები ექმნება. იგი ნიტას სწერს, რომ ნინო უნდა შეეგუოს ამ რამდენიმე ლექსის ამოვარდნას, ან სხვას გადასცეს სათარგმნად. იცის, რომ წინააღმდეგობის გაწევით არაფერი გამოვა. იგი არასდროს იტყვის უარს რომანზე, შესაბამისად ხელისუფლების დამოკიდებულება მისდამი არ შეიცვლება, თუ უფრო არ გამწვავდა. საკითხი პასტერნაკის მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შესახებ 1958 წლის ნოემბერში დასვა პოლიკარპოვმა: „მოითხოვენ, რომ საბჭოთა მწერალთა კავშირში უკან დაბრუნება ვითხოვო, რაც თავისთავად გულისხმობს ჩემს წიგნზე უარის თქმას“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 276) - აღნიშნავს პასტერნაკი ნიტა ტაბიძესთან მიწერილ წერილში.

1959 წლის შემოდგომით პასტერნაკი ლეონიდის ლექსების თარგმანებზე მუშაობს. მათი პწკარედები ეფემიას, დაუტოვებია. თუმცა ამ სამუშაოზე არც თუ ისე დიდი ენთუზიაზმით წერს. მისი მთავარი საქმე ამ პერიოდში კალდერონია. პასტერნაკმა 1959-1960 წლებში გიორგი ლეონიდის რვა ახალი ლექსი თარგმნა.

მას შემდეგ, რაც სიმონ ჩიქოვანი ბარათაშვილის თარგმნას სთხოვს პასტერნაკს, ეს უკანასკნელი ერთ-ერთ წერილში თარგმნის პროცესს აღუწერს. ნახავს ბარათაშვილის მოსკოვურ და ლენინგრადის გამოცემებს, სადაც მოთავსებულია ს. სპასკის, პ. ანტოკოლსკის, მ. ლოზინსკის, კ. ლიპსკეროვის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ლ.

ბრიკის, იუ. ვერხოვსკის, გ. დერჟავინის და სხვათა თარგმანები. განსაკუთრებით გამოყოფს გაფრინდაშვილის თარგმანებს. როდესაც გაეცნობა იმას, რაც მანამდე გაკეთდა ამ მიმართულებით, პასტერნაკი სიმონს უზიარებს საკუთარ ჩანაფიქრს, თავად როგორ აპირებს თარგმნოს ბარათაშვილი: „აქედან უნდა შეიქმნას რუსული ლექსები, როგორც ამას ვაკეთებდი შექსპირიდან, შევჩენკოდან, ვერლენიდან და სხვ. ჩემი ამოცანა ასე მესმის. მთელი ეს დეკადები, კოლექტიური კითხვა, სამეცნიერო სტატიები ქართული ლექსის გადმოცემის შესახებ და შემდეგ თავად გადმოცემები, ყოველივე ეს სადეპარტამენტო, პირობითი მოვლენებია, რომლებიც ორმხრივ თავაზიანობას ეფუძნება, მკითხველისთვის კი აუტანელია. უნდა მიაწოდო, შეძლებისდაგვარად, რამე მსუბუქი, ახალი და უპირობო. ეს ბევრს საკამათოდ მოეჩვენება, იტყვიან, ზედმეტად თავისუფალი ბარათაშვილიაო, მაგრამ ეგ არ მაშინებს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 110-111). ამ პრინციპით თარგმნიდა პასტერნაკი და სიხარულს გამოთქვამს, რომ ბარათაშვილზე მუშაობასაც ამგვარადვე აგრძელებს: „...არა თუ არ მომიხდა წერის იმ მანერას შევლეოდი, რომლითაც ბოლო წლებში ვწერ, არამედ პირიქით, ბარათაშვილი აღმოჩნდა სამადლობელი საბაზი საიმისოდ, რომ რამდენიმე ნაბიჯით წინ წავიწიო ამ მიმართულებით“.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რა იყო და არის მიზეზი იმისა, ასეთ ინტერესს რომ იწვევს პასტერნაკის პირადი მიმოწერა და პროზის ჟანრადაა განხილული. შეიძლება ითქვას, რომ იგივე პრინციპი მოქმედებს მთარგმნელობით პროცესში. პასტერნაკისთვის, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც მხოლოდ თარგმანებს უბეჭდავენ, მთარგმნელობითი საქმიანობაც ასპარეზად იქცევა. რასაკვირველია, ეს არ გულისხმობს იმას, რომ პოეტის თარგმანებს კონგენიალურობა აკლია, თუმცა ქართველი პოეტების რუსულ ენაზე თარგმნისას ამ ცდუნებას ვერ გაურბის, იყოს ერთგვარი თანაავტორი და ამაზე თავადვე ღიად წერს წერილებში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თარგმნის პროცესი აისახა სიმონ ჩიქოვანთან მიწერილ წერილებში. თავდაპირველად, პასტერნაკი ყოყმანობდა, ეთარგმნა თუ არა „ბედი ქართლისა“. ამ პოემის გაფრინდაშვილისეული თარგმანი რუს პოეტს ძალიან მოსწონს

და მიაჩნია, რომ ჯობს გაკეთებულით დაკმაყოფილდნენ. თუმცა, საბოლოოდ, ჩიქოვანის დაჟინებული თხოვნით, პოეტმა მაინც თარგმნა პოემა.

საკუთარი თარგმანების შესახებ ყოველთვის წერს ქართველ ადრესატებს. 1946 წლის თებერვალ-მარტში დაიბეჭდება სიმონ ჩიქოვანის ლექსების ახალი თარგმანები. 1946 წლის 25 იანვარს პასტერნაკი ჩიქოვანს „მერცხლის ბუდის“ თარგმანს უგზავნის და მის შეფასებას ელის. თავად ამ თარგმანს დედნის ღირსად არ მიიჩნევს: „მასში არის ცეცხლი, მოძრაობა, რაც აუცილებელია ასეთი ლექსისთვის და არ ვიცი, ვაი თუ გავაფუჭო, ზედმეტი კირკიტით რომ დავიწყო მასზე მუშაობა და ვაზუსტო ყველაფერი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 123). თარგმანმა მოწონება დაიმსახურა და მალევე დაიბეჭდა კიდევ.

სწორედ ამ პერიოდში მომზადდა კრებული „ქართველი პოეტები ბ. პასტერნაკის თარგმანებში“ («Грузинские поэты в переводах Б. Пастернака» («Советский писатель», 1946), რომელშიც შევიდა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სიმონ ჩიქოვანის ლექსები, ასევე, ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“. მზადების პროცესში პასტერნაკი ინტენსიურად სწერს სიმონ ჩიქოვანს. მისი მეშვეობით უკავშირდება გიორგი ლეონიძესაც, რომელთანაც უშუალო მიმოწერა არ აქვს. სწორედ სიმონის საშუალებით სთხოვს პასტერნაკი ლეონიძეს, რომ გამოუგზავნოს სათარგმნელად თავისი შემოქმედებიდან რაიმე არატენდენციური, ვინაიდან იცის, ტენდენციურს არ დაუბეჭდავენ. ამდენად, კრებულში ლეონიძის თარგმანების შეტანაც იგეგმებოდა. თარგმანების ახალი კრებულის გამოცემისათვის მზადება ტიცინასა და პაოლოს გაახსენებს. თითქმის 10 წლის წინ „ქართველ ლირიკოსებზე“ მუშაობდა. მათ შემოქმედებაზე ხელახლა დაფიქრებული პოეტი ჩიქოვანს აწერს: „სოვეტსკი პისატელისთვის“ შესათავაზებლად ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს ვითვლიდი და „ქართველი ლირიკოსები“ გადავავალიერე. გავოცდი, რაოდენ ახალი და საინტერესოა კვლავაც პაოლო!! ყველაფერი, რასაც იგი სამართლიანად ელოდა და მოითხოვდა მის თვალწინ მოხდებოდა უეჭველად. ალბათ მოუთმენლობამ გააწამა და მოულო ბოლო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 125).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პასტერნაკის კრებულში „ქართველი პოეტები ბ. პასტერნაკის თარგმანებში“ შედიოდა ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა, ხოლო მესამე ნაწილში ავტორს სურდა თანამედროვე პოეტების თარგმანები შეეტანა. თუმცა, სამწუხაროდ, ასე ვერ მოხერხდა. პასტერნაკი გარკვეულ სკითხვებს უთანხმებს და რჩევას ეკითხება სიმონ ჩიქოვანს. იგი თავისი კრებულისთვის თანამედროვე პოეტთა შერჩევას, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ მათი პოეზიის თარგმნა თავად შეძლოს. იგი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ პაოლოს თარგმნა ყველაზე მეტად გამოსდიოდა. მისი ზრით, ამ მხრივ, პაოლოს უახლოვდება ჩიქოვანი. სამაგიეროდ უჭირს ტიციანის და ლეონიდის თარგმნა, რასაც ძალზე განიცდის. პასტერნაკი მარიკას და სიმონს ეკითხება რჩევას იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება შეიყვანოს ჩიქოვანთან ერთად მესამე ნაწილში.

მიუხედავად ბორის პასტერნაკის დიდი სურვილისა, კრებულში ლეონიდის შეტანა ვერ მოხერხდა. პწკარედები დაგვიანდა. ლეონიდის ამოვარდნის შემდეგ პასტერნაკი აპირებდა კრებულში აკაკი წერეთელი შეეტანა. თუმცა მისი მხოლოდ სამი ლექსი ჰქონდა ნათარგმნი. ეს ლექსები 1940 წელს აკაკი წერეთლის იუბილესათვის თარგმნა: „გოგოლის ხსოვნას“, „პოეტი“ და „ავადმყოფი მგოსანი“. დარჩა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და სიმონ ჩიქოვანის პოეზიის თარგმანები. ამიტომაც, პასტერნაკი აპირებდა კრებულისათვის დაერქმია „სამი ქართველი პოეტი“ («Три грузинских поэта») ან „საქართველოს სამი პოეტი“ («Три поэта Грузии»). საბოლოოდ იგი გამოიცა სახელწოდებით „ქართველი პოეტები ბ. პასტერნაკის თარგმანებში“.

გიორგი ლეონიდის პწკარედების დაგვიანების გამო შეწუხებული პასტერნაკი დაჰპირდება პოეტს, რომ დაგვიანებით მიღებულ პწკარედებს აუცილებლად გამოიყენებს და შეასრულებს კიდევ პირობას. მისი თარგმანები 1947 წელს გამოცემულ გიორგი ლეონიდის ლექსების წიგნში შევიდა [გიორგი ლეონიძე, ლექსები. თბილისი, «Заря Востока», 1947].

სიმონ ჩიქოვანთან მიწერილი წერილები ძალზედ საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს თარგმანზე მუშაობის პროცესის, მათი გადაკეთების,

ჩასწორების, ვარიანტებზე მსჯელობის შესახებ. ამ წერილებში არაერთი საინტერესო და ყურადსაღები მოსაზრებაა გამოთქმული ორიგინალური ნაწარმოებების შესახებაც. „...როცა ვაგვიანებ და სიჩქარეში, გაბმით ვმუშაობ, აი მაშინ არის მუშაობა ჩემთვის ნამდვილი ნეტარება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 198) - სწორედ ერთ-ერთი ასეთი ციებ-ციხელებიანი მუშაობის შემდეგ წერს ამ სიტყვებს პასტერნაკი სიმონ ჩიქოვანს და მოკლედ აუწყებს რომანის ახალი ნაწილის იმ საჯარო წაკითხვის შესახებ, რომელზეც დაწვრილებით სწერს ნინო ტაბიძეს და რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. წერილში ორი საინტერესო ფაქტი იკვეთება: ერთი მხრივ, როგორ აფასებენ პასტერნაკის რომანს სხვები და ამ შეფასებებისადმი პოეტის დამოკიდებულება და, მეორე მხრივ, როგორია საკუთრივ პასტერნაკის შეფასება-მოსაზრებები.

გიორგი ლეონიძის მეუღლესთან, ეფემიასთან საუბრით მიღებული შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფი პასტერნაკი იწყებს ლეონიძის პოემის, „ნიკოლოზ ბარათაშვილის“, თარგმნას. ემოციებით აღსავსე უყვება მუშაობის პროცესზე სიმონ ჩიქოვანს 1952 წლის 14 ივნისს მიწერილ წერილში. ამ პოემის პწკარედები პასტერნაკს ჯერ კიდევ ზამთარში გადასცეს, თუმცა მაშინ უარი უთქვამს მის თარგმნაზე. ეფემიასთან შეხვედრამ ყოველივე შეცვალა: „დავიწყე ბარათაშვილის სიკვდილზე დაწერილი გიორგი ლეონიძის ლექსის რითმებით გამოხატვა რიტმულად. ლექსში ერთმანეთს ენაცვლება საავტორო ლექსები ამონარიდებით ბარათაშვილიდან და ეს ამონარიდები და კონტრასტები ალბათ ცხადად მხოლოდ ქართულად სწვდება ყურთასმენას, პწკარედში კი იკარგება და ვერ ითარგმნება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 199). ამიტომაც ფიქრობს, რომ თარგმანი არ გამოვიდა და ამის მიზეზად არასათანადოდ მომზადებულ პწკარედებსაც მიიჩნევს. პწკარედებიდან თარგმნა, მართლაც რომ, სპეცფიკურია და თუკი საერთოდ პოეზიის შედარებით ზუსტ თარგმანზე შეიძლება საუბარი, პწკარედებით ნათარგმნი პოეზია ყველაზე მეტად არის დაშორებული დედანს. თავად თარგმანს „უაზრობად“ აფასებს, ისე, რომ ჯერ არც კი მოუსმენია არც ლეონიძის და არც სხვა ქართველი პოეტების შეფასება.

რაც შეეხება რომანს, პასტერნაკი მისით აღფრთოვანებულია და არ ანაღვლებს, რას ამბობენ მის შესახებ სხვები. „იმ ადამიანთა უმეტესობა, რომლებმაც რომანი წაიკითხეს, მაინც უკმაყოფილოა, რომანს წარუმატებლად მიიჩნევენ, ამბობენ, რომ ჩემგან მეტს მოელოდნენ, რომ ეს უფერულია და მე არ მეკადრება. მე კიდევ ამ ყველაფერს რომ ვიგებ, ღიმილი მეფინება, თითქოს ეს ლანძღვა-გინება კი არა, ქება-დიდება იყოს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 200) - სწერს ჩიქოვანს. საინტერესოა აქ ის კონტრასტი, რომელიც ჩანს თარგმანებისა და რომანის შეფასების დროს. ეს პასტერნაკისთვის დამახასიათებელია. ის, რაც საყოველთაოდ აღიარებულია მის შემოქმედებაში და მოწონებული, არ აკმაყოფილებს, სამაგიეროდ, მიუხედავად ასევე საყოველთაო კრიტიკისა, აღფრთოვანებულია რომანით და ამას არ მალავს არც ერთ ქართველ ადრესატთან მიწერილ წერილში.

ბორის პასტერნაკმა, ფატმა თვალთვადის თხოვნით, წერეთლის სამი ლექსი თარგმნა და 1952 წლის 22 ივნისს მიწერილ წერილთან ერთად გაუგზავნა მას. ესენი იყო: „...ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“, „ქებათა-ქება“ და „ჩანგი“, რომლებიც შევიდა კრებულში: Акаки Церетели. Избранные стихотворения. М. – Л., 1953. „სირცხვილით ვიწვოდი, როცა ... ამ ნაცრისფერ სისულელეზე კეთილგანწყობით საუბრობდნენ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 204) - წერს პასტერნაკი სიმონ ჩიქოვანს და პირველ ყოვლისა სწორედ მის შეფასებებს გულისხმობს. სიმონი წერდა, რომ აკაკი წერეთლის ლექსები „ქებათა-ქება“ და „...ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“ მასში „განსაკუთრებულ აღფრთოვანებას“ იწვევდნენ და პირველ მათგანს „პოეტური თარგმანის შედეგრი“ უწოდა. ამ შეფასებებს დაუმსახურებლად მიიჩნევს.

მართალია, არც წერეთლის თარგმანებით არის კმაყოფილი, თუმცა თვალთვადესთან 1952 წლის 22 ივნისს მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ აკაკი ისეთ „სავალალო გაურკვევლობაში“ არ დაუტოვებია, როგორშიც ლეონიძე. იმ შემთხვევაში, თუკი დაიჟინებენ ამ თარგმანების დაბეჭდვას, პასტერნაკი თავად გამოსთხოვს უკან, რათა ოდნავ მაინც მისცეს ადამიანური სახე. იგი თვალთვადეს წერს, რომ არც ის ეწყინება, თუ გია მარგველაშვილი პწკარედებს სხვას გადასცემს სათარგმნად (პასტერნაკი, 2018,

გვ. 201). სწორედ გაი მარგველაშვილმა შეკრიბა და გამოსცა 1966 და 1980 წლებში ქართველ მეგობრებთან მიწერილი პასტერნაკის წერილები.

იმ ფაქტს, რომ წერეთელი უფრო წარმატებით თარგმნა, ვიდრე ლეონიძე, თავად პასტერნაკი შემდეგნაირად ხსნის: „საქმე ის კი არაა, რომ ერთ შემთხვევაში პოეზია კლასიკურია, ხოლო მეორეში - თანამედროვე, უბრალოდ ლეონიძე ქალაქში ვთარგმნე, წერეთელი კი ამ კვირაში, აგარაკზე, სადაც სიმშვიდე და სილამაზეა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 201). ლეონიძის შემთხვევაში საქმე გვაქვს, ასევე, არასათანადოდ შედგენილ პწკარედებთან, რაც, რასაკვირველია, უაღრესად აძნელებდა თარგმნას. აღნიშნულიდან ცხადი ხდება, თუ რამდენ სირთულესთან არის დაკავშირებული პწკარედებით მუშაობა. სწორედ ამიტომ სწერს პასტერნაკი სიმონ ჩიქოვანს, რომ აღარ აპირებს იმ ენებიდან თარგმნოს, რომლებიც არ იცის.

სიცოცხლის ბოლო წლებში პასტერნაკი მხოლოდ საკუთარს ქმნის, თარგმანები ძალზედ იშვიათია. თავისი შემოქმედების ამ მხარეზე უარის თქმის სურვილს ჯერ კიდევ 1952 წლის ივნისში გამოთქვამს თვალთვამესთან მიწეილ წერილში. 1957 წლის აგვისტოში კი გ. ბებუთოვს სწერს: „თარგმანებმა ჩემი მოღვაწეობის საუკეთესო წლები წამართვეს, ახლა ამ დანაკარგის ანაზღაურებაა საჭირო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 256 (კომ.2)). იქნებ ასე მტკივნეულად არ აღექვა ეს ფაქტი, მთარგმნელობითი მოღვაწეობა ორიგინალურის ხარჯზე რომ არ წარმართულიყო. პოეტს ენანება ის წლები, ვინაიდან საშუალება არ ჰქონდა, საკუთარი შეექმნა. აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას. ალბათ სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ტიცინ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის თუ სხვათა თარგმანები პასტერნაკის ორიგინალური შემოქმედების ხასიათს ატარებენ და მათში იმდენივეა ავტორისეული, რამდენიც -მთარგმნელისეული.

ბორის პასტერნაკის შემოქმედებითი ურთიერთობა, ცხადია, პირველ ყოვლისა, მთარგმნელობით საქმიანობაში გამოიხატებოდა და ამ მხრივ, მისი ამაგი ქართველი ერის წინაშე ფასდაუდებელია. ეს მთარგმნელობითი საქმიანობა, ისევე, როგორც ქართველ ინტელიგენციასთან სიახლოვე და მეგობრობა, არანაკლებ მნიშვნელოვანი

იყო რუსი მწერლისათვისაც, ვინაიდან, როგორც ვ. ბალუაშვილი აღნიშნავს: „საქართველოს ცხოვრებაში, მის ისტორიასა და კულტურაში ღრმად შეღწევა, ქართული კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობა, ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების თარგმანზე მუშაობა სტიმულს აძლევდა პასტერნაკის შემოქმედების ახალ აღმავლობას“ (ბალუაშვილი, 1990).

გარდა ამისა, წერილებში ასახვა პოვა როგორც მაშინდელმა საზოგადოებრივ-ისტორიულმა სინამდვილემ, ისე ბორის პასტერნაკის ლიტერატურულმა და საზოგადოებრივმა აზროვნებამ, რაც უმნიშვნელოვანესია მწერლის როგორც შემოქმედების, ისე მისი პიროვნების შესწავლის საქმეში. წერილებში ვხვდებით მსჯელობებს ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე, პოეზიაზე, თარგმანებსა და თარგმნის ხელოვნებაზე. შოპენის, სკრიაბინის, მარბურგის, ვენეციისა და რილკეს სიმალემდე აყვანა და გათანასწორება კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს საქართველოსა და ქართული ლიტერატურული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს როლზე პასტერნაკის შემოქმედებაში. საქართველოში მოგზაურობამ, ქართველ მოღვაწეებთან მეგობრობამ წარუშლელი კვალი დატოვა რუს მწერალზე. ამ ურთიერთობებმა არა მხოლოდ სამუდამოდ დაუკავშირა ბორის პასტერნაკის ცხოვრება საქართველოს, არამედ მისი სტილის განმსაზღვრელიც გახდა და ლიტერატურული ზეგავლენა იქონია მასზე, როგორც ამას თავადვე აღნიშნავს.

პირადი ცხოვრების დეტალებთან ერთად პასტერნაკის წერილებში მწერლის მრავალი მნიშვნელოვანი მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულება იჩენს თავს. წერილები სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის მკითხველს თარგმანზე პასტერნაკის მუშაობის თავისებურებათა შესახებ. პასტერნაკის თარგმანების წყალობით გაიცნო რუსულენოვანმა საზოგადოებამ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვა მისი თანამედროვე ქართველი ლირიკოსები.

ამდენად, პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევა მრავალ ასპექტში არის შესაძლებელი. ის იძლევა ფართო მასალას ლიტერატურის ისტორიისათვის, თარგმნის

ისტორიისა და თეორიისათვის, შემოქმედების ფსიქოლოგიისათვის და, ზოგადად, ეპოქის შესასწავლად.

4. 30-იანი წლები - „მეორედ დაბადებიდან“ რომან „ეკიმ ჟივაგომდე“

ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილებში ბორის პასტერნაკის პიროვნების და, შესაბამისად, მისი შემოქმედების, გრადაციის სრული სურათია ასახული. წერილები მრავალმხრივი კვლევის შესაძლებლობას იძლევა, განსაკუთრებით კი - ჩვენთვის საინტერესო საკითხებისა. ამ თავში გავანალიზებთ იმ გარდატეხებსა და ცვლილებებს, რომელთაც პასტერნაკი განიცდის დეპრესიის შემდეგ და რაც ასახვას პოეზიას მის მსოფლხედვაში. საკუთარი თავისა და რომანის წერის პროცესს ხანგრძლივი სამზადისი უძღვის წინ და ამ გარდატეხებს 30-იანი წლების მოვლენათა კრილში განვიხილავთ. ერთ-ერთი საკვანძო საკითხი მთავარი ნაწარმოების, რომანის ჩანაფიქრის მომწიფებას მიეძღვნება. წინამდებარე თავის მთელი პათოსი იმაში მდგომარეობს, რომ საკმაოდ ადრე, 1930-იანი წლებიდანვე გავიაზროთ ის მარცვალი, რომელიც თანდათან ღვივდება ბორის პასტერნაკის შემოქმედებით გზაზე და 50-იან წლებში გამოიღებს ნაყოფს.

რომანის დაწერის იდეა დიდი ხანი მწიფდებოდა და ხორცის შესხმასაც დიდი დრო დასჭირდა. ეს იყო ნაწარმოები, რომლის ჩასახვა, ჩამოყალიბება და დაბადება რეალური დროის მსვლელობისას უნდა მომხდარიყო. იგი არ უნდა დაწერილიყო პერსპექტივიდან. რომანში უნდა ასახულიყო ყველა ცოცხალი განცდა თავად ავტორისა. ეს არ უნდა ყოფილიყო ავტობიოგრაფიული ნარკვევი, რომელიც უკვე დაიწერა. „უნებლიე მეხსიერების“ მაპროვოცირებელი ლიმონის ნამცხვრის მაგივრობას (პრუსტისგან განსხვავებით) პასტერნაკს ჩაიკოვსკი გაუწევს. სწორედ იქიდან დაიწყებს საკუთარი ამბის მოყოლას ავტობიოგრაფიულ ნარკვევში „ადამიანები და მდგომარეობანი“. დაზუსტებით ვერ ამბობს, ვისმა მუსიკამ გამოაღვიძა შუალამით, თუმცა ვარაუდობს, რომ ეს ჩაიკოვსკი იყო. იმ ღამიდან იწყება მისი მოგონებები, რომლებიც საკმაოდ ცხადია (Пастернак Б. , 2004, გვ. 298).

ზემოხსენებული გრადაციისთვის თვალის დევნებას საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ. თვითონ პასტერნაკი ნარკვევში „ადამიანები და მდგომარეობანი“ ხაზს

უსვამს თავისი ახალგაზრდული ხასიათის ერთ საინტერესო შტრიხს: სძულდა ყველაფერი არაშემოქმედებითი და შესაბამისად ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მისთვის ყველაფერი უნდა ყოფილიყო სასწაული, არა წინასწარგანსაზღვრული, არამედ მოულოდნელი. პასტერნაკის მსოფლხედვას და პოეტიკას ახასიათებს ყოველდღიურობაში დაინახოს ამაღლებული. ერთიანობაში აღიქვამდა ყოფითს და ამაღლებულს. როგორც უკვე ვიცით, სწორედ ამ ნარკვევში შეასრულებს იმ პირობას, რომელიც პაოლო იაშვილს თბილისიდან წასვლის შემდეგ პირველივე გამოგზავნილ წერილში მისცა: ცალკე თავს მიუძღვნის საქართველოს, თუმცა არა „დაცვის სიგელში“, არამედ ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“, თანაც მხოლოდ 1956 წელს, მას მერე, რაც მისი რეპრესირებული მეგობრების სიკვდილის შემდეგდროინდელი რეაბილიტაცია მოხერხდა.

დიმიტრი ბიკოვი გარკვეულ კანონზომიერებას ხედავს პასტერნაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. მის ცხოვრებაში ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება თარიღდება ახალი ათწლეულის დასაწყისით: „1901 წელს დაიწყო მუსიკით დაინტერესება, 1911 წელს მიმართავს ლირიკას, 1921 წლიდან ძალებს მოსინჯავს ეპოსში, 1931 წლიდან ცდილობს თავისი თავი არ გამოყოს ქვეყნისგან და მიიღებს ტრავმატულ, თუმცა ასევე კრეატიულ მოქალაქეობრივ გამოცდილებას. 1941 წელს შეითვისებს ახალ ლიტერატურულ მანერას, 1951 წლიდან უკვე გვევლინება როგორც პროზაიკოსი, მუშაობს რა რომანის საბოლოო ვარიანტზე“ (Быков, 2011, გვ. 96). შეიძლება ეს კანონზომიერებაა და არა წინასწარგანსაზღვრულობა, თუმცა, როგორც მოგვიანებით თავად პასტერნაკი იტყვის, ნამდვილად გვაქვს საქმე ცხოვრების დიდ გეგმასთან.

საინტერესოა, რომ დიმიტრი ბიკოვი ისეთ მნიშვნელოვან მოვლენაზე საუბრისას, როგორც რომანზე მუშაობის დაწყებაა, სრულიად ყურადღების მიღმა ტოვებს ჩვენ მიერ განხილულ მასალას, ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილებს. და არა მხოლოდ ამ საკითხთან დაკავშირებით. ბიოგრაფიათა სერიაში „შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრება“ («Жизнь замечательных людей») ბორის პასტერნაკის ბიოგრაფია სწორედ

დიმიტრი ბიკოვს ეკუთვნის და მისი ამ ნაშრომიდან არაერთ ციტატას შევხვდებით მოცემულ კვლევაშიც. შეიძლება ითქვას, რომ მაშინ, როცა თავად პასტერნაკი სიცოცხლესთან დამაკავშირებელ ძალებს შორის ერთ-ერთად საქართველოს ასახელებს, დიმიტრი ბიკოვი თითქმის ყოველ ჯერზე თავს არიდებს საქართველოსა და ქართული რეალიების შესახებ საუბარს პასტერნაკის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში.

დავუბრუნდეთ რომანს. ბორის პასტერნაკი ჩაიფიქრებს მას და იწყებს კიდეც წერას. საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც რომანის წერას დაიწყებს, მისი წერილების პათოსიც იცვლება, იცვლება სასაუბრო თემები, განწყობილებანი. ეს კიდეც ერთი დასტურია იმისა, რომ პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა მისი პროზის განუყოფელი ნაწილია და მასში მთლიანად ვლინდება ავტორის სტილი, სტილის ცვალებადობა ეპოქის მიხედვით. მანამდე კი მიმოწერის დასაწყისს მიუბრუნდეთ. 1930-იანი წლების დასაწყისში, ის ჯერ კიდეც ხალხთან ერთადაა, ხელისუფლებასაც არ გაურიყავს, არც თვითონ განდგომია. პირიქით. ჩვენამდე მოღწეული პირველი წერილი, რომლითაც იწყება ქართველ ადრესატებთან მიმოწერის ათვლა, სვერდლოვსკიდანაა გაგზავნილი პაოლოსათვის. აქ იგი რეგიონული კომიტეტის აგარაკზეა, რომელიც მთლიანად მას დაუთმეს. მიუხედავად აღნიშნული „თანაცხოვრებისა“, მაინც ჩანს წერილში ის სიცარიელე, რომელსაც აქ განიცდის და „რუსული კულტურის სევდაში“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 30). ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, სანდრო შანშიაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან, ნიკოლო მიწიშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან თბილისში გატარებულ მოგონებებს გამოუხმობს, რათა ეს სიცარიელე შეივსოს.

დროსთან, ეპოქასთან მის მიმართებას ცალკე თავიც მიეძღვნა ჩვენს კვლევაში და არ არის შემთხვევითი, რომ ხშირად მივმართავთ პარალელებს მარსელ პრუსტის რომანთან „დაკარგული დროის ძიებაში“. დაკარგული დროის ძიება საკუთარი თავის

ძიებაა პრუსტთან. პასტერნაკისთვის კი მხოლოდ ძიება კი არა, არამედ ქმნადობაცაა, როგორც დროის, ისე - საკუთარი თავის.

ეს ძიება სულ უფრო ინტენსიური და მიზანმიმართული ხდება. რომანის წერის მთელი პროცესიც სწორედ ამ ნიშნითაა აღბეჭდილი. ჯერ კიდევ ტიცინანს უმხელს თავის დაუოკებელ სურვილს, ეძიოს საკუთარი თავი, იცოდეს ვინ არის და რას წარმოადგენს. ამაზე პასუხი ჯერ არ აქვს. მის ამ ფიქრებს მეუღლე ფუქსავატობად უთვლის. თუმცა იმედი აქვს, რომ ადრესატები მიუხვდებიან (1933 წლის 6 დეკემბრის წერილიდან). დიმიტრი ბიკოვი ათვლის წერტილად „დაცვის სიგელს“ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ პასტერნაკი თავის თავზე საუბარს მხოლოდ ორმოცი წლის ასაკში იწყებს სწორედ ამ ნაწარმოებში (Быков, 2011, გვ. 98). აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს არტურ შოპენჰაუერის თვალსაზრისი. იგი აღნიშნავს: „ჩვენი ცხოვრების პირველი ორმოცი წელი ტექსტია, მომდევნო ოცდაათი წელი კი – ამ ტექსტის კომენტარი, რაც საშუალებას გვაძლევს, ჩავწვდეთ მის ჭეშმარიტ აზრსა თუ თანმიმდევრობას, იმავდროულად, შევიცნოთ მისი ყველა დეტალი თუ ზნეობრივი მიმართულება“ (შოპენჰაუერი, 2010, გვ. 298). საკუთარ თავთან მიბრუნების, ჩაღრმავების ცნება დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“ გამოფხიზლების სახით გვაქვს მოცემული: „უსიერ ტყეში ცხოვრების ნახევარგზაზე ანაზდეულად გამოფხიზლდი გზადაკარული“ (ალიგიერი, 2012, გვ. 5). ამგვარი გამოფხიზლების პერიოდი დგება პასტერნაკთან სწორედ დეპრესიის დაძლევის და ქართველი მეგობრების დაკარგვის შემდეგ.

ეს ეპოქა აბსურდის ნიშნითაა მთლიანად აღბეჭდილი და ამ აბსურდის შედეგები პასტერნაკმაც იწვინა. ჯერ კიდევ 1933 წლის დეკემბრის წერილში სწერს ნინოს და ტიცინანს, რომ არც კი იცის, ღირს თუ არა ცხოვრება იმ რეალობაში, სადაც „გაუგონარი სპეკულაციების მსხვერპლი“ ხდები შენდაუნებურად (პასტერნაკი, 2018, გვ. 43). სრულიად გაუგონარი და ულოგიკოა ეს სპეკულაციები, თითქოს გარკვეული მიზანიც კი არ გააჩნია. ალაღბედზე შერჩეულ მსხვერპლთა შორის თვითონაც აღმოჩნდება და

რაც ყველაზე მეტად აწუხებს, ეს სანახევრო სიყალბეა. პასტერნაკისთვის ეს სანახევროობაა მიუღებელი. მას არც დევნიან, არც იმეგობრებენ, არც აძაგებენ და არც ადიდებენ, თან ბეჭდავენ და თან არ ბეჭდავენ. ფორმალიზმის შესახებ დაწყებული დისკუსიის შესახებ ნინო და ტიციან ტაბიძეებს მისწერს 1936 წლის 8 აპრილს: „...თავს უფლება მივეცი, ისე, შინაურულად, მეთქვა, რომ საგაზეთო სტატიები არ მომწონს და ვერ ვიგებ-მეთქი. და რა მოხდა! იმის ნაცვლად, რომ გაზეთში დაებეჭდათ, პოლიტიკური შეუწყნარებლობა ჩაიდინაო (რაც ჩემთვის გაცილებით მძიმე იქნებოდა), დანაშაული შემიმსუბუქეს და სასჯელის სახით სულ რაღაც ხუთი დღით ფორმალისტებში ჩამრიცხეს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 56). ეს სანახევროობა არის სრულიად აუტანელი და მიჰყავს დეპრესიამდე. ხოლო როცა სრულიად უარყოფენ, დევნიან, გარიყავენ, უგმობენ ნაწერს, მაშინ ნაყოფიერია, რომანს წერს, ბრძოლისუნარიანი ხდება და ბედნიერიცაა. ბოლოს კი მაინც ეს სანახევროობა მოუსწრაფებს სიცოცხლეს: თან მიღებული და თან არმიღებული ნობელი. თან აღიარება და თან არაღიარება.

სწორედ ამ დისკუსიის რთულ დღეებში სამხრეთული ნამზეურივით საქართველოდან წადებული განვლილ დღეთა ანარეკლი მუდმივად თან სდევს პასტერნაკს და იგი: „იამვილის თქმისა არ იყოს, მხატვარსა და მის საყვარელ ფერს შორის არსებულ მეგობრობად იქცა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 45).

საქართველოსთან კავშირი არ წყდება. ის კოდი, რომელიც პაოლო იამვილისა და ტიციან ტაბიძის მიერ, მათი გავლენით ჩაიდო რუს ავტორში, მოგონებათა ის გრეხილი, რომელიც ასე მნიშვნელოვან შემოქმედებით ძალას სძენს, თავის საქმეს ასრულებს. მომავალსაც მხოლოდ მათ უკავშირებს. ეს ის პერიოდია, როდესაც მხოლოდ თარგმანებს უბეჭდავენ და უფრო ბიოგრაფიაში მიმდინარე გარდატეხებით სულდგმულობს. სანამ არ მოვა დეპრესიის ხანა. მიუხედავად იმისა, რომ ორიგინალური შემოქმედების თვალსაზრისით განსაკუთრებული ნაყოფიერებით ეს დრო არ გამოირჩევა, სწორედ ამ პერიოდში არის დიდების ზენიტში. როცა ჩრდილშია,

მაშინ უკვე საკუთარი თავის ძიებაშია და იქ პოულობს მთელ სამყაროს. სწორედ ამასვე ურჩევს ტიცციანსაც: „ჯიუტად, უშიშრად და დაუნდობლად ჩაეძიეთ საკუთარ თავს, მხოლოდ საკუთარ თავს. და თუკი იქ ვერ აღმოაჩენთ ხალხს, ცასა და მიწას, მაშინ დაანებეთ ძიებას თავი, ე.ი. საძებარიც არაფერი ყოფილა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 57). საკუთარი თავის ძიების, ქმნადობის პროცესში ქმნის ნაწარმოებსაც.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ შემოქმედებითად ნაყოფიერი დღეები მაშინ დგება, როცა ირგვლივ ყველაფერი ძალიან ცუდადაა. „თავდაპირველად ერთმანეთს დაემთხვა სიყვარული და რევოლუცია, შემდეგ - განშორება და ნგრევა“ (Быков, 2011, გვ. 136). სწორედ განშორებისა და ნგრევის პერიოდში წერს თავის მთავარ ნაწარმოებს, „ექიმ ჟივაგოს“. განშორება ყველასთან და ყველაფერთან: ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, თანამოაზრებთან, წერის უწინდელ სტილთან, ძველ მრწამსთან. მის ცხოვრებაში რჩება ის, რაც მისთვის უცვლელი და მარადიულია: შემოქმედებისა და ქართველი მეგობრებისადმი ერთგულება. პასტერნაკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამწერლო საქმიანობაა. არ სურს, მოსწყდეს მას. წერა გადარჩენის ტოლფასია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი უნდა გადარჩეს, რომ მთავარი რომანი დაწეროს.

მიუხადავად იმისა, რომ მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა ასეთი მდიდარია, ხშირად მიმართავს მას შემოქმედებითი ძალების რეალიზებისთვის, პასტერნაკს არ ახასიათებს იძულებითი ფორმალური მიმოწერა, მხოლოდ თავაზიანობით განპირობებული. აქაც კარგად ჩანს, რომ პირადი წერილების წერისასაც მწერალია, ტექსტს ქმნის და ეს ნაძალადევად არ გამოუვა. აი, თავად რას სწერს ამის შესახებ ტიცციანს, რომელიც 1935 წლის გაზაფხულზე, მოსკოვში ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და პასტერნაკმა მისი გაცილება ვერ მოახერხა. „ვიცი, ზოგჯერ იფიქრებთ ხოლმე ჩემზე: ნუ აიძულებთ თავს მომწეროთ, ვიცი ეს ჩვენი ძმისთვის, მწერლისთვის, რა ძნელია“. თუკი ცხოვრება პასტერნაკისთვის დაა, მწერალი და მწერლობა ძმად ჰყავს მოაზრებული.

ბორის პასტერნაკი თავისი ბუნებით პასიურია, ამას თავადვე ამბობს. ოღონდაც პასიურია ყოფით ცხოვრებაში, არა - შემოქმედებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდესაც ყველაფერი კარგადაა, სათქმელი არც არაფერი აქვს. მისი ზედწოდება „ცის მკვიდრი“, რომელსაც სტალინს მიაწერენ, არ არის შემთხვევითი. 1930-იან წლებში პასტერნაკის პოეტური ბუნება ფაქტებსა და მოვლენებს სხვაგვარად აღიქვამს, რაც, რასაკვირველია, სულაც არ გულისხმობს მათ დამახინჯებას ან სახეცვლას. უბრალოდ, სხვაგვარად ჰყვება, მეტაფორულად. ეს მისი ბუნების განმსაზღვრელი შტრიხია. სამაგიეროდ, რომანში დავინახავთ სულ სხვა ენით, სტილით ამეტყველებულ მწერალს.

საკუთარი თავის გაუმჯობესება, მუდმივად უკმაყოფილების განცდა სულ ახლავს პასტერნაკს, ოღონდ რომანამდე. მაიაკოვსკის სტრიქონი „და ვგრძნობ - მე ჩემი თავისთვის არ ვარ საკმარისი!“ /«И чувствую – я для меня мало!»/ ნათლად გამოხატავს ამ ეპოქის პოეტების დამოკიდებულებას საკუთარი თავისადმი, საკუთარ მეში გაურკვეველობა.

„ექიმ ჟოივაგოზე“ მუშაობის დაწყებას წინ უძღვის დეპრესიის პერიოდი, რის შემდეგაც პასტერნაკი თანდათან უუცხოვდება რეჟიმს. საბოლოო განხეთქილება კი მათ შორის მოხდება ქართველი მეგობრების რეპრესირების შემდეგ. იმ სულიერი მდგომარეობის ჟამს, როდესაც გადამრჩენელ ძალად ადამიანური ურთიერთობები მიაჩნია, პასტერნაკს გულის ჯიბით დააქვს ტიციან ტაბიძისა და რილკეს წერილები. ერთმანეთის საჭიროება რომ ორმხრივია, ეს კარგად ჩანს აღნიშნული წერილიდანაც, რომელიც 1935 წლის 17 ივნისს მისწერა ტიციანმა პასტერნაკს და იმავე 1935 წლის სექტემბერში რუსი პოეტის საპასუხო წერილიდანაც, რომელშიც უმხელს ტიციანს ამ წერილის მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას. ტიციანისთვის პასტერნაკთან შეხვედრები განსაწმენდელია, პასტერნაკისთვის ყველაზე სანატრელის - ძილის, განკურნების, იმედის მომტანი (პასტერნაკი, 2018, გვ. 54-55).

1935 წლის ზაფხულში, დეპრესიის პერიოდში, ქართველ მეგობრებთან მიმოწერა არ აქვს. ამ სულიერი, მისი თქმით, „ტანჯვა-ვაების“ შემდეგ პირველ წერილს 1935 წლის 6 სექტემბერს მისწერს ტიციანს. ლონდონიდან ლენინგრადს მიმავალს შერბაკოვი დაემგზავრება და მას უმხელს თავის „სულის ავადმყოფობის ამბავს“. მაშინ, როცა აწმყო ასეთი აუტანელია, მომავალი კი - სრულიად გაუგებარი, „უხეშ ვარაუდებს დაფუძნებული“, თუკი სადმე იმედის, სინათლის სხივი ესახება, ეს ტიციანის გვერდითაა, საქართველოში. „წარმოვიდგენდი ხოლმე ჩემთვის, როგორ გამოვთხოვდი ნინას თქვენს თავს და დარჩენილ დღეებს თქვენთან ერთად გავლევდი, ტიციან, სადმე, ყაზბეგთან ახლოს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 55).

დეპრესიის შემდეგ მორიგი „მეორე დაბადება“. პასტერნაკი თავადვე ამჩნევს საკუთარ თავში ცვლილებებს. გარკვეული დროის განმავლობაში იგი მხოლოდ ძალების აღდგენას ცდილობს. ერთგვარი დალოდების პერიოდი აქვს. გარდატეხა, კიდეც ერთი „მეორე დაბადება“ წინაა. გარდატეხა ძალზედ თვალშისაცემია და რადიკალური. „მუდმივი „იქნებ არ უნდა მეთქვა ეს“ იცვლება მკაცრი „არ შემეძლო ეს არ მეთქვა“-თი“ (Быков, 2011, გვ. 100). იმ ბედნიერების ხანა დგება, რომელსაც ამდენს ელოდა - ყველაფრის ბოლომდე თქმის ბედნიერება. პასტერნაკი ამ სითამამეს დიდი ტერორის წინ იჩენს. ყველაფრის გაბედულად თქმას სწორედ მაშინ იწყებს, როცა, ყველა ლოგიკით უნდა გაჩუმდეს. თუმცა მასსა და ხელისუფლებას შორის საბოლოო განხეთქილება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ქართველი მეგობრების რეპრესირების შემდეგ იჩენს თავს. მანამდე მწვავედ არ უპირისპირდება არა შიშის გამო, არამედ იმიტომ, რომ ჯერ არ დამდგარა რეჟიმის გამანადგურებელი ძალის ბოლომდე შეცნობის დრო. თუმცა შემოქმედის, პოეტის წინათგრძნობა არ ღალატობს. ქვეცნობიერად იცის, რომ რაღაც სრულდება, უნდა დასრულდეს.

„დასასრულის განცდა აშკარა სიკვდილის დადგომის გარეშე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 54) პასტერნაკს არ ტოვებს ძალიან დიდხანს. აშკარა სიკვდილი სანატრელია ამ განცდასთან შედარებით. ამ განცდით შეპყრობილი ხანდახან მომავალზეც ფიქრობს

და ეს მომავალი ტაბიძეებთან ერთად წარმოუდგება სადმე ყაზბეგთან ახლოს. ეს არ არის რუსული მომავალი. რუსული აწმყო კიდეც ამ პერიოდში „არასასიამოვნო სიზმარს ჰგავს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 56). პასტერნაკი პირველად ქართველ ადრესატებთან მიწერილ ამ პერიოდის წერილებში ახსენებს „დროის უდიდეს გეგმას“, რომლის ბოლომდე გააზრებასაც უკავშირდება მთელი მისი შემოქმედება თუ ცხოვრებისეული პრინციპი. დროის დიდ გეგმასთან თანხვედრაშია მისთვის ყველა მოვლენა. პასტერნაკი ფიქრობს, წერს და მოქმედებს ამ დროის დიდი გეგმის მიხედვით, კარგად აქვს გააზრებული, რომ მისი ნაწილია თავადაც.

დროის უდიდეს გეგმას პასტერნაკი პირველად „ფორმალიზმთან“ დაკავშირებული დისკუსიის დროს ახსენებს. „თუკი სტატიებში ღრიალი აუცილებელია, მაშინ არ შეიძლება სხვადასხვა ხმაში იღრიალოთ? გასაგები მაინც იქნება, იმიტომ რომ, როდესაც ერთ ხმაზე ღრიალებენ - არაფერი ისმის. და სულ რომ არ ეღრიალათ, ხომ მთლად უკეთესი იქნებოდა. ამ სტატიების დამწერტ შეეძლოთ ეფიქრათ კიდეც, მაშინ რამეს მაინც გავიგებდით“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 58-59). ამ განცხადებით იწყება პასტერნაკის დანარჩენებისაგან გამიჯვნა. თუმცა სასჯელი არ ყოფილა მიძიმე.

ამ პერიოდში ერთი რამ გარკვევით და ზუსტად იცის: პროზა უნდა დაძლიოს, რამე რომ გამოუვიდეს. როდესაც ტიციანს და ნინოს სწერს თავის პუბლიკაციაზე „ზაფხულის ჩანაწერებიდან“, თბილისელ მეგობრებს რომ მიუძღვნის, აღნიშნავს: „ვიცი, სანამ არ დავძლევ პროზას, რომელიც გამათავისუფლებს, განმავითარებს, იქამდე არავითარი ლექსი არ იქნება ჩემს გეგმაში, დიდხანს, ძალიან დიდხანს არ იქნება-მეთქი. ახლა ლექსებში კი არა, სადღაც, მათგან ძალიან შორს ვარ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 60). პროზის დაძლიევაც დროის დიდი გეგმის ნაწილია. მართალია, პასტერნაკი ამ დრომდე მუდმივად იჩენს ბედთან შემგუებლობას, თუმცა არასდროს დალატობს ინტუიციას, დროის მისეული აღქმა ერთობ ზუსტია, ვინაიდან იგი, უპირველეს ყოვლისა, უსმენს საკუთარ თავს და არა იმ ხმებს, ერთად რომ „ღრიალებენ“ და მსმენელამდე ვერც ერთი მათგანი ვერ აღწევს. საკუთარ თავში ეძებს მინიშნებებს.

სიმბოლისტ პოეტს ცხოვრებაშიც სწამს სიმბოლოების. გავიხსენოთ, რამხელა სიმბოლურ მნიშვნელობას მიანიჭებს ტიცციანის ნაჩუქარ გერბიან ფურცლებს, რომელიც იქცევა ერთ-ერთ მინიშნებად იმისა, რომ მსხვერპლი საკმარისია საიმისოდ, რათა რომანის წერა დაიწყოს. აღნიშნულ საკითხებზე როდესაც ვმსჯელობთ, რასაკვირველია, არც ის გვავიწყდება, რომ შეუძლებელია ამ წერილების ცალსახად წაკითხვა ან კიდევ ერთი წაკითხვით ბოლომდე გაგება. ისინი, როგორც მხატვრული ნაწარმოებები, მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ამიტომაც არის მკვლევართათვის საინტერესო მასალა.

1936 წლის ოქტომბრის ვრცელ წერილში ტიცციანსა და ნინოს უზიარებს თავის იმედიან განწყობას. მიუხედავად რთული წლისა, მოლოდინი აქვს. სწამს რომ მთავარი წინაა მის შემოქმედებაში და ეს მთავარი პროზაში მოხდება. „...არ იფიქროთ, რომ ეს ჩემი აღსასრულია და ამიერიდან ჩემი საქმე სულ ასე წავა. აი, ნახავთ, დავწერ პროზას, რომელსაც, აგერ უკვე ორი დღეა, მივუბრუნდი. ერთი ვიცი, იგი ცოცხალი იქნება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 60). ბორის პასტერნაკის თხზულებათა თერთმეტტომეულის მიხედვით, საიდანაც ქართულად ითარგმნა ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილები, აღნიშნული წერილი უკანასკნელია, რომელსაც პასტერნაკი ტიცციან ტაბიძეს მისწერს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მასში საუბრობს ახალი პერიოდის დაწყებაზე თავის შემოქმედებაში. ასევე, ნიშანდობლივია მისი სინანული პაოლოსადმი დაწერილი სტრიქონების არაფრისმთქმელობის შესახებ. საუბარია ლექსზე: «За прошлого порог / Не вносят произвола. / Давайте с первых строк / Обнимемся, Паоло!» («Из летних записок»). ნიშანდობლივი იმიტომ, რომ იმავე კრებულის მიხედვით მომდევნო წერილი თამარ იაშვილისადმი მიწერილი სამძიმრის წერილია.

ტიციან ტაბიძესთან მიწერილი ზემოთ აღნიშნული წერილი რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო: 1. პროზაში მნიშვნელოვანი, „ცოცხალი“ სიტყვის თქმა სურს და დარწმუნებულიცაა ამაში, რომ იტყვის; 2. პაოლოსადმი თავის

დამოკიდებულებას, მისდამი სიყვარულს, მის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს. „გავიხსენე, რაოდენ მასშტაბურია იგი...“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 60) და 3. ამავე წერილში აღნიშნავს, თუ სად არის და რაში ეგულება ნამდვილი რევოლუცია. კიდევ ერთხელ წამოჭრის რევოლუციის თემას. „იგი მხოლოდ დიადშია <...> რევოლუცია იქცევა ცხოვრებად მაშინ, როდესაც დაისადგურებს ყველაზე მცირედში“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 61). სწორეს ეს საკითხები გახდება საკვანძო მის შემდგომ ცხოვრებასა და შემოქმედებაში. პროზას მიუძღვნის მთელს თავის შემოქმედებით ძალებს. პაოლოს სიკვდილი, შემდგომ კი - ტიცინანის დაპატიმრება იქცევა გარდამტეხ, გადამწყვეტ მომენტად მეორედ დაბადების წინ. ხოლო რევოლუციის ამგვარი გააზრება თავს იჩენს მის ყველა შემდგომში გამოთქმულ მოსაზრებასა თუ ბიოგრაფიულ მომენტში. ის ისევე დაიწყებს ცხოვრებას, როგორც წერს და - პირიქით, ისე იწყებს წერას, როგორც ცხოვრობს. ამიერიდან იწყება ცხოვრებისა და შემოქმედების დამსგავსება, მათი შერწყმა უნდა იყოს კიდევ ფინალი.

ამავე წერილში პაოლოზე საუბრისას აღნიშნავს: „...ვინ მომცა უფლება მასში მეძებნა ცვლილებები და ისინი სრულიად უსაფუძვლოდ მიმეწერე პაოლოს პიროვნებისთვის. ამ წყეულმა დისკუსიამ დამაბრმავა მაშინ. ამ კულტურულ-საგანმანათლებლო ბანგმა უცბად დამავიწყა, რომ მე იგი მიყვარს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 61). ეს სტრიქონები ნათლად გამოხატავს პასტერნაკის იმდროინდელ განწყობილებას. აღარ სურს აღარავითარ პროცესებში ჩართვა. მას მხოლოდ ნამდვილზე და „ცოცხალზე“ წერა სურს. ამ საყოველთაო ჩართულობას პროცესებში, რასაც პასტერნაკიც იზიარებდა, დიმიტრი ბიკოვი შემდეგნაირად ხსნის: „მისი ხანმოკლე მოკავშირეობა სახელმწიფოსთან ნაკარნახევი იყო იმ დროისადმი ზიზღით, როცა სახელმწიფო საერთოდ არ არსებობდა და ყველა საკუთარ თავს ებარა - ეს პასტერნაკს ერთნაირ ზიზღს ჰგვრიდა ცხრამეტ წელშიც და ოცდაოთხშიც“ (Быков, 2011, გვ. 227). მხოლოდ წარსულის მიმართ პროტესტის გამო მიღებული აწმყო კი ხშირად იმედგაცრუების მომტანია, თუმცა ეს იმედგაცრუებაც ცხოვრების შემადგენელ ერთ-ერთ გარდაუვალ ეტაპად აქვს პასტერნაკს გააზრებული. „ბანგით თრობამ“ დიდხანს არ გასტანა. მის

ირველივ განვითარებული მოვლენები ნელ-ნელა აშიშვლებენ სიმართლეს, რასაც თან სდევს ჯერ დუმილი, შემდეგ ამ სიმართლის ასახვისთვის მზადება და საბოლოოდ მისი წარმოჩინება. მაგრამ მანამდე თუ სურს, რომ დარჩეს პოეტად, თუ სურს, რომ წეროს, თავის მოტყუებაა საჭირო.

პასტერნაკისთვის დეპრესიის პერიოდი უკანმოტოვებულია ავადსახსენებელი 1937 წლისთვის. დიდი ტერორის უმძიმეს პერიოდში იგი აქტიურ მუშაობას უბრუნდება. უკვე ითქვა ამის შესახებ და კიდევ გავიმეორებთ: რაც უფრო კრიზისულია ეპოქა, რაც უფრო კრიზისულია პასტერნაკის პირადი ცხოვრების გარკვეული პერიოდი, მით უფრო ნაყოფიერია მწერალი შემოქმედებით ასპარეზზე.

ჯერ კიდევ მაიაკოვსკის თვითმკვლელობიდან იწყება პასტერნაკის ფიქრები ახალ გზებზე, როგორც შემოქმედებაში, ისე ცხოვრებაში. ბიკოვი მაიაკოვსკიზე: „ყველა სტრატეგიას შორის იგი ინტუიციურად ირჩევს ყველაზე უფრო სუიციდურს“ (Быков, 2011, გვ. 266). სუიციდური სტრატეგია ეპოქის მახასიათებელი ხდება. აღსანიშნავია ამ სტრატეგიისადმი პასტერნაკის დამოკიდებულების ცვალებადობაც დროის მსვლელობასთან ერთად. ახალგაზრდა პოეტის, ნიკოლაი დემენტიევის, თვითმკვლელობას პასტერნაკი შემდეგი რიტორიკული სტრიქონით ეხმაურება: «Так вот – в самоубийстве ль спасенье и исход?» („მაშ, თვითმკვლელობაშია გადარჩენა და გამოსავალი?“), მაშინ, როცა მაიაკოვსკის შესახებ დაწერს:

«Твой выстрел был подобен Этне

В предгорье трусов и трусих»

(„შენი გასროლა იყო მსგავსი ეტნისა

მშიშარათა და ლაჩართა მთისწინეთში“)

პაოლო იაშვილის შემთხვევაში კი პასტერნაკისთვის სუიციდის სტრატეგია განწმენდას უდრის, განსაწმედელია. თვითმკვლელობისადმი პასტერნაკის დამოკიდებულების ამგვარი ცვალებადობა ნათლად ასახავს მის შეხედულებათა

ევოლუციას, რასაც ეპოქის სულისკვეთება განაპირობებს. მისთვის დამახასიათებელია ტკივილებით განწმენდა. თამარ იაშვილთან მიწერილი სამძიმრის წერილი ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ამ წერილში აღწერილი ტკივილების განცდის შემდეგ შეუძლებელია, დარჩე ისეთივე, როგორც მანამდე იყავი. ევოლუცია გარდაუვალია. პაოლოსთან განშორებას საკუთარ სასჯელად მოიაზრებს. მაგრამ ამ სასჯელს, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ერთგვარი ენთუზიაზმით ხვდება. ეს ის სასჯელია, რომელმაც განწმენდამდე უნდა მიიყვანოს, როგორც ეს ბავშვობაში ემართებოდა, როდესაც ტირილით დაღლილს ძილი მოერეოდა ხოლმე (პასტერნაკი, 2018, გვ. 63). ეს ტრაგედია ყოველდღიურ უსამართლობას მოსწყვეტს, განარიდებს, იმ ნამდვილზე დააფიქრებს, რისთვისაც ღირს ცხოვრება.

1937 წლის მოსკოვის რეალობას და მისდამი თავის დამოკიდებულებას ბორის პასტერნაკი ლაკონიურად და ზუსტად გადმოსცემს თ. იაშვილთან მიწერილ წერილში: „ამ დარტყმის ძალამ შორს მომისროლა იმ ყველაფრისაგან, რაც ქალაქში ხდებოდა, გაუმართლებლად ხმამაღლისგან, გაუმართლებლად გართულებულისაგან, გამაღიზიანებელი გულგრილობისგან, მჭევრმეტყველური სიცარიელისგან“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 63). ამგვარია პასტერნაკის იმდროინდელ დამოკიდებულება არსებული რეალობისადმი. მან იცის, რომ „სიკვდილით ყველა მოგკვდებით“, მაგრამ სურს, ფინალი თავად დაწეროს. პაოლოს ფინალი მისთვის იმ შემთხვევაშია აღმაფრთოვანებელი, თუ 37-ში ელის სიკვდილი. მაგრამ თუ გადარჩა, მაშინ სულ სხვა სიუჟეტს უმზადებს საკუთარ თავს. თუკი მოვლენებს გავუსწრებთ, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრება თავისებურად ჩაერევა ამ სიუჟეტში და ყოველივე მოლოდინს გადააჭარბებს. დროს ხომ თავისი გეგმა აქვს.

პაოლოსა და ტიცინანის შემდეგ, ლოგიკურია, პასტერნაკს მეტი სიფრთხილე მართებდა. თუმცა ყველა საფრთხეს გამოწვევად იღებს: თუ გადარჩა, დაწერს. თითქოს, ეს იქნება კიდევ ნიშანი: თუ გადარჩება, დაწერს. ამ პერიოდის წერილები განსაკუთრებული სითამამით გამოირჩევა. იგი არ ერიდება რეპრესირებული

პოეტების ოჯახებთან მიმოწერას, გვერდში უდგას სიტყვითაც და საქმითაც. მაშინ, როცა ყველა წერილი მოწმდება, პასტერნაკი ღია დეპეშების გაგზავნასაც კი არ ერიდება, რომლებშიც ასევე ღიად უცხადებს თანადგომასა და ერთგულებას თავის ადრესატებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ეპატაჟურად თანადგომის გამოცხადებაა მისი მხრიდან. მათდამი ერთგულება ავტომატურად ნიშნავდა რეჟიმის წინააღმდეგ წასვლას. ამ პერიოდის წერილების კითხვისას მკითხველს ისეთი განცდა ეუფლება, რომ ამ ფაქტზე ყველა შეთანხმებულია. ამგვარი თანადგომა პასტერნაკისთვის ნებადართულია, სხვას ყველას ეკრძალება, სხვა ყველა დაისჯება, მაგრამ პასტერნაკს შეუძლია. ტიცინთან და პაოლოსთან მის მეგობრობას თითქოს ხელისუფლებაც ეგუება.

თამარ იაშვილთან გაგზავნილი ეს სამძიმრის წერილი უბრალოდ წერილი კი არა, პოეზიაა პროზად, პოეტური ჩანახატია პაოლოზე. თავად პასტერნაკიც პოეზიას უწოდებს, ცუდ პოეზიას, რომელიც უადგილოდ მიაჩნია იმ ვითარებაში და ჭირისუფალს პატიებასაც სთხოვს ამის გამო (პასტერნაკი, 2018, გვ. 65).

წლების შემდეგ, როდესაც განცდები დაღვინებულია, ფაქტები - არაერთგზის შეფასებული დროის კონტექსტში, პასტერნაკი თავის ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“ (1956) პაოლოს სიკვდილს შემდეგნაირად გადმოსცემს: „მგონი, პაოლო იაშვილი უკვე ვეღარაფერს ხვდებოდა, ისე იყო ოცდაჩვიდმეტი წლის ჯადოქრობით შეპყრობილი. უყურებდა ღამით მძინარე ქალიშვილს და ფიქრობდა, რომ აღარ იყო მისი ცქერის ღირსი. დილით მეგობართან წავიდა და ორლულიანი საფანტით გაიხვრიტა თავის ქალა“ (Пастернак Б. , 2004, გვ. 331-332). ცხადია, ინტონაცია სხვაგვარია. არ ახლავს ის ემოციური ფონი, რაც წერილში, განცდები და ემოციები განელეებულია. იმ ემოციამ თავისი საქმე უკვე გააკეთა: 1937 წელს პასტერნაკს ის შემართება და ძალა მისცა, რომელიც ასე საჭირო იყო საოცნებო პროზის შესაქმნელად.

თამარ იაშვილთან 28 აგვისტოს მიწერილი წერილი ბოლოა. 1937 წელს მის წერილებს ქართველი ადრესატები აღარ ჰყავს. ნიშანდობლივია, რომ რომანზე ჯერ ყველასთან არ

საუბრობს. გარდატეხაზე, შემოქმედებით კრიზისზე, სიახლეების მოლოდინზე და სამომავლო გეგმებზე მხოლოდ ნინო ტაბიძეს სწერს. იმ „საერთო აღტაცების“ მოლოდინში (პასტერნაკი, 2018, გვ. 68), რომელმაც უკვე ორი წელია მიატოვა, 1938 წლის დადგომისას ვაჟი შეეძინება და პავლეს დარქმევას გადაწყვეტს, თუმცა ზინა შეეწინააღმდეგება, „იდუმალი აღსასრულის სახესთან ეს სიახლოვე“ შეაშინებს. ტიციანის დაპატიმრების შემდეგ ეს პირველი წერილია, რომელსაც პასტერნაკი მისწერს ნინოს. წერილში წუხილია ტიციანთან განშორების გამო. თავად განშორების შესახებ გადაკვრით ახსენებს, წერს, რომ გასული ზამთარი მტკივნეული და მტანჯველი იყო მისთვის. მანამდე კი, უშუალოდ დაპატიმრების შესახებ ცნობის მიღების შემდეგ, დეპეშას გააგზავნის, რომლის ტექსტიც პასტერნაკის მოგონებებშია შემონახული. „გული ამომგლიჯეს, ვეღარ გავაგრძელებდი სიცოცხლეს, მაგრამ ახლა მე ორი ოჯახი მყავს: ზინა და ლიონია, თქვენ და ნიტა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 69 (კომ.2)). ტიციანის ოჯახთან პასტერნაკის მთელი შემდგომი ურთიერთობა ამ სიტყვების საქმით მტკიცდება.

1937-მა წელმა უახლოესი მეგობრები წაართვა. 1938 წელი ახალი სიცოცხლით, ლეონიდ პასტერნაკის, დაბადებით, დაიწყო. ეს ნიშანია. დიდი რომანიც დაიბადება. მთავარია, იქამდე გადარჩენა. ამგვარი მიდგომა ხშირად გვხვდება პასტერნაკთან. იმისთვის, რომ დიად მიზნებს მიაღწიო, მინიმუმ ფიზიკურად უნდა გადარჩე. პასტერნაკის კრედოც ასეთია, რაც, მისივე ბიოგრაფიიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, სავსებით არ ნიშნავს კონფორმიზმს, სიმხდალეს. ამასაც თავისივე ბიოგრაფიით დაამტკიცებს. უბრალოდ მან იცის, როდის არის დალოდების დრო და როდის - მოქმედების.

ის, რასაც მარინა ცვეტაევა 1927 წლის აგვისტოში ეტყვის პასტერნაკს: „შენ, ბორის, იდეები და იდეალები გაქვს. (...) მე მაქვს აზრები და მტკიცე რწმენა“, დიდი ტერორის შემდეგ პასტერნაკისთვის პირიქით აღმოჩნდება: მას უკვე აქვს მტკიცე აზრები და მტკიცე რწმენა.

როდესაც პასტერნაკის პიროვნებისა და შემოქმედების ევოლუციაზე ვსაუბრობთ, აქ, რასაკვირველია, ყველაფერი შედარებითია და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ევოლუცია სრულ გარდაქმნას, სახეცვლილებას გულისხმობს. ჩვენ ვსაუბრობთ იმ პრიორიტეტების გადანაცვლებაზე, რაც ეპოქამ მოიტანა და ეს ბუნებრივი პროცესია. აი, თავად რას ამბობს ხელოვანისა და ეპოქის შესახებ და ამას არანაკლებ საინტერესო ფორმულირებით გაიმეორებს ქართველ ადრესატებთანაც: „... ხელოვნება უნდა იყოს ეპოქის უკიდურესობა, და არა მისი ტოლქმედი, მას ეპოქასთან უნდა აკავშირებდეს თავისი სიმტკიცე და ასაკი, და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს იგი, ეპოქა შეგვახსენოს და მისცემს ისტორიკოსს შესაძლებლობას, ივარაუდოს, რომ მან ეს ეპოქა ასახა. აი, ჩემი ოპტიმიზმის წყარო“ (Пастернак Б. , 2004, გვ. 213). მე-20 საუკუნის 30-იანი წლები პასტერნაკისთვის არის მზადება, აქციოს საკუთარი შემოქმედება და საკუთარი თავი ეპოქის უკიდურესობად.

1939 წლის დამდეგს კიდევ ერთი საინტერესო გარდატეხის შესახებ სწერს სიმონ ჩიქოვანს. აქამდე მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვნება იყო, ერთგვარი განრიდებაც რეალობისგან, ოღონდაც ეწერა. ახლა ეს განწყობა იცვლება. დიდმა ტერორმა და განსაცდელებმა პასტერნაკი დაარწმუნა, რომ ადამიანში მისთვის ყველზე ღირებული სწორედ ადამიანური თვისებებია, ასე რომ აკლია პაოლოს და ტიცინანის დაკარგვის შემდეგ. „კარგად იცით, როგორ ვამაყოფ თქვენით, როგორც ხელოვანით. მაგრამ უკვე აღარ ვანიჭებ ჩვენი არსებობის ამ მხარეს ისეთ მნიშვნელობას, როგორსაც ადრე. ამ უკანასკნელი განსაცდელებისას წინა პლანზე ადამიანური ხასიათის იშვიათმა თვისებებმა გადმოინაცვლა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 70). პრიორიტეტების გადანაცვლებაში ამას ვგულისხმობდით სწორედ. დეჰუმანიზაციის იმ სასტიკმა მანქანამ თავისი საქმე გააკეთა და ისევ აგრძელებდა მუშაობას. ამდენად, შეუძლებელი იყო, ხელოვანი ისეთადვე დარჩენილიყო, როგორც ამ მანქანის ამუშავებამდე იყო. თუკი აქამდე ხელოვნება სჭირდებოდა ადამიანს, ახლა ადამიანი სჭირდებოდა ხელოვნებას გადასარჩენად.

მიუხედავად არსებული ვითარებისა, ამ პერიოდში პასტერნაკი იმედინად არის განწყობილი, მეტიც - სიმშვიდეს გრძნობს. მთავარი მისი სურვილი „განდევნილებთან“ შეხვედრაა. განდევნილებად პასტერნაკი ტიციან ტაბიძესა და ნიკოლო მიწიშვილს მოიხსენიებს (პასტერნაკი, 2018, გვ. 70-71). მაშინ, როცა საყოველთაო აღიარების, პირველი პოეტის ვაკანსიის დაკავებისას დეპრესიას ვერ გადაურჩება, საყოველთაო დამაბულობის, არეულობის, შიშისა და ტერორის პირობებში სიმშვიდის განცდა ეუფლება. მწვავე დეპრესიის პირველი შემოტევა წინ უძღვის რომანის დაწერას, ხოლო მეორე - მოსდევს რომანის დაბეჭდვას.

30-იანი წლების ბოლოს იცვლება მიდგომები. აქვე აღვნიშნავთ, რომ მთელი ჩვენი კვლევა და შესაბამისად, მოსაზრებები და დასკვნები ეფუძნება ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილებს. პასტერნაკს აღარ სურს თეატრალიზება, ჰიპერბოლიზება. ეს აღარ არის ის პასტერნაკი, რომელზეც ცვეტაევა ამბობდა: „პასტერნაკი შეიქმნა არა მეშვიდე დღეს (როცა ადამიანის შექმნის შემდეგ „მე“-ებად დანაწევრდა სამყარო და ა.შ.), არამედ უფრო ადრე, როცა ბუნება იქმნებოდა. ხოლო ის ფაქტი, რომ იგი ადამიანად დაიბადა, სრული გაუგებრობაა“ (Быков, 2011, გვ. 92).

ბედს მორჩილება ჯერ ისევ თან სდევს. ჯანყის დრო არ დამდგარა არც ცხოვრებისეულ და არც შემოქმედებით ასპარეზზე. ტიციან ტაბიძის „ხვედრის შესაცვლელად“ ჯერ ისევ ვერაფერს აკეთებს, წუხს და ცდილობს აუხსნას ამის მიზეზი წინოს. „მივხვდი, რომ სანამ აქაური მწყალობელი არის პირი, რომელიც იქ მათ ქმნიდა, ფიქრი რაიმე ნაბიჯის გადადგმაზე ნაადრევია“ - სწერს წინოს 1939 წლის ოქტომბერში (პასტერნაკი, 2018, გვ. 71). მწყალობელში პასტერნაკი ლ. ბერიას გულისხმობს, რომელმაც ნ. ეჟოვი შეცვალა. ამგვარი ვითარების დროს, პასტერნაკს სწამს, რომ ყველაფერი თავისთავად მოხდება. „თავისთავად მოხდენაში“ კი, რასაკვირველია, მხოლოდ ბედნიერ ფინალს არ გულისხმობს, თუმცა იმედოვნებს. არ ტოვებს „შვების, გაუმჯობესების, გათავისუფლების პროგრესირებადი განცდა“ და ვინაიდან თავისი და ტიციანის

ოჯახის ცხოვრება ერთმანეთისაგან განუყოფლად მიაჩნია, ნინოსაც ამით ანუგეშებს (პასტერნაკი, 2018, გვ. 72).

პოლიტიკური პატიმრის მეგობრობა, თანადგომა რეპრესირებული მეგობრის ოჯახის მიმართ არც კი ხდება განხილვის საგანი. თუმცა პასტერნაკი იმავეს სხვას ვერ მოსთხოვს, რასაკვირველია. ზემოთ დამოწმებულ წერილში პასტერნაკი ნინოს უხსნის, თუ რატომ არ დააბარა ჰენრიხ ნეიჰაუზს მოკითხვა, როდესაც ეს უკანასკნელი თბილისში წავიდა გასტროლებზე. არ სურს, ნინოს ყურადღება გაუმახვილოს შექმნილ ვითარებაზე და საოცარი დელიკატურობით უხსნის, რომ ამის მიზეზი მხოლოდ შემდეგია: „ჩავთვალე, რომ იგი ასეთი დავალებისათვის ზედმეტად ხალისიანი, ფუქსავატი და მერყევი ადამიანია“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 73). სინამდვილეში პატიმრის ცოლის მონახულება ერთობ სარისკო იყო და ამ საფრთხეში არ ჩააგდო ნეიჰაუზი. თუმცა 1939 წლის 11 ნოემბრის წერილიდან ირკვევა, რომ ჰ. ნეიჰაუზმა მაინც ინახულა ნინა. „ახლა უკვე მისგან ვიცი, რომ შემიდლია მოგწეროთ და ხშირად ვისარგებლებ ამ უფლებით. იგი თქვენით აღფრთოვანებულია და ბევრს მიყვებოდა თქვენზე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 72 (კომ.2)). ეს წერილი, სამწუხაროდ, პასტერნაკის თერთმეტტომეულში არ არის შეტანილი და შესაბამისად, ვერც 2018 წელს გამოცემულ წიგნში „ბორის პასტერნაკის ქართველი ადრესატები“ შევიდა. მოხმობილი ფრაგმენტი აღნიშნული თერთმეტტომეულის კომენტარებშია შემონახული. კომენტარები ევგენი პასტერნაკს ეკუთვნის და ერთობ საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს ეპოქის ყველა მოვლენასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, ქართულად თარგმნილ წერილებს ისინი უცვლელად ერთვის.

ტიციანის საქმე კვლავაც ბუნდოვანებითაა მოცული. ბორის პასტერნაკი ცდილობს, გაარკვიოს, რისი გაკეთება შეუძლია. რჩევის საკითხავად ფადეევთან მიდის. მაგრამ ყველა ერთხმად ეუბნება, რომ საქმეს უფრო გააფუჭებს. პასტერნაკიც ფრთხილობს. ეს გონივრული სიფრთხილეა და არა - სიმხდალე. მას კარგად ესმის, რომ ყველა არგუმენტი, რასაც ეუბნებიან, აბსურდია, რომ „გამოსწორება“ სრულიად უადგილოა

ტიციანთან მიმართებით და იმაზე უკეთესი, ვიდრე არის, არც არსებობს და შეუძლებელიცაა, თუმცა მაინც თანახმაა, ოღონდაც მისცენ ამ „გამოსწორების“ საშუალება (პასტერნაკი, 2018, გვ. 71-72). რეჟიმის კარგად ნაცადი ხერხი, დაეყარა ცრუ ხმები, თითქოს უკვე განაჩენგამოტანილ და აღსრულებული რეპრესირებულები ცოცხლები იყვნენ და ამა თუ იმ ბანაკში იყვნენ შემჩნეულები, ტიციანზეც გავრცელდა. ეს ხმები პასტერნაკამდეც აღწევდა და მუდმივად დასტურს ნინოსგან ელოდა. ასე ანუგეშებენ 1955 წლამდე ერთმანეთს. 30-იან წლებში ეს იმედი უფრო დიდია. თუმცა სიფრთხილე აუცილებელია.

1939 წელს თავად პასტერნაკსაც არ აქვს სახარბიელო მდგომარეობა. მაშინ, როცა ნინო ტაბიძე კიდევ ერთ იმედისმომცემ ცნობას მიიღებს ტიციანის შესახებ და მოსკოვში უნდა ჩავიდეს, რათა უშუამდგომლოს მეუღლეს, რომელიც უკვე ორი წლის დახვრეტილია, სწორედ ამ პერიოდში მიდის წინა თავში უკვე ნახსენები პროცესი რეჟისორ ვსევოლოდ მეიერჰოლდის საქმეზე. იგი 1939 წლის ივნისში დააკავეს და პასტერნაკისთვის ცნობილი გახდა, რომ სასამართლო ჩვენებებში მასაც ხშირად ასახელებდნენ (პასტერნაკი, 2018, გვ. 75). ეს კარგს რომ არაფერს მოასწავებდა, ცხადია და ნინოსთან მიწერილ წერილში იმის ეჭვსაც კი გამოთქვამს, საერთოდ მოესწრება კი ტიციანის დაბრუნებას. მიუხედავად ამ შექმნილი ვითარებისა, რომელშიც პასტერნაკი აღმოჩნდა, 1939 წლის 14 დეკემბრის წერილში ნინოს პირდაპირ და პირველად, ასე ღიად, ეუბნება, ლ. ბერიას ხომ არ მისწეროს. თუმცა, როდესაც გაიგებს, რომ ნინო თავად აპირებს ჩასვლას, მას დაელოდება (პასტერნაკი, 2018, გვ. 74).

პასტერნაკი სიფრთხილეს, პირველ ყოვლისა, ადრესატების გამო იჩენს. იმ ფულად გზავნილებსაც, რომელთაც „თავის ვალს“ უწოდებს, ნინოსა და ნიტას უსაფრთხოების გამო მირზოევას მისამართზე აგზავნიდა. „ვიცი, რომ ეს არ გჭირდებათ და წინააღმდეგობას გამიწევთ, მაგრამ ეს მე მჭირდება“ - სწერს იგი ნინას 1939 წლის 26 ნოემბერს (პასტერნაკი, 2018, გვ. 76 (კომ.1)). ტაბიძეების ოჯახის გვერდით დგომა მატერიალურად თუ მორალურად მასვე სჭირდება, მასვე ჰგვრის შვებას. ნინოს

სახელითაც თავადვე მისწერს ბერიას, სტალინსა და ბოჩკოვს. სამივე წერილი პასტერნაკის ავტოგრაფია, ფანქრით დაწერილი. წერილში ნინოს პირით სთხოვს ბერიას, რომ სამართლიანობა აღადგინოს და ტიციანი გაათავისუფლოს.

1939 წელს, როცა დიდი ტერორი უკანა ფლანგზე ინაცვლებს, მეორე მსოფლიო ომის ფონზე იგი აქტუალურობას კარგავს, ბორის პასტერნაკსა და ნინო ტაბიძეს იმედი ესახებათ რომ მათი „საერთო და სანუკვარი ოცნება“ ახდება (პასტერნაკი, 2018, გვ. 75). პასტერნაკი ნინოს ძალების გაერთიანებასაც ჰპირდება, ამხნევეს. ეს განწყობა წინ უსწრებს 40-იან წლებს, როცა პასტერნაკი მთლიანად თავისუფლდება ამ ტერორის კლანჭებისგან, პიროვნულ თავისუფლებას აღწევს და იწყებს სრულიად სხვა ასპარეზს.

5. ბორის პასტერნაკის წერილები ქართველ მეგობრებთან 40-50-იანი წლების მოვლენათა კონტექსტში.

ცხადია, მკითხველს თვალში მოხვდება ის ფაქტი, რომ ჩვენს ნაშრომში ცალკე თავი არ ეძღვნება დიდი ტერორის პერიოდს, განსაკუთრებით კი - 1937 წელს. ამას თავისი მიზეზი აქვს. პირველ ყოვლისა, ამ დანტეს ჯოჯოხეთზე (წინა თავში უკვე დავესესხეთ ეს ტერმინი ნატალია გრომოვას) მთელი ნაშრომის განმავლობაში იქნება საუბარი, როგორც მთავარ მიზეზზე, რომელმაც ბორის პასტერნაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში არაერთი რამ განსაზღვრა. ეს არ იყო დროის ერთჯერადად განცდილი და გადატანილი მონაკვეთი. იგი სულ გრძელდება მწერალთან. უფრო მეტიც, ეს ტერორი პასტერნაკთან უფრო მოგვიანებით დგება და მეტია სათქმელი სწორედ 40-50-იანი წლების მოვლენებზე. ამდენად, სწორედ ამ პერიოდის მიმოწერას გამოვყოფთ ცალკე თავად. ასევე, დასაწყისშივე აღვნიშნავთ, რომ ცალკე ომისდროინდელ წერილებზეც არ იქნება მსჯელობა, ვინაიდან ამ პერიოდში ქართველ ადრესატებთან მიმოწერა ფაქტობრივად გაწყვეტილია. ჩვენი ძირითადი საკვლევი მასალა კი სწორედ ეს ეპისტოლური მემკვიდრეობაა.

1940-იანი წლების დასაწყისში ნინო ტაბიძესთან მიწერილ წერილებში (ის კვლავაც ყველაზე მეტი წერილის ადრესატია) პასტერნაკი მუდმივად ადანაშაულებს საკუთარ თავს იმის გამო, რომ სათანადო ძალისხმევას არ იღებს ტიციან ტაბიძის დასახმარებლად და სიცოცხლეს არ სწირავს ამისთვის, მათი, მისი და ტაბიძეების, საერთო ბედნიერებისთვის, ვინაიდან სწორედ ამ საზომით იზომება მათი მეგობრობა და არა იმ ეგოისტური წვრილმანებით, როგორც ამას თავად უწოდებს, რომლებიც მისთვის ყოველდღიურობად იქცა და მათ გარეშე ვერ იცოცხლებს (პასტერნაკი, 2018, გვ. 76). იმ დიადის ღალატად მიიჩნევს თავის არასაკმარის მცდელობას, დაეხმაროს ქართველ მეგობარს. თუმცა პირობას აძლევს ნინოს, რომ ამას გამოასწორებს, აუცილებლად მოიმოქმედებს რაიმეს ტიციანის დასახმარებლად. 1940 წელს აკაკი წერეთლის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით მწერალთა კავშირის მმართველობის მორიგი პლენუმი უნდა გამართულიყო. ბორის პასტერნაკიც

მოწვეულთა სიაში იყო. მან აკაკის ორი ლექსიც თარგმნა: „გოგოლის ხსოვნას“ და „პოეტი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 80). პლენუმი კარგი საბაზი იყო იმისათვის, რომ თბილისში ჩამოსულიყო და ტიციან ტაბიძის საქმესთან დაკავშირებით „გარკვეული მცდელობები“ არ გადაედო. თუმცა, მეორე მხრივ, საყვარელ ქალაქში ჩამოსვლას გაურბის. მისთვის მძიმე და მტკივნეული იქნება, ვინაიდან ყველა მოგონება ერთად გაიღვიძებს. „ისევ ერთგვარი ქარიშხალი მაქვს სულში, დიდი იმედები და გეგმები, სიცოცხლისა და მოქმედების ახალი წყურვილი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 79). ამ იუბილესთვის არც ჩამოსულა იგი საქართველოში.

1940 წლის ზაფხულში ნინო ტაბიძე თავად ჩავა პასტერნაკებთან პერედელკინოში და მთელ ზაფხულს იქ გაატარებს. ცხადია, ნინოს პერედელკინოში ყოფნის დროს საერთო ძალებით ცდილობენ, რამე გაიგონ ტიციანის ამბავზე. ნინოს თხოვნით, პეტრე პავლენკოს უნდა გაერკვია, რა ბედი ეწია ტიციან ტაბიძეს. თუმცა თბილისში დაბრუნების შემდეგ, 16 სექტემბერს, პასტერნაკი ნინოს მოსწერს, რომ ჯერ ვერაფერი გაარკვია. ორი კვირის შემდეგ ისევ მისწერს: „პავლენკო ჯერ არაფერს ამბობს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 80-82). ეს გაურკვეველობაც საერთო ტვირთად ექცევათ.

ომის პერიოდის მიმოწერას თუ გადავავლებთ თვალს, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მშვიდობიანობის წლები ახლა დადგა პასტერნაკთან. ცხადი ომი მისთვის სულიერი სიმშვიდის მომტანი გახდა და, რაც მთავარია, სამუშაო ნიადაგი შეუქმნა. ქართველ ადრესატებთან ომის პერიოდში ხშირი მიმოწერა არ აქვს და შესაბამისად, ჩვენს ნაშრომში არ გვეძლევა შესაძლებლობა ამ დროის წერილებზე ცალკე ვიმსჯელოთ და გავანალიზოთ. მიუხედავად იმისა, რომ ო. მანდელშტამთან საუბრისას პასტერნაკი ხაზს უსვამს, რაოდენ მნიშვნელოვანია მისთვის ყოფითი პრობლემების მოგვარება და კომფორტული სამუშაო გარემო, ფაქტია, ბედნიერი ვერ ექმნის, ვერ წერს. ომის პერიოდის მიმოწერა გამოირჩევა განსაკუთრებული ოპტიმიზმით. მიუხედავად იმისა, რომ პასტერნაკი ყოველ წუთს ელის ტრაგიკულ ინფორმაციას დების, მშობლების შესახებ, რომლებიც მოვლენების ეპიცენტრში

იმყოფებიან, იმედი მაინც არ ტოვებს. მუდმივად ცუდი ამბის მოლოდინშია ოქსფორდიდან, სადაც მისი და და მშობლები არიან. ლიტერატურულ სფეროებშიც რთული ვითარებაა. ბორის პასტერნაკის მისამართით გაზეთებში დაბეჭდილი ლეონიდ ლეონოვის მწვავე კრიტიკა ნინოსთვისაც ცნობილი ხდება და ამასთან დაკავშირებით 1940 წლის 20 ოქტომბერს მისწერს. ამშვიდებს, რომ სერიოზული არაფერი მოჰყოლია ამას და ინციდენტმა შედარებით მსუბუქად ჩაიარა. თუმცა იგი დარწმუნებულია, რომ „ეს მხოლოდ ნაწილი იყო საერთო ქარიშხლისა, რომელმაც მთელ ლიტერატურას გადაუარა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 83). ვითარება მძიმეა და პასტერნაკის წერილებსაც მძიმე, მშრალი და საქმიანი ელფერი დაჰკრავს. სულ უფრო იჭრება მწერლის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში პროზა ყველა გაგებით. როგორადაც არ უნდა იცვლებოდეს ტონი, განწყობა, დამოკიდებულებები, სასაუბრო თემები, ერთი რამ უცვლელია პასტერნაკის მიმოწერაში: პასუხისმგებლობა ტიცციანის ოჯახის წინაშე, თანადგომა გაუწიოს როგორც მორალურად, ისე - მატერიალურად.

პასტერნაკებთან გატარებული ზაფხულის შემდეგ თბილისში დაბრუნებულ ნინოს სრულიად გადაწურული აქვს იმედი, რომ რამეს გაიგებს ტიცციანის შესახებ. პასტერნაკს ეუბნებიან, რომ ტიცციანი აღარ არის ცოცხალი და აღარანაირ მცდელობას აღარ აქვს აზრი. თუმცა ამას ვერ უმხელს ნინოს. ცდილობს გაამხნევოს. მკითხველს აოცებს პასტერნაკის გამორჩეული მზრუნველობა და ყურადღება ნინოს მიმართ. თბილისში დაბრუნებულ ნინოს წერილს სწერს რუსი მწერალი, სადაც წუხს იმის გამო, რომ ფულს ვერ უგზავნის, არადა იცის მოსკოვში მგზავრობა რამდენ ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუმცა თავადაც არასახარბიელო მდგომარეობაშია. მმართველების ცვალებადი განწყობილებანი პასტერნაკის მიმართ პირდაპირ აისახება მის ფინანსურ მდგომარეობაზე. „...არ დაიჯერებთ, რა შავ სხეულში გამოგვამწყვდიეს. შეუძლებელია ეს მარადიულად ასე გაგრძელდეს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 86). მიუხედავად იმისა, რომ ასე ავიწროვებენ, არაფერს უბეჭდავენ, კრიტიკის ქარცეცხლი არ ნელდება და ამაზე უარესის მოლოდინიც აქვს, ვინაიდან, როგორც თავად აღნიშნავს, იმავე რეალობაში ცხოვრობს, რომელშიც ლეონიდ ლეონოვი და აღარაფერი გაუკვირდება, არც ის, თუკი

„ჰამლეტის“ თარგმანს „შექსპირის ვულგარიზაციად გამოაცხადებენ“, მიუხედავად ამ ყველაფრისა, პასტერნაკს უიმედობა და სასოწარკვეთილება არ იპყრობს და არც ნებდება. მისი „1937 წელი“ ახლა დგება. ყველაფრისთვის მზადაა, ვინაიდან იცის, „რომ ესეც დასრულდება“. Omnia transibunt. Et id transibit quoque („ყველაფერი გაივლის. ესეც გაივლის“ - სოლომონი). აი, ის კი, თუ როგორი იქნება დასასრული, როგორი შეხვედბა დასასრულს, მისი მთავარი ამოცანაა ამ პერიოდიდან, ახლა დაადგება საკუთარი თავის შენარჩუნების რთულ და მძიმე გზას. სწორედ 40-იანი წლებიდან იწყება და სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება ეს გზა და იგი მკაფიოდ, ზედმიწევნით აისახა ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილებში.

რაც უფრო ცდილობენ მის მარწუხებში მოქცევას, მით მეტ თავისუფლებას გრძნობს, მეტად ბრძოლისუნარიანი ხდება და რწმუნდება არჩეული გზის სისწორეში. „ათას რამეს დამაბრალებენ კიდევ, მაგრამ, ძირითადად ჩემ მიმართ მშვენიერი დამოკიდებულება აქვთ და საერთოდაც, მე საშინლად ბედნიერი კაცი ვარ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 88). ამ განწყობით მოელის 1941 წელს, დიდი იმედებით. ამხნეებს ნინოს და არწმუნებს, რომ ტიცინი ცოცხალია და მასთან შეხვედრამდე სულ ცოტაა დარჩა. მართალია, ეს უსაფუძვლო მოლოდინია, მაგრამ პასტერნაკი რწმენას უნერგავს ნინოსაც და საკუთარ თავსაც. რწმენა კი იქ არის საჭირო, სადაც ხილული საბუთი არ გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფაქტი იქნებოდა და არა - რწმენა. „...არ მექნებოდა ამხელა მოლოდინები მომავლისგან, ტიცინი რომ არ მელოდეს წინ“ - მისწერს ნინო ტაბიძეს 1940 წლის 27 დეკემბერს (პასტერნაკი, 2018, გვ. 88). ეს რწმენა ძალიან სჭირდება ორივეს, სჭირდებათ იმისთვის, რომ ქმედითუნარიანობა შეინარჩუნონ, მიზანი არ დაკარგონ.

ბორის პასტერნაკისთვის ახლა დადგა მოქმედების დრო, მთავარი ნაწარმოების დაწერის დრო. პასტერნაკი დროის მწვავე აღქმით გამოირჩევა და ეს არაერთხელ აღვნიშნეთ. „სულ უფრო გულს მიწვრილებს უხერხულობანი, სისულელები, საიდუმლო აბსურდები, მრავლისმეტყველი ნახევრადთქმული სიტყვები და, რაც

მთავარია, ამ ყველაფერზე გაფლანგული უამრავი დრო, რომელიც კიდევ უფრო ძვირფასია, ვინაიდან არც თუ ისე ახალგაზრდის საკუთრებაა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 86). არ სურს არც ერთი წუთის დაკარგვა. თუმცა „ვაჭრობა“ მაინც უხდება, რათა საარსებო საშუალება მოიპოვოს. ყოველდღიური ბრძოლა უწევს, ისევე, როგორც ყველას. გაწამებული, დაქანცული, იმედგაცრუებული რომ ბრუნდება ქალაქიდან პერედელკინოში, იქ სიმშვიდე, სისუფთავე და ნინოს წერილი ელოდება. ეს ამხნევებს და იმედს აძლევს. ამ პერიოდში პასტერნაკის რჩევები, რომელთაც იგი ნინოს აძლევს, ცხადად ასახავს საკუთრივ მის შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს. ნაშრომში არაერთხელ აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ იგი რომანისთვის ინახავს თავს, ცდილობს გადარჩეს სწორედ ამისთვის. ნინოს კი, რომელიც მეგობარს სულში გამეფებული ქაოსის გამო შესჩივის, ურჩევს: „...გჭირდებათ ის ყოველივე, რაც თქვენს დღეებს გაახანგრძლივებს და შემოგინახავთ ტიციანისთვის, ამ ყოველივეთი სარგებლობა კი თქვენი უფლებაა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 91). სწორედ ამავე უფლებით სარგებლობს თვითონაც და ცდილობს თავი შემოინახოს მთავარი ნაწარმოებისთვის. ხოლო თუ ვერ გარდარჩა, ვიდრე ცოცხალია, იცის, მეორედ უნდა დაიბადოს. ამაზე პირველ თავში უკვე ვისაუბრეთ. 40-იან წლებში განსაკუთრებით მკაფიოდ და განსაზღვრულად იცის, რატომ უნდა გადარჩეს, რისთვის შესაწირად სჭირდება სიცოცხლე. ნინომ თავი ტიციანს უნდა შემოუნახოს, მან კი - თავის რომანს.

ზემოთ ციტირებული წერილი საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მეორე ნაწილის ადრესატი ნიტაა, ტანიტ ტაბიძე, ტიციანის ქალიშვილი. იგი პირველი წერილია, რომელშიც მწერალი უშუალოდ ნიტას მიმართავს. ეს შეიძლება ერთგვარად ახალი თაობისადმი მიმართვადაც გავიაზროთ. მანამდე ნინოსგან გაიგებს, რომ რეპრესირებული მამის შვილი უიმედობას შეუპყრია და არაფერი ესახება მომავალში. პასტერნაკი ამხნევებს, სწერს, რომ ეს ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელია, განსაკუთრებით მათი საუკეთესო ნაწილისთვის და იქვე საინტერესო საკითხს წამოჭრის: „საბრალონი (ახალგაზრდები ს.ბ.), აზრადაც არ მოსდით, წინ ბევრი შრომა და ათასგვარი ამოცანა რომ ელით, სიჭრელესა და სისწრაფეში რომ უნდა ამოიგონ ის

დრო, რომელიც ჩვენ დაგვაკარგვინა განგებამ, გაგვყინა რა ერთ ადგილას, როგორღაც მწარედ და უცნაურად“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 91). ამ ერთ წინადადებაში ჩაატეხს მთელი ეპოქის, მათი თაობის ნამოქმედარისა და მომავალი თაობის მოსამკვი შედეგების შეფასებას. დაკარგული დროისა და მისი ძიების შესახებ პასტერნაკის ცხოვრებასა და მსოფლმხედველობაში უკვე ვისაუბრეთ წინა თავებში. აქ იმას დავუმატებთ, რომ იგი რომანს უკვე ყველგან წერს, რომანი ასახვას ჰპოვებს ყველგან და, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, წერილებში. მიმოწერაშიც წინა პლანზე წამოწევს იმ საკითხებს, რომლებიც საკვანძო გახდება რომანში და ზოგადად, პასტერნაკის მთელ დარჩენილ ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში.

ნიტასთან მიწერილი წერილი არ არის მხოლოდ მანუგეშებელი ტექსტი. მასში პასტერნაკი თავის იმდროინდელ შეხედულებებსა და მსოფლმხედვას გვიზიარებს. მას ესმის, რაოდენ რთულია „ერთფეროვანი აწმყოსა“ და „გაურკვეველი მომავლის“ გაძლება ისე, რომ დეპრესიას გადაურჩე. ეს ხომ თავადაც გამოსცადა. თუმცა მთავარი ის არის და ამისათვის მაღლიერი უნდა იყოს ნიტა, რომ მიუხედავად მტკივნეული, ტრაგიკული განშორებისა, ნიტა გადარჩა, გაიზარდა. „მორალური თვალსაზრისით, უკვე გმირი ხართ“ - მისწერს იგი (პასტერნაკი, 2018, გვ. 93). პასტერნაკისთვის ეს „გადარჩენა“ ნიშანდობლივია. ეს მეორედ დაბადებაა, მეორე შესაძლებლობა, გააკეთო ის, რაც სიკვდილამდე ვერ მოახერხე. ამ გაძლებისთვის ჯილდოს იმედიც აქვს: ნიტასთვის - მამასთან შეხვედრა, თავისთვის კი - რომანი. „ღირს კი, საჭიროა კი დანარჩენზე საუბარი?“ (პასტერნაკი ნიტას იმავე წერილში). როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, პასტერნაკის წერილები არ არის მხოლოდ ადრესატთან საუბრის, აზრებისა და განცდების გაცვლის საშუალება. ხანდახან იგი შინაგან მონოლოგს ემსგავსება. ნიტასთან ერთად იგი საკუთარ თავსაც ამხნევეს. იმედიტ ავსებს ფიქრი შვილების თაობის ნათელ მომავალზე, „მორალურად გამართლებულზე“, მათ, მამების თაობას, აიძულებს: „ჩავეჭიდოთ სიცოცხლეს, დავაფასოთ და გვსურდეს იგი ნებისმიერი ფორმით. რაც არ უნდა შორს იყოს ეს, ყოველივე შორეული ოდესღაც მოახლოვდება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 92). სწორედ ამ იმედიტ უძლებს თუნდაც

მორალურად გაუმართლებელ აწმყოს და თანახმაა ყველაფერი აიტანოს, რათა ასეთი მომავალი დადგეს. იცის, რომ ჯერ კიდევ აქვს გასაკეთებელი: სწორი ორიენტირია საჭირო დაკარგული დროის საძიებლად.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რომანს სურს მოახმაროს საკუთარი შემოქმედებითი ძალები, პასტერნაკი თარგმანს ჯერ კიდევ ვერ აღწევს თავს. მთარგმნელობით საქმიანობას მიჯაჭვულს უიმედობაც იპყრობს, ნინოს შესჩივის, რომ ჯერაც ვერაფერი შექმნა ღირებული. ამგვარ განწყობას ამ პერიოდში ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა ლიტერატურაში შეტანილი დამსახურებისთვის დაჯილდოებულ მწერალთა სიაში იგი არ აღმოჩნდა. პასტერნაკს ყოველთვის ნაკლებად აინტერესებდა საყოველთაო აღიარება, ჯილდოები, პირველი პოეტის წოდება. პირიქით, ეს აფრთხობდა და ნამდვილ სამუშაოს აშორებდა. ახლა მისი ნამდვილი სამუშაო რომანია, მან უნდა დაუმკვიდროს ახალი და ყველაზე მეტად სასურველი ადგილი. მისი წერა კი ფერხდება. საქმე წინ ვერ მიიწევს და ეს უსარგებლობის განცდას ბადებს. როცა რომანზე მუშაობის პროცესი წარმატებით მიდის, სრულიად გულგრილია ყველაფრის მიმართ, რაც მის ირგვლივ ხდება. არსებული ვითარების მიუხედავად, პასტერნაკი ახერხებს, შეინარჩუნოს საკუთარი თავი და ისე დაწეროს ახალი ისტორია. ამას უკვე 1940-იანი წლების ბოლოდან შეძლებს და შეუდგება კიდევ ინტენსიურ მუშაობას რომანზე.

ბორის პასტერნაკისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და სიმბოლური იყო „ჰამლეტის“ თარგმნის პროცესი და მისი გავლენა საკუთარ ცხოვრებაზე. ამ თარგმანის ბედიც დაუკავშირდება საქართველოს. „ზაფხულში ჩემთან იყვნენ თბილისის რუსული თეატრიდან და წაიღეს ჰამლეტის ტექსტი, აპირებდნენ მის დადგმას. შეგიძლიათ გამიგოთ შორიდან, რატომ ჩაიშალა ეს საქმე (სხვა შემთხვევაში მეცოდინებოდა მათი სამუშაოების შესახებ)?“ - სწერს იგი ნინოს 1941 წლის 21 მარტს (პასტერნაკი, 2018, გვ. 94). მომდევნო წერილიდან კი ვიგებთ, რომ ამის შესახებ ნინოს პასუხი არ აქვს და შესაბამისად, არც მის დადგმას აპირებს ვინმე. პასტერნაკს

ვარაუდები აქვს, რატომ გადაიფიქრეს მისი თარგმნილი „ჰამლეტის“ დადგმა, თუმცა ნინოს თავს არ აწყენს ამით. როგორც ჩანს, მისი დევნა გრძელდება.

1941 წელი რთული და მძიმე პასტერნაკის ცხოვრებაში. ეპოქის საერთო სატკივარს ოჯახის პრობლემებიც ემატება. გარდა იმისა, რომ ყოველდღიური ბრძოლა უწევს არსებობისთვის, ტიციან ტაბიძის საქმეზე მიწერილი წერილები კი უპასუხოდ რჩება, ძვლის ტუბერკულოზით დაავადებული მისი გერის, ადრიანის, ჯანმრთელობის მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. ნინო ტაბიძესაც სთხოვს, იქნებ თბილისში მოიძებნოს შესაფერისი დაწესებულება, რათა იქ გადაიყვანონ. ეს ზინასთვის უფრო მარტივი იქნებოდა. თუმცა ადრიან ნეიჰაუზის გადმოყვანა ვერ მოხერხდება მდგომარეობის გაუარესების გამო. ამას ყველაფერს ემატება სასტიკი ცენზურა. ფაქტობრივად, არაფერს უბეჭდავენ. მხოლოდ თარგმანს, მაშინ, როცა სწორედ ამ „კაბალას“ სურს, თავი დააღწიოს, საკუთარზე იმუშაოს.

როცა ყველაფერი დალაგებულია, შემოქმედებით კრიზისს რომ განიცდის, ხოლო როცა ირგვლივ პრობლემებია, შემოქმედებითი და სასიცოცხლო ძალები მატულობს მასში, ეს კარგად ჩანს ნინოსთან მიწერილ შემდეგ სტრიქონებში: „ორი-სამი თვის წინ ვიგრძენი, რომ ასე აღარ შემიძლია და საჭიროა ყველაფრის კვლავ მიმოფანტვა ჩემს ცხოვრებაში. ძალიან ვიჩხუბეთ მე და ზინამ და დავშორდი. გარს შემომეხვივნენ ამხანაგები, ფედინი, ნიკიტინი, პოგოდინი, ფადეევი და რამდენიმე ხანს ჩემთან ცხოვრობდნენ. კიდევ ერთხელ შევიგრძენი მთელი სინამდვილე, მისი მოძრაობა და ხმები, რაც თითქმის მთელი ცხოვრება ხელიდან გვისხლტება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 96). ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ომის წლებში ყველაზე იმედიან წერილებს აგზავნის საქართველოში. პასტერნაკის ბედნიერებას წერის პროცესი განაპირობებს, ამას მისთვის გადამრჩენი ძალა აქვს. გავიხსენოთ, რას სწერს ნინოს სასოწარკვეთილი ტიციან ტაბიძის საშველად: მთავარია წეროს, თუნდაც ეს პროზა იყოს. მაშინ პასტერნაკისთვის ჯერ კიდევ არ არის პროზა მთავარ ჩანაფიქრად და მიზნად ქცეული.

მიუხედავად ეპოქის ამგვარი წნეხისა, პასტერნაკს ჯერ ხმა არ აუმაღლებია. რასაკვირველია, შიგადადშიგ გაისმის ხმები, თუმცა მთავარი ჯანყი და განხეთქილება წინაა. მორჩილების, დათანხმების, თუნდაც გაჩუმების გამოხატულება დროებითია. ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ბუნტი. „ვიცი, როგორი არარაობები არიან ისინი, ვის გამოც საკუთარ თავზე ვთქვით უარი. ჯერ კიდევ შემიძლია თავის გამოჩენა“ - მისწერს იგი ნინოს 1941 წლის 14 აპრილს (პასტერნაკი, 2018, გვ. 96). პროტესტის განცდა სულ უფრო ძლიერდება მწერალში და მისი გამოხატვის ფორმა უნდა მოიძებნოს.

ომის წლებშიც კი არ წყდება ცრუ ხმების გავრცელება, თითქოს ტიცინი ცოცხალი იყოს. ერთ-ერთი მორიგი ასეთი ხმის მიწვდენის შემდეგ ნინოს მისწერს პასტერნაკი: „საშინლად ვლელავდი, მთელი ამ ხნის განმავლობაში რომ დუმდით. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ გამახარა ცნობებმა ტიცინის შესახებ! რა გულქვაობაა! რთული იქნება, საერთოდ რომ გამოუშვან ასეთ დღეებში?!“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 97). ცინიკური თამაში ადამიანების ბედით კვლავაც გრძელდება. ამ დროს პასტერნაკი ვოროშილოველი მსროლელების კლუბშია და ეს ფათერაკები ძალიან ხიბლავს. 1941 წლის 14 სექტემბერს ნინოს სწერს: „საფრთხეში ისე ვგრძნობდი თავს, როგორც ქართულ ბანკეტზე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 97). თუ წესრიგია, ქაოსს თავად ქმნის. უკვე ვახსენეთ ნინოსთან მიწერილი წერილი, რომელშიც თავის ცხოვრებაში ყველაფრის არევ-დარევის აუცილებლობაზე წერს. ეს მისი ხასიათის მნიშვნელოვანი შტრიხია. სამყაროსა თუ საკუთარი თავის ხელახლა შექმნის აუცილებელი წინაპირობაა ქაოსი.

ბორის პასტერნაკის თხზულებათა 11-ტომეულის მიხედვით, 1942 წელს რუსი მწერლის მიერ ქართველ ადრესატებთან გაგზავნილი არც ერთი წერილი არ შემონახულა. 1943 წლის პირველი წერილი მძიმე მოვლენების ფონზე იწერება: პასტერნაკებს საცხოვრებელიც არ აქვთ, მოსკოვის ბინა გაპარტახებულია, ზინა ბავშვებთან ერთად პოგოდინებსაა შეხიზნებული, ბორისი კი თავის ძმასთან ცხოვრობს, ძვლის ტუბერკულოზით გატანჯულ ადრიანს ფეხი მოჰკვეთეს ურალზე, თუმცა მისი მდგომარეობა მხოლოდ უარესდება. აი, ამ ვითარებაში თარგმნის იგი

შექსპირის „ანტონიო და კლეოპატრასა“ და „რომეო და ჯულიეტას“. სწორედ ამ მოვლენების ფონზე ულოცავს ნინოს ამ წერილით შვილიშვილის, გივი ანდრიაძის დაბადებას (პასტერნაკი, 2018, გვ. 98-99).

ხშირი მიმოწერით არც 1943 წელი გამოირჩევა. ზემოთ აღნიშნული კრებული ქართველ ადრესატებთან მიწერილ ორ წერილს შეიცავს, ამ წლით დათარიღებულს. ორივე მათგანი ნინოსთანაა გამოგზავნილი. პასტერნაკი შემოდგომით ფრონტზეა. ნინო ცდილობს დეპეშის საშუალებით მაინც გაიგოს მისი ამბავი, მაგრამ იმის გამო, რომ რუსი მწერალი და მისი ოჯახი მუდმივად იცვლიან საცხოვრებელ ადგილებს, დეპეშა ადრესატამდე ვერ აღწევს. როგორც თავად აფასებს, მისი „ყოფითი პირობები ორჭოფულია“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 100). ამ პერიოდში გაზეთ „პრავდადან“ გიორგი ლეონიძის ლექსებს უკვეთავენ, თუმცა ახლა თარგმნა არ სურს. ამ ლექსებიდან ერთი სტალინზეა და საინტერესოდ არ მიაჩნია, ხოლო მეორეს თარგმნა საკუთარი თავის „მეორეულ, დაქვემდებარებულ პოზიციებზე“ დაყენებას უქადის. საინტერესოა, აქ კონკრეტულად რას გულისხმობს. იმას ხომ არა, რომ დედანი თავისი მხატვრული ღირებულებით დაჩრდილავს მის თარგმანს. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მის თარგმანებში იგი ყოველთვის წამოსწევს წინ მთარგმნელს, უფრო სწორად, ყველა მთარგმნელში იგრძნობა პოეტი ბორის პასტერნაკი, განსაკუთრებით, თუკი ეს ქართველ პოეტთა ნაწარმოებების თარგმანებს ეხება. საკუთარი თავის უკანა პლანზე გადაწევა კი ახლა, როცა პოზიციების გამყარება უწევს, არ მიაჩნია სახარბიელოდ. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოგვიანებით მაინც თარგმნის ლეონიძის ლექსებს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილებების რეალიზება ორიგინალურ ნაწარმოებში სურს, არ უნდა თარგმანში დაიხარჯოს. სხვა საკითხია, რომ ეს თარგმანები საარსებოდ სჭირდება.

1944 წლის 30 მარტის წერილში პასტერნაკი ერთ ძალზედ საინტერესო საკითხს ეხება და თავისი განცდების მნიშვნელოვან შტრიხს უმჟღავნებს ნინოს. ტიციანის გარეშე ცხოვრების წარმოდგენამ, ამ ფაქტისადმი შეგუებამ მის ხასიათში მოახდინა

ცვლილებები: უფრო ცივი, მაგრამ უფრო მამაცი გახადა. „ამ სიმწარემ დისციპლინას მიმაჩვია“ - სწერს იგი ნინოს და ამ ამბის დადებით მხარედ განიხილავს ამას. იქვე დასძენს: „ეს რომ მუსლიმურ კავკასიაში ყოფილიყო, ვიტყვოდი, შურისმაძიებლობის ნაოჭი დამაჩნდა სახეზე და შემეყინა-მეთქი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 102-103). მაგრამ ვინაიდან იგი მწერალია და ეს საქმიანობა მხოლოდ მიმტევებლობას უქადაგებს, მის შემთხვევაში ამ ამბავმა მორალური სიმაღლე და სიძლიერე შეჰმატა, უფრო ქმედითი გახადა. ნინოსთან მიწერილი წერილიდან მოხმობილი ეს სტრიქონები ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს იმ გარდაქმნაზე, გარდატეხაზე, რაც ტიცციანისა და პაოლოს ტრაგიკულმა აღსასრულმა გამოიწვია პასტერნაკში. ამდენად, შესაძლოა დავუშვათ ისიც, რომ ეს გარკვეული თვალსაზრისით, აუცილებელი მსხვერპლი იყო, რომელიც პასტერნაკის შემოქმედების, თავად მისი, როგორც პიროვნების, ხელახლა „წარმოებას“ განაპირობებს. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარდა მორალური ზრდისა და გაძლიერებისა, შურისძიების ფაქტორიც რჩება ძალაში. „ექიმი ჟივავო“ არის კიდევ შურისძიების აქტი. შურისძიება გარდაცვლილი მეგობრების, გაცრუებული იმედების, დაკარგული დროის გამო.

როდესაც ნინო კიდევ ერთხელ შეატყობინებს ტიცციანის შესახებ საიმედო ცნობებს, პასტერნაკი მოსწერს: „ასე მარტივად ამის მიღება არ შემძლია, ამისთვის მოუშაადებელი ვარ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 103). მოუშაადებელი კი არ არის, არამედ უკვე მიიღო ის ფაქტი, რომ ტიცციან ტაბიძე აღარ არის ცოცხალთა შორის, უკვე შეეგუა და ამან შემატა სიამაგე, გახადა უფრო მკაფიო, როგორც თავადვე აღნიშნავს. მკაფიო გახდა მისი სათქმელიც. სხვაგვარი ხდება მისი შემოქმედებაც. „ტიციანი ჩემი ცხოვრების საუკეთესო ხატებაა, იგია სამყაროსა და პოეზიისადმი ჩემი დამოკიდებულება, ყველაზე ბედნიერ სიზმარში ნანახი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 102) - სწერს იმავე წერილში ნინოს. ეს არის ორიენტირი, რომელიც სიკვდილის შემდეგ სრულ განსაზღვრულობას სძენს პასტერნაკის ყოფას, შემოქმედებას. ბედნიერ სიზმარში კი თავისი ცხოვრების მთავარი ნაწარმოებია ნანახი. ამ წერილში ერთგვარი დაუნდობელი გულახდილობაც კი იგრძნობა მწერლის მხრიდან, ნინოს უკვე იმ

რეალობაზე სწერს, რომელშიც ტიცინი ცოცხალი აღარაა. ამგვარი გულახდილობა საბოდიშო გაუხდება. 1944 წლის 30 მარტის ამ წერილს ღია ბარათს მიაცოლებს და პატიებას სთხოვს პესიმისტური განწყობისთვის. თუმცა სრულიად გულახდილია იქ. თვითონ ამგვარ განწყობას იმით ხსნის, რომ საშინლად გადაიღალა, მისი ძალები კი სრულიად უმიზნოდ იხარჯება. ე.ი. თავის საკუთარს ვერ ქმნის და რასაც წერს, ენერჯისა და შემოქმედებითი ნიჭის ამაო ხარჯვად მიაჩნია.

საქართველოში ჩამოსვლას თუ დააპირებს, ყოველთვის საკუთარზე მუშაობას გეგმავს, ვინაიდან „საქართველოში მოგზაურობა მისთვის შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვების ტოლფასია“, საკუთარ თავში მოგზაურობას უდრის, ეს ყველა ხელოვანისთვის საოცნებო მოგზაურობაა (პასტერნაკი, 2018, გვ. 105-106). საკუთარ თავში მოგზაურობა რაოდენ მნიშვნელოვანია, ზოგადად, ხელოვანისთვის, და კონკრეტულად, პასტერნაკისთვის, ეს არაერთხელ აღინიშნა. აქ კი დავამატებთ, რომ ამ პერიოდში ბორის პასტერნაკი არა მხოლოდ შემოქმედების ფორმას, არამედ საკუთარ თავსაც ცვლის, სრულიად სხვა მიზნებს უსახავს თავის ნაწარმოებებსაც და საკუთარ თავსაც. მისთვის ეს იქნება ნამდვილი ხელოვნება. ნამდვილი ხელოვნება კი იქ იბადება, სადაც ზემოთ ხსენებული „შემოქმედებითი თავისუფლება“. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში გამგზავრების სურვილი რეგულარულად ჩნდებოდა მის ცხოვრებაში. ეს არ იყო მხოლოდ ახლობელ ადამიანებთან შეხვედრის სურვილი. ამ თვალსაზრისით, პირიქით, მტკივნეული იქნებოდა საქართველოში დაბრუნება პასტერნაკისთვის. ერთ-ერთ წერილში ნინოს სწერს კიდევ: „როგორ მინდა გავექცე საქართველოში გამომგზავრებას, საქართველოში, რომელიც გადავიყვარე!“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 79). აქ ხომ აღარ დახვდებიან ტიცინი და პაოლო. თუმცა ამავე წერილებში აღნიშნავს, რომ საქართველო მხოლოდ ამ ადამიანების გამო როდი უყვარდა.

1945 წლიდან ბორის პასტერნაკს აქტიური მიმოწერა აქვს სიმონ ჩიქოვანთან. ჩიქოვანი სთხოვს სწორედ ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლისთავისთვის

ქართველი რომანტიკოსი პოეტის თარგმნას. თავიდან პასტერნაკი არ იღებს ჩიქოვანის შეთავაზებას. ამ პერიოდიდან მისგან უკვე ხშირად გვესმის უარი თარგმნაზე. თუმცა ეს მისი შემოსავლის ერთადერთი წყაროა და შესაბამისად, საბოლოოდ დასთანხმდება კიდევ. 1945 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, დიდი ხნის განშორების შემდეგ, საქართველოშიც ჩამოვა, სადაც აღარ დახვდებიან პაოლო და ტიცინი. მიუხედავად ასეთი სავალალო ფინანსური მდგომარეობისა, პასტერნაკი თავის მეორე ოჯახს არ ივიწყებს და ჩიქოვანს სთხოვს, ბარათაშვილის თარგმნის ავანსის ნახევარი ნინოს მისცეს. „რაიმე ფორმით, ნებისმიერი საბაბით, ნინა ტაბიძეს დააძალეთ, ისე, რომ არც კი იცოდეს, საიდანაა“ -სწერს იგი სიმონ ჩიქოვანს 1945 წლის 3 აგვისტოს წერილში (პასტერნაკი, 2018, გვ. 109). პასტერნაკისთვის ეს, ერთგვარად, იძულებითი საქმიანობა ქართველებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, რათა ქართველი ავტორები იმ დროისათვის საკმაოდ ფართო რუსულენოვანი საზოგადოებისთვის გაეცნოთ, რაც უდიდეს როლს თამაშობდა ქართული მწერლობის პოპულარიზაციის საქმეში.

1945 წელი დანაკარგების წელი აღმოჩნდება პასტერნაკისთვის. ამ წელს დაკარგავს იგი ორ ახლობელ ადამიანს, ოჯახის ორ წევრს: 1945 წლის 29 აპრილს მისი გერი, ადრიან ნეიჰაუზი გარდაიცვალა, ამავე წლის 31 მაისს კი - მამამისი, ლეონიდ პასტერნაკი. მის სულიერ მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორიგინალურ ნაწარმოებებს არავინ უბეჭდავს, ვერ წერს. ამ პერიოდის საკუთარ საქმიანობას იგი გადამწერის საქმიანობას ადარებს. მიუხედავად ამისა, შინაგან სიმშვიდეს არ კარგავს და იმედიანადაა. სწორედ ამ წელს თარგმნა ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“. ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილებში საინტერესო ცნობებს ვხვდებით მთარგმნელობითი პროცესის შესახებ. სწორედ მათი საშუალებით ვიგებთ, რომ სანამ ქართველი რომანტიკოსის თარგმნას შეუდგება, პასტერნაკი მანამდე გულდასმით ეცნობა კრებულებს: Николай Бараташвили. «Стихотворения». М., 1938, და «Грузинские романтики в переводах русских поэтов». Л., 1940, სადაც შესულია ს. სპასკის, კ. ლიპსკეროვის, ვ. გაფრინდაშვილის, ბ. ბრიკის, ი. ვერხოვსკის, პ. ანტოკოლსკის, ვ. დერჟავინის და სხვ. თარგმანები. მათი ანალიზის საფუძველზე ისახავს ამოცანას:

განიზრახავს, ისევე თარგმნოს ქართველი პოეტი, როგორც შექსპირი, ვერლენი და შეეჭენკო თარგმნა, მიუხედავად იმისა, რომ იცის, „იტყვიან, ზედმეტად თავისუფალი ბარათაშვილიაო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 110-111). სექტემბერში სიმონ ჩიქოვანს უკვე თარგმანის ნახევარს უგზავნის. ამგვარი თავისუფალი თარგმანი ორიგინალურის წერის ჟინს უკლავს მეტ-ნაკლებად, საკუთარი მხატვრული სტილის რეალიზებაში ეხმარება.

როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ და არც არის შემთხვევითი ამ ფაქტის ხშირი შეხსენება, სწორედ ბარათაშვილის იუბილესთვის ჩამოსვლის დროს გადასცა ნინო ტაბიძემ ტიცციანის გერბიანი ფურცლები, რომლებიც მიმოწერაში პირველად 1945 წლის 1 ნოემბრის წერილში არის ნახსენები. „ხედავთ, როგორი ძუნწი ვარ? ტიცციანის ფურცლებზე როდი გწერთ“ - პასტერნაკი ნინოს (პასტერნაკი, 2018, გვ. 113). მათ მხოლოდ „ექიმი ჟივავოსთვის“ გაიმეტებს და სიმბოლურ მნიშვნელობასაც შესძენს, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ახალი სტილის განმსაზღვრელად ექცევა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილესათვის საქართველოში ეს გამომგზავრება სევდინია. მართალია, იძენს ახალ მეგობრებსაც, თუმცა აქ აღარ ხვდებიან ძველი მეგობრები. ამ დანაკარგმა ბევრ რამეს მიანიჭა ზუსტი განსაზღვრულობა, პასტერნაკისთვის დამახასიათებელი გამიზნული ბუნდოვანება მისი შემოქმედების განვლილ ეტაპად რჩება და ახლა უკვე სათქმელი გაცილებით ზუსტი, ნათელი და კონკრეტული ხდება. როგორც თავად აღნიშნავს, მისთვის ყველაფერი გაცილებით მარტივი გახდა, „წაგებული გამარჯვებული აღმოჩნდა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 114), ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი დაერქვა. ამ სიტყვებში ტიცციანის გამარჯვებას უნდა გულისხმობდეს. ახლა უკვე ზუსტად იცის რა სურს: ასეთი გამარჯვება. ყოველივე თანდათან კონტურებს იძენს და მწერალმაც უკვე იცის, რას დაწერს და როგორ დაწერს.

თბილისიდან პასტერნაკი ყოველთვის შთაბეჭდილებებით სავსე ბრუნდება. ეს კი მისი ნაყოფიერი მუშაობის მთავარი წინაპირობაა ხოლმე. სინდისის ქენჯნას გრძნობს, რომ

სანაცვლოდ ვერაფერს გასცემს. აქ ჩამოსულს „სითბოს მორევში“ აბანავებდნენ და თვითონ ვერაფრით უპასუხა. წერილში ერთგვარი გაღიზიანებაც იგრძნობა იმ რელობის მიმართ, რომელსაც დაუბრუნდა. გზაშივე, სახლში მიმავალი, უსიამოვნოდ განეწყობა იმ ქალების მიმართ, რომლებიც მისგან ფულს სესხულობენ, ყველაფერს ჭამენ და მერე აღებინებენ. მოსკოვში ჩასულს კი განრიგი სრულიად არეული ხვდება, პერედელკინოში შეშა გაუთავდება, მერე შუქიც ჩაქრება, წინ ისევ მთარგმნელობითი საქმიანობა, ეს კაბალა ელოდება. და ამ დროს იხსენებს, რომ ამ დედამიწაზე არსებობს შესახვევი, საიდანაც მოსჩანს ფანჯარა და იქ შეუძლია შესძახოს „ნინა“, ფანჯარა გაიღება და იგი შეიგრძნობს იმ განუზომლად ბევრს, რასაც გრძნობს ხოლმე ყოველ ჯერზე (პასტერნაკი, 2018, გვ. 115-116).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილესთვის ჩამოსული ბორის პასტერნაკი ახალ ნაცნობებს იძენს. განსაკუთრებით დაუახლოვდა სიმონ ჩიქოვანს. მასთან მანამდეც აკავშირებდა საქმიანი ურთიერთობა, რომელიც ორმხრივ პატივისცემას ემყარებოდა, თუმცა 1945 წლის შემოდგომის მოგზაურობამ გააღრმავა მათი ურთიერთობა. თავად პასტერნაკის თქმით, მათ მეგობრობას არაფერი აქვს საერთო „მაშინაღურ, დასწავლილ აღტაცებასთან“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 117), რომელიც ამ წრის წარმომადგენლებს შეუთვისებიათ. ამ ჩამოსვლის დროს გაიცნობს პასტერნაკი სერგო კლდიაშვილსაც, რომელიც სიმონ ჩიქოვანის მეზობლად ცხოვრობდა. საერთო, საყოველთაო სიყალბე, ცნებათა და ღირებულებათა შეგნებული აღრევა მწერალს თრგუნავს და ან იქ გაურბის, სადაც ყველაფერი ნამდვილია, მისსავე შექმნილ მხატვრულ რეალობაში, ან კიდევ ამ საყოველთაოში ბედნიერ გამონაკლისებს უზიარებს თავის სათქმელს. ასეთი გამონაკლისები ცოტანილა დარჩნენ, თუმცა უმრავლესობა მათგან ქართველი ადრესატია. მათ რიგებშია სწორედ სიმონ ჩიქოვანიც.

კვლავაც თარგმანებს მიჯაჭვული, საქმიან ურთიერთობასაც აგრძელებს სიმონთან, მას უთანხმებს თარგმნის დეტალებს. 1945 წლის ოქტომბერში დაიბეჭდება „ზარია ვოსტოკაში“ მის მიერ ნათარგმნი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები: „ბულბული და

ვარდი“ და „ცისა ფერს“. მუშაობს ვაჟა-ფშაველასა და სიმონ ჩიქოვანის ლექსებზე. ქართულ თარგმანებზე მუშაობისას პასტერნაკი ყოველთვის საყურადღებო და მნიშვნელოვან მოსაზრებებს გამოთქვამს უშუალოდ თარგმნის პროცესთან დაკავშირებით. მათში აისახება ხოლმე ეპოქის განწყობაც. როდესაც სიმონ ჩიქოვანს მისი ლექსის თარგმანს გაუგზავნის, იქვე მისწერს, რომ განზრახ გაამარტივა რაღაცები, სიცხადე და სიმსუბუქე მშვენიერებასა და ემოციაზე წინ წამოწია (პასტერნაკი, 2018, გვ. 118-119). როგორც ვხედავთ, მხატვრული სტილის ცვლილება მთარგმნელობით საქმესაც შეეხო. თავისუფალ თარგმანს, მშვენიერებისა და განწყობის გადმოცემის სიზუსტეს, სიცხადე ამჯობინა. პასტერნაკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სათქმელის სიცხადე. ამ ეტაპზე კი მკითხველთან კავშირი მხოლოდ თარგმანებითაა შესაძლებელი, რომანის წერას კი ჩუმად განაგრძობს.

1946 წლის 24 იანვრის წერილში პასტერნაკი პირველად მისწერს ნინო ტაბიძეს რომანის წერის შესახებ. ტიციანის ფურცლებზე მხოლოდ მაშინ გადაიტანს, თუ ჩათვლის, რომ ამაღ ღირს რომანი, რომელიც „ჩანაფიქრშივე, დაბადებისთანავე, ტიციანს მიეძღვნა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 120). პასტერნაკი რომანის მიძღვნილ დაწყებასაც კი აპირებდა: „ტიციან ტაბიძეს“ ან „ტიციან ტაბიძის ხსოვნას“. ნინოს სწერს, რომ არ იცის ამ ორი ფორმულირებიდან რომელი ჯობს. ჯერ ხომ დაზუსტებით კვლავაც არ იციან ტიციანის ამბავი. ჯერ კიდევ აღწევს მათ ყურამდე იმედისმომცემი ჭორები. 1946 წლის პირველივე დღეც პასტერნაკისთვის კიდევ ერთი ასეთი ჭორით დაიწყება. ზინაიდა მეუღლეს ახალი წლის ღამისთვის შემდეგ თბილისში მცხოვრები მხატვრისა და ხელოვნების ისტორიკოსის, ს. სპასკის ძმის, ევგენი სპასკის, მიერ მოტანილ ამბავს, ახარებს, თითქოს ტიციანი ცოცხალია და მისი საქმის ხელახალი გადახედვა იგეგმება. „ნინა, ნინა, ეს დაუჯერებელია, ადამიანს კი არ დაგვიბრუნებენ, არამედ მიწას, ცას, სულს, წლებს!!“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 120). იმედი სულ უფრო ნაკლებია, მაგრამ მაინც ვერ ელევიან. ამ ამბავს პასტერნაკი ერთგვარ დალოცვად მიიღებს, რომ რომანის წერა ტიციანის გერბიან ფურცლებზე დაიწყოს.

უკვე ვთქვით, რომ ეს ბედსდამორჩილების პერიოდია პასტერნაკის ცხოვრებაში. მხოლოდ თარგმნის, საკუთარს ნაკლებად წერს, თუ არ ჩავთვლით რომანზე მუშაობას, მიდის დათმობებზე. მისი მიმოწერიდან ვხვდებით, რომ ნაკლებ ძალისხმევას ახმარს დანარჩენ ყველაფერს. რასაც დაუბეჭდავენ, იმას წერს. ამ პერიოდის განწყობა კარგად ჩანს მის წერილში, სადაც ნინო ტაბიძეს ნიკოლოზ ბარათაშვილზე დაწერილი სტატიის შესახებ სწერს. აღსანიშნავია, რომ სტატია, რომელიც ბარათაშვილის გამოცემას შესავლად აქვს (Николай Бараташвили. Стихотворения в переводе Б. Пастернака. М., 1946.), ხელმოწერის გარეშეა და ერთობ სახეცვლილი. შესაბამისად, მისი პირვანდელი ვარიანტის შესახებ სწორედ მიმოწერიდან ვიგებთ და გვეძლევა შესაძლებლობა, თავად ავტორის პოზიციას გავცნოთ. „ყველა ჩემი სტატიის მწარე გამოცდილებით ვიცი, რომ ნებისმიერი აზრის არსებობა შობს საწინააღმდეგო აზრს, მითქმა-მოთქმას, აკრძალვებს. რომ არ შევაფერხო გამოცემა, გადავწყვიტე მეხსნა ისინი ამ განაწყენებისაგან და მოვიფიქრე დამეწერა ძალზე ბანალური ბიოგრაფია, სრულიად სახე და შინაარსდაკარგული“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 123). ამგვარ მსხვერპლს ხშირად იღებს ამ პერიოდში, თუმცა ეს გააზრებული, გამიზნული, საჭირო მსხვერპლია. ამად უღირს ის, რაც წინ ელოდება.

რომანზე ინტენსიური მუშაობისას წერილების წერასაც უკლებს. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მისი პროზა იბეჭდება უცხოეთში [კრებ. «The Collected Prose Works» (London, 1945) და ჟურნ. «Transformation» (1943, №1)]. პროზას მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი მოაქვს. თუმცა მთარგმნელობითი საქმიანობა კვლავაც გრძელდება. ინტენსიურად თარგმნის ქართველ ავტორებსაც. პწკარედებთან დაკავშირებით მიმოწერა სიმონ ჩიქოვანთან აქვს. სურს თარგმნოს მხოლოდ: „მცირე ზომის ლექსებიდან ყველაზე უბრალო, შინაარსიანი და მეტყველი ლექსები ყოველგვარი ტენდენციის გარეშე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 125). არ სურს ბევრი დროის დახარჯვა და არც არსებული სიჩუმის დარღვევა მანამ, სანამ მთავარი ხმაური დაიწყება. სწორედ ამ პერიოდში მზადდება კრებული «Грузинские поэты в переводах Б. Пастернака» («Советский писатель», 1946). ამ დროს სიმონთან მიმოწერის მთავარი თემაც სწორედ

ეს კრებულია. პასტერნაკს სურდა, რომ კრებულში ბარათაშვილის პორტრეტიც ყოფილიყო. იგი ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებულ ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტზე მისწერს ჩიქობანს. მაშინ იგი გუდიაშვილს არ იცნობდა, წერილში გვარსაც კი ვერ გაიხსნებს და სახელს სწერს მხოლოდ. შემდგომი ჩამოსვლისას ლადო გუდიაშვილი და პასტერნაკი პირადად გაიცნობენ ერთმანეთს და დაახლოვდებიან, „ექიმი ჟივავოს“ ავტორი განსაკუთრებით დაუმეგობრდება მხატვრის ქალიშვილს, ჩუქურთმა გუდიაშვილს.

ჩვენი ერთ-ერთი წინა თავის მთავარი თემა იყო საკუთარი თავის ხელახლა წარმოების, მეორედ დაბადების აუცილებლობა პასტერნაკისთვის როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში. ამასთან დაკავშირებით ერთობ საინტერესო სტრიქონებს სწერს რუსი მწერალი სიმონ ჩიქოვანის მეუღლეს, მარიკას. სიმონის ავადმყოფობის შესახებ ესაუბრება და მოჰყავს საკუთარი მაგალითი, 1935 წლის სულიერი კრიზისი, როდესაც ფიზიკურად ისე ავად იყო, რომ ყველაფერი აწუხებდა. „...და მხოლოდ მაშინ, როცა ეს ყოველივე სულიერ აშლილობამდე მივიდა, გავჩერდი. საკუთარ თავს ვუთხარი, რომ მოგკვდი და შემიძლია აღარ გავისარჯო. და უცებ გამოჯანმრთელება დავიწყე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 127). თავად ამ ავადმყოფობას სისულელეს უწოდებს, სურს მარიკა დაამზვიდოს. თუმცა ეს აუცილებელი ავადმყოფობა იყო, აუცილებელი სიკვდილი. წერილი 1946 წლის თებერვალშია მიწერილი. ეს ის პერიოდია, როდესაც პასტერნაკი ისევ დათმენის რეჟიმშია. სულიერი კრიზისი კვლავაც თავს იჩენს და სიკვდილს ელოდება, ე.ი. მოთმინების სრულ ამოწურვას, სიკვდილს და მეორედ დაბადებას. ეს ნაცნობი ეტაპებია, რომელთაც არაერთხელ გადის პასტერნაკი თავის შემოქმედებით თუ ცხოვრებისეულ გზაზე.

ლიტერატურულ წრეებში მიმდინარე პროცესების მიმართ პასტერნაკი ყოველთვის გულგრილია. მისი მისამართით გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებებიც ნაკლებად აინტერესებს. მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია, თავად რამდენად არის თავისი შემოქმედებით კმაყოფილი. მისი თავისუფალი თარგმანები აზრთა სხვადასხვაობას

იწვევდა. მარია ჩიქოვანისადმი მიწერილ წერილში პასტერნაკი წერს მის ყურამდე მიღწეულ ჭორზე: „თბილისიდან ჩამოსულმა პიროვნებამ, რომელმაც მომიტანა კუფტინების წერილი, მიაშობ, რომ რიურიკ ივნევს თითქოს თავის საღამოზე შეკრებილი საზოგადოებისათვის მიულოცავს, სფეროებში დროულად რომ მოეგნენ გონს, გაათავისუფლეს ბარათაშვილი და თანამედროვე მკითხველი ჩემი ხელყოფისაგან და ეს ცაგარელს დაავალეს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 130-131). იგულისხმება ცაგარელის მიერ თარგმნილი ბარათაშვილის ლექსების კრებული (თბილისი, 1946. «Заря Востока»). პასტერნაკი ივნევის ამგვარი დამოკიდებულების მიზეზად საკუთარ უყურადღებობას თვლის, რამაც მისი გაღიზიანება გამოიწვია. შესაბამისად, ამ შეფასებასაც მიკერძოებულად მიიჩნევს. იცის, რომ შეეძლო რაიმე სასიამოვნოს თქმა მისთვის, თუმცა ამას „...რაიმე უნდა სდევდეს თან. უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯი, ახლო ნაცნობობის გაბმა, მეგობრობა, ხოლო რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევის გარდა, რომლებიც ჭეშმარიტი და პროვიდენციულია, ეს ისე რთულია ცხოვრებაში!“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 131). პასტერნაკი თავის ამგვარ დამოკიდებულებას სქელკანიანობას და უგრძობლობას მიაწერს, რამაც სიბერეში იჩინა მასში თავი. აღარ სწყინს და აღარ მოელის აღარაფერს. მისი მზერა შიგნითაა, მისსავე შინაგან სამყაროში მიქცეული და არა - გარეთ. რაც დრო გადის, მით უფრო ნაკლებად ინტერესდება იმით, რაც მის ირგვლივ ხდება, ვინაიდან უფრო მნიშვნელოვანი მოხდა უკვე და მასზე დაწერა უნდა მოასწროს.

აღარც წერილებია ისეთი ვრცელი. ყველა ენერგია რომანს ხმარდება. აღარც ქართველი მეგობრების ჩასვლაა მოსკოვში ისეთი ამაღელვებელი მისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1946 წლის აპრილში მოსკოვში ჩატარდა ქართული ლიტერატურის დეკადა, სადაც ჩასულები იყვნენ სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, მარიჯან ალექსიძე, შალვა აფხაიძე, ქართველი კინომსახიობები, თამარ ჭავჭავაძე და ნატო ვაჩნაძე. ნინო ტაბიძეს მასთან შეხვედრის შესახებ წერს და თავადვე გრძნობს, რომ ამ თხრობას ძველებური აღტაცება აღარ სდევს თან. სიბერეს მიაწერს. სინამდვილეში კი ქართველების ჩასვლა მოგონებებს აღუძრავს და ასევედიანებს, მათ შორის აღარ არიან

უახლოესი მეგობრები. სწორედ ამ პერიოდში გაიგებს ნინო ტაბიძე, რომ საახალწლოდ გაგებული ამბავი, თითქოს ტიციანი ცოცხალია, მორიგი ჭორი ყოფილა. მოსკოვში ჩასული ქართველები არწმუნებენ პასტერნაკს, რომ ცნობა უეჭველია, ტიციანი ცოცხალია და სადღაც მუშაობს კიდეცო (პასტერნაკი, 2018, გვ. 133).

სიმონ ჩიქოვანთან მიწერილ წერილში 1946 წელს პასტერნაკი, სულერების თვალსაზრისით, „ფანტასმაგორიულ“ წლად მიიჩნევს. მშვიდად არის და ეს სიმშვიდე მოაქვს იმას, რომ შეგუებულია. უფრო სწორად, ახალ მიზნებს არ ისახავს, ელოდება. ელოდება, მთავარი მიზნის მიღწევისთვის სამოქმედო დრო როდის დადგება. მანამდე თავისთვის წერს. უმიზნოდ ყოფნა მხოლოდ მაშინაა ასატანი, როცა იცი, რომ ამას თავისი მიზანი აქვს. ამავე წერილში აღნიშნავს, რომ უკვირს ადამიანებისა, რომლებსაც ყოველდღიური ცხოვრების სწამთ და მიზნებს ისახავენ (პასტერნაკი, 2018, გვ. 136). არ უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს ორი აზრი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. სულიერი სიმშვიდე ნამდვილად მოპოვებული აქვს, ვინაიდან კარგად იცის, მისი მიზნები ყოველდღიურობასთან კავშირში არ არის და არც ამ ყოველდღიურობის სწამს. მისი რწმენაც და მიზნებიც გაცილებით დიადი და მასშტაბურია. ამისთვის კი სამზადისია საჭირო, რომელიც უკვე დაიწყო და სულიერი სიმშვიდეც ამას მოაქვს. მისი მოქმედებაც და უმოქმედობაც „დროის დიადი გეგმის“ ნაწილია.

1946 წლის ნოემბერში სიმონ ჩიქოვანთან მიწერილ წერილში სადაც ღმერთს მადლობას სწირავს ასეთი ლიტერატურული ბედისთვის, აღნიშნავს, რომ ჯერ არც კი დაბადებულა, ჯერ სრული არარაობაა ლიტერატურაში და ეს ბედი შესავსებია, ცარიელია, როგორც „ნოეს კიდობანი კატასტროფამდე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 140). კვლავაც კატასტროფის მოლოდინი. იმისთვის, რომ კიდობანი აივსოს, კატასტროფაა საჭირო, წარღვნის გარეშე კიდობანს ფუნქცია არ აქვს. პასტერნაკი სიმონთან მიწერილ ამ წერილში იმედს გამოთქვამს, რომ თავისი შემოქმედებით აღნიშნულ სიცარიელეს შეავსებს. მანამდე რაც გაუკეთებია, არაფრად მიიჩნევს. ამდენად, წარღვნის ფუნქციის შესრულებას უსახავს მიზნად საკუთარ შემოქმედებას.

პასტერნაკი რომანის წერის პროცესში მის მონაკვეთებს მეგობრებს აკითხებს. მართალია, მათ რჩევებს ისმენს, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებს. როცა ითვალისწინებს, უკმაყოფილოა მუშაობის პროცესით. „ვმუშაობ საკუთარი ავანგარდული ნაწილებისგან ერთგვარად მოშორებული. მაგრამ მალე კვლავ მივმართავ მათ და ყველაფერი თავისი კალაპოტით წავა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 140) - სწერს იგი სიმონ ჩიქოვანს. ზუსტად იცის, რა უნდა თქვას რომანით და როგორ უნდა თქვას. ქართველ ადრესატებთან მიმოწერას თუ გადავხედავთ, და არა მარტო, დავინახავთ, თანდათან როგორი თავდაჯერებული ხდება და სულ უფრო რწმუნდება საკუთარი გადაწყვეტილებებისა და არჩევანის სისწორეში როგორც შემოქმედებით ასპარეზზე, იქნება ეს სიუჟეტის განვითარება, სათქმელის ფორმების შერჩევა, ისე - ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მისი მთავარი საფიქრალი რომანია. მასზე მუშაობის ბიძგი, მისივე სიტყვებით, ნინოს მიერ ნაჩუქარმა ტიცინის ფურცლებმა მისცა, ეს შრომა შეუმსუბუქა. აღსანიშნავია, რომ ამ ფურცლებზე არ გააგრძელებს რომანის წერას. შთაგონების წყაროდ, სტილის განმსაზღვრელად კი იქცა, მაგრამ რომანის სტრიქონებისთვის ვერ დახარჯავს. თავად ამას ნინოს შემდეგნაირად განუმარტავს: „...როგორც ეს თავშეკავების დროს ხდება ხოლმე, აი, მაგალითად, როდესაც უარს ვამბობთ ტკბილეულზე და ფანტაზიაში მასზე ფიქრი ორმაგი ტკბილეულის მირთმევის ტოლფასია“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 142). ჩვენთვის, როგორც ბორის პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობის, კერძოდ კი ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილების მკვლევრებისთვის, მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, როგორ აისახა წერილებში რომანზე მუშაობის პროცესი და მეორე - რას განიცდის, რა შთაბეჭდილებების ქვეშ წერს იგი თავისი ცხოვრების მთავარ ნაწარმოებს. ამ თვალსაზრისით კი აღნიშნული წერილები ერთობ მრავალფეროვან და მდიდარ მასალას წარმოადგენს საკვლევად.

რომანზე მუშაობასთან ერთად თარგმნის, თარგმნის არა მხოლოდ ქართველ პოეტებს, არამედ მსოფლიო შედევრებსაც. შექსპირის „ოტელოს“ თბილისშიც აგზავნის, რათა

შეუფასონ. ომის პერიოდში თარგმანები იყო მისი მთავარი საქმიანობა. ამით ირჩენს თავს. 1946 წლის შემოდგომით ამას უსაყვედურებს კიდევ ალექსანდრე ვადეევი. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზე ვადეევი სიტყვით გამოვა და „ომის დღეებში აქტუალური პოეზიიდან“ თარგმანებში პასტერნაკის წასვლას პოეტის „გარკვეულ პოზიციას“ უწოდებს, პოზიციას, რომელიც მათ იდეოლოგიას არ აღიარებდა («Литературная газета», 7 სექტემბერი, 1946 წ.). რამდენიმე დღის შემდეგ კი მოსკოვის მწერალთა საერთო კრებაზე იტყვის: „პასტერნაკის უიდეო და აპოლიტიკური პოეზია ვერ გამოდგება დიდი რუსული პოეზიის მემკვიდრეების იდეალად“ (იქვე, 21 სექ.). თარგმანებში წასვლა მართლაც იყო ერთგვარი პოზიცია. ეს იყო არა მხოლოდ შემოსავლის ერთადერთი წყარო, არამედ იდეოლოგიური ლიტერატურის შემქნისგან თავის დაღწევის შესაძლებლობაც.

რომანზე დაწყებული მუშაობა კვლავაც ფერხდება. ეს კი განსაკუთრებით აწუხებს. „ოკ, ნინა, ხალხისთვის რომ თავისუფალი ნება მიეცათ, რა სასწაული იქნებოდა, რა ბედნიერება!“ - მისწერს ნინოს 1946 წლის მიწურულს (პასტერნაკი, 2018, გვ. 144). შემოქმედებითი თავისუფლება ენატრება ყველაზე მეტად. მისთვის სინამდვილე „ფეხქვეშ გათელილი ზღაპარია“, სიცრუეა ყოველივე და ამ შეგრძნებისგან გათავისუფლება სურს. თუმცა საკმარისია, დაიწყოს პროზაზე მუშაობა, რომ ეს სინამდვილე მის მიღმა რჩება და რაოდენ სავალალოც არ უნდა იყოს მისი ყოფა, შინაგანი ბედნიერება ყველაფერს ავიწყებს. ამ ბედნიერებას კი შემოქმედებისას მოპოვებული თავისუფლების განცდა ანიჭებს. ამ ყველაფრის შესახებ თავის უცვლელ ადრესატს, ნინოს, სრული გულწრფელობით სწერს. ხანდახან თავადვე გამოთქვამს გაკვირვებას ამ პერიოდის წერილებში იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის ასე კარგად. ეს მისთვისაც გაუგებერია. თუმცა ახსნა მოემეზნება. როგორც თავადვე აღნიშნავს, ისეთი რამის წერა დაიწყო, არასდროს რომ არ დაუწერია და ერთადერთი მიზანი აქვს: მოასწროს! (პასტერნაკი, 2018, გვ. 146).

1947 წელი მარიკა ჩიქოვანთან მიწერილი წერილით იწყება. მოსკოვიდან წასულებს მოიკითხავს პასტერნაკი. იგი ინტერესდება თავისი სტატიით, რომელიც საკუთარი ქართული თარგმანების კრებულისთვის დაწერა და გამოაგზავნა კიდეც თბილისში „რამდენიმე სიტყვა ახალი ქართული პოეზიის შესახებ“. სტატია „ზარია ვოსტოკამ“ დაუკვეთა პოეტს, თუმცა იგი აღარ დაბეჭდილა. ამ პერიოდში სიმონ ჩიქოვანს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ირჩევენ. პასტერნაკი ულოცავს წერილით მარიკას და სიმონ ჩიქოვანებს. ეტაპობრივად, როცა თარგმანებზე მუშაობა უწყევს, რომანს თავს ანებებს. 1947 წლის 25 თებერვალს მარიკა ჩიქოვანთან მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ „ჰამლეტის“ თარგმანის გადამუშავების გამო რომანის წერა ორი კვირით შეწყვეტა. პერიოდულად ასე მუშაობა უწყევს. მისი მისამართით გამკიცხავი სიტყვები კვლავაც გაისმის, თუმცა ეს მხოლოდ მხნეობას მატებს. როცა მისით კმაყოფილები არიან, თავადაა საკუთარი თავით უკმაყოფილო. ყველაფერი რიგზე როცაა, ერთფეროვანია ცხოვრება, ერთფეროვნება კი მისთვის აუტანლად მოსაწყენია. „გასაოცარია, ჯერ კიდევ რომ ვერ მიმხვდარან, მომაკვდინებლად მოსაწყენი რომ არის ასე უცვლელად ბრწყინვალედ და ერთფეროვნად კარგად ცხოვრება“ - სწერს იგი ნინო ტაბიძეს 1947 წლის 22 მარტის წერილში. მოწყენილობისაგან სურდოც კი შეეყრება (პასტერნაკი, 2018, გვ. 148). ასეთი ერთფეროვნება ფიზიკურადაც მტკივნეულად გადააქვს.

ეს ის პერიოდია, როდესაც პასტერნაკს „წმინდა ხელოვნების“ მეგზურობას, აქტუალური საკითხებიდან განდგომას საყვედურობენ. „ასე მგონია, თავიან-კუდიანად შემჭამენ, როგორც ქაშაყს“ - აღნიშნავს იმავე წერილში (პასტერნაკი, 2018, გვ. 149). 1947 წლის 20 თებერვლის ა. ფადეევი თავის მოხსენებაში „საბჭოთა კრიტიკის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ“ პასტერნაკს „ვიწრო პირადი თემებისა და რთულად აღსაქმელი პოეტური ფორმების გამო“ უსაყვედურებს, არ პატიობს „ე. წ. „წმინდა ხელოვნების“ მეგზურის ძველ პოზიციებში“ ჩაკეტვას (პასტერნაკი, 2018, გვ. 149 (კომ.2)). ა. სურკოვი კი სტატიაში „ბ. პასტერნაკის პოეზიის შესახებ“ წერს, რომ პასტერნაკის „ჩამორჩენილი რეაქციული მსოფლხედვა ვერ მისცემს ნებას პოეტის ხმას, იქცეს ეპოქის ხმად“ („კულტურა და ცხოვრება“, 1947 წ. 21 მარტი) (პასტერნაკი, 2018,

გვ. 149 (კომ.2)). მიუხედავად ამგვარი დევნისა, პასტერნაკი პოზიციას არ ღალატობს და მთელს ძალისხმევას რომანს ახმარს, რომანს, რომლის შემდეგაც დაიწყება ნამდვილი დევნა.

რომანზე მუშაობის არაერთ საინტერესო ფაქტს ინახავს ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილები. ხანდახან კი ისეთ ცხოვრებისეულ ეპიზოდებსაც, რომლებიც უშუალოდ იქცა შთაგონების წყაროდ რომანის ზოგიერთი მონაკვეთის შესაქმნელად, ან კიდევ პირდაპირ აისახა ნაწარმოებში. 1947 წლის ზაფხულს ნინო ტაბიძე პერედელკინოში გაატარებს. პასტერნაკი შინ დაბრუნებულ ნინოს წერილს სწერს და იმ ტირიფის ტოტს მოაგონებს, რომელიც სახურავს ედებოდა და ალბათ ნინოს ღამ-ღამობით აწუხებდა კიდევ. ტოტის ასეთი შემაშფოთებელი ხმაური იქცევა შემდგომში ღამის ქარიშხლის ეპიზოდად „ექიმი ჟივაგოს“ ერთ-ერთ თავში „ძველთან გამოთხოვება“, რომელშიც ჟივაგოს მეღუბევიდან გამგზავრების წინა ღამეა აღწერილი (პასტერნაკი, 2018, გვ. 150).

1948 წლიდან ისევ აქტიურად იწყებს რომანზე მუშაობას. სიმონ და მარიკა ჩიქოვანებს იური ჟივაგოს ლექსებსაც უგზავნის. საქართველოში ერთ-ერთი პირველები ეცნობიან ჯერ არგამოცემულ რომანს. ამავე წლის 10 იანვრის წერილს ერთვის ლექსები: „განთიადი“, „სასწაული“ და „მიწა“. „განთიადში“ გადახაზულია ორი სტროფი და ავტორის შენიშვნა: „ეს ორი სტროფი ზედმეტია. შეგიძლიათ ამოიღოთ ისინი“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 152). როგორც ეს ადრეც აღვნიშნეთ, ქართველ ადრესატებთან გამოგზავნილი წერილები პასტერნაკის ნაწარმოებების დაუბეჭდავ ვარიანტებს შეიცავს. სწორედ ამ წერილში უწოდებს „ექიმ ჟივაგოს“ ნინას რომანს, რომლის ხელნაწერებს თბილისში აგზავნის. ისინი ხელიდან ხელში გადადის და ქართველი მკითხველი გამოცემამდე ეცნობა რომანს, რომელსაც კიდევ დიდი ხანი არ ეღირსება რუსულად გამოცემა.

პასტერნაკის შემოქმედების კრიტიკა გრძელდება. ამას ერთვის პირადი ცხოვრების სირთულეებიც, შვილის ავადმყოფობა, მის სასთუმალთან ზინასთვის პირობის მიცემა,

რომ ოლგა ივინსკაიასთან ურთიერთობას გაწყვეტს, რასაც გარკვეული პერიოდი შეასრულებს კიდეც, თუმცა ორმაგი ცხოვრებით ცხოვრება გრძელდება. გრძელდება მისი უარყოფაც. ა. მაკაროვი კრიტიკოს ფ. ლევინს იმაში ადანაშაულებს, რომ ეს უკანასკნელი ხოტბას ასხამდა „ესთეტი ფორმალისტის“, პასტერნაკის შემოქმედებას და „დაუზარებლად“ შეუდგინა ლექსების კრებული (განადგურებული კრებ. 1948 წ. „სოვეტსკი პისაწელში“) («Литературная газета», 1949 წ. 19 თებერ.). მწერალთა კავშირის პოეტთა სექციის სხდომაზე კი ა. ტარასენკოვმა „აღიარა თავისი უხეში შეცდომები, რაც ბ. პასტერნაკის მხარდაჭერაში მდგომარეობდა“ (იქვე, 1949 წლის 23 მარტი. №1087 წერილის კომენტ. ადრესატი - მ. გრომოვი) (პასტერნაკი, 2018, გვ. 155-156).

თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ, მას შემდეგ, რაც „ფაუსტის“ თარგმნას მორჩება, რომანზე მუშაობას განაახლებს. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცის, ამ „სალანძლავი კამპანიის ქვაკუთხედად“ მისი სახელი იქცა და ეს რომანი ვერ მოუპოვებს კეთილგანწყობას საზოგადოებაში, ვინაიდან „ვერა და ვერ იმღერა ყველასგან მოთხოვნილი „კუკურუკუ“ და შესაძლოა, თარგმანებშიც კი აღარ გადაუხადონ, არ ანაღვლებს. კვლავაც აგრძელებს იმის სამსახურს, რაც მას მიაჩნია ნამდვილ ხელოვნებად. სწორედ ეს უკანასკნელი მართავს მასაც და მის ცხოვრებასაც, როგორც ამას ნინოსთან მიწერილ წერილში აღნიშნავს (პასტერნაკი, 2018, გვ. 155). მან გარკვევით და ზუსტად იცის, რა სურს. ცხადია მისი მიზანი და ამიტომაც „მოხაზულობათა და მიზანთა ეს სიცხადე ყველაფერს უმსუბუქებს“. მიზნების სიცხადე, მოსალოდნელი შედეგები და ამ შედეგებისთვის გასაღები მოსალოდნელი მსხვერპლი რომ ზუსტად აქვს გააზრებული, სწორედ ეს აძლევს სიმშვიდესაც და საბრძოლო ძალებსაც. „ტანჯვა მხოლოდ სიღრმეს შემატებს ჩემს ნაშრომს, უფრო მკვეთრ ხაზებს გაავლებს ჩემს არსებასა და ცნობიერებაში“ - პასტერნაკი ნინოს (პასტერნაკი, 2018, გვ. 156).

1949 წლის 9 სექტემბერს ოლგა ივინსკაიას დააპატიმრებენ. ნინოს ამ ამბავს ატყობინებს პასტერნაკი და აღნიშნავს, რომ ცხოვრებამ ზუსტად გაიმეორა ფაუსტის უკანასკნელი

სცენა „მარგარიტა წყვდიადში“. მარგარიტას შეადარებს ოლგას. მასთან უკვე ცხოვრება იმეორებს სცენებს ნაწარმოებებიდან, მისი ცხოვრება უკვე ემსგავსება ნაწარმოებს და - პირიქით.

ბორის პასტერნაკს საქართველოში ჰყავს უცვლელი ადრესატები. თუმცა არის ისეთი გამონაკლისებიც, როდესაც ადრესატის მხოლოდ რამდენიმე, ან სულაც ერთი, წერილია შემორჩენილი. ერთ-ერთი ასეთია ნატო ვაჩნაძე. მასთან მიწერილი წერილი ერთობ მნიშვნელოვან მოსაზრებებს შეიცავს საიმისოდ, რომ მისი ადრესატი მხოლოდ ნატო ვაჩნაძე იყოს, ვინაიდან ისინი პასტერნაკის მორალურ-ზნეობრივი, თუნდაც შემოქმედებითი, მხარის გააზრებაში, მისი იმდროინდელი პრინციპების გათავისებაში უდიდეს როლს თამაშობს. ქართველი მსახიობის ნიჭიერებას უშიშრად წმინდას უწოდებს და იქვე დასძენს: „...უმეტესწილად ნიჭიერ ადამიანებს რცხვენიათ თავიანთი ზნეობრივი მემკვიდრეობისა და თავს იფუჭებენ გაუბედაობის გამო. სახლის, ბავშვობის ერთგული ნიჭიერების მაგალითები გამონაკლისია და გმირობის ტოლფასია“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 157). სახლის, ბავშვობის ერთგული ნიჭიერება არის სწორედ მისთვის დამახასიათებელი, მიამიტობამდე მისული. იქნებ სწორედ ამანაც გადაარჩინა. ვერ იჯერებდნენ ასეთი ნიჭიერების სერიოზულობას, სანამ შედეგი არ დადგა. ამიტომაც შეეძლო ასეთივე მემკვიდრეული აღტაცება სხვისი ნიჭიერებითა და მშვენიერებით.

ამევე წერილში კარგად ჩანს პასტერნაკის მაშინდელი შეხედულებები აღსაწერი საგნისა და თავად აღწერის მანერის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. „კალმის, ენის კარგი ფლობა და სტილის გრძნობა, როგორც წესი, გადმოსაცემ საგანს სცდება და თვითმიზნად იქცევა ხოლმე, თქვენ კი სტილისტიკას არ დაემონეთ“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი წერილში ნატო ვაჩნაძის, როგორც მსახიობის კი არა, არამედ როგორც მწერლის ნიჭიერებაზე საუბრობს. სტილს დამონება და მისთვის შინაარსის შეწირვა პასტერნაკისთვის მიუღებელია. ახლა უკვე დადგა დრო, როცა მთავარი აღსაწერი საგანია. ის მოსაზრებები ხელოვნების შესახებ, რომელთაც იგი ამ

წერილში გადმოსცემს, ძალზედ მნიშვნელოვანია იმ პერიოდის პასტერნაკის სტილზე, მსოფლხედვაზე მსჯელობისას. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ლაკონიურობა. „მე არ მწამს არაფრის, რაც უშველებელია, რაც ძალიან ბევრია. ქალები შობენ ადამიანებს და არა - ციკლოპებს“ - სწერს იგი ნატო ვაჩნაძეს. ყოველივე გიგანტური მისთვის არაბუნებრივია და სიმახინჯის საწყისად მიაჩნია (პასტერნაკი, 2018, გვ. 158). პასტერნაკისთვის წარმატებულად წერის საწინდარი ის არის, როდესაც ცხოვრების ნიჭს შეესატყვისება სიტყვის ნიჭი. ცხოვრება და შემოქმედება მასთან ერთმანეთის განმაპირობებელია. ნატო ვაჩნაძისადმი მიწერილი ეს წერილი საკმაოდ ვრცელი და ღრმაა საიმისოდ, რომ არც ისე ახლობელ ადრესატს მისწერო. თუმცა ეს ხომ პასტერნაკია. წერის სურვილი მოეძალა და ადრესატს აღარ აქვს მნიშვნელობა. წერილი 1949 წლის 31 დეკემბერსაა დაწერილი.

1950 წლის აპრილში მიწერილ წერილში ნინოს კვლავაც „ლიტერატურულ ჭორებზე“ სწერს, თავის სულიერ მდგომარებასა და სამომავლო გეგმებსაც უმხელს. ლიტერატურულ წრეში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენასაც ატყობინებს: ანა ახმატოვას ლექსებს ბეჭდავენ „ოგონიოკში“. ეს ბადებდა იმედს, რომ ახამტოვა ლიტერატურაში დაბრუნდებოდა. ახლა უკვე პასტერნაკს შესცქერიან მოლოდინით, ის რას იტყვის. თუმცა ამავე წერილში აღნიშნავს, რომ ამ თემაზე მან გაცილებით დიდი ხნის წინ დაწერა ერთ-ერთმა პირველმა და აღარ აპირებს გაიმეოროს (იგულისხმება 1935 წელს დაწერილი ლექსები: «Мне по душе строптивый норв...» და «Я понял: всё живо...»). „მსგავს რამეებს რამდენჯერმე არ იმეორებენ, ისინი ან ნიშნავს რამეს, ან - არა, და უკანასკელ შემთხვევაში ვერავითარი განმეორება საქმეს ვეღარ გამოასწორებს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 162).

პასტერნაკის პოზიცია უცვლელია. იგი ბედნიერია იმით, რასაც აკეთებს, სულაც არ მიიჩნევს თავს მსხვერპლად, არც მოტყუებულად, ვინაიდან „სულიერი მდგომარეობის სიცხადით“ არის კმაყოფილი. მან ეს სიმშვიდე მაშინ მოიპოვა, როდესაც გაერკვა საკუთარ მიზნებში, ცხადი და ნათელი მიზნები დაუსახა თავის შემოქმედებასაც და

ცხოვრებასაც. ამდენად, მზად არის მარცხისთვისაც, ვინაიდან მისთვის „ნამდვილი მარცხი უფრო მისაღებია, ვიდრე - ყალბი წარმატება“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 163). სურვილებისა და პრინციპების ამ სიცხადემ მტკიცე და შეუვალი გახადა, გამბედაობა და სიმამაცე შემატა. მან ზუსტად გაიაზრა, რომ ის დრო დადგა, როცა მთავარზე უნდა დაწეროს მთავარი ნაწარმოები. ამდენად, მსხვერპლად კი არა, გამარჯვებულად უფრო გრძნობს თავს.

რაისა მიქაძეს, რომელთანაც 1945 წელს თბილისში ჩამოსვლის დროს, როგორც თვითონვე აღნიშნავს ნინო ტაბიძეთან მიწერილ წერილში, ცოტა დააკლდა, რომანი არ დაიწყო, ერთობ ღრმა წერილს წერს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ არაერთხელ აღნიშნულ ფაქტს, რომ მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა ფართო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი. სწორედ ამ წერილში აღნიშნავს, რომ ადამიანებს ის გვალელებს, რასაც ჯერ სახელი არ დარქმევია, რაც განსაზღვრების მოლოდინშია. სანამ სახელს დაარქმევს, განსაზღვრებას მიაჩნებს თავის დანიშნულებას ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მანამდე ხან შფოთავს, ხან სრულიად უმოქმედოა იმის მოლოდინში, როდის დადგება მოქმედების დრო. ეს წერილი 1950 წლის 18 ნოემბერს არის დაწერილი და მიუხედავად ამ პერიოდში უამრავი სირთულისა, პასტერნაკი მშვიდადაა სწორედ ამ განსაზღვრულობის წყალობით.

ის უბრალოება, რომელსაც ამდენ ხანს ელოდა, ძალისხმევას არ იშურებდა მის გამოსამუშავებლად და ასე რთულად მიეცა, ახლა მისი თანამედროვეების მთავარი გაკიცხვის საგანი გახდა. მანამდე სირთულეს საყვედურობდნენ, ახლა - უბრალოებას. თუმცა იმდენად მტკიცედ სწამს, რომ ნამდვილ ხელოვნებას ახლა მიაგნო, რომ ვერაფერი შეაცვლევინებს აზრს. მზად არის ტანჯვისთვის გაიმეტოს საკუთარი ხელოვნებაც და თავისი თავიც, ვინაიდან იცის, რომ მსხვერპლის გარეშე „ხელოვნება უსარგებლო, სკანდალური და უაზროა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 168). თუმცა თანამედროვეებსაც უგებს, ვინაიდან მიაჩნია, რომ მათ ცოტა გაუსწრო „ბედისწერის გზაზე ადამიანური ტანჯვისა და ამ ტანჯვის გაზიარებისთვის მზაობის საქმეში“

(იქვე). ტანჯვისთვის მზაობა იგრძნობა რომანზე აქტიური მუშაობის დაწყების შემდეგ გამოგზავნილ ყველა წერილში. სამაგიეროდ, ცხოვრობს ისე, როგორც სურს და ეს უფლება ანიჭებს უმაღლეს ბედნიერებას, რომელიც სიცოცხლის ფასად უღირს.

„ნინა, ყოველთვის, როცა ჩემს თავს რაღაც ხდება, ფიქრებში წერილს გწერთ და მომხდარს გიყვებით. მხოლოდ ამ გზით ვაგნებ ფორმულას, რომლის საშუალებითაც ყოველივე მომხდარის გააზრებას ვახერხებ“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 170). ნინოსთან საუბარი, მიმოწერა საკუთარ თავთან საუბარია, შინაგანი მონოლოგია, რომლის საშუალებითაც იაზრებს და სახელს არქმევს მოვლენებს. როგორც თავად უწოდებს ნინოს, იგი მისი სულია, სივრცეში ქალის სახით არეკლილი, რათა პასტერნაკისთვის უფრო ადვილი იყოს საკუთარ თავთან საუბარი (პასტერნაკი, 2018, გვ. 186). ხოლო მისთვის ნაკლებად ახლობელი ადრესატი, ამ შემთხვევაში რაისა მიქაძე, მკითხველია. აი, რა აკლია ამ დროს: მკითხველთან ურთიერთობა. ამ პერიოდშიც, ძირითადად, მთერგმნელობით საქმიანობას ეწევა, შექსპირის „მაკბეტს“ თარგმნის, იწყებს გოეთეს „ფაუსტის“ მეორე ნაწილის თარგმნას. პროზაზე შიგადაშიგ მუშაობს, უმეტესწილად მაშინ, როცა განსაკუთრებით ნაწყენდება არსებულ რეალობაზე და გასაქცევი სჭირდება.

გოეთეს თარგმნის პერიოდში დროებით რომანს მიუბრუნდება და ორ თავს დაამუშავებს: „მველთან გამოთხოვება“ და „მოსკოვის სადგომი“. რომანი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგი აღფრთოვანებულია, ზოგს კი მიაჩნია, რომ ბორის პასტერნაკმა საკუთარ თავს უღალატა. ნინო ტაბიძისადმი მიწერილ წერილში თვითონ მწერალი ამ ფაქტის შესახებ შემდეგს სწერს: „ერთნი, როგორებიც არიან ზინა და ნაშოკინის შესახვევში მომჭირნედ მცხოვრები მწერლები, ისე მაქებენ, ცაში ავყავარ; მეორენი, როგორებიც ლავრუშინსკის ბრწყინვალედ მცხოვრებნი არიან ან კიდევ ლივანოვისნაირი ერთგული მეგობრები, მიიჩნევენ, რომ საკუთარი თავი დავკარგე ან კიდევ განზრახ ვამბობ მასზე უარს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 171). ამდენად, პასტერნაკი არ წერს მაშინდელი ლიტერატურული ელიტისთვის.

ვინც რომანი წაიკითხა და აზრიც გამოთქვა, „ავად ხდება“. ამ ცნობილი ევფემიზმით ატყობინებს ნინოს პასტერნაკი ს. სპასკის დაპატიმრებას. სპასკი თავის დაუმთავრებელ წერილში, რომელშიც „ექიმი ჟივავოს“ შესახებაა საუბარი და მას მოგვიანებით მიიღებს ადრესატი, წერს რომანში მიგნებულ „თხრობის რიტმზე, წინადადებების ზუსტ, ლაკონიურ თანმიმდევრულობაზე, ყოველი ნაწყვეტის შეკუმშულ დასრულებაზე“, ფაქტობრივად, ყოველივე იმაზე, რის მიღწევასაც ყველაზე მეტად ცდილობს პასტერნაკი თავის ნაწარმოებში (პასტერნაკი, 2018, გვ. 176). აქ გამოჩენილი გამბედაობა თავის უდიდეს მონაპოვრად მიაჩნია, ვინაიდან, როგორც გიორგი ლეონიძესთან მიწერილ წერილში აღნიშნავს, როგორც წესი, არ ახასიათებს ცხოვრებაში „ნაბიჯების გადადგმა“, ვერ გამოსდის რაღაცის წამოწყება ცხოვრებაში. „...ფართო მასშტაბით, რამდენჯერმე გამიტაცა და დამიმორჩილა ცხოვრებამ, სერიოზულმა სამუშაომ და ალბათ, ისღა დამრჩენია, ასევე დავემორჩილო სიკვდილსაც“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 178).

მიუხედავად ამ დევნისა და უარყოფისა, მაინც ბედის მადლიერია, რადგან მისი ცხოვრება საზრისით არის გადმოცემული. 1951 წლის აპრილში ნინოს თავისი განვლილი ცხოვრების შესახებ სწერს: „...და რა იყო მასში მთავარი, ძირეული? მამის მოღვაწეობის მაგალითი, მუსიკისა და სკრიაბინისადმი სიყვარული, ორი-სამი ახალი ნოტი ჩემს შემოქმედებაში, რუსული ღამე სოფელში, რევოლუცია, საქართველო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 181). ამ მთავარი და ძირეული ფაქტორებითაა აღბეჭდილი მთელი მისი ცხოვრებაც და შემოქმედებაც.

როდესაც ბორის პასტერნაკის ცხოვრებაში დამორჩილების ეტაპზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ბედს მორჩილებას, გარდაუვალის შეგუებას და არავითარ შემთხვევაში - რეჟიმის ან რომელიმე ხელისუფალის წინაშე თავის დახრას. ამის მაგალითად არა ერთი ფაქტის მოხმობა შეგვიძლია მისი ცხოვრებიდან. 1950-იანი წლების დასაწყისში პასტერნაკი დათმენით ისმენს და იტანს ყველაფერს, ეთანხმება ყველას. ამავდროულად ურჩევს ქართველ მეგობარს, სიმონ ჩიქოვანს. გავიხსენოთ წინა თავებში მოხმობილი

ამონარიდი მასთან მიწერილი წერილიდან. მიაჩნია, რომ თუკი ყოველივეს დაეთანხმება, რასაც მოისმენს, ეს კიდევ უფრო აბსურდულს გახდის ვითარებას. ეს არის პასტერნაკის ბრძოლის მეთოდი მოცემულ ვითარებაში.

1951 წლის ზაფხულს ნინო პასტერნაკებთან გაატარებს. კვლავაც რეპრესირებულის ცოლის სტატუსით, სამედიცინო ინსტიტუტიდან დათხოვილი, სამსახურის შოვნას მხოლოდ სასაკლაოზე რომ ახერხებს, პასტერნაკებთან სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებს. ის და პასტერნაკი განუყრელები არიან. ამ დროს ეს უკანასკნელი „ჟივავოს“ დასკვნით ნაწილზე მუშაობს. მართალია, ხანდახან თავს დამცირებულად გრძნობს გარშემომყოფთა დამოკიდებულების გამო, თუმცა მაინც ბედნიერია, რომ საკუთარი ბედით ცხოვრობს და არა „მდგომარეობით“. მდგომარეობის შექმნა ხომ ასე მარტივია, რთული ბედს მიდევნება, საკუთარი ბედის წერაა (პასტერნაკი, 2018, გვ. 191).

1952 წლის ზამთარი შედარებით მშვიდობიანია, პასტერნაკზე თავდასხმები ცოტა ხნით შეწყდა. ყოველ შემთხვევაში, თავად არაფერი იცის და მშვიდად ცხოვრობს. სამაგიეროდ, ციებ-ცხელებიანივით წერს და სრული სიმშვიდით უარყოფს და უგულვებელყოფს ირგვლივ ყველაფერს. ზუსტად იცის არჩეული გზა და რასაც წერს, იქიდან არაფრის შეცვლას და გადაკეთებას არ აპირებს. „იმას ვაკეთებ, რასაც ჩემი შეგნება მკარნახობს, ყოველგვარი მიზნის გარეშე. თუმცა არაფრის გადაკეთება არ შემიძლია, და სხვაგვარად არც არასდროს იქნება“ - პასტერნაკი ნინო ტაბიძეს (პასტერნაკი, 2018, გვ. 194). 1952 წლის 2 ივნისს პასტერნაკი თავისი რომანის ერთ-ერთი თავის „გზა“ წაკითხვას დაგეგმავს. ამ წაკითხვის დროს მსმენელებს შორის პირველად იყო პასტერნაკის ვაჟი ლეონიდი. მისი აზრი განსაკუთრებით აინტერესებს მწერალს, ვინაიდან იგი არის მომავლის მკითხველი, მას მომავლის მკითხველის აზრი აინტერესებს, მისი თანამედროვეებისა იცის კიდევ და შეგუებულია იმ აზრს, რომ მათგან ცოტა გაიგებს და მიხვდება, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, მათ დროში გაუსწრო. ლიონია მამის კითხვაზე, მოეწონა თუ არა ნაწყვეტი, დამორცხვებული უპასუხებს „ძალიან, ძალიან“. მაშინ, როცა დამსწრეთა უმეტესობა

უკმაყოფილო რჩება, რომანს წარუმატებლად თვლიან და მიაჩნიათ, რომ პასტერნაკს ასეთი ნაწარმოები არ ეკადრება. ამ უკანასკნელის გულს არც კი ეკარება ეს შენიშვნები. „...ამ ყველაფერს რომ ვიგებ, ღიმილი მეფინება, თითქოს ეს ლანძღვა-გინება კი არა, ქება-დიდება იყოს“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 200).

პასტერნაკს გათავისებული აქვს, რომ მსხვერპლის გარეშე დიადი ვერ შეიქმნება. დიადი კიდეც დიდმა ხელოვანმა უნდა შექმნას, რომელიც მართალია „სრულიად განსაკუთრებულ ვარსკვლავზეა დაბადებული, განსაკუთრებული მიზნებით“ (პასტერნაკი სიმონ ჩიქოვანს), თუმცა ის ჩვეულებრივი ადამიანიცაა ყოფითი, ყოველდღიური ცხოვრებით. ეს ცხოვრება კი სავსეა ხელოვანისათვის ხელისშემშლელი განსაცდელებითა და საზრუნავით, რაც მან უნდა უგულვებელყოს, არ დაუთმოს ბევრი დრო და მხოლოდ სათავისოდ მოიხმაროს, ამ განსაცდელებით გაიზარდოს და გამოცდილება შეიძინოს, ეს ცხოვრებისეული გამოცდილებაც შემოქმედებას მოახმაროს (პასტერნაკი, 2018, გვ. 203). ასე ესახება მას ხელოვანის ცხოვრება.

პასტერნაკი ყოველთვის კონკრეტულ მიზნებს ისახავს, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ამოცანას უსახავს საკუთარ თავსა და შემოქმედებას. „მე დასახული ამოცანებისა და მიზნის კაცი ვარ და არა - ამ მიზნის რომელიმე ჰომეოპათიური ნაწილისა“ - სწერს იგი წინას 1952 წლის 8 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც პერედელკინოში ნიტა ესტუმრება და კიდეც ერთხელ შეახსენებს ტაბიძეების მნიშვნელობას თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. აღნიშნული წერილი დასტურია იმისა, რომ პასტერნაკის დამოკიდებულება და სიყვარული ამ ოჯახის მიმართ, მათი ბედის მიმართ უცვლელი რჩება და მუდამ ემსახურება მას მნიშვნელოვან ორიენტირად საკუთარი თავისა და ნაწარმოების შექმნაში. მისთვის რთულია ტიცინთან განშორება, მაგრამ, როგორც ყოველთვის, სამყაროს საიდუმლო ჩანაფიქრს, როგორც ხორხე ლუის ბორხესი უწოდებს, მიზეზ-შედეგობრიობის მექანიზმს, ყოველთვის გრძნობს, წვდება და ამოიკითხავს. სწორედ ესაა შემოქმედის უდიდესი

უპირატესობაც. იცის, რომ ამ დანაკარგის, ტრაგედიის, ასეთი მძიმე ხვედრის გარეშე შეიძლება ტიცინი და მისი ოჯახი არ გამხდარიყვნენ ისეთი ახლობლები, როგორებიც ახლა არიან. ბედნიერი ადამიანები ნაკლებად აინტერესებს, მისი სტიქია ტრაგიკული ხვედრია. ეს ის პერიოდია, როცა რომანის სამი თავი უკვე გადაწერილია. სამივე მანქანურ რვეულს თბილისში აგზავნის (ერთი მანქანური რვეული – რომანის პირველი ნაწილი, მეორე - თავი „გზა“ და მესამე - თავი „ჩამოსვლა“). პირველი ვერსია ნინოს უკვე წაკითხული აქვს და ახლა სთხოვს პასტერნაკი, მეორე ვერსიას გაეცნოს, ვინაიდან „...იქ ბევრი რამ შევცვალე, ნაწილობრივ თქვენ გამო, იმის გამო, რომ იმაზე მეტი მნიშვნელობა მიანიჭეთ, ვიდრე მინდოდა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 209). შესაბამისად, ნინო იცნობს რომანის სამუშაო ვერსიებსაც.

1952 წლის შემოდგომა წერილების გარეშე ჩაივლის, თუ არ ჩავთვლით ნიტა ტაბიძისთვის მიწერილ წერილს. მას პასტერნაკი პირველად მისწერს დამოუკიდებლად (წინა წერილი ნინოს წერილისას ერთვის თან). წერილი პერედელკინოში ნიტას სტუმრობით მიღებულ შთაბეჭდილებებს ეძღვნება. რა თქმა უნდა, გარდაუვალი იქნებოდა პაოლოზე საუბარი და ამ საუბრის დროს ნიტას გამოთქმული მოსაზრებანი, მისი გამორჩეული დამოკიდებულება და სიყვარული პაოლოსადმი პასტერნაკს აოცებს და ახარებს. ისაუბრებენ ხელოვნებაზეც, რომლის ნაწილის მატარებლადაც მიიჩნევს თავს პასტერნაკი და საკუთარი მოღვაწეობით იმეორებს კიდეც (პასტერნაკი, 2018, გვ. 210).

ამ პერიოდში ნინოს გაგზავნილი წერილები უპასუხოდ რჩება, ვინაიდან პასტერნაკი ავადაა და საავადმყოფოში წევს. საავადმყოფოს განცდებზე 1953 წლის 17 იანვრის წერილში მისწერს ნინოს. ეს წერილი კიდეც ერთი დასტურია იმისა, როგორ სჭირდება, როგორი აუცილებელია მისთვის ცხოვრებისეული ტრაგედიით განცდილი კათარსისი, იქნება ეს ფიზიკური თუ სულიერი ტკივილები. ამ ტკივილში განიწმინდება და ის ნეტარების განცდა, რაც ამ წერილშია გადმოცემული, სწორედ ასეთ წუთებში ეუფლება. გავიხსენოთ, პაოლო იაშვილის სიკვდილის ამბავს როდესაც

შეიტყობს, თამარ იაშვილთან მიწერილ წერილში როგორ აღწერს თავის სულიერ მდგომარეობას. განწმენდი ძალა იქონია ამ ტკივილმა და მდინარეში ბანაობა მოანდომა. ამ ტკივილებგანცდილი ხედავს მერე სამყაროში იმას, რასაც სხვები (არა შემოქმედნი) ვერ ამჩნევენ და აღწერს კიდევ.

სტალინის სიკვდილიდან სამ კვირაში, 27 მარტს გამოცხადებულმა ამნისტიამ კვლავაც ააღელვა ტაბიძეები და პასტერნაკები. თუმცა პოლიტიკურ პატიმრებს ეს ამნისტია არ შეხებიათ, ნინო ტაბიძე მაინც არ იშურებს ძალისხმევას და ქმრის გათავისუფლებაზე იწყებს ზრუნვას. ბოლომდე იმედი აქვს, რომ ტიცინი ცოცხალია. პასტერნაკის აზრით კი, შეუძლებელია ეს „განსაკუთრებული და სხივმოსილი ადამიანი“ ისე დაეძალოს, რომ მისი არსებობის ნიშნებს არ გამოეყოფა. სურს, მასაც სწამდეს ამის, ვინაიდან ტიცინის სიცოცხლე მის ინტერესებში შედის, პირველ ყოვლისა. ტიცინ ტაბიძე მისთვის ის საჩუქარი და შესაძლებლობაა, რომელიც ასე ძალიან სჭირდება იმ ძალების აღდგენისთვის, რომელთაც ასე უშურველად ხარჯავს „ფაუსტზე“, შექსპირზე თუ რომანზე მუშაობისას. ამ ძალებს ვერანაირი აღიარება ვერ უნაზღაურებს, ეს მხოლოდ ტიცინს შეუძლია (პასტერნაკი, 2018, გვ. 215-216).

საავადმყოფოში გატარებულმა წუთებმა, მხოლოდ განწმენდა როდი მოიტანა. პასტერნაკი დააფიქრა საკუთარი ძალების საზღვრებზე, დროის დეფიციტზე. ამიტომ ახლა იმაზე მეტად სურს რომანის დამთავრება, ვიდრე ავადმყოფობამდე. ისედაც მოშორებული ლიტერატურულ წრეებსა და ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებს, ახლა კიდევ უფრო უუცხოვდება. მარტობასა და სევდას შრომით უმკლავდება. ასეთი სევდიანი წუთების დროს ყოველთვის ნატრობს ნინოს ჩასვლას პერედელკინოში. „მისი აქ ყოფნისას მშვენივრად ვცხოვრობდი და ვმუშაობდი...“, „იგი ჩემი ყველაზე, ყველაზე დიდი მეგობარია...“ - სწერს გიორგი ლეონიძეს (პასტერნაკი, 2018, გვ. 217).

პასტერნაკი მართლაც მიზნების და ამოცანების ადამიანია. „ყოველი წუთი განხორციელებულია რაღაც რეალურში, ხელშესახებში“ - სწერს ნინოს (პასტერნაკი, 2018, გვ. 218). და ეს რეალური და ხელშესახები არის პროზა, რომანი. მუშაობით ამგვარ

გატაცებას მოაქვს პასტერნაკისთვის კმაყოფილება და ნეტარება. „ხანდახან ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს საკუთარი თავი მე კი არ მეკუთვნის, არამედ ღმერთების შემოქმედ ხელში მოვხვდი და ისინი ქმნიან ჩემგან რაღაც იდუმალს და მეც ისევე მეშინია, როგორც თქვენ. არა, ტყუილია, - არ მეშინია“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 219). მართალია. ჯერ არ ეშინია. გრძნობს, რომ შემოქმედება წერს მის ბიოგრაფიას. შიში მაშინ მოდის, როდესაც საკუთარი თავის და რომანის დაკარგვის საფრთხე დგება.

ხელოვნება რომ ტკივილში უნდა დაიბადოს, ამაზე საუბრობს მაშინაც, როცა ნინო ტაბიძეს, ვფიქრობ, მათი მიმოწერიდან ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო წერილს სწერს საკუთარ შეხედულებებთან, მოსაზრებებთან, განცდებთან, საკუთარ ხასიათთან დაკავშირებით. 1953 წლის 30 სექტემბრის ამ წერილში პასტერნაკი ესაუბრება იმ ორი რამის შესახებ, რაც მისი ბუნების არსს შეადგებს: ქალებზე და ხელოვნებაზე. დონჟუანისებურად კი არ ერთობა მათთან, არამედ მთელი ცხოვრება კენჭებს კრეფს მათი ფეხებქვეშიდან (პასტერნაკი, 2018, გვ. 220). ხელოვნების შესახებ მსჯელობისას, პასტერნაკი იხსენებს, როგორ ეშაადებიან ლ. ტოლსტოის გმირები, ნეხლიუდოვი („აღდგომა“) და ვრონსკი („ანა კარენინა“), შემოქმედებითი პროცესისთვის. იმარაგებენ ფანქრებს, საღებავებს. მაგრამ ხან განწყობა უშლით ხელს, ხან - ამინდი. „...ამის გვერდით კი ნაჩვენებია ფერწერაზე გაგიჟებული უბრალო, ღარიბი ადამიანი, რომელიც ხელოვნებამ ჭლექამდე მიიყვანა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 221). პასტერნაკის ეს აქცენტი არ არის, რასაკვირველია, შემთხვევით. მან იცის, ხელოვნება ასეთ მსხვერპლს მოითხოვს და კომფორტსა და განცხრომაში ნაკლებად იზადება იგი. „ქალიშვილებისა და კინოსთვის განკუთვნილი არტისტიზმი საჩემო რეპერტუარი არ არის“ - დასძენს იქვე. მას სურს, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას, აღარ წეროს „გაუგებრად“, „ლექსებზე აღარ გაცვალოს“ რომანი. ამიტომ გაურბის თარგმანსაც. თუმცა 1953 წლის 18 აგვისტოს ნინოს აჩუქებს ლექსებს: „თეთრი ღამე“, „გაზაფხულის უგზოობა“, „ზაფხული ქალაქში“, „აგვისტო“, ძილისპირულებს: «Вводная» («Я кончился, а ты жива...»), «Бессонница», «Хмель», «Под открытым небом». ისინი, ფაქტობრივად, ნინოს თანდასწრებით დაიწერა, ამავე წლის ივლის-აგვისტოში.

ჟივავოს ლექსები, რომლებსაც ნინოს უგზავნის წასაკიხად და შესაფასებლად, თავად რომანთან შედარებით, არაფრად მიაჩნია. ისინი პირვანდელი ვერსიებია, რომელთაც, როგორც თავად აღნიშნავს, დაღვინებას არ აცდის, მაშინვე უგზავნის, მერე კი ცვლილილები შეაქვს. ნინოსთან გამოგზავნილი წერილები შეიცავს კონკრეტულ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა მოვლენა იქცა მწერლის შემოქმედების ამა თუ იმ ეპიზოდის შთაგონების წყაროდ. 1953 წლის 4 დეკემბერს ნინასთან მიწერილ წერილში იმედს გამოთქვამს, რომ ზაფხულამდე მორჩება რომანის წერას. წერილს თან ახლავს ორი ლექსი: „განშორება“ და „ქორწილი“. მეორე ლექსი დაწერილია პასტერნაკის გვერდით მცხოვრები გუშაგის ქალიშვილის ქორწილით მიღებული შთაბეჭდილებით. „...ერთ-ერთ ეზოში (სხვა ფლიგელში, უბრალო ხალხთან) ქორწილი იყო, მთელი ღამე არ დამადინეს და დილაუთენია გამაღვიძეს, მაგრამ არ გავდიზიანებულვარ, პირიქით, თითქოს მათთან ერთად ვიცხოვრე ის ღამე“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 228).

მაშინ, როცა ნინო ტაბიძის მოლოდინი სულ უფრო აუტანელი და უიმედო ხდება, პასტერნაკს ი. ვ. კროტკოვი აცნობებს, რომ ტიცინი ცოცხალია და მალე გაათავისუფლებენ. ეს არაერთხელ მომხდარა და იმედებიც მწარედ გასცრუებიათ, ამიტომ პასტერნაკი სთხოვს ნინოს, რომ ამაზე არ იფიქროს, არ გაუსწროს წარმოსახვას და შრომაში ჰპოვოს ხსნა. მისთვისაც სწორედ დისციპლინა და შრომაა გადამრჩენელი. ამ მანუგეშებელ წერილში ყოველივე, რასაც ნინოს ურჩევს, მისი მსოფლხედვის არსებითი ნაწილია. იგი ნინოს სთავაზობს, დროებით უტყვე და უგრძნობ ცხოველად იქცეს, ოღონდაც კი საკუთარი თავი შემოინახოს გრანდიოზული საათისთვი (ამ შემთხვევაში, ტიცინთან შეხვედრისათვის) (პასტერნაკი, 2018, გვ. 229). სწორედ იმას ურჩევს, რასაც თავადვე აკეთებს. წინა თავებში ეს თემა საკმაოდ ვრცლად იქნა განხილული. ასე იქცევა, რათა გადარჩეს, შემოინახოს თავი რომანის ტრიუმფამდე. პასტერნაკის წილ ტიცინად იქცა რომანი, ყველა დაკარგული, შეწირული მეგობრის ნაცვალის გახდა რომანი. ამდენად, მისთვის მოლოდინი გაამართლებს. ნინოსთვის - ვერ. ტიცინს ტაბიძის შესახებ საბოლოო ცნობის მოსვლა და რომანის დასრულება

თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. უსაყრდენოდ, უმეგობროდ დარჩენილმა რაც დაწერა, ის გაიხადა საყრდენად.

ტრაგიზმი და ბედისაგან დაჩაგრული ქალი რომ განსაკუთრებით იზიდავს პასტერნაკს, ამას თავადვე არაერთხელ აღნიშნავს. ნინოსადმი სიყვარულს მისი ხასიათის ეს თვისებაც განაპირობებს. მართალია, ნებისმიერ ვითარებაში მოიხიბლებოდა და შეუყვარდებოდა ნინო, თუმცა ამას ემატება ისიც, რომ „ცხოვრების საერთო კატასტროფის გზაზე“ ისინი ერთად აღმოჩნდნენ და ამ ტრაგედიის გადატანა ერთად უწევთ. ეს არის ტანჯვის გზა, რომელზეც გამუდმებით ჩნდება და იკარგება იმედი. მას შემდეგ, რაც ნინო საბოლოო ცნობას მიიღებს იმის თაობაზე, რომ ტიციან ტაბიძე 1937 წლის 15 დეკემბერს დახვრიტეს, პასტერნაკი მშვიდად და აუღელვებლად მისწერს. იგი, დიდი ხანია, შეეგუა ამას და გულის სიღრმეში მანაც და ნინომაც იცოდნენ, ტიციანი ცოცხალი რომ აღარ იყო. მიუხედავად ამისა, ნინოსთვის ეს უდიდესი დარტყმა იქნება. რამდენიმე კვირა იგი საწოლიდან ვერ ადგება ამ ცნობის შემდეგ. ნინოს გარეშე დარჩენილი პასტერნაკი საკუთარ თავთან ან ღმერთთან საუბრობს.

პასტერნაკის ფიქრები მთლიანად რომანს დასტრიალებს. 1955 წლის ზაფხულში რომანის დამთავრება მხოლოდ შინაარსის უხეშ ჩანაწერს გულისხმობდა, როგორც ამას თავად აღნიშნავს. ამავე წლის დეკემბერში ნინოსთან მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ მთელი რომანი თითქმის ბოლომდე გადამუშავებულია უკვე, მისივე თქმით მანქანაზე დაბეჭდილი 450 გვერდი, „რაც ამდენ დროდ, შრომად და სულის უდიდეს ნაწილად“ დაუჯდა (პასტერნაკი, 2018, გვ. 239).

პასტერნაკი სულ უფრო შორდება გარე სამყაროს, რაც სულაც არ აწუხებს. პირიქით, სურს ეს კარჩაკეტილობა, რაც შეიძლება საგულდაგულოდ შეინარჩუნოს, ვინაიდან როგორც კი ხალხთან იწყებს ურთიერთობას, ხვდება, რაოდენ გაუცხოებულია მათგან, იმათგანაც კი, რომლებიც პატივს სცემენ და უყვართ. ამ სიყვარულს რომ ვერ პასუხობს, ხანდახან სინანულიც იპყრობს, თავს ცუდ მეგობრად მიიჩნევს, უმადურად,

განდგომილად, მოღალატედ. ამიტომაც სურს მარტოობა. თუმცა, ამასთანავე კმაყოფილების განცდაც არ ტოვებს, ვინაიდან როგორც იქნა, ბოლო მოელო ქარაგმებს, სიმბოლოებს, მიზანმიმართულად გაუგებარ ნათქვამებს. „ყველაფერს სახელი დაერქვა, მარტივად, გამჭვირვალედ, სევდიანად“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 239). ეს იყო, რისკენაც ამდენ ხანს მიისწრაფვოდა, რაც ომის შემდგომი პერიოდის შემოქმედების მთავარ მიზნად გაიხადა: ეთქვა სიმართლე შეუნიღბავად, ხმამაღლა და ყველასთვის გასაგებად. „მოეძებნა და დაერქა სახელი მთელ იმ ჯადოქრობას, რომელიც გვტანჯავდა, გაუგებრობას, კამათს, განცვიფრებას იწვევდა და ამდენი ათწლეული უბედურება მოჰქონდა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 239). რეჟიმის მთელ სიმახინჯეს სახელი დაერქვა, სადავო და გამოსაცნობი აღარაფერია.

როგორც ზემოთ ითქვა, მარტოობას ამოფარება პასტერნაკს ცხოვრებას უადვილებდა. თუმცა ასეთი ხმამაღალი განაცხადის შემდეგ ეს უკვე შეუძლებელია, საერთო საქმიანობაში ჩაბმა გარდაუვალია და პრინციპში, სურს კიდევ პასტერნაკს. მას მხოლოდ ხელოვნების მსახურება აღარ აკმაყოფილებს, გაცილებით მეტი უნდა - სიმართლის მსახურება, სიმართლისა ხელოვნების საშუალებით. მის ირგვლივ რაც ხდება, მხოლოდ გაქცევის სურვილს აღუძრავს. სურს, გადაიკარგოს, არაფერი იცოდეს, სანამ თავისით, მისი ჩარევის გარეშე არ გაკეთდება რაღაც.

პასტერნაკის ბუნებისთვის არ არის უცხო ყველას წინააღმდეგ წასვლა. ხანდახან ეს სრულიად მოულოდნელიც არის ხოლმე გარშემომყოფთათვის. „ჯერ კიდევ საბრალო პაოლო რამდენს მეკამათებოდა, მსაყვედურობდა, როგორ შეიძლება მთელი ხალხის წინააღმდეგ წასვლაო...“ - სწერს ნინოს 1955 წლის 11 დეკემბერს (პასტერნაკი, 2018, გვ. 241). დიდი ხანია, იგრძნო ის სიცრუე, რომლითაც ამდენი წელი თვალს უხვევდნენ ტიციანთან დაკავშირებით და ამას „გიგანტურ, გაუგონარ, გულსა და გონებაში დაუტეველ დანაშაულს“ უწოდებს (იქვე). ვინაიდან წილად აღარ ხვდა მეგობართან შეყრის ბედნიერება, სურს, ტიციანის ხსოვნას უპატრონოს, დააკმაყოფილოს „მისი უხმო მოგონება, მისი სამართლიანი სარჩელი“. სამაგიეროდ ეს დანაკარგი

გაკვეთილად ექცევა, შეურიგებლობასა და პირდაპირობას ასწავლის. ხსოვნას პატივს იმით მიაგებს, რომ 1955-1956 წლებში ტიცთან ტაბიძის სიკვდილის შემდეგდროინდელი გამოცემისთვის მის შვიდ ლექსს თარგმნის.

1957 წლის მიმოწერა იმით იწყება, რომ ნინო ტაბიძეს ფრანგი სლავისტის, ჟაკლინ დე პრუაიარის მასპინძლობას სთხოვს. ეს უკანასკნელი მოსკოვის უნივერსიტეტში გადიოდა სტაჟირებას და პასტერნაკი 1956 წელს გაიცნო. სწორედ მაშინ მისცა წასაკითხად „ექიმი ჟივაგო“. თუმცა ნინოს ამ ფაქტმა შეიძლება არასასიამოვნო მოგონებები აღუძრას, კერძოდ, ის ფაქტი გაახსენოს, როცა თავის დროზე ჟურნალისტი დ. ვ. ივანოვი (ჟან ნევესელი) საქართველოში სტუმრობდა. მასთან ნინოს ნაცნობობით კი მაშინ სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი დაინტერესდა. ამასაც ითვალისწინებს პასტერნაკი და ნინოს სწერს, რომ მის უარს სრული გაგებით მოეკიდება. „ჟივაგოს“ ავტორისთვის ეს ადამიანი ერთობ მნიშვნელოვანი ფიგურაა, ვინაიდან მიაჩნია, რომ „ექიმი ჟივაგოს“ ბედი მის ხელშია. ამგვარი სარისკო თხოვნითაც მხოლოდ ნინოს შეუძლია მიმართოს. ნინომაც იცის, რამდენად მნიშვნელოვანია ამ თხოვნის შესრულება მეგობრისთვის.

რომანს გამოსაცემად ჯ. ფელტრინელი ამზადებს იტალიაში. 1957 წლის ზაფხულიდან იწყება პასტერნაკის ინტენსიური დევნა. როგორც ნინოს ატყობინებს, ხრუშოვისთვის რომანიდან ყველაზე მიუღებელი ამონარიდი უჩვენებიათ. ამ დროს კი პასტერნაკს საზღვარგარეთ უკვე გაგზავნილი აქვს ხელნაწერი. საქმეში ერევა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი პალმირო ტოლიატი და ფელტრინელის ხელნაწერის უკან, მოსკოვში დაბრუნებასა და გამოცემაზე უარის თქმას სთავაზობს, რაზეც ფელტრინელი პასუხობს, რომ ამას არ გააკეთებს, თუნდაც პარტიის დატოვება მოუწიოს. ასეც იქცევა. ამ ყველაფერმა ხელისუფლების კიდევ უფრო გაღიზიანება გამოიწვია. პასტერნაკი 1957 წლის 13 აგვისტოს გამოიძახეს მწერალთა კავშირის სამდივნოს სხდომაზე. სხდომა 16 რიცხვში იყო დანიშნული. ამის შესახებ იგი სიფრთხილით წერს ნინო ტაბიძეს: „ჩემი მდგომარეობა ცოტა გამწვავდება,

საზღვარგარეთიდან მომდინარე სხვადასხვა მიზეზის გამო ჩემს თავს კვლავ ცა იქუფრება და არ ვიცი, როგორ გამოვძვრები აქედან!“. პასტერნაკის ნაცვლად ამ სხდომაზე წავიდნენ ო. ივინსკაია, ა. პუზიკოვი და ა. სტაროსტინი, რომლებიც „ექიმი ჟივავოს“ რედაქტირებაზე მუშაობდნენ. როგორც პუზიკოვი იგონებს, სტაროსტინის ცნობას იმის შესახებ, რომ რომანი მზად იყო გამოცემისთვის, „მტრულად შეხვდნენ“: „ამუშავდა ცნობილი ფორმულა - „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“. თავად რომანის დასრულების იდეა აბსურდულად იქნა მიჩნეული. ამით დასრულდა კიდევ თათბირი და ჩვენც, ნაცემებივით წამოვედით, რადგან მივხვდით, რომ „ექიმი ჟივავოს“ გამოცემისკენ გზა ჩაიკეტა“. მეორე დღეს პასტერნაკი ცკ განყოფილების გამგემ, დ. ა. პოლიკარპოვმა გამოიძახა (პასტერნაკი, 2018, გვ. 252).

ო. ივინსკაიას, ა. პუზიკოვისა და ა. სტაროსტინის საბჭოთა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის საიდუმლო სხდომაზე გამოძახება 1937 წლის სხდომებს ახსენებს პასტერნაკს. ის დიდი ტერორი, რომელიც უკანაა მოტოვებული, პასტერნაკისთვის ახლა იწყება. 1957 წლის 20 აგვისტოს სამდივნოს სხდომას ატარებდა ა. სურკოვი, როგორც მწერალთა კავშირის პირველი მდივანი. პასტერნაკის ანტისაბჭოური მსოფლმხედველობის დასტურად კითხულობდა ნაწყვეტს «Высокая болезнь»-იდან («Предвестьем льгот приходит гений / И гнетом мстит за свой уход»). „სურკოვი კი ხმამაღლა (გრძნობით და, როგორც ამობობენ, ძალიან კარგად) კითხულობდა მთელ თავებს პოემიდან“ - პასტერნაკი ნინო ტაბიძეს (პასტერნაკი, 2018, გვ. 249).

ნინოსთან 1957 წლის 21 აგვისტოს მიწერილი ვრცელი წერილი შეიცავს პოლიკარპოვთან მიწერილ წერილსაც, რომელსაც პასტერნაკი ამ უკანასკნელს ივინსკაიას მეშვეობით გაუგზავნის. ამ წერილით ოფიციალურად უცხადებს, რომ არასდროს იტყვის რომანზე უარს. რომანია ის ერთადერთი, რასაც არასდროს ინანებს, არასდროს დამალავს თავის ამ დამოკიდებულებას, ვინაიდან იგი იმაზე ძლიერი გამოუვიდა, ვიდრე იოცნებებდა. ხოლო თუ ამ სიმართლისთვის ხარკის გაღება მოუწევს, ამისთვისაც მზად არის: „თუკი სიმართლე, რომელიც მე ვიცი, ტანჯვითაა

გამოსასყიდი, ეს ახალი არ არის და მზად ვარ ნებისმიერი განსაცდელისთვის“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 249). იმასაც უხსნის პოლიკარპოვს, რომ მისი მხრიდან უარი კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს რომანისადმი და ეჭვს იმის შესახებ, რომ ამას იძულებით აკეთებინებენ. ამ რომანს უკვე დიდი ინტერესით მოელის ევროპელი მკითხველი. ფელტრინელისთვის ეს აღმოჩენაა. 1957 წლის 10 ივნისს გოსლიტიზდატში დაბეჭდილ წერილში იგი წერს: „...დასავლელი მკითხველი პირველად აღმოაჩენს წიგნში მაღალმხატვრულ და პოეტურ ხმას, გზების ძიებით ჩაფიქრებულს, გზებისა, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციიდან მიემართება რუსეთის ისტორიაში ახალი ეპოქის პერსპექტივისაკენ <...> ხოლო ის ფაქტი, რომ ეს ხმა ეკუთვნის ადამიანს, რომელიც არ არის ჩაბმული აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში, დასავლელი მკითხველის თვალში მის სიტყვებს დიდ გულწრფელობასა და დამაჯერებლობას სძენს...“ („კონტინენტი“, 2001, №107. გვ. 295). აქ ეს სიტყვები შეტანილია რომანის მთარგმნელის, პიეტრო ცვეტერემიჩის 1956 წ. 15 ივლისის რეცენზიიდან, რომელიც მან დაწერა „ექიმი ჟივაგოს“ ხელნაწერზე (პასტერნაკი და ხელისუფლება. გვ. 347) (პასტერნაკი, 2018, გვ. 253).

მთავარი მოთხოვნა იყო ხელნაწერის გამოთხოვება ფელტრინელისგან დასამუშავებლად. თუმცა ამ მოთხოვნას არავითარი იურიდიული ძალა არ ჰქონდა და პასტერნაკი დარწმუნებულია, რომ ფელტრინელიზე ეს არავითარ ზემოქმედებას არ იქონიებს. პასტერნაკი ამ წერილში დ'ანჯელოს სიტყვებზე მიაწინებს, რომელსაც ო. ივინსკაიამ სთხოვა პასტერნაკზე მოეხდინა ზემოქმედება, რათა ამ უკანასკნელს ხელი მოეწერა განცხადებაზე ხელნაწერის ფელტრინელისგან დაბრუნებისა და გამოცემის შეჩერების შესახებ. „ფელტრინელი არ მიაწინებს არავითარ მნიშვნელობას დეპეშას, - თქვა მან, - და არ შეცვლის თავის დამოკიდებულებას პასტერნაკისადმი, თუ, რა თქმა უნდა, იგი ამ დეპეშას გაუგზავნის ფელტრინელის“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 253).

ცვ-ში დაბარებების, აშკარა დევნისა და გმობის პირობებში პასტერნაკი თავს მშვიდად გრძნობს და „შინაგანი ალაღმართლობის სასიხარულო და ამადლებულ გრძნობას“

განიცდის, როგორც ეს მას მსგავს წუთებში სჩვევია. ყოველივე მომხდარი არწმუნებს, რომ დიდი და მნიშვნელოვანი ცხოვრებით იცხოვრა. ეს კი ციური ჯილდოა. სწორედ ასეთ წუთებში გრძნობს თავისი სიცოცხლისა და შემოქმედების მნიშვნელობას, შესაბამისად, კმაყოფილებაც ამ დროს ეუფლება. Per aspera ad astra - ასეთია დიდების გზა. მისთვის, როგორც ამას სიმონ ჩიქოვანს მისწერს, „დიდი ხელოვნება უნდა იყოს ისტორიული აქტი და სიდიდით მსოფლიო მნიშვნელობისა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 254). მხოლოდ ამ მასშტაბებს აღიარებს სიცოცხლის გასაყარზე. მისთვის ხელოვანი მხოლოდ ის არის, ვისაც შეუძლია გარისკოს.

მიუხედავად ამისა, იგი მაინც მიდის დათმობაზე და უდიდესი ზეწოლის ქვეშ ხელს აწერს ფელტრინელისთვის ცკ-ს მიერ შედგენილ დეპეშას. ტექსტი პოლიკარპოვის კანცელარიაშია შედგენილი. დეპეშის მიხედვით, პასტერნაკი „ექიმი ჟივაგოს“ ტექსტს მიიჩნევს დაუსრულებლად და განიხილავს მხოლოდ როგორც ნაწარმოების წინასწარ ვერსიას, რომელსაც სჭირდება სრულყოფა და შესაბამისად, სთხოვს ეგზემპლარის მოსკოვში, მის მისამართზე გამოგზავნას (პასტერნაკი, 2018, გვ. 257).

ტიციანის ტრაგედია, 1937-ში განცდილი ტკივილები ხელახლა იღვიძებს პასტერნაკში 1957 წელს, ვიანიდან დიდ რეპრესიებს გადარჩენილი მწერალი ახლა ხდება მისი მსხვერპლი. „...იმდენად ახლოსაა ეს ტანჯვა და დაღვრილი სისხლი, ისე მიახლოვდება საფრთხე პირადად მე ამ ბოლო დღეებში, რაც გულს მიკუმშავს და იმ საშინელ წლებს მახსენებს“ - სწერს ნინო ტაბიძეს 1957 წლის 30 აგვისტოს (პასტერნაკი, 2018, გვ. 258). პასტერნაკზე განსაკუთრებით მოქმედებს და შთაბეჭდილებას ახდენს შექმნილ ვითარებაში ტიციანის უკანასკნელი წლების ლექსები, სადაც დასასრულის მოახლოების წინათგრძნობა ჩანს. „მშობლიური კერა და მამული მხოლოდ მას უყვარს, ვისაც ემუქრება დაკარგვა მათი“ («Родной очаг свой любит и отчизну лишь тот, кому грозит утрата их»). ამ ყველაფერს, რაც ტიციანმა, პაოლომ და სხვებმა 1937-ში გამოიარეს, პასტერნაკი ახლა გადის. „დიდი ტერორი“ მასთან ახლა დადგა.

ეს ის პერიოდია, როცა „ექიმი ჟივავოს“ ნაწყვეტების გამოქვეყნება დაიწყო პოლონურ ჟურნალში „Opinie“ (1957, № 1), რომლის ერთ-ერთი რედაქტორი იყო ზემოვიტ ფედეცკი. გოსლიტიზდატთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, „ექიმი ჟივავო“ ითარგმნა პოლონურად და უნდა გამოცემულიყო რომანის მოსკოვში გამოსვლის შემდეგ. პოლიკარპოვის მოთხოვნით, ჟურნალი დაიხურა, მთარგმნელები ანა კამენსკაია და სევერინ პოლაკი მოსკოვში დაიბარეს და მათთან „აუცილებელი საუბრები“ გაიმართა (პასტერნაკი და ხელისუფლება. გვ. 83, 97 (პასტერნაკი, 2018, გვ. 261)).

ვითარება კვლავაც დაიძაბა. ოლგა ივინსკაიას კვლავ იბარებენ ცვ-ში. ამ მოვლენებზე ასე ვრცლად საუბრის საჭიროება იმაში მდგომარეობს, რომ გასაგები გახდეს დროის კონტექსტი. სწორედ ამ მოვლენათა განვითარებას მოჰყვება საქართველოში უკანასკნელი, თანაც იძულებითი, გამომგზავრება.

პასტერნაკმა იცის, რომ ვითარება მხოლოდ გაუარესდება. თუმცა არ სურს ბევრი იფიქროს იმაზე, თუ რა მოელის და სადამდე მიიყვანს ეს ყველაფერი. აქ კვლავ ტიცინან ტაბიძის სტრიქონები ახსენდება, რომლებიც თავადვე თარგმნა: „ვიცი, მომელის მაინც ეს ბედი / და ისიც ვიცი, ჩემზე ახია!.. / ძვირფასო, არ ვარ, იცოდე, ყბედი, / თან თავის მოკვლა რა ტრაზახია!..“ იცის, რომ ეს გარდაუვალია. მას ერგო შემოქმედის ბედი და ემორჩილება, ვინაიდან „სასწაულმოქმედი არ არის“ და არ ძალუმს „იდეების, ინტერესებისა და წარმოდგენებისთვის სიცოცხლის შეჩერება სამყაროში“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 262). ისინი თავისთავად იბადებიან, თავად კი სიტყვაში გამოსახავს. იცის, რომ მის შემოქმედებას ჯილდო ელის, ყველაფერი კანონზომიერად განვითარდება, თუმცა მძიმე იქნება მისი პირადი ბედი. მისი და ნაწარმოების ბედი ერთმანეთს გაემიჯნება. მას კი რა მოელის, არ იცის. ყველაფერი მოსალოდნელია მის დროში, „დროში, რომელმაც ასე იზრუნა ადამიანში ხელოვანის განადგურებაზე, ამდენი იმუშავა, რათა გაენადგურებინა ჩვენში პიროვნება და მისი გაგება“ (პასტერნაკი, 2018,

გვ. 262). და აქაც ყველაფერი კანონზომიერია. ვინც ამ დროში საკუთარი შემოქმედებისთვის დაიღუპა, საუკუნო აღიარებაც მისია.

როდესაც ვსაუბრობთ პასტერნაკის მეტამორფოზაზე შემოქმედებით ასპარეზზე, არ შეიძლება არ ვახსენოთ სიმონ ჩიქოვანთან 1957 წლის 6 ოქტომბერს მიწერილ წერილში გამოთქმული მისივე აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. გთავაზობთ ვრცელ ციტატას აღნიშნული წერილიდან:

„17-18 წლებში მინდოდა ჩემი მტკიცებულებანი რაც შეიძლება მიმეახლოებინა ექსპრომტს და საქმე იმაში კი არ არის, რომ ვცდილობდი კრებულების „დაი ჩემი - ცხოვრება“ და „თემები და ვარიაციები“ ლექსები ერთბაშად დამეწერა ან რაც შეიძლება ნაკლებად ამეჭრელებინა შესწორებებით, არამედ - უფრო დადებითი ხასიათის საყრდენებში.

თუკი ადრე, და მერეც, მაჩერებდა და ლექსად იქცეოდა ის, რაც იყო ცხადი, ღრმა, მგზნებარე, ან ძლიერი, დასახელებულ წლებში (17-18) ვიწერდი მხოლოდ იმას, რაც მეტყველების მარაგად, ფრაზის კონსტრუქციად აღმომხდებოდა როგორღაც მთლიანობაში, თავისთავად. ვწერდი იმას, რაც იყო უნებლიე და დაუნაწევრებელი, მოულოდნელ-უცილობელი.

შერჩევის (თან ძალიან ძუნწი შერჩევისა) პრინციპი იყო არა მონახაზების დამუშავება-სრულყოფა, არამედ სწორედ ის ძალა, რა ძალითაც აქედან რამდენიმე ერთბაშად აღმომხდებოდა და გაქანებით ეშვებოდა სიახლესა და ბუნებრიობაში, შემთხვევითობასა და ბედნიერებაში“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 263-264).

საინტერესოა, რომ პროზაში კვლავაც 1917-18 წლების პრინციპს უფრო უბრუნდება.

ახლა მას ტუქსავენ, იბარებენ საიდუმლო სხდომებზე, რისხავენ, დევნიან. თუმცა უარს საკუთარ სიმართლეზე, რომანზე ვერ ათქმევინებენ. ცდილობს ლავირებას, მიდის გარკვეულ დათმობებზე, როგორც იყო თუნდაც ზემოთ ხსენებული ხელმოწერა ფელტრინელისთან გაგზავნილ დეპეშაზე. ეს სჭირდება დროის მოსაგებად. თუმცა

ისიც იცის, რომ მალე დადგება გადამწყვეტი წუთიც, როცა ეცოდინება, რომ „ყველაფერი მიღწეულია“ და აი, მაშინ წავა ყველა უკიდურესობაზე (პასტერნაკი, 2018, გვ. 266). პასტერნაკს მიაჩნია, რომ დროის სიდიადე ვერ დაფარავს პიროვნებებს. არსებობს დროზე გამარჯვება, დროს გასწრება, დროის მოხელთება, დროის ძიება. პასტერნაკთან ყველა მათგანი გვაქვს, თუმცა არავითარ შემთხვევაში დროითა და ეპოქით დაჩრდილვა, მასში შთანთქმა. პასტერნაკის უმთავრესი გამარჯვებაც სწორედ ის არის, რომ დრომ ვერ შთანთქა.

ამიტომაც არის, რომ ბოლომდე გულწრფელი არ არის თავის მცდელობებში, ხელი შეუშალოს რომანის გამოცემას, თავის სანუკვარ ოცნებას. აქ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ზემოთ მოხმობილ ციტატას წერილიდან: „შემთხვევითობის ბრმა თამაშის წყალობით ჩემი ოცნება ახდა, რაც უნდა იძულებით შევწინააღმდეგებოდი ამას“ - სწერს იგი ნინო ტრაბიძეს 1957 წლის 22 დეკემბერს (პასტერნაკი, 2018, გვ. 267). რუსეთში ბოლომდე სჯერათ, რომ პასტერნაკი ლექსებს უნდა დაუბრუნდეს ისევ. ამ უკანასკნელმა კი იცის, რომ რაც უნდა შეჩვეულები იყვნენ იმ ყოველივეს, რაც მათ თვალწინ ხდება და რასაც კითხულობენ, ეს განვლილი პერიოდია, ჩავლილი დროა. უდიდეს ძალისხმევად დამჯდარი პერიოდი დასრულდა და ახლა მის ადგილას სიცარიელეა, რომელსაც შევსება სჭირდება. ეს კი „ვინმეს გენიალური დამოუკიდებლობითა და სისხლით იქნება მიღწეული“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 269). ხელოვანმაც და ხალხმაც უნდა ირწმუნოს, რომ აუცილებლად დადგება ისეთი დრო, როცა ყველაფერი კვლავ მოძრაობაში მოვა და შეიცვლება. პასტერნაკს ეს რწმენა ღრმად აქვს გამჯდარი და ამიტომაც წერს სწორედ იგი ასეთ ანტისაბჭოურ რომანს საბჭოთა სივრცეში ცხოვრების პირობებში, აქვეყნებს მას ევროპაში და ჯერ-ჯერობით ცოცხალი ურჩება ამ ყველაფერს. იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ის დრო, რომელზეც საუბრობს, მართლაც წარსულის საკუთრებაა და ეს ახალი დრო ლოგიკურად მოითხოვს „ჩვეულებად ქცეული ცნებების“, „აკვიატებული ჩვევების“ დავიწყებას. ახლა მხოლოდ პროზა უნდა იყოს მის ცხოვრებაში და ხელოვნურად განახლებული ლექსების წერა არ მიაჩნია სწორ გადაწყვეტილებად, ვინაიდან ისინი „ძველი წვრილმანებია“, რომლებიც

მნიშვნელოვან და საჭირო ცვლილებებს ვერ მოიტანენ (პასტერნაკი, 2018, გვ. 270).
ლექსების წერა მისთვის ძალიან ცოტას ნიშნავს უკვე, როგორც «Литературная Грузия»
-ს მთავარ რედაქტორს, კ. ლორთქიფანიძეს მისწერს 1958 წლის 22 ივნისს, როდესაც
თავის ლექსებს გაუგზავნის ჟურნალში დასაბეჭდად.

„ექიმი ჟივავო“ იტალიაში დეკემბრის დასაწყისში გამოიცა. ამას მოჰყვა ინგლისური
გამოცემა 1958 წლის შემოდგომით, ხოლო ფრანგული - ინგლისურზე 3 თვით ადრე,
გერმანული და სხვები - 1958 წლის ბოლოს. პასტერნაკის სახელი უკვე მთელმა
ევროპამ იცის. პერედელკინოში მის სანახავად ჩამოდიან. ხელისუფლება
მაქსიმალურად ცდილობს ამ შეხვედრებს ხელი შეუშალოს. სწორედ ამას
ემსახურებოდა პასტერნაკის საქართველოში იძულებითი გამომგზავრება. ნინომ
ბორის პასტერნაკსა და ზინას თავისი ბინა დაუთმო აქ ყოფნის პერიოდში. მაშინ
დაუმეგობრდა პასტერნაკი ლადო გუდიაშვილის ქალიშვილს, ჩუქურთმა
გუდიაშვილს. შემორჩენილია ჩუქურთმასთან მიწერილი ორი წერილი. აქაური გარემო
სიმშვიდეს ჰგვრის. თუმცა სასმშობლოში დაბრუნებულს კვლავაც საფრთხის
მაუწყებელი ცნობები ელოდება. 14 მარტს პასტერნაკი გენერალურ პროკურორთან, რ.
რუდენკოსთან გამოიძახეს და სახელმწიფო ლალატში დასდეს ბრალი. მიიღო
გაფრთხილება, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა „ქმედებები, რომლებიც ... წარმოადგენენ
დანაშაულს“, რათა თავიდან აეცილებინა „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში
მიცემა“. „ექიმი ჟივავოს“ საზღვარგარეთ გამოცემის გარდა, დანაშაულებრივ
ქმედებებში იგულისხმებოდა ლექს „ნობელის პრემიის“ გამოქვეყნება “Daily Mail”-ში.
პასტერნაკი იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ არ შეხვდებოდა უცხოელებს და
შეწყვეტდა საზღვარგარეთ მიმოწერას (პასტერნაკი, 2018, გვ. 275). მაშინ, როცა
პასტერნაკამდე მცდარ მისამართზე გაგზავნილი წერილებიც კი აღწევს. „იცით, როგორ
წერილებს ვიღებ? ამერიკიდან წერილს აგზავნიან ცრუ მისამართზე: Hamburg,
Germany, Boris Pasternak. და წერილი ჩემამდე მოდის! პერედელკინოში!“ - სწერს იგი
გია მარგველაშვილს (პასტერნაკი, 2018, გვ. 274). ლიტერატურის ისტორიკოსი და
კრიტიკოსი გია მარგველაშვილია სწორედ ის ადამიანი, რომელმაც შეაგროვა ქართველ

მეგობრებთან მიწერილი პასტერნაკის წერილები და გამოაქვეყნა ისინი ჟურნალებში „ვოპროსი ლიტერატური“ («Вопросы литературы» (1966, № 1)) და „ლიტერატურნაია გრუზია“ («Литературная Грузия» (1966, № 1, 2; 1980, № 2). ამ ვითარებაში, როცა ცრუ მისამართზე გაგზავნილი წერილებიც კი აღწევს პერედელკინომდე, რასაკვირველია, პროცესის შეჩერება შეუძლებელია. ხელისუფლებას ეს კიდეც უფრო აღიზიანებს. პასტერნაკი კი ამას იმ საზღაურად მიიჩნევს, რომელსაც გადახდა უნდა მისთვის სამყაროს მიერ ნაბოძები სულიერი მარაგის სანაცვლოდ.

პასტერნაკის მდგომარეობა ახლა გაცილებით მძიმეა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მას თარგმანებსაც აღარ უბეჭდავენ. ნიტასთან მიწერილ წერილში, იგი სთხოვს, რომ როგორმე ნინო დაარწმუნოს, ნუ ეცდება ტიცთან ტაბიძის გამოცემაში მისი ადრეული თარგმანების შეტანას. იცის, რომ აქ დათმობაზე არ წავლენ. „უკეთეს შემთხვევაში ეკონომიკურ ბლოკადას მომიწყობენ, როგორც ზოშენკოს“. დათმობაზე არ წავა არც თვითონ, ვინაიდან ეს თავისთავად იქნება რომანზე უარის თქმა, რასაც არასდროს იზამს (პასტერნაკი, 2018, გვ. 276). პასტერნაკისგან მოითხოვდნენ საბჭოთა მწერალთა კავშირში უკან დაბრუნებას, კავშირთან შერიგებას. ეს საკითხი პოლიკარპოვმა 1958 წლის ნოემბერში კიდეც დასვა. პასტერნაკი უამბობდა გერმანელ ჟურნალისტს, გერდ რუგეს, რომ მწერალთა კავშირი აღუდგენდა მას მწერლობას იმ პირობით, თუ მოინანიებდა, რაზეც იგი არასოდეს წავიდოდა და გადაჭრით ამბობდა უარს აზრი გამოეთქვა „ჟივავოს“ დასავლური ინტერპრეტაციების წინააღმდეგ. „არა, მე ამას არ ვიზამ. არ მინდა, მთავრობას ველაქუცო“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 278). აი, ის „გენიალური სითამამე“, რომლით აღჭურვილმა ხელოვანმაც უნდა შეავსოს განვლილი ეპოქის ადგილას დატოვებული სიცარიელე.

პასტერნაკის მდგომარეობა 1959 წლის შემოდგომით შედარებით უმჯობესდება. ისევ თარგმანებს უბრუნდება. მართალია, კალდერონის პიესის „შეუპოვარი უფლისწული“ პირველად წაკითხვისას იმედი უცრუვდება და დიდი ხალისით ვერ იწყებს თარგმნას შექსპირის შემდეგ, თუმცა ნინო ტაბიძესთან მიწერილ წერილში აღნიშნავს:

„მოვასწარი პიესაზე მუშაობა შემეყვარებინა და მერწმუნა მისი. თუკი ვიცოცხლე და რამე გაუთვალისწინებელმა არ შემიშალა ხელი, ეს რომანზე ნაკლები არ გამოვა“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 283). სწორედ ამ დროს ასრულებს დანაპირებსაც და თარგმნის გიორგი ლეონიძის 8 ახალ ლექსს. ფინანსური მდგომარეობაც უუმჯობესდება. თუმცა გაუცხოვებას არაფერი შველის. მიზეზს თავად ასე განსაზღვრავს: „ეს იმის გამოა, რომ დრო, რომელსაც ჩვეულებისამებრ კვლავაც ჩვენად, თანამედროვედ ვთვლით, დიდი ხანია, აღარ არსებობს. იგი დასრულდა, დაინთქა როგორც ნაპირს მოწყვეტილი ყინული ზღვაში, მთელი თავისი ჩვეულებებით, დაწესებულებებითა და ნაცნობებით“ (პასტერნაკი, 2018, გვ. 286).

მისი სულის თვისტომი ბოლომდე მხოლოდ ნინო ტაბიძე რჩება. მართალია, მასთანაც იჩენს თავს გაუგებრობა ოლგა ივინსკაიას გამო, თუმცა მათ შორის უთანხმოება დავიწყებას მიეცემა, როდესაც პასტერნაკი ავად გახდება და თავადვე შერყეული ჯანმრთელობის ნინო მაშინვე წავა პერედელკინოში. მანამდე პასტერნაკი ჩუქურთმა გუდიაშვილს მისწერს და შუამდგომლობას სთხოვს ნინო ტაბიძესთან, სთხოვს, მივიდეს მასთან და დაარწმუნოს, რომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც შეიძლება ის აღარ ემეგობრებოდეს მას. მხოლოდ ის სურს, რომ ნინო არ ჩაერიოს მისი ცხოვრების ისეთ საკითხებში, რომლებიც ისედაც ურთულებს მდგომარეობას (პასტერნაკი, 2018, გვ. 287-288).

ნინო თავდაუზოგავად უვლიდა ერთგულ მეგობარს. იგონებდა, როგორი სინაზით სავსე იყო მათი უკანასკნელი საუბრები. ამ დღეთა შესახებ მოთხრობილია ნინო ტაბიძის მოგონებათა წიგნში „ცისარტყელა განთიადისას“.

აღსანიშნავია, რომ სწორედ თბილისში და სწორედ საყოველთაო დევნისა და უარყოფის პერიოდში დაიბეჭდა თბილისში ბორის პასტერნაკის უკანასკნელი კრებული «Грузинские поэты» (1958 წ.). ეს იყო ერთგვარი მაღლიერების ჟესტი ქართველი მწერლებისა და მეგობრების მხრიდან პასტერნაკის მიმართ და იმ შემოქმედებითი კავშირის დასტური, რომელიც კვლავაც გრძელდება.

დასკვნა

მე-20 საუკუნეში ეპისტოლარული ჟანრის ნელ-ნელა შესუსტება შეიმჩნევა. თუმცა ლიტერატურის ისტორიამ შემოგვთავაზა რამდენიმე ისეთი მაგალითი, როდესაც წერილები მწერლის შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ბორის პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველი მეგობრებისადმი მიწერილ წერილებს.

ბ. პასტერნაკი ქართველ ადრესატებთან მიმოწერას იწყებს 1930-იანი წლების დასაწყისიდან და ეს გრძელდება რუსი მწერლის სიცოცხლის ბოლომდე, ე.ი. თითქმის 30 წელი. მისი წერილები იმდენად გაჯერებულია ემოციურად და იმდენ ფაქტს თუ მოსაზრებას შეიცავს, რომ გარკვეული გაგებით ისინი შეიძლება განხილული იქნას შემოქმედების ნაწილად, როგორც მხატვრული ტილო, ჟანრობრივი თვალსაზრისით რთულად განსასაზღვრი, თუმცა ერთიანი და განუმეორებელი.

ბორის პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიწერილი თითოეული წერილის ანალიზიდან ირკვევა, რომ მათში ნათლად აისახება ის გრადაცია, რომელსაც განიცდის მწერლის პიროვნული და შემოქმედებითი შეხედულებები, დროისა და ეპოქისადმი მისი მიდგომა ეპოქის მოვლენათა კონტექსტში.

კვლევისას გააზრებული იქნა დროის კონცეპტის თავისებურებანი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, დროის პულსის შეგრძნება მწერლის მიერ და ამ შეგრძნებათა საფუძველზე ქმედება, საკუთარი ცხოვრებისა და დანიშნულების მოაზრება დროის დიდი გეგმის ნაწილად. მწერალი დროზე იმარჯვებს ხელახალი, მეორე დაბადებით. პასტერნაკის „მეორე დაბადება“ კი სწორედ საქართველოში დაიწყო, აქ პირველი ჩამოსვლისას, 1931 წელს. აქ პირველად გაგონილი ტიცინან ტაბიძის სტრიქონი კი - „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“ - მისი ცხოვრებისეული ფილოსოფიის მთავარ ფორმულირებად იქცევა და მუდამ თან სდევს დარჩენილი სიცოცხლე.

რუსი მწერლის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევისას დადგინდა პარალელები ბორის პასტერნაკის „მეორედ დაბადებას“, მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებას“ და ტიცინ ტაბიძის სტრიქონს „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“ შორის და აქედან გამომდინარე, ხაზი გაესვა მათ მიერ „საკუთარი თავის ხელახლა წარმოების“ იდეის უპირველესობას როგორც ცხოვრებაში, ისე მწერლობაში. განვიხილეთ პასტერნაკის გზა, როგორც მუდმივი ქმნადობის გზაა, სიკვდილის და სინდისის გზა, რომელსაც მოაქვს განწმენდა. და ეს გზა, პირველ ყოვლისა, გულისხმობს მონაწილეობას და არა მოვლენათა მაყურებლის როლში ყოფნას.

მარსელ პრუსტთან პარალელების საფუძველზე დადგინდა, რომ დროის კატეგორიის აღქმა უფრო მწვავეა პასტერნაკთან, ვიდრე ფრანგ ავტორთან, ვინაიდან პირველის შემთხვევაში ეს მჭიდრო კავშირშია ეპოქასთან. გარდა ამისა, ბორის პასტერნაკმა იცის, რომ დროის გეგმა ყველა თვალსაზრისით აღსრულდა და მიაჩნია, რომ დაკარგული დროის ძიება, დაკარგული სამოთხის ძიება შვილების პრეროგატივაა. თავად და მის თაობას კი მართებთ დროში დაკარგვის საშიშროებას გაუმკლავდნენ.

კვლევის პროცესში გამოვლინდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთა გამოც ქართველ მეგობრებთან პასტერნაკის კავშირი იყო სამუდამო არა მხოლოდ ადამიანური, არამედ შემოქმედებითი ურთიერთობების თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სიღრმისეულად იქნა განხილული როგორც პასტერნაკი-შემოქმედის, ისე პასტერნაკი-პიროვნების საკითხი. გამოიკვეთა მის შემოქმედებით თუ პირად გზაზე განვითარებული მოვლენები და ცვლილებები, სულიერი მეტამორფოზა. მწერლის ადრეული შემოქმედება გაუგებარია, გამიზნულად გაუგებარი და მისი გაგება ხშირად სწორედ წერილების საშუალებით ხდება შესაძლებელი.

აღვნიშნეთ ის ფაქტორებიც, რამაც განაპირობა ქართველებთან ასეთი მჭიდრო კავშირი. პირველ ყოვლისა, მათი ცხოვრება პარალელური სიუჟეტებით იყო სავსე, არაერთხელ ხელახლა დაბადება, საკუთარი თავის წერა, შექმნა. გამოკვეთეთ

პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილთა ერთგვარი სიუჟეტური ხაზი, მთელი თავისი პერიპეტიებით.

წერილების გაანალიზებისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ ენობრივი და სტილური თვალსაზრისით პასტერნაკის წერილები მისი შემოქმედების განუყოფელი ნაწილია და იგივე თავისებურებები ახასიათებს, რომლებიც, ზოგადად, მისი შემოქმედებას, მათ შორის - პოეზიას. აღვნიშნეთ, რომ პასტერნაკისთვის დამახასიათებელი მეტაფორული წერა და საუბარი, რის გამოც მისი შემოქმედება ორაზროვანი და ბუნდოვანი ხდება ხოლმე, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მისი ნაწარმოებები არ არის განკუთვნილი ყველასთვის. მას თავისი მკითხველი ჰყავს. ამავე სტილით ხასიათდება პირადი წერილებიც.

ქართველი მეგობრების და განსაკუთრებით, ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ბედი ერთგვარ შემზადებად იქცა პასტერნაკისთვის სამომავლო მსხვერპლის გასაღებად, მსხვერპლისა, რომელსაც ყოველთვის მოითხოვს ნამდვილი ხელოვნება. წერილების გაანალიზება საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა და ერთ-ერთი ასეთი არის ის, რომ მაშინ როცა ყველასგან აღიარებულია, პასტერნაკი ყველაზე მეტად არის უკმაყოფილო საკუთარი შემოქმედებით. ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილზე ფიქრი იმ თავისუფლებაზე ფიქრად ექცევა, რომელიც ქართველ პოეტებს „ვაჟკაცურმა გაქროლება“ (პ. იაშვილი „როგორც აფრის ტკაცუნი“) მოუტანა. სწორედ ეს ფიქრი იქცევა მისთვის ერთ-ერთ ორიენტირად სამომავლოდ.

კვლევისას გამოიკვეთა ის მიზნები და ამოცანებიც, რომელთაც პასტერნაკი, წერილებიდან გამომდინარე, უსახავს როგორც საკუთარ, ისე მომავალ თაობას. თავის ეპოქას გაყინულ ეპოქად მიიჩნევს. შვილებს იმ დროის ამოგება დასჭირდებათ, რომელიც მამათა თაობას განგებამ დააკარგვინა. საკუთრივ კი უნდა ეცადოს, თავად შექმნას დრო, დრომ არ შექმნას იგი, „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“ იქცეს მისი ცხოვრების ფილოსოფიად.

თითოეული წერილის მიმოხილვის საფუძველზე, კვლევამ ცხადყო თუ რაოდენ ზედმიწევნითა და სიზუსტით აისახა ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა ასპექტი მიმოწერაში. ზოგიერთი წერილი მონოლოგად არის ქცეული. ნინო ტაბიძესთან მიწერილი წერილები ერთგვარი აღსარებაა მწერლისა. მაშინ, როდესაც მის ორიგინალურ ნაწარმოებებს არ ბეჭდავდნენ, ბორის პასტერნაკი დღეში დაახლოებით 30 წერილს წერდა. საქართველო და თბილისი პასტერნაკისთვის შთაგონების ახალ წყაროდ იქცევა. მე-20 საუკუნის პოეტების უმრავლესობისთვის პოეზია და მეგობრობა განუყოფელია, ისინი არ არიან მარტოსული პოეტები, თუ არ ჩავთვლით გამონაკლისებს. ამაში იყო მათი ძლიერებაც და სისუსტეც. ამას კი რეჟიმი და ტირანი მალევე მიუხვდება მათ.

წერილების ანალიზი ცხადყოფს, რომ ყოველივე, რაც საქართველოს უკავშირდება, პასტერნაკის შემოქმედებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს, პოეტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, სასიცოცხლო და შემოქმედებით ძალებს სძენს. ამდენად, ქართველ მეგობრებთან ურთიერთობა პასტერნაკისათვის საჭიროება და აუცილებლობაა.

წინამდებარე ნაშრომში გამოიკვეთა მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებები, რომლებიც ასე მრავლად არის გამოთქმული წერილებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია შეფასებები, რომლებსაც იგი იძლევა საკუთარ თარგმანებზე და, ზოგადად, თარგმნის ხელოვნებაზე; ასევე, გაანალიზდა ინფორმაცია მწერლის ნაწარმოებთა, თარგმანი იქნება ეს თუ ორიგინალური ნაშრომი, შექმნის პროცესის ამსახველი პასაჟების შესახებ, ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იღებს და აფასებს მათ, ერთი მხრივ, საზოგადოება და, მეორე მხრივ, თავად ავტორი. წერილების კვლევის საფუძველზე, ასევე, გამოვლინდა ქართველ მეგობართა მნიშვნელობა მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მისი ლიტერატურული სტილის განსაზღვრაშიც კი.

1930 -იანი წლების წერილების ანალიზის საფუძველზე დადგინდა ის გზა, რომელსაც გაივლის პასტერნაკი „მეორე დაბადებიდან“ „ექიმ ჭივაგომდე“, როგორც პიროვნული, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით. განხილული იქნა საკუთარი თავისა და რომანის

წერის პროცესის ხანგრძლივი სამზადისი და ის გარდატეხები, რომელთაც ადგილი ჰქონდა 30-იან წლებში, როცა იწყება იმ მარცვლის გაღვივება ბორის პასტერნაკის შემოქმედებით გზაზე, რომელიც ნაყოფს 50-იან წლებში გამოიღებს.

1930-იანი წლების მოვლენათა კონტექსტში იქნა განხილული პასტერნაკის მსოფლხედვასა და შემოქმედებაში მიმდინარე ცვლილებები, განწყობილებანი. წერილების ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ყველაზე მეტად აწუხებს სანახევრობაა, როცა არც დევნიან, არც იმეგობრებენ, არც აძაგებენ და არც ადიდებენ, თან ბეჭდავენ და თან არ ბეჭდავენ. ამ სანახევრობას მიჰყავს დეპრესიამდე. ხოლო როცა სრულიად უარყოფენ, დევნიან, გარიყავენ, მაშინ ყველაზე ნაყოფიერია, რომანს წერს. საბოლოოდ მაინც ამ სანახევრობას ემსხვერპლება: თან მიღებული და თან არმიღებული ნობელი, თან აღიარება და თან არაღიარება.

ყველაფრის ბოლომდე თქმის ბედნიერება პასტერნაკთან მოგვიანებით ჩნდება. ამ სითამამეს დიდი ტერორის წინ იჩენს. ყველაფრის გაბედულად თქმას სწორედ მაშინ იწყებს, როცა, ყველა ლოგიკით უნდა გაჩუმდეს. მე-20 საუკუნის 30-იანი წლები პასტერნაკისთვის არის მზადება, აქციოს საკუთარი შემოქმედება და საკუთარი თავი ეპოქის უკიდურესობად.

1940- 50-იანი წლების წერილების კვლევის საფუძველზე განვსაზღვრეთ „ექიმი ჟივავოს“ როლი ბორის პასტერნაკის მთელს შემდგომ პირად თუ შემოქმედებით ცხოვრებაში, ასევე, ის თუ როგორ იქცა რომანზე წერა, შემდგომ კი - უკვე რომანი, ავტორის დაგვიანებულ 1937 წლად, ანუ როგორ იქცა იგი დაგვიანებულ დევნილად, როგორ ემზადება დასასრულის შესახვედრად, როგორ ადგება საკუთარი თავის შენარჩუნების გზას, რომელიც სწორედ 40-იანი წლებიდან იწყება და სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება და იგი მკაფიოდ, ზედმიწევნით აისახა ქართველ ადრესატებთან მიწერილ წერილებში.

ნაშრომში აღვნიშნეთ, რომ 1940-იან წლებში განსაკუთრებით მკაფიოდ და განსაზღვრულად იცის პასტერნაკმა, რატომ უნდა გადარჩეს, რისთვის შესაწირად

სჭირდება სიცოცხლე. ნინომ თავი ტიციანს უნდა შემოუნახოს, მან კი - თავის რომანს. ყოველივე თანდათან კონტურებს იძენს და მწერალმაც უკვე იცის, რას დაწერს და როგორ დაწერს.

ხაზი გაესვა იმ გარდატეხებს, რომლებიც ტიციანისა და პაოლოს ტრაგიკულმა აღსასრულმა გამოიწვია პასტერნაკში. ამ გარდაუვალმა, აუცილებელმა მსხვერპლმა იგი მორალურად გაზარდა, გააძლიერა, შურისძიების აქტადაც აქცია თავისი რომანი, „ექიმი ჟივაგო“. ეს იყო შურისძიება გარდაცვლილი მეგობრების, გაცრუებული იმედების, დაკარგული დროის გამო.

1940-50-იანი წერილების გაანალიზებისას მკაფიოდ გამოიკვეთება პასტერნაკის პრიორიტეტები. მისი ყველა ძალისხმევა რომანის წერისკენაა მიმართული. მასზე მუშაობის ბიძგი, მისივე სიტყვებით, ნინოს მიერ ნაჩუქარმა ტიციანის ფურცლებმა მისცა, ეს შრომა შეუმსუბუქა. აღსანიშნავია, რომ ამ ფურცლებზე არ გააგრძელებს რომანის წერას. შთაგონების წყაროდ, სტილის განმსაზღვრელად კი იქცა, მაგრამ რომანის სტრიქონებისთვის ვერ დახარჯავს. რომანზე მუშაობის არაერთ საინტერესო ფაქტს ინახავს ქართველ ადრესატებთან მიწერილი წერილები. ხანდახან კი ისეთ ცხოვრებისეულ ეპიზოდებსაც, რომლებიც უშუალოდ იქცა შთაგონების წყაროდ რომანის ზოგიერთი მონაკვეთის შექმნისას, ან კიდევ პირდაპირ აისახა ნაწარმოებში.

ნაშრომში საგანგებოდ აღინიშნა ის ფაქტი, რომ სწორედ თბილისში და სწორედ საყოველთაო დევნის პერიოდში დაიბეჭდა თბილისში ბორის პასტერნაკის უკანასკნელი კრებული «Грузинские поэты» (1958 წ.), რაც გააზრებული იქნა, როგორც ერთგვარი მადლიერების შესტი ქართველი მწერლებისა და მეგობრების მხრიდან ბორის პასტერნაკის მიმართ. ეს ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს შედეგად იმ მრავალწლიანი ურთიერთმიზიდულობისა, რაც ასე ნათლად აისახა წერილებში და პასტერნაკის მიერ რეპრესირებული მეგობრების ოჯახების მხარდაჭერაში

გამოჩენილმა გამბედაობამ გამოძახილი ჰპოვა და ქართველმა გამომცემლებმა მაშინ გამოსცეს პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების „ქართული ნაწილი“, როცა ეს ნაბიჯი ნამდვილად იყო სახიფათო და ასევე, დიდ გამბედაობას საჭიროებდა.

Bibliography

- Андриядзе, Г. и. (2021). *ВРЕМЕН СВЯЗУЮЩАЯ НИТЬ*. Тбилиси.
- Балуашвили, В. (1990, февраль 10). «Мир, далёкий и драгоценный». *Вечерний Тбилиси* .
- Быков, Д. (2011). *Жизнь замечательных людей. Борис Пастернак*. Москва: Молодая гвардия.
- Громова, Н. (2006). «Узел. Поэты: Дружбы и разрывы». Москва.
- Иванова, Н. (2003). *Пастернак и другие*. Москва: ЭКСМО.
- Мамардашвили, М. (2018). *Психологическая топология пути* . Москва: Фонд Мераба Мамардашвили.
- Мария Филина, Елена Киасашвили. (1990, февраль 11). «Цель творчества – самоотдача». «*Заря Востока*».
- Озеров, Л. (1990, Февраль 8). «Чудотворство». *Известия*.
- Пастернак, Б. (2004). *Полное собрание сочинений (Т. II)*. Слово/ Slovo.
- Пастернак, Б. (2004). *Полное собрание сочинений (Т. III)*. СЛОВО/SLOVO.
- Пастернак, Б. (2004). *Полное собрание сочинений (Т. V)*. Слово/ Slovo.
- Пастернак, Б. (2005). *Полное собрание сочинений (Т. XI)*. СЛОВО/SLOVO.
- Пастернак, Б. (2005). *Полное собрание сочинений (Т. VII)*. Москва: Слово.
- Пастернак, Б. (2005). *Полное собрание сочинений (Т. VIII)*. Слово»/ Slovo.
- Пастернак, Б. (2005). *Полное собрание сочинений, (Т. IX)*. Слово/SLOVO.
- Флейшман, Л. (2003). Свободная субъективность. In Б. Пастернак, *Полное собрание сочинений (Т. I)* (pp. 5-60). СЛОВО/SLOVO.
- ალიგიერი, დ. (2012). "ღვთაებრივი კომედია". პალიტრა L.
- მილერი, ჯ. ჰ. (2014, მაისი 30). დრო ლიტერატურაში. *არილი*.
- პასტერნაკი, ბ. (2018). ბორის პასტერნაკის ქართული ადრესატები (მთარგმნელი და წიგნის შემდგენელი: სალომე ბედუკაძე). თბილისი: გლოსა.
- პრუსტი, მ. (2016). *სვანის მხარეს*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ტაბიძე, ნ. (2016). *ცისარტყელა განთიადისას. ტიცინი და მისი მეგობრები*. თბილისი: არტანუჯი.
- შოპენჰაუერი, ა. (2010). *ცხოვრების ამაოება და სიმწარე*.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Асатиани Н. Дом-музей Тициана Табидзе: семейные реликвии. В сб.: Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур. Сборник по материалам конференции. Мю, «Изд. Литературный музей», 2016. С. 8-14.
2. Фрезинский Б. Илья Эренбург и грузинские поэты. В сб.: Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур. Сборник по материалам конференции. Мю, «Изд. Литературный музей», 2016. С. 33-44.
3. Филина М. Письма Бориса Пастернака грузинским друзьям в контексте своей эпохи и нашего времени. В сб.: Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур. Сборник по материалам конференции. Мю, «Изд. Литературный музей», 2016. С. 46-62.
4. Соколовская Н. О книге Г.М.Цуриковой «Тициан Табидзе: жизнь и поэзия». В сб.: Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур. Сборник по материалам конференции. Мю, «Изд. Литературный музей», 2016. С. 62-66.
5. Ратиани И., Модебадзе И. Город-Центр в лирике Тициана Табидзе и Бориса Пастернака. В сб.: Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур. Сборник по материалам конференции. Мю, «Изд. Литературный музей», 2016. С. 66-80.
6. Горелик Л. Кавказский ландшафт в стихотворении Бориса Пастернака «Волны». В сб.: Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур. Сборник по материалам конференции. Мю, «Изд. Литературный музей», 2016. С. 107-118.
7. Кшондзер М. Грузия как одна из основных нравственных категорий поэзии Бориса Пастернака (на материале цикла «Волны»). В сб.: Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур. Сборник по материалам конференции. Мю, «Изд. Литературный музей», 2016. С. 118-126.
8. Киасашвили Е. Малоизвестные факты работы Бориса Пастернака с подстрочниками (архивные материалы). В сб.: Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур. Сборник по материалам конференции. М., «Изд. Литературный музей», 2016. С. 143-172.
9. Иванова Е. Пастернак, Чуковские, Грузинские поэты: неизвестные подробности. В сб.: Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур. Сборник по материалам конференции. Мю, «Изд. Литературный музей», 2016. С. 172-178.
10. Б.Пастернак (1890-1960)ю Материалы фонда Государственного музея грузинской литературы им. Г.Леонидзе. Составление, подготовка текста и комментарии

- С.И.Чернявской. Тбилиси Изд. Государственного музея грузинской литературы им. Г.Леонидзе. 1999, 342 с.
11. Быков Д. Борис Пастернак. М.: Изд. «Молодая гвардия». 2009, 625 стр. (Жизнь замечательных людей).
 12. Письма Б.Л. Пастернака к жене З.Н.Нейгауз-Пастернак. Мю: Изд. «Дом», 1993, 248 стр.
 13. Громова Н. Распад. Судьба советского критика: 40-50-е годы. М.: Изд. Эллис Лак», 2009.
 14. Громова Н. Узел. Поэты: дружбы и разрывы. М.: Изд. «Эллис Лак», 2006. 688 стр.
 15. «Край, ставший мне второй родиной» (Письма Б.Пастернака грузинским писателям) / Публикация Г.Маргвелашвили // «Вопросы литературы». 1966, № 1.
 16. Письма Б.Пастернака друзьям / Публикация Г.Маргвелашвили // «Литературная Грузия». 1966, № 2.
 17. Филина М. Борис Пастернак в Грузии. Тбилиси: Библиотека Международного культурно-просветительского союза «Русский клуб», 2014. 50 стр.
 18. Филина М., Киасашвили Е. Жертвы и палачи // Грузия. 1994, № 5 (газета грузинского землячества в Москве).
 19. Филина М., Киасашвили Е. Малоизвестный сюжет в переводческой деятельности Бориса Пастернака // Сб. «Русский литературный авангард: материалы и исследования. Департамент Истории Европейской Цивилизации. Университет Тренто (Италия). 1990. С. 263-282.
 20. Филина М., Киасашвили Е. Сквозь строки писем. // «Литературная Грузия». 1984, № 9.
 21. Евгений и Елена Пастернак. Жизнь Бориса Пастернака. Документальное повествование. Изд. Журнала «Звезда». М, 2004. ISBN: 5-94214-003-0, 5-94214-032-4 <https://www.livelib.ru/book/1000567441-zhizn-borisa-pasternaka-dokumentalnoe-povestvovanie-evgenij-pasternak>
 22. Вильмонт Н. О Борисе Пастернаке. Воспоминания и мысли. М. «Летний сад». 2006. 366 стр.
 23. Наталья Иванова. Борис Пастернак. Времена жизни. М., «Время». 2007. 464 стр.
 24. Поливанов, К. Пастернак и современники. Биография. Диалоги. Параллели. Прочтения [Текст] / К. М. Поливанов ; Гос. ун-т — Высшая школа экономики. — М. : Изд. дом ГУ ВШЭ, 2006. —ISBN 5-7598-0361-1.
 25. Зинаида Пастернак. Воспоминания. Письма. М.: АСТ. 2016. 468 стр. М.: «Новое литературное обозрение» 2013.
 26. Борис Гаспаров. Борис Пастернак: по ту сторону поэтики (Философия. Музыка. Быт). М.; Новое литературное обозрение, 2013. 272 стр.
 27. Анри Труайя. Борис Пастернак. М.: Эксмо. 2007.

28. Цурикова Г.М. Тициан Табидзе: жизнь и поэзия Под общей ред. Н.Соколовской. Подготовка текста И.Кузьмичева; послесловие И.Рожанковской. СПб.: «Росто», 2015, 471 стр.
29. Пастернак Б. Стихи о Грузии. Грузинские поэты. Тбилиси: «Заря Востока», 1958.
30. Ципурия Б.
31. Ципурия Б.
32. Пастернак Б.Л. Из переписки с писателями / Предисловие и публикация Е.Б. и Е.В. Пастернаков // Литературное наследство. М.: 1983ю Т. 93. С. 649-739.
33. Это обмен опытом, это жизненное дыхание наших республик / Публикация и предисловие Г.Бебутова // Литературная Грузия, 1968б № 8б с. 37-41.